

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

10 აგვისტო 2012 №16(172)

პარალელური ბიოგრაფიები:ლიბერალი და კონსერვატორი
შოთა ბოსტანაშვილის არქიტექტურული ლირიკა
მზია კავთელიშვილის ხევსურული ნოველა
დონ კიხოტი მურმან ჯგუბურიას თვალით
ქართველი მწერლის პარიზული რომანი
გალაკტიონი და მცურავი დინამიტები
უხამსი მწერლობა-მიზეზთა შედეგი
ინტერვიუ გვანცა კანდელაკთან
მარიანო ხოსე დე ლარას ესეი
ნინო წიკლაურის ნთველები
თენგიზ სვანიძის ლექსები
სტუმრად ნიქოში



შინაარსი

სად წაიყვან სადაურსა	2	რუსუდან ნიშნიანიძე ქართველი მწერლის პარიზული რომანი და საბჭოთა რეალობა (ინდო ინასარი)
მესარეს-ჩინებრევი	9	გვანცა კანდელაკი „არც არაფერი მასხარებს, არც არაფერი მწყინს“ (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
პროზა	10	ნინო ნიკლაური სამი ნოველა
	12	მზია კავთელიშვილი ჰა ღრო იყვ, კაი...
პოეზია	16	მურმან ჯგუბურია გუბერნატორად გამწესების წინ დონ-კიხოტმა სანჩო პანსას ჭკუა დაარია
	18	თენგიზ სვანიძე მიბრუნება წარსულში და სხვა ლექსები
პოეზიის ერთი ლექსი	20	შოთა ბოსტანაშვილი ნარა/ტივი
ასეისტიკა	21	მარიანო ხოსე დე ლარა ლიტერატურა (ჩვენი ლიტერატურისა და ისტორიის თავისებურების მოკლე გამხილვა. მისი დღევანდელი მდგომარეობა. მისი მომავალი. ჩვენი თვალსაზრისი)
წარსული მოგავლისათვის	24	პაატა ჩხეიძე პირიქნების მცველები (ლიბერალი და კონსერვატორი)
დიალოგი	27	უსამსი მწერლობა — მიჯნაშტა შედეგი (თამთა ცეცაძეს ესაუბრება სოსო სიგუა)
წუთები და წლები	33	როსტომ ჩხეიძე მცურავი დინამიტები (ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში“)
კრიტიკა	39	ნუნუ ბალავაძე განსხვავებული პერსონაჟი (გოდერძი ჩოხელის მხატვრული სამყარო)
ჩანახატი	42	ეკა ბუჯიაშვილი სახლი გადაღმა (დალი კვესელავა)
საქართველოს გზაზე	44	ნინო დეკანოიძე და ელოდი სასნაულს (სტუმრად ნიქოზში)
ახალი თარგმანები	47	იური ნაგიბინი სამნი, ქალი და მამაკაცი
ახალი წიგნები	62	თამარ ყალიჩავა პოეტის მიერ ნაკითხული გრამატიკის სახელმძღვანელო (მერაბ ნაჭყებიას „ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა“)
მოზაიკა	63	ლაიტმოტივი

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96_20_62

რეკლამა – (995 93) 65_93_68

გავრცელება – (995 77) 11_24_30

ფაქსი: (995 322) 96_20_62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ-კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ილუსტრაცია იური ნაგიბინის მოთხრობისა

„სამნი, ქალი და მამაკაცი“, მხატვარი მალხაზ იაშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 24 აგვისტოს

რუსუდან ნიშნინიძე

ქართული მწერლის პარიზული რომანი და საბჭოთა რეალობა

ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილმა უცნაური **არჩევანის** წინაშე დააყენა საკუთარი თავი და ასეთი რამ თქვა: „რომ მკითხონ, სიკვდილით დასჯა თუ სამშობლოდან განდევნა, ისევე პირველი მიირჩევნია.“

და მაინც, ვის ჰქონდა უფლება მწერლისთვის ამგვარი პირობა წაეყენებინა?

პასუხის გაცემა ძნელია, შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ...

ინდო ინსარის, იგივე ნიკოლოზ ინსარისძის შემთხვევა რალაციით თითქოს მსგავსიცაა... სამშობლოდან გაქცევა, უკან დაბრუნება; დაბრუნება — დასჯა და სიკვდილი. უნებლიე დამთხვევა? არადა, იგივე მოდელი, ოლონდ რეალობაში შემდგარი. უნივერსიტეტი წარჩინებით კი დაამთავრა, მაგრამ მის სახელზე იმგვარი დახასიათება გაიკა, რომ მომავალი ფრიად საეჭვო ხდებოდა: „ქვეყნისათვის არასასურველი საშიში პიროვნება.“ ბევრი აღარ უფიქრია, მეუღლესა და კიდევ რამდენიმე ადამიანთან ერთად (ალექსანდრე მანველიშვილი, ალექსანდრე გელოვანი, სერგო ინსარისძე...) არალეგალურად გადაკვეთა საქართველოს საზღვარი და გაიქცა... ეს 1929 წელს მოხდა. დაახლოებით ცხრა თვე დაჰყო თურქეთში, 1930 წლიდან კი საფრანგეთშია — ჯერ მარსელში, შემდეგ პარიზში...

დადგა 1947 წელი. განახლდა **საბჭოთა საქართველოში დაბრუნების მოწოდებათა** მორიგი აქტიური ეტაპი. ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოთა უშიშროების სამსახური პერიოდულად „ფარული ნაქეზებით“, რეზიდენტების მიგზავნით, ათასგვარი წინასწარ გათვლილი მზაკვრობითა თუ მალული ხრიკებით სხვადასხვა ფაქტორს იყენებდა; იქნებოდა ეს — დაგროვებული ემოცია, ნერვიული გადაღლა ან მოლოდინის ამოწურვის პერიოდი და... სწორედ ამას მოჰყვებოდა ხოლმე ამგვარი „ეტაპები“.

ქართული ემიგრაცია ორ კატეგორიულ მხარედ გაიყო. მართალია, მეორე მხარეს არცთუ ბევრი ადამიანი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც იყვნენ. იმასაც ამბობენ, რომ ახლო მეგობარი (ალექსანდრე სულხანიშვილი) არ ურჩევდა მსგავსი ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ნიკოლოზ ინსარისძეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა: მეუღლესა და შვილთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა. დაბრუნებულთა შორის იყვნენ: გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე, სამსონ ფირცხალავა — ცნობილი ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი, გამომცემელი; 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტზე მისი ხელმოწერაცაა, სხვებიც... ნიკოლოზ ინსარისძე 1951 წლამდე მშვიდად ცხოვრობდა და აქვეყნებდა... ახალ წლამდე რამდენიმე დღით ადრე, 26 დეკემბერს ოჯახით ათასობით ადამიანთან ერთად შუა ზღვაში, ყაზახეთში გადაასახლეს; თუმცა სამ თვეში (მარტში) თბილისში საგანგებოდ, მარტო დაბრუნეს „საქმის განხილვაში დასასწრებად“; აბა, უმისოდ, ფარულად, უსამართლოდ, საქმის არსში გარკვევის გარეშე ხომ არ მიიღებდნენ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას? ერთი თვის შემდეგ გადასახლებაში

მყოფ ოჯახს მისი გარდაცვალების შესახებ აცნობეს. სიკვდილის თაობაზე ორი ვერსია არსებობს: ერთი — ნიკოლოზ ინსარისძემ თავი მოიკლა (ეს ოფიციალური ვერსიაა), და მეორე — ჩეკისტებს წამების დროს შემოაკვდათ.

„უპოქის მხატვრული დოკუმენტი“ — სამუშაო ტერმინად იყენებენ ამ ფრაზას; სწორედ ამ ყაიდის ტექსტის შექმნა გადაწყვიტა საფრანგეთში. ინდო ინსარის (ნიკოლოზ ინსარისძის) რომანი „ჩრდილი ერთი სინამდვილის“ დაიბეჭდა პარიზში 1936 წელს. ნაწარმოებს წინ უძღვის წინასიტყვაობა: „ავტორისაგან“, რომელიც 1934 წლის მისში დაინერა. ესაა გაცნობა მკითხველთან და, ვფიქრობ, არა მხოლოდ ქართველთან.

„ჩემი სამშობლო — საქართველოც 1921 წლიდან... კომუნიზმის საცდელ ნიადაგად გადაიქცა.“ და თუკი უცხოელ მკითხველს კითხვა გაუჩნდებოდა: როგორ? იქვე დახვდებოდა პასუხი: „როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ქვეყანა“. სწორედ ეს ქვეყანა დატოვა, გაექცა „ბოლშევიზმის შიშველ სინამდვილეს“. მიიღო გადაწყვეტილება, გაცლოდა. თავდაპირველად ჩათვალა, რომ ყველა სიძნელე უკან მოიტოვა და ყველაფერი წარსულში დარჩა; მალე გაარკვია, ასე არ ყოფილა, რადგანაც ეს პირადი პრობლემა არ იყო მხოლოდ. იმასაც მიხვდა, რომ არც მისი ქვეყნის შესახებ იცოდა ბევრმა; კიდევ უფრო მეტმა — რა ხდებოდა გასაბჭოებულ სამშობლოში. იფიქრა, მერე გადაწყვიტა, „ტკივილები აელაპარაკებინა“. მგონია, უკვე პასუხისმგებლობას იღებდა საკუთარ თავზე: არაერთი ადამიანისათვის ეამბნა ამაზე, მაგრამ საინტერესოა ფორმა და ჟანრი, რომელიც მან აირჩია: „მოგონებას კი არ მივმართე, არამედ რომანის მასალად უშუალოდ კომუნისტური სინამდვილე ავიღე და შემოქმედების სინათლის ქვეშ ისე დავდე, რომ სინამდვილე თუ იქ არის, აქ მისი ჩრდილი მაინც გამოსულიყო“. ნაწარმოებს ეპიგრაფი უძღვის, რომელშიც ავტორი პატივებს ითხოვს, რომ „ცამდე დიდი უსამართლობის“ ჩრდილიც ვერ ასახა. ორიგინალურია, როცა პატივებს სთხოვს დროს („უზრდელს“ და „უნდოს“) და არა მკითხველს. და განა მკითხველი კონკრეტულ დროში არ ცხოვრობს? ერთიცაა, წერს ისე, როგორც შეუძლია. რომანში სულ 39 თავია; პირველ თავს ჰქვია: „სამწუხარო შემთხვევა“, ბოლოს — „დროს აქიშობა“.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომანი ბევრად უკეთესის სურვილს ტოვებს, ის არ არის მაღალი პროზაული ნაწარმოების ნიმუში, მაგრამ საინტერესოა და ანგარიშგასაწევი რამდენიმე ასპექტით: უცხოეთში ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნი, თემები, რომელიც მნიშვნელოვანია ავტორისათვის და პერსონაჟები, სახეები, რომლებსაც მწერალი სათქმელის მხატვრულად გადმოსაცემად მიმართავს.

ნაწარმოებში დრო კონკრეტდება. მწერალი დააზუსტებს, როდის და სად მომხდარ ამბავს იხსენებს მისი პერსონაჟი. თხრობაში თვითონაც ჩაერთვება, ამაზე მიმართვის ფორმაც მიანიშნებს:

„ვის დაავიწყდებოდა ტრალიკული ღამე ტფილისის: 1922 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ხელისუფლებას ათი-

ათასობით ხალხი ჩაემწყვდია მეტეხის ციხეში.. თქვენ აქ ნახავდით ყველა ქალაქის, ყველა სოფლის შვილს — გლეხებს, მუშებს, მონაფეებს, მასწავლებლებს, ექიმებს, მღვდლებს, სტუდენტებს, პროფესორებს, მხედრებს, მდიდრებს, ღარიბებს, ქალსაც, ვაჟსაც ერთად ერთ გრძნობის — კომუნისტური წესწყობილების მიუღებლობისათვის, თორემ ისე არც ერთს არაფერი ჩადენილი არ ჰქონდა.”

ჩადენილი არაფერი ჰქონდათო, ეს ავტორს „ჰგონია”, თორემ მათი დანაშაული არსებული წყობილებით უკმაყოფილება იყო. აბა, ამაზე უარესი დანაშაულის ჩადენა რანაირად შეიძლება?!

ეს ადამიანები ხელისუფლებისათვის საშიში იყვნენ. აქ მწერლის ბიოგრაფიული ჩანართი არ იქნება ზედმეტი; ახალგაზრდა ინდო ინსასარი მეტეხის ციხეში იჯდა, როგორც საქართველოს ეროვნული გვარდიის ყოფილი წევრი, სწორედ 1922 წელს. ბევრი ამბის შემსწრე და თვითმხილველი გულგრილი ვერ დარჩებოდა... ხელისუფლება თავის მხრივ, აჯანყების საშიშროებას ხედავდა. ამიტომ მომხდარს სერიოზულად განიხილავდა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას თვითონ ვერ ბედავდა (არც მიაღებინებდნენ. ვინ ჰკითხავდა?!), ამიტომ „შორს, წყეულ მოსკოვის ბნელ კედლებში საიდუმლოდ ბჭობდენ ამაზე.”

ნანარმოებში ციხე აჯანყდა. იყო ერთი ცემა-ტყეპა, ყვირილი, სიცილი, ეროვნული ჰიმნის სიმღერა, სტვენა, ქალების კივილი, სროლა... „აი, ეს იყო, რო შეეძრწუნებინა ტფილისი”. ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალები დაამატა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაძმინდა. და აქ ერთი პერსონაჟი — ოტარიდი — კონკრეტულ შემთხვევას გაიხსენებს, როცა მინაზე პირვედამხობილ ახალგაზრდა ქალს „ხელისუფლების კაცმა” „წიხილი ამოსცხო”. ოტარიდი ჩაერია და მიეხმარა უცნობს. გონზე რომ მოვიდა, ჯერ ისევ ბნელოდა. ქალისაგან სამახსოვროდ ცხვირსახოცი დარჩენოდა... ამ ამბავს, მოგონებას აკენესებდა თავის სალამურზე. ეს ფორმა (ეროვნულ საკრავზე დაკრული მელოდია) კიდევ უფრო მეტ პირობითობას იძენს, როცა რომანის ფაბულა სწორედ ამ სამკუთხედზე გაიშლება: ხელისუფლების კაცი — გუბადი, ახალგაზრდა ქალი — ტბატანა და გადამრჩენელი ოტარიდი. შინაგანი უხერხულობა სდევს გაუმჟღავნებელ საიდუმლოს. „გამოსავალი” ყოველთვის მოიძებნება. გუბადმაც ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ „ამოისუნთქა”:

„მერე რა? სხვამ ხომ არ იცის...”

რომანის მსვლელობისას მკითხველისთვის თითოეული პერსონაჟის კონკრეტული საქციელი გარკვეული ფასეულობის მიმანიშნებელია.

ორი ნაპირი — ამ სიტყვებს ფილოსოფოსებისთვის სხვა დატვირთვა ჰქონდათ, სხვა გააზრებას გულისხმობდნენ; მოგვიანებით, როცა ამ ფრაზამ იდეოლოგიური დატვირთვა მიიღო, გამყოფ ხაზადაც იქცა.

ორი ნაპირი — ეს სიტყვები ეწერა გუბადის საყვარელ ნიგში და ეს იყო ხელისუფლების სამოქმედო კრედოც:

„ერთი ნაპირი ჩვენ — კომუნისტები ვართ, მეორე — ყველა დანარჩენია. ამ დანარჩენთ ჩვენ „იმ ნაპირს” ვუწოდებთ. და აი, იმ ნაპირზე თქვენ მინა-წყალი გაქვთ, გყავთ დედ-მამა, ცოლ-შვილი, ნათესავი. ამ ნაპირზე კი ყველაფერი საზოგადოებას ეკუთვნის — მინა-წყალიც, დედ-მამაც, ცოლ-შვილიც, ნათესავიც, საქონელიც.”

„ამ”, საბჭოურ ნაპირს კიდევ ერთი დიდი უპირატესობა აქვს: „იქ” თუკი უნდა იზრუნოთ მამულზე, ოჯახზე, საქონელზე, ანუ ყველაფერზე, რაც თქვენ გეკუთვნით, აქ — საზოგადოება ზრუნავს თქვენს ნაცვლად, თქვენ „საიათაც გინდათ, იქით გაფრინდით.”

რომელი სჯობს? — თან ყველაფერი გეკუთვნით: სხვისიც და საკუთარიც და თან არაფერზე ზრუნავთ?! ჩნდება ერთი კითხვა: არადა, ვილაცამ ხომ უნდა მოუაროს, ვინ იქნება ის ვილაც? და კიდევ ერთი, **ნახალისება თუ მონოდება:**

„ვისაც ზედმეტი აქვს, წაართვით, გაუთანასწორდით... მოჰკალით”.

ამ აზრს დადუმებულ და გაოცებულ სოფლებში მხოლოდ ერთი გაუნეცს წინააღმდეგობას, თუმცა ფრთხილად გამოთქვამს საკუთარ შეხედულებას:

„მართალია, სხვაზე ნაკლები ჭამა არც ჩვენ გვინდა, მაგრამ ამისათვის სხვის ვაცარცვის, ან მოკვლის აზრი არ გვიდევს გულში.”

მთქმელს — ოტარიდს დააკავებენ, გუბადიც იქვეა, მაგრამ ის უკვე

სხვა „ნაპირზეა”.

კოლექტივიზაციაზე ძალიან ბევრი დაინერა — სამანს აქეთაც; მაგალითები შორს წაგვიყვანდა. „საკოლმეურნეო რომანებად” ცნობილი ნანარმოებები დიდი ტირაჟითაც იბეჭდებოდა. უბრალოდ, სხვადასხვა ინტერპრეტაციით. „ჩემი” და „კოლექტივის” — **მიძიმე თემაა**. მართალია, ამ აზრს უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც — ლატაკები და ბოგანოები, რომელთაც შეძლებული მეზობელი გლეხის ქონებაზე აქამდე თვალი რომ რჩებოდათ, ახლა ეს ყველაფერი უშრომლად, ხელისგაუნძრევლად მათიც ხდებოდა! რასაკვირველია, ისინი გახდებოდნენ ხელისუფლების ერთგული და მყარი დასაყრდენი. ხსენებულ რომანში ავტორმა ეს თემაც განავითარა და ისიც, რომელიც ქართულ მწერლობაში მართალია სხვადასხვა რაკურსით, მაგრამ მაინც აისახა.

სიმართლე თქვა, მისი წილი სიმართლე!

განაწყენებული ხალხი გახიზვნას აპირებდა: უპირველესად, მოხუცებისა და ბავშვების. იმისათვის, რომ „მეტრს” არ დარჩენოდა, სახლ-კარს ცეცხლს უკიდებდნენ, მიჰქონდათ და მიერეკებიდნენ რაც ჰქონდათ. ერთი ამონარიდი:

„ომიდან დაბრუნებულები (ხელისუფლებას რომ დაუპირისპირდნენ — რ.ნ.) კი მამულს შესეოდენ: ბალ-ვენახს, ყანებში სიმინდს, პურს და თავისივე ხელით აფუჭებდენ;



ინდო ინსასარი

„ჩემი ამაგი სხვას არ დარჩეს“.

კაცს დაინახავდით რომ ცელით ხელში ახლად ამოსულ ჯეჯილს თიბავდა, ზოგი სიმინდს გლეჯდა ხელით, ზოგი ვაზს სჭრიდა, ბაღს ჩიხავდა...

რამდენს მწარედ ატირებულს ბოლო ცული თავისთვის დაურტყამს და ხესთან გადახვეულნი ერთად დავარდნილან დედამინაზე.”

„ეს რა გაბოროტება, რა წყევლა იყო, ღმერთო, ჩემო. თავისივე ხელით თავის თავზე ჩადენილი!“ — ეს ავტორისეული, ემოციური ჩანართია მკითხველისათვის განკუთვნილი. სათქმელის ხაზგასასმელად გამოყენებული მწერლისეული მინიშნება.

ლიტერატურული რემინისცენციით კონსტანტინე გამსახურდიას ერთი პერსონაჟი — კაც ზვამბაია და კოლექტივიზაციის ეპიზოდი გაახსენდება მკითხველს (ტრილოგია „მთვარის მოტაცება“). სრულიად სხვა რანგის ლიტერატურული ტექსტი, მაგრამ მსგავსი სიუჟეტური ეპიზოდი. იოლი ნათქვამია: „ძნელია გადაწყვეტილების მიღება“, ძალიან იოლად ნათქვამი. ოქუშის თემსაბჭოში მოსული განკარგულება იუნცებოდა, რომ შავსიელ კაც ზვამბაიას ცხენები იმავე დღეს უნდა ჩამორთმეოდა, ხოლო კოლექტივის ბოსელის დასრულების ანუ, სამი დღის შემდეგ საქონელსაც წაასხამდნენ. არც ასაკმა გაჭრა და არც ტყუილმა („სოხუმს უნდა წავიყვანო ავადმყოფი. ზეგ მოდიო და ნაიყვანო მამაშვილობას“). უარი მიიღო. არ დაყაბულდა მილიციელი. გამწარებულმა მოხუცმა ცერზე იკბინა და საკუთარი სიძაბუნე შეაჩვენა და არა მხოლოდ: „ყვიროდა კაც ზვამბაია, ორივე ხელს იცემდა გაშიშვლებულ შუბლსა და თავზე.“ ერთხანს გაქვავებული იჯდა კაკლის ქვეშ ნამორზე; მერე თავჩაქინდრული გულმოდგინედ ლეხავდა ნაჯახს; სადილზე ლუქმა არ გაუსინჯავს, სანთლის არაყს მიიძახლა... შემდეგ მკითხველი დაინახავს, რომ „კაც ზვამბაიას ნაჯახი ეჭირა ცალ ხელში, ცალშიაც თოკის გორგალი, ფურკამეჩს დასდევდნენ ეზოში მამა და ორივე შვილი... შეძრწუნებული გარბოდნენ კუდმოღერილი ხარები, დაფეთებული ფურკამეჩი ყროყინით ეხეთქებოდა ღობეებს, გარბოდა დაბორკილი თხაც, თანაც კიკინებდა საწყალობლად.“ გასაოცარი ექსპრესიით აღბეჭდილი ქმედება, რომელიც შემზარავი სტატიკური სურათით დასრულდება:

„...აივნის მაგიდაზე ეყარა ძროხის, ფურკამეჩის და ხარების სისხლიანი თავები. მთლად გაფითრებულ ქელემს და ჯამუს ფიჭვის კვარები ეჭირათ ხელში.“

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ოჯახის არცერთ წევრს (არზაყანს, ხათუნასა და ძაბულის);

მთელი ღამე ბორგავდა კაც ზვამბაია ლოგინში;

მთელი ღამე კომარული ზმანებებისგან ვერ დაეღწია შინაგანად შეძრულს თავი;

„მთელი ღამე სტიროდნენ კაკლის ქვეშ სისხლის წვეთები ბნელში“.

ინდო ინასარის რომანში ერთ-ერთი თავი ასეა დასათაურებული: „ადამიანი და კომუნისტი“. ერთი პარალელი: ნიკოლო მინიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა ვრცელი არაა, თუმცა მრავალფეროვანია. მისი „ქართული ქრონიკების“ ერთ-ერთ კრებულს „ეპოპეია“ ჰქვია. ის 1929 წელს გამოიცა ტფილისში. „ნუ შეგამინოს კაცი ფიქრმა ისტორიის ცვალებადობაზე. ან რათ უნდა გვემინოდეს ჩვენ? იქნება საქართველომაც შესძლოს ახალი ისტორიის დაწერა,“ — კითხვასაც სვამს და თვითონვე პასუხობს. დოკუმენტური პროზის ამ

ნიმუშში ბევრი ეპიზოდია საინტერესო; ერთს გამოვყოფ: მცირე აზიის ნაპირის ახლო კავაკაში პასპორტების შემონმებას. ცნობილია, საბჭოთა მოქალაქეობა (თან იმ წლებში) რას ნიშნავდა დანარჩენი მსოფლიოსათვის. ფრანგი ოფიცერი არკვევს ჩამოსულის ვინაობას და მოულოდნელად ეკითხება:

„— კედიას იცნობთ, პოლიციის „შეფი“ რომ იყო საქართველოში?

— კი, ვიცნობ.

— ჰოდა, თუ კედიას იცნობთ, ალბათ, ისიც ვიცნობთ და ის გამოარკვევს — ბოლშევიკი ხართ თუ კარგი კაცი.“

სტანისლავ ეჟი ლეცი წერდა: „ადამიანების დაყოფა სხვადასხვაგვარად შეიძლება. ეს ყველასათვის ცნობილი ამბავია. შეიძლება დავყოთ ადამიანებად და არაადამიანებად. „მე კი თავებად და ტანებად ვყოფ,“ — თქვა გაოცებულმა ჯალათმა“.

„ადამიანები და არაადამიანები“, („თავები და ტანები“, ლიმიტოყოლებული ირონია), „ბოლშევიკები და ადამიანები“, და ახლა მათ კიდევ ერთი დაემატა: „ადამიანი და კომუნისტი.“

თემი აჯანყებულიყო; გუბადის მშობლიური თემი. მდგომარეობის გამოსწორება მას ანდეს. მთელი სოფელი ერთად იყო, „წითელი დროშების ტყე“ იდგა, იქვე: ჩეკას უფროსი, ოლქის უფროსი, მილიციის უფროსი, პარტიის წარმომადგენელი და ყველა ე.წ. მნიშვნელოვანი ფიგურა.

„ჩვენ კომუნისტების დამყარებას დაგპირდით და აგერ დღეს ჩემი სიტყვის შემდეგ ნატერა მსოფლიო პროლეტარიატის პირველად თქვენ უნდა მიიღოთ..“

ამისათვის მე ახლავე ძირში ვსპობ „კერძო საკუთრებას“ ცოლზე, შვილზე, დედ-მამაზე, ცხვარ-ძროხაზე, მიწა-წყალზე, კარ-მიდამოზე.. ერთი სიტყვით, ყველაფერზე, ისე, რომ ვერაფერზე ვერ თქვას კაცმა „აგერ ვე ჩემიო“, სიტყვა „ჩემი“ უნდა მოიშალოს ლაპარაკიდან..

ჩემი ცოლი, ჩემი შვილი, ჩემი სახლ-კარი აღარ იქნება.. „ჩემი“ უნდა მოკვდეს, მო.. დღეს ვმარხავთ ამას.. მისი ადგილი საერთომ უნდა დაიკავოს.. საერთო ცოლ-შვილი, საერთო სახლ-კარი, საერთო საცხოვრებელი — აი, კომუნისტი!“

თავის წარმომადგენლის პირით ხელისუფლება ლაპარაკობს. არადა, თემი აჯანყდა „კომუნისტის წინააღმდეგ“. შეტაკების დაწყებამდე აჯანყებული გლეხების წარმომადგენლები „ხელისუფლების პირებს“ შეხვდნენ, მათ შორის გუბადის მამაც იყო; ყოფილმა მეზობლებმა გუბადი იცნეს. მოციქულებს საქმის მშვიდობიანად მოგვარების იმედი მიეცათ; სხვა თუ არაფერი, მსმენელი მაინც ეყოლებოდათ. გუბადმა ფურცელი, როგორც იტყვიან, თანასოფლელებს თავზე გადაახია და პირველი სილა მამას გააწნა. „მამის გალახვა თემში არც გაეგონათ“. თუმცა მოულოდნელობა, შემზარავი მოულოდნელობა წინ იყო. პირველი შეტაკება გლეხების გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ახალი ჯარების შემოყვანამ ბრძოლის ბედი გადაწყვიტა. დამსჯელმა რაზმებმა თემი მინასთან გაასწორეს. ცხენოსანმა ჯარმა კი გახიზნულების ნაწილი სოფელში მოაბრუნა. მათ შორის გუბადის მშობლებიც იყვნენ. ჩეკისტ ამხანაგებთან თავის მოწონება იყო საჭირო და შესაძლებლობაც მიეცა. აკი სოფლელებს ხვრეტდნენ, ჰოდა, გადაწყვეტილება ადვილად მოვიდა: საკუთარი დედ-მამა თვითონ უნდა დაეხოცა. ვრცელ ამონარიდს მოვიტან:

„მშობლებმა დაინახეს სიკვდილის წინა წუთები — შვილის ხელით უნდა დახრილიყვნენ.“

— მამა, მამა! — დაცინვით ეუბნებოდა დამიზნებული გუბადი, — სთქვი ბოლო სურვილი... მე შენ შეილს მაცოდინე... მამამ ხელი ასწია და დაიძახა:

„წყეული იყავ, წყეული, წყეული საიქიოსაც!“

მამამ დაათვა და დაიგრილა რევოლვერმაც, დავარდნილ მშობელმა მხოლოდ თავის მეუღლეს შეხედა..

დედამ მუხლები გაიმაგრა, პირს ჯვარი გადაინერა..

— დედა, დედა! — დედა თავს არ იღებდა, — დედა, ბოლო სურვილი.. შენ მეტს მოგიცდი..

არც ხმა, არც მოძრაობა..

ვერც დაიჯერებდით, რომ იგი გაქვავებული არ იყო.

— მაშ, მე გეტყვი..

თქვა და გუბადის გავარდნილ ტყვიამ დედაც მამის გვერდით დააგდო.”

ეს პროზაული ტექსტი ქართულად დაინერა, ოღონდ საზღვარგარეთ. საქართველოშიც ინერებოდა მსგავსი, ოღონდ პოეტური სტრიქონებით, ისიც ამავე, ქართულ ენაზე: **„მე გადავწყვიტე მთლიანი გულით, / ახალი ქვეყნის დავრჩე ერთგული! / არ გაგიკვირდეს დღეს ეს ცვლილება, / არ გაგიკვირდეს, ნუ მეტყვი ჯალათს, / მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, / რევოლვუციამ თუ კი მიბრძანა!“**

ამ სტრიქონების ავტორი პროლეტარული მწერლობის წარმომადგენელი კალე ფეოდოსიშვილია. არის თუ არა ეს ლიტერატურა, სხვა თემაა, ფაქტი მხოლოდ ისაა, რომ ეს რეალობაა, **საბჭოთა რეალობა.**

XX საუკუნის 20-იან წლებში ლიტერატურულ გაერთიანებებს თანამოაზრეები და მსგავსი ლიტერატურული და იდეოლოგიური მსოფლმხედველობის პიროვნებანი ქმნიდნენ. პარტიულობა მხოლოდ პროლეტმწერლებისთვის იყო სავალდებულო — „მოკავშირე ან მტერი“.

საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის წესდების პროექტში (დაიბეჭდა გაზეთში „ორიონი“, 1923) ეწერა: „კავშირის მიზანს შეადგენს პროლეტარიატის ლიტერატურულ-შემოქმედებით ძალთა თავის მოყრით მათი კლასობრივი იდეოლოგიის ყოველმხრივი ჩამოყალიბება... მთელი მუშაობა კავშირისა უნდა იყოს შეფარდებული საქართველოს კომპარტიისა და მესამე კომინტერნის მოქმედებასთან.“

1924 წელს ჟურნალი „ხელოვნების დროშა“ აქვეყნებს დეკლარაციას, რომელიც ბევრს „უნდა“ წაეკითხა: „ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარული დიქტატურის ხანაში, პროლეტარიატს, როგორც კლასს, ხელში უპყრია დღეს სახელმწიფოს მმართველობის საჭე. ხელოვნებაც, როგორც ერთი საუკეთესო იარაღთაგანი, ახალი საზოგადოების ცხოვრების შესაქმნელად პროლეტარიატს ესაჭიროება.“

მხატვრული აზროვნება, ესთეტიკა, ჰუმანური იდეები, ნიშნები, რაც მწერლობისათვის უბრალოდ, აუცილებელია, მთავარ ადგილს არ იკავებს (თუმცა, იბეჭდება კარგი ნიმუშებიც). ამ ლიტერატურული გაერთიანების წევრები იყვნენ: ს. თოდრია, რ. კალაძე, ს. ეული, ი. ლისაშვილი, ნ. ზომლეთელი, კ. ფეოდოსიშვილი, ფრ. ნაროუშვილი, პ. სამსონიძე, ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ლორთქიფანიძე, პ. ჩხიკვაძე, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, შ. რადიანი, ვ. ბახტაძე და სხვები.

ნიკოლოზ ინასარიძე პროლეტმწერალთა გაერთიანების წევრი იყო. იბეჭდებოდა მათი პერიოდული გამოცემების ფურცლებზე. წიგნადაც გამოსცა პოემა „ქარი“. „ხავსიანი ქვეყანა ცეცხლით შემორკალევიო!“ — განწყობა

გასაგებია. ამ შემთხვევაში „პროლეტმწერლობა“ შეიძლება ბრალდებად ჟღერდეს. თუმცა აქვე ერთი ლიტერატურული ტექსტი მინდა გავიხსენო. ორთვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „ეპოქა“¹, ტფილისი, 1925 წლის მაისი, გამოცემა: ს.ს.რ. პროლეტკულტი ბეჭდავს ინდო ინასარის პიესას „ადამიანი ყველგან“. ერთი ფრაგმენტი:

„მარიამი — ლენინი! მაგიური სახელია. მისი გახსენება ნიადაგ ცისკარს მაგონებს...“

თიქო — დიადი შედარება! მიტომ იტყვიან — ქალი ქვეყანას გულით ხედავს... ლენინი განახლების ცისკარია, მარიამ!“

იმხანად, ყურადღებისა და აღწერის საგანი გახდა პროლეტარიატის ბელადის ბავშვობა, ყრმობა, საქმიანობა... და ეს არა მხოლოდ პროლეტმწერლებთან. პეტროგრადი, მოსკოვი, სმოლნი, კრემლი — მხატვრულ სიმბოლოებადაც კი ჩამოყალიბდა. გამომუშავდა გარკვეული სახობო სტერეოტიპიც. თუმცა იშვიათად, განსხვავებული სტრიქონებიც გამოერეოდა, მაგალითად, ამგვარი: **„ლენინი ღამეს დღით აქცევს, დღეს კიდევ ღამით.“**

ქართულ ენაში გამოთქმა: დღე დაგბნელდესო (ან იგივე: მზე დაგბნელდესო, მზე — დღე გასაქრობო) წყევლის ტოლფასია. აქ კი ლენინი ის პიროვნებაა, რომელიც გათენებულ დღეს ღამედ აქცევს, აბნელებს. ეს სტრიქონიც ინდო ინასარის დაწერილია, იმავე პიესაში. უნებლიეთ?! ეგებ, არა. მართლაც, სრულიად სხვა აზრი. პიესა სცენისთვის ინერება, მას ერთდროულად უამრავი მაყურებელი უსმენს და უყურებს... ამ ჟანრის ნაწარმოების დასასრულს კი ერთი სიტყვა იუნყება: ფარდა. ეს პიესა მთავრდება: შირმა.

ინდო ინასარი ზედმეტად არ ჩათვლის, ორი განსხვავებული ემოცია გამოყოს; ერთი საზოგადოებრივია, როცა „ყველა კომუნისტს გამარჯვებას ულოცამდა ისეთი ზეიმით“, და მეორეც — გამორიცხულია, რაღაც ადამიანურმა, ცოტა ხნით მაინც, არ შეაკრთოს თუნდაც ასეთი ყაიდის ადამიანი: „გუზადსაც რაღაც მოსწყდა, ეგონა რევოლვერი უვარდებოდა და იარაღს ხელი მოუჭირა.“

აქ ფსიქოლოგიურ ტრავმასთან გვაქვს საქმე; ის ნაწარმოების ბოლოს მიიღებს სახეს.

ხელისუფლება იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის — ეს ლოზუნგია, გავრცელებული ლოზუნგი. რეალურად, „კეთილდღეობის“ და ხშირად „ხალხის“ გარეშე. როგორ ეპყრობა სახელმწიფო თავის მოქალაქეებს. საჯაროა სივრცე, სადაც ხდება ძირითადი სათქმელის გაშლა. ხოლო კონკრეტული არეალი, მით უფრო ჩაკეტილი სივრცე — საკანი ცხადს ხდის ჩანაფიქრს. არ მახსოვს ვინ და ემიგრაციაში ვიღაც ამ რომანზე წერდა: **„მეორე ჩაკლული სული.“** ალბათ, საბჭოთა სინამდვილის აღწერის მცდელობას გულისხმობდა. გრიგოლ რობაქიძის რომანში „ჩაკლული სული“ ძირითადი მოქმედება გეპეუ-ს ჯურღმულეებში ხდება... აქაც ჩეკას უფროსი გუზადთან საუბრისას ამბობს:

„ჩვენ მიერ დაპატიმრებულს, დასჯილს, დახვრეტილს, სამართლიანად დანაშაული ჩადენილი არც უნდა ჰქონდეს.“

რომანის მთავარი გმირი, ოტარიდი, დასაკითხად ჯურღმულეში ჩაჰყავთ, აწამებენ, მერე გადაასახლებენ, „წითელ კატორღას“ მიუსჯიან.

მივყვით თანამიმდევრობით.

„ხელ-გაკოჭილი ოტარიდი ხელის კვრით შეაგდეს ჩეკის ბნელ სარდაფში... ნაბორძიკებულმა წონასწორობა დაპკარგა, დაეცა, გაიტეხა ცხვირ-პირი და თვალთ-დაბნელე-ბული სისხლში ითხვრებოდა.“

დაკითხვა ისეთივეა, როგორც რეალობაში: ჯერ დაყვავებით, შინაურულად, სიგარეტის შეთავაზებით რომ იწყება, მცდუნებელი დაპირებებით, რომ ყველაფერს გაუგებენ და მომხდარს გაუგებრობად ჩაუთვლიან. ცოტა ხნის შემდეგ უკვე სხვა ტონი, ცრუმონგები, შეთხზული ფაქტები და სავალდებულო, ყველა გამოძიებელს რომ „ელანდება“: თანამოაზრეების დასახელება... ამის მერე წამება დაიწყება. ეს გამოცდილებით მიღებული სტანდარტია. ყველასთვის ცნობილი. რომანში სიზუსტე დაცულია, აქაც იგივე სქემა განვითარდება.

ოტარიდი ვერ გამოტყვეს, ამიტომ ჩეკისტები წამებაზე გადავიდნენ. „დაზგის წინ ჯერ თვითონ დაამაგრეს, მერე ხელები საგანგებო რეჟიმის მუხრუჭებს დააჭერინეს და დაუნყეს ფრჩხილების ნუნებში ნემსების გაყრა...“

შემდეგ: „ჩაჭედეს მანქანაში და თავის ქალაზე რეჟიმის მუხრუჭები მოუჭირეს. თავის ქალის ლანა-ლუნი უუმწვავეს ტკივილებს იწვევს...“

სასურველ აღიარებას მაინც რომ ვერ მიაღწიეს: „ამიტომ ჯურღმულის შუაზე ახალი წამების მანქანა გამოაგორეს, რომლის არსებობა ჩეკის სარდაფების მეტმა არვინ არ იცის.. გარეგნულად ტანკსა ჰგავს.. ადამიანის სიმაგრის დასანგრევად მრავალი მანქანა ერთად მოქმედობს და შეხვედრითი ტკივილებს იწვევს, ყველაზე უმწვავეს, რაც კი შესაძლებელია იყოს.. აქნობამდის თუ ძარღვებს თავის ქალიდან იწვედენ, ახლა იგივე ძარღვები უნდა გაენიათ ყოველ მხრიდან, ყველა ადგილიდან ადამიანის სხეულის...“

ნიკოლოზ ინასარიძემ გადარწმუნებულა, ჩეკას მთელი საბინელოებანი აღენერა; საბჭოთა სივრცეში ვერავინ დახატავდა ჩეკას ჯურღმულებს. ეს სრულიად გასაგებია, რომც დანერვილიყო, არ დაიბეჭდებოდა, ავტორსაც არაერთი უსიამოვნება შეხვდებოდა. ამდენად, მცდელობა, ეს სივრცე დაუხატო მკითხველს, თავისთავად უკვე კარგია. საზოგადოებას გააგებინო, რა ფასად უჯდებოდათ ადამიანებს ოდნავი წინააღმდეგობის განევაკ კი. მაგრამ არის ერთი „მაგრამ“. როცა პერსონაჟს არ ტკივა, ამ ყველაფერს ისე უძლებს, რომ ამგვარი წამებისას ფიქრის უნარი შერჩენია, შემდეგ კი ფილოსოფიური საუბრების გამბის ძალაც აქვს. ვფიქრობ, ეს ტექსტს „აფუჭებს“ და პერსონაჟსაც არაბუნებრივად ადამიანად წარმოაჩენს. იდეალური მამულიშვილის დახატვის სურვილმა სიყალბის იერი დაიკრა.

რომანში ერთი საინტერესო დეტალია — უცხოელი სამართალდამცავების ჩვენება, ეს ახალია და მნიშვნელოვანიც. „საბჭოთა წესრიგის“ სანახავად საზღვარგარეთიდან „მუშათა დელეგაცია“ პერიოდულად ჩამოდიოდა. ჩეკას სარდაფებშიაც შეჰყავდათ. საკნებში თითო-თითო მომღიმარ პატიმარს ახვედრებდნენ. ამ ე. წ. „სიმართლის მძებნელებს“ ბიამ (მთავარი პერსონაჟის დატუსაღებულმა დედამ) ანიშნა, მაგრამ დელეგატმა თვალის აარიდა, მეტიც, გამოსვლა იჩქარა. ქალი გაიფიქრებს:

„მე დავანახე ის, რისთვისაც ჩამოსულიყვენ.. ხელიცა ვკარი.. მათი ვალი იყო, მოსულიყვენ, ხელი მოეკიდათ, წამოვეყენებინე.. მათ ეს ვერ გაბედეს.. სიმართლეს ხელი არ გაუნოდეს, თვალი აარიდეს.“

ნუ დავევიწყებოდა, რომ ამ წიგნს ავტორი უცხოეთში გამოსცემს, ბევრის გასაგონად ამბობს; პირდაპირია და უკომ-

პრომისო, მაგრამ, როცა ივარაუდებს, რომ არ იქნებოდა გამო-რიცხული საბჭოელებს ჩამოსულებისთვის რაიმე ფათერაკი მოეწყობო, ოღონდ „სიმართლე საზღვარ-გარედ არ გასულიყო“, არც უამისობაა, რადგან ასეთი შემთხვევებიც მომხდარა. ეს მან კარგად იცის. მთავარი ისაა, რასაც მწერალი მაინც იტყვის:

„მოყვრად ჩამოსული თვითონაც ცდილობდა ნაკლებად დაენახა ის, რის ჩვენებაც კომუნისტებს არ უნდოდათ და ასეთ შემთხვევებში კი ორივე თვალს ხურამდა, ზედაც ხელს იფარამდა თვალის მოფშენების, ან მოწმენდის მომიზეზებით.“

როგორც ასეთ შემთხვევებზე იტყვიან: ხელი ხელს ჰბანს და ორივე, ამ შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის პირს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რასაც ქართველი მწერალი ივარაუდებს, რომ ევროპა 30-იან წლებში ამხელა სახელმწიფოს არ დაუპირისპირდებოდა. ამადაც ამკვეთრებს ფერებს, გააგებინოს მკითხველს, რეალურად რა ხდება მის სამშობლოში, ახლა „საბჭოთა საქართველო“ რომ ჰქვია.

კატორღელი სათვალავში დააკლდათ. ადგილობრივი, თავისუფალი, ოჯახის მარჩენალი გლეხი გააჩერეს, საბუთები დაუწვეს და რიგში ჩააყენეს, თავშიც ჩაარტყეს და უთხრეს:

„— ჩვენ ერთი კაცი გვაკლია... ო, რა უგუნურია ეს ბრიყვი!“

ნითელი კატორღა, სისასტიკე, უდანაშაულო ადამიანთა მასები... „ტრიალ მინდორზე ახალი ნიადაგი უნდა გაეტეხათ ხელახლად... ოფლიანი, შიშველი ხალხი სველ ძონძებში გატიტვლებულ ხეებისავით შერჩა მძინვარე ქარიშხალს.“ ბანაკის უფროსმა მოიფიქრა, სამი კატორღელი თვალსაჩინოდ დაესაჯა: ღია ზღვაში ჩაეყენებინა პატიმრები — **სამი ბოძი, სამი პატიმარი და სამი ისტორია.**

თანამიმედვერობით გავისხენოთ.

„მასთან (ოტარიდთან —რ.წ.) კიდევ ორი სხვა მიიყვანეს და ერთ-ერთ ადგილ სამკუთხედად ამართულ ბოძებში ერთად ჩააყენეს.“

ერთი, როგორც ვთქვი, ოტარიდია, მეორეს გულზე ჯვარი ჰკიდია, ცალ მხარეს უღვაში გაუკრიჭავთ, დამცი-რების ეს ფორმა მოუძებნიათ ყოფილი მღვდლისათვის და მესამე — საშუალო ხნის „დებეზლებული“ მამა.

„ — დამლოცე მამაო, — წესს იცავს ოტარიდი. „იყოს ლოცვა უფლის“.

ბოლო ხანს გაუსაძლისი გახდა **სასულიერო პირის** ყოფა: კომკავშირლები ავიწროებდნენ, ეკლესიაში უცვივებდნენ, წვერით ათრევდნენ, ცემდნენ, გარეთ გამოსულს დასცინოდნენ, ქვებს ესროდნენ; ის კი მათზე ლოცულობდა, მათ სიმშვიდეს სთხოვდა უფალს. ესენი მაინც ეჭვობდნენ: „ხმამალლა ღმერთზე ლოცულობთ, გულში კომუნისტებს სწყევლითო.“ მღვდელი ერთი დადგენილების მიღების შემსრე გახდა. უნებლიე მოწმეს ჯაშუშობა დაბრალდა, ეს საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის; კომკავშირლებმა მეგობრების წასახალისებლად დაადგინეს: „მოწმებულ იქნეს უღმერთოთა მუშაობა.. გამოეცხადოთ მადლობა.“

მწერლობა ამ ეპიზოდების მოყოლით ფაქტებს გააცნობს მკითხველებს და ქვეყანას ისტორიას შემოუნახავს.

აქვე გავისხენოთ ერთი საინტერესო ფაქტი: „ლიტერატურული გაზეთი“ (8 (100) 1935 წლის თებერვალში მწერლებს ერთ ინფორმაციას აწვდიდა: „გაზეთ „მებრძოლ ათეისტის“ უკანასკნელ ნომერში მოთავს. [უბუღია] საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ცენტრალური საბჭოს ღია წერილი საქართველოს საბჭოთა მწერლების მიმართ.“ ამ წერილში

ულმერთობები სიტყვას, მხატვრულ სიტყვას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში და მწერლებს ანტირელიგიური პიესების, მოთხრობების დაწერისაკენ მოუწოდებენ... **დროის გადასახედიდანაც კი რთული წარმოსადგენია, რას ნიშნავდა საქართველოში კალმის აღება ხელში... ან უბრალოდ, მშვიდი ცხოვრება.**

მწერალი არაერთ რთულ სიტუაციაში ჩააყენებს თავის პერსონაჟს. ბია უამრავ განსაცდელს გაივლის: დატუსაღებული ვაჟის სანახავად ქალაქში ქალიშვილთან ერთად ჩამოსული აღმოაჩენს, რომ მისთვის სახლი ჩამოურთმევიათ, მერე ჩეკა დააპატიმრებს კიდევ და არაერთი ფათერაკი ელოდება... მაგრამ მას ყოველთვის რწმენა და ღირსების შეგნება ახლავს.

„კაცთან როცა გზა აღარ მიდის, ღმერთთან უნდა წახვიდეო,“ — ამბობს ბია. ქუჩაში დარჩენილები ეკლესიას, სიონის დედა-ეკლესიას შეაფარებენ თავს. გალავანს მიახლოებულებს ღიღინი შემოესმებათ: **„გალავანს აღარ გვიანო მიდი, არ დაიგვიანო.“**

ავტორი გაამძაფრებს ემოციას: „ზარებსაც ჩამოხსნიანო დამხობილთ უთხარ ფრთხილადო“.

უსიამოვნება იქაც გავრცელდა. ეს ბუნებრივიცაა, ამ ქვეყანაში აკი არ მოიძებნება უხიფათო ადგილი. ვიღაცეები ეკლესიის შორიახლო დარბოზდნენ, იცინოდნენ, უწმინწურადაც ლაპარაკობდნენ. მათი ნასროლი ქვები საყდარს ხვდებოდა.

„აბა რას იფიქრებდით, — ისევ ჩაერთვება მწერალი, რომ ყველა ესენი „ულმერთოთა კავშირის“ წევრები იქნებოდნენ და მლოცველებს ღამის უსიამოვნო მწერებისავით განზრახ აწვავდნენ.“

ცხადია, მებრძოლ ულმერთოთა კავშირი არა მხოლოდ მიმართვებს წერდა, არამედ „მოქმედებდა“ კიდევც.

ცნობილი ე.წ. **„დაბეზლებები“** ჩვეულებრივი ამბავი არც ქართული ლიტერატურისთვის გამხდარა და არც რეალობაში. ეს ბუნებრივიცაა, ამ ტრადიციებისა და ფასეულობების ქვეყანაში პავლიკ მოროზოვის საქციელი **სანიმუშო ვერ გახდებოდა**, თუმცა, რასაკვირველია, იყო გამონაკლისებიც. ამ ერთეულ შემთხვევებს განაზოგადებს ინდო ინსარნი და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მკითხველს წააკითხებს. ჩეკას სარდაფში ოტარიდს ერთი მოხუცი დახვდა. „სახე გამოუჩნდა მოხუცებულ ადამიანს დასერილი, ტკივილებისაგან დამანჭული... ცრემლები და სისხლი მტვერში ერთად ასვრილი ტალახისავით შეხმობოდა აქა-იქ.“ მწერალმა არა მხოლოდ განსხვავებული ამბავი უნდა უამბოს მკითხველს, არამედ კომუნისტების **„სხვა“ ცოდვაზეც** ესაუბროს. ეს ამ მოხუცი კაცის ამბავია. ღარიბი ოჯახის ქალიშვილს კომკავშირლები შეუჩნდნენ, ნელ-ნელა აწვეთებდნენ სიძულვილს, კეთილშობილების და დახმარების ნიღბით ტანისამოსს აძლევდნენ, კრების შემდეგ სასმელსაჭმელსაც უწაინებდნენ. განსაკუთრებით სასმელს, მერე ხელიც შეაჩვიეს და... უსიამოვნებები დაიწყო, გოგომ ახალ მეგობრებთან დააბეზლა ოჯახის წევრები. მშობლებმა შვილი რომ დატუსაღეს, კომკავშირი გამოესარჩლა: შენიშვნები აუკრძალეს და შინ ასე გამოისტუმრეს: „შვილი შენი კი არა, სახელმწიფოსია“. ამბავი ასე არ დამთავრებულა. ავტორს კულმინაცია სჭირდება და აი, ისიც. ერთ დღეს ძმამ (ომიდან დაბრუნებულმა ინვალიდმა) თვალთვალი ღამ-ღამობით ნაგვიანედა დაბრუნებულ დას რომ დაუნყო, მთვრალ კომკავშირლებთან შეასწრო თვალი. ერთი ამბავი ატეხა. იმათ მილიციაში წაათრის და „მონმედაც“ დაუდგნენ დის ნათქვამს: ვითომ ძმა დაზე ძალა-

დობდა. ძმამ დისგან დაბრალებული სამარცხვინო ამბავი ითაკილა, სახლში აღარ მობრუნებულა — კლდიდან გადავარდა. ანკი ვისთან ემართლა თავი, ვინ დაედანაშაულებინა?! ახალი ამბისაგან დედას ელდა ეცა, მოხუცი ძმა ჩეკამ წაიყვანა; ისე განუტევა სული, სახელის თქმაც ვერ მოასწრო.

თუ „აქეთ“ დაწერილ ნაწარმოებებში შვილების მიერ მამების დაბეზლება ან დაგმობა გმირობად ითვლებოდა, „იქით“ ამაზე გამწარებული წერდნენ, თუ რას აკეთებდა ხელისუფლება მომავალი თაობის გადასავარებლად. ვინ ხდებოდა ახალგაზრდობის „მაგალითი“? „იქით“ ეგებ ცოტა აჭარბებდნენ კიდევ, მაგრამ ამით სათქმელს ამძაფრებდნენ. რომანში კიდევ ერთი მსგავსი ამბავია, რომელსაც სიკვდილისჯილი კატორღელი, სამი შვილის მამა ჰყვება: როგორ აბეზლებდა მისი პიონერი შვილი საკუთარ და-ძმას და მშობლებს. პიონერთა რიგებში ყოფნის აკრძალვა მთელ ოჯახს განადგურების ფასად დაუჯდა. მამა და უფროსი ძმა გადასახლეს. კატორღაში ქარიშხალში მოხვედრილები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: მამამ ჯერ საკუთარი ძონძები ჩააცვა გათოშილ შვილს, შემდეგ ცრემლებით ათბობდა მის გაყინულ სხეულს. ისინი უკრაინიდან იყვნენ, ანუ რომანში მასშტაბები ფართოვდება; ეს უკვე მთელ საბჭოთა სივრცეში დატრიალებული უბედურების ჩვენებაა და არა მხოლოდ საქართველოში. პერსონაჟი მასწავლებელი იყო, მაგრამ სხვისი შვილებისთვის რა უნდა ესწავლებინა, საკუთართან ვერაფერი გააწყო.

როგორც ვთქვი, სამი ბოძი, სამი პატიმარი და სამი ისტორია: ოტარიდი, მღვდელი და მასწავლებელი. პერსპექტივა ასე გაიშლება: მთავარი პერსონაჟი, ოტარიდი გადარჩება, ის ორი დაიღუპება.

ლიტერატურული რემინისცენციით გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი ბავშვობა და ყრმობა“ გამახსენდა. კარი მეორე — ბავშვობა, თავი „სახრჩობელა“, მაგრამ ამ ტექსტში მხოლოდ ორი დამნაშავეა:

**ორივეა მთების შვილი,
ორი ქვრივი დედაბერის...
ერთი მოდის პირღმობილით
და მეორე მკრთალი ფერთ.**

ორი ყაჩაღი უნდა ჩამოახრჩონ. არადა, მოედანზე სამი ბოძია აღმართული.

**სასიკვდილო მოედანზე,
სამი ბოძი დარჭობილა...
წუთით გადავ ხალხი განზე,
რა შეხედა სახრჩობელას!**

რასაკვირველია, ზოგადად ეს თემა საკმაოდ რთულია და საგულისხმო (ფრთხილიც). გარკვეულწილად სახარებისეული კონტექსტი უნდა ვიკულისხმოდ: ორი ავაზაკი და ჯვარცმული იესო ქრისტე. დიდ ქართველ პოეტს საკუთარი სათქმელი აქვს; არადა, პოემაში ერთი ბოძი ცარიელია (სახრჩობელაზე „აქანავდა ორი გვამი“). რამდენიმეგზის რაოდენობის განმეორება, თვით ყველაზე უყურადღებო მკითხველსაც კი დააფიქრებს. აქ, ვფიქრობ, გასათვალისწინებელია, სათქმელის პერსპექტივა; ყურადღებამისაქცევია, ვის ეძღვნება ნაწარმოები... ბევრი რამ. რაც შეეხება ინდო ინსარის რომანს, როგორც ვთქვი, სამი ბოძია და სამი სიკვდილის-

ჯილი. ერთი გადარჩება და ტანჯვაგამოვლილი სოფელში ქადაგებს კიდევ. ათასგვარ ნამებას, კატორლას გამოატარებს მწერალი, მაგრამ მაინც „დააბრუნებს“ სამშობლოში.

დასასრულ, ფინალი. ასეთი ფაბულისათვის ცოტა უჩვეულო, მაგრამ ინდო ინასარი იმედს ვერ ელევა. მართალია, იმუამად სრულიად ილუზიურს, მაგრამ მკითხველს უნდა უთხრას, რომ ყველაფერი ასე ვერ დამთავრდება; უფრო ზუსტად, არ შეიძლება უსამართლობა არ დასრულდეს. ამადაცაა, რომ ოტარიდი კატორლიდან გაქცევას მოახერხებს (წინააღმდეგობების და ფათერაკების ფასად).

ნაწარმოების დასასრულ, ყველა ის ადამიანი, რომელიც გახიზნულიყო, ახლა ერთად შეკრებილა, გაერთიანებულა. ოტარიდი ქადაგებს:

„ადამიანის სხეული მდგომარეობის შეცვლით ისვენებს.. ამიტომ არის, რომ წოლითაც იღლება, ადგომა უნდა, გავლა, გასიერება.. რო დადის დაჯდომა უნდა, რო ზის — დანოლა და ასე ადამიანი მხოლოდ თავის მოსვენებისათვის სცვლის თავისვე მდგომარეობას..

რა არის აქ მთავარი?

ის, რომ ადამიანის მდგომარეობაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ იმაზე, რომ მას საშუალება ჰქონდეს მდგომარეობის ცვლის ანუ დასვენების..

და ეს იქნება მაშინ, თუ რომ ის თავისუფალი იქნება.”

ყველა აქაა — დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც, ტბატანა, ბია, თავისი განუყრელი ჯოხით, შეიარაღებული გიგაც, და კიდევ ერთი დეტალი, რომელიც სოფელელსაც შეაშფოთებს და მკითხველსაც; ტყის პირას ვილაც გამხდარ, გაბურძგვილილ შეშლილს დაიჭერენ, რომელიც მოთქვამს და დედას დაეძებს... „დედა მითხარით... ჩემი დედა სად არის, დედა, დედა...“ ეს ის გუბადია, პარტიამ და ხელი-სუფლებამ ორდენებით რომ დააჯილდოვა: „ნამგალ-ჩაქუჩი“, „წითელი ვარსკვლავი“, „წითელი მახვილი“, „შრომის გმირი“ და ა.შ.; ხელით რომ ატარა მატარებლიდან გამოსული, ინტერნაციონალის მუსიკის ფონზე; აი, ამ გუბადმა აღმოაჩინა ერთ დღეს, რომ ტყუილად „იშრომა“:

„იგრძნო, რო სიხარულის წყაროდ მშობლები, ცოლ-შვილი, ნათესაობა ყოფილიყო ქვეყანაზე...

რო ფრენა და თავისუფალი სუნთქვა მათი მეოხებით არსებულა..

მათით, მათთან ერთად იბადებოდა თურმე სიხარული და მათთან ერთადვე კვდებოდა...”

...როცა ძალიან გაუჭირდა, დედა გაახსენდა!.. ქვეყანაზე ვის უხაროდა ყველაზე მეტად გუბადის დანახვა? ზოგადად, ეგებ, ბევრს, მაგრამ ერთს განსაკუთრებით — დედას! დედა მოენატრა...

პარიზში გამოშვებული საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანომ, ჟურნალმა „დამოუკიდებელი საქართველო“ №129 1936 წ. რუბრიკაში „ბიბლიოგრაფია“ დაბეჭდა გ. ე. [გიორგი ჟურულის] წერილი სათაურით: „ინდო ინასარი, „ჩრდილი ერთი სინამდვილისა“. ავტორი მკითხველს საზოგადოებას საფრანგეთში იმუამად ქართული წიგნის გამოსვლას ამცნობს. გარდა იმისა, რომ გამოცემა სასიამოვნო ფაქტია, ის თვლის, რომ წიგნის ნაკითხვა „გამოიწვევს აზრთა გაცვლა-გამოცვლის საჭიროებას, რადგან იგი წინ გვიყენებს მრავალ კითხვებს“. წერილის ავტორი მიიჩნევდა, რომ ეს „კარგი წიგნია“, რადგანაც ბევრი ადამიანის დაფიქრება შეეძლო. მისი აზრით, მშვენიერი ქართული ენით გამოცემული ამბავი წიგნს ღირსებას სძენდა.

„სიუჟეტი ბ-ნ ინასარიძის რომანისა გვისურათებს იმ ტრაგიკულ მოვლენებს, თავი რომ იჩინა ჩვენს ხალხში რუსეთის დიდი რევოლუციის თანა მოყოლილ ამბების შემდეგ. მხატვრულად აწერილია ჩვენი ერის ბოლშევიკების მიერ მორალური თუ ეკონომიური დანოკება-აკლება,” — წერს გიორგი ჟურული.

ქართველი მწერლის პარიზში დაწერილი რომანი საბჭოთა სინამდვილის არაერთ რეალურ ფაქტს ინახავს.

უჩვეულო რამ მოხდა — ნიკოლოზ ინასარიძემ გადასატანი აღწერა. ბევრი შეეჭვებოდა: ასეთი სისასტიკე მართალია თუ ზედმეტად გაზვიადებული. სიცოცხლით დაამტკიცა — მართალია!

ჩვენი ზოსტა

რედაქციისთვის წერილი არასოდეს მიმიწერია, ამიტომ არც კი ვიცი, რით დავიწყო.

მოდით, პირდაპირ იმას მოგწეროთ, რასაც ვგრძნობ.

ეს დღეები წვიმიანი დაგვიდგა რუსთავში.

თქვენი არ ვიცი, მე კი ნვიმა იმიტომ მიყვარს, რომ საკითხავს ჩაეუფლები ხოლმე.

ჩემი ნება რომ იყოს, სიამოვნებით განვმარტოვებოდი კარცერ-ლუქსში უამრავ წიგნთან ერთად, თუმცა... ახლა ეს შორს ნაგვიყვანს, მე კი გვანცა ჯობავს ლექსების გამო გეხმანებით.

დღეს ბევრი წერს ლექსს და, სიმათლე ვითხრათ, ბევრი ვერაფერი გაუფე თანამედროვე პოეზიას. პროფესიით ეკონომისტი ლიტერატურულ ჟურნალს რომ სწერ, ასეთი კომენტარებისათვის თავი უნდა შეიკავო ალბათ, მაგრამ ეს შეფასება ხომ არ არის, უბრალოდ ჩემს აზრს გიზიარებთ. ამ ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებას რომ ვკითხულობ, რაღაც უცნაურ ლაბირინთებში ვიხლართები ხოლმე, არადა ლექსი ჩემთვის უპირველესად განცდაა, ფიქრია, განწყობილება. გვანცა ჯობავს ლექსები სწორედ ამითაა მთამბეჭდავი. აქ ისეთი პოეტური ხილვებია, ისეა გამოთბარი ყოველი სიტყვა ფიქრითა და გრძობით... ის თითქოს საკუთარი სულის კარსაც ჭრიალით გვიღებს და „სხვისთვის გამომდნარი ცხელი

ლოცვებით“ გამოთბარ ჭერქვეშ გვახედებს, თავისი სულის ტკივილებსა და სიხარულებს გვიზიარებს, ოღონდ... როცა ვკითხულობ, თითქოს ჩემიცაა იუდას ცოდვით დამძიმებული ადამიანად ყოფნის ტკივილიც, ღვთის წინაშე ბოლომდე გადახსნის სურვილიც... თითქოს მეც იქ ვიდექი კრეტსაბმელის გაყოფის ჟამს და აღარ მახსოვს, შევინანე თუ არა ოდესმე ჩემი იქ ყოფნა... და მას მერე თუ რამ მიმსუბუქებს ჩემი წილი ცოდვით დამძიმებულ ყოფას — ის, რომ არც მე მყავს ჯვარცმულ იესოზე მაღალი ღმერთი.

გვანცასთან ერთად მეც მწამს, რომ ერთმანეთისთვის შეიძლება ვიყოთ გათენებაცა და დაღამებაც, სიცოცხლეცა და სიკვდილიც... და რომ ამოდენა ქვეყნიერებაზე სადღაც არის შენი ნაწილი, რომელსაც შეუძლია შენი ნაკითხვა...

შენი განკითხვაც...

შენი სიყვარულიც...

ვკითხულობ ამ ლექსებს და მჯერა, „რომ სიცოცხლეს ჩვენ არ მოვცდებით“... აი, იმის კი ბოლომდე არ მჯერა, სწორად მოვიქეცი თუ არა, რომ გწერთ...

კადნიერებად ნუ ჩამითვლით;

წურტ რაიმე შეფასების მცდელობად...

უბრალოდ, ეს დღეებია რუსთავში წვიმს...

მართა ჩაპარაული

გვანცა კანდელაკი

„არც არაფერი მახარებს, არც არაფერი მწყინს“

- თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?
- ზღვარი, რომლის შემდეგაც უიმედობაა...
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- საქართველოში. ახალ ათონში, ზღვის სანაპიროზე.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- ალბათ როცა ადამიანის სიცოცხლეს გადაარჩენ.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- პატარა უფლისწული. ლელთ ღუნია.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ბევრი ისეთი ადამიანია ჩვენს ისტორიაში, რომელიც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს, მაგრამ ამჟამად ილია ჭავჭავაძეს გამოვარჩევ.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მონე, კლიმტი, ვან გოგი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- შოპენი ყველაზე მეტად მიყვარს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?
- სამართლიანობას, ერთგულებას, სიკეთეს.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ასევე სამართლიანობას, ერთგულებასა და სიკეთეს.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?
- მაღლიერება.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- ძალიან მიყვარს ქსოვა და ქარგვა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?
- არ ვიცი. არასდროს მდომებია რომელიმე ადამიანს დავმსგავსებოდი.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- ვცდილობ ყოველთვის ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- გულწრფელობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- სიფიცხე, პირდაპირობა.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- ბედნიერება წამიერი რამაა.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- უსუსურობის შეგრძნება, როცა გინდა რამით დაეხმარო და ხვდები, რომ ეს შენს ძალებს აღემატება.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- მეტად დამთმობი.
- თქვენი საყვარელი ფერი?

- თეთრი, შავი, ნითელი და სპილოს ძვლისფერი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ყველა ყვავილი მიყვარს, გააჩნია რა გუნებაზე ვარ. ბოლო რამდენიმე წელიწადია, იასამანი შემიყვარდა ყველაზე მეტად.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- გამორჩეულად არცერთი.
- თქვენი საყვარელი მწერალი?
- კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, ოსკარ უაილდი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- მორის ფოცხიშვილი, ოთარ ჭილაძე, ტარიელ ხარხელაური, ვალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- „ვეფხისტყაოსნიდან“ — თინათინი და ასმათი.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- კონკრეტულად ვერავის ვიტყვი. ისე ყველას დიდ პატივს ვცემ, ვინც ქვეყნისთვის თავი განირა.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- ქეთევან წამებუღი და თამარ მეფე.
- საყვარელი სახელები?
- ლილე, სალომე, ანასტასია, ლუკა, მათე, ნიკოლოზი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- უსამართლობას, სიკეთეს და მორალს ამოფარებულ თვალთმაქცობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზილი დაიმსახურა?
- კონკრეტულად ვერავის დავასახელებ.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?
- იუნკრების ბრძოლა კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- კონკრეტულად ვერცერთს ვერ დავასახელებ.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ყოველთვის მინდოდა მქონოდა ხატვის ნიჭი.
- როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?
- ცხოვრებისგან დაღლილი, ღრმად მოხუცებული, გაზაფხულის წვიმიან საღამოს.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- ტარიელ ხარხელაურისა არ იყოს: „არც არაფერი მახარებს, არც არაფერი მწყინს“.
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?
- როცა ადამიანს შეცდომის აღიარება შეუძლია.
- თქვენი დევიზი?
- არაფერია შემთხვევითი. ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მერე რაღაც უფრო უკეთესი მოხდეს.
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- „მე არასდროს დაგტოვებ!“.



ნინო ნიკლაური

სამი ნოველა

პარსკვლავის სიკვდილი

სამ სურათზე ფლამინგოს ცეკვავენდენ, ორზე წელწერილი მატადორები იჭიმებოდნენ. მათ შორის პარიკები, მარაოები და საკარნავალო ნიღბები ეკიდა.

სილამაზის სალონს „კარმენი ერქვა, იქ მომუშავე ორივე ხელოსანს ვიკა.

პატარა მაგიდის კუთხეში სხვადასხვა ფერის ლაქები მიეწყობოდა. ნაცრისფერი ლამპის ქვეშ, თეთრ ტილოზე ფრჩხილის დასამუშავებელი იარაღები ელაგა. იქვე ქალი იჯდა. გაქაჩლებული თმა ხავერდის თავსაბურში შეემალა. ჩამქრალი თვალები შავი ფანქრით შემოეხაზა. პროტეზი პომადით გათხაპნოდა. პომადით იყო შეღებილი, ჩაღებულ თითებში გაჩრილი წვრილი სიგარეტის ბოლო და ყავის ჭიქის პირიც.

ის უცებ ადგა, ვინრო დერეფანში შევიდა და საპირფარეოში გაუჩინარდა.

— **Ой мамочки!** — წამოიძახა წითელთმიანმა, ბრტყელბეჭიანმა ვიკამ, — აღარ შემიძლია!

— რა მოხდა? — პატარა ბარიდან გამოიხედა შავთმიანმა, დაბალმა, მაგრამ ქუსლებით უზომოდ ამალღებულმა ვიკამ.

— ისევ შევიდა!

— ვინ?

— პრიმადონა!

— ა ა ა ა!

— რატომ ნერვიულობ? — საღებავდადებული და ცელოფნით შეფუთული თავი ასწია ახალგაზრდა ქალმა და ლამაზმანებით სავესე ჟურნალი გადადო.

— ნუხელ, იცი, რომელ სათზე წავედი აქედან? მთელი ტვალეტი დავქლორე. ნახე, „იუბკაც ამოვინვი, — მუხლებს აცილებულ ბოლოზე რალაც ადგილი უჩვენა წითელთმიანმა.

საღებავნასმულმა არაფერი თქვა.

— შენ თუ მოვინდა, პრობლემა არ არის. კლიენტს რომ დასჭირდეს, აბა სად უნდა წავიდეს?! ეს კი სპეციალურად ჩამოდის!

— ახლოს ცხოვრობს?

— ჩვენს თავზე, მეორეზე.

— სულ მარტოა, არა?

— რალა მარტოა?! ყოველ დღე აქ ზის. ჩვენთან ერთობა... თან სკლეროზი აქვს. ჯანდაბას, ქნას, მარა ჩარეცხოს მაინც! შევიდვარ და მხვდება!.. — სახე საზარლად დამანჭა წითელთმიანმა.

მოხუცი კი უნიტაზზე გარინდულიყო. მარმარილოს კიბეზე დაგებული წითელი ხალიჩა. ვერცხლისფერი ფეხსაცმელი და ელვარე, ტანსმომდგარი კაბა. ყელმოღერებული ლამაზი ქალი კიბეზე ადის. აღტაცებული მაცურების ტაში და შეძახილები. ინთებიან და ქვრებიან ფოტოპარატები...

— ჩარეცხვა არ დაგავინყდეს! — გამოაფხიზლა წითელთმიანის ყვირილმა.

— ხო, ჩავრეცხავ! — ჩაილაპარაკა უკმაყოფილომ.

ახალი ღერის ბოლოც პომადით შეიღება.

შავთმიანმა ვიკამ ქაფქაფა ყავა გამოიტანა.

— თქვენ ჩემი უსაყვარლესი მსახიობი ხართ! ულამაზესი იყავით! — ისროლა უცებ საღებავნასმულმა.

ვიკებმა ერთმანეთს გადახედეს.

— მგონი ცუდად არის! — ფეხზე წამოხტა საღებავიანი. მოხუცს სიგარეტი გავარდნოდა.

— სასწრაფოს გამოუძახეთ!..

— ეხლა კარგად იქნებით, ყველაფერი გაგიკეთეთ! — დაამშვიდა ექიმმა გონსმოსული, — სიგარეტს უნდა მოერიდოთ!

— სახლში აგაცილებ! — შესთავაზა წითელთმიანმა.

— ხო, ხო, ეხლავე! — ნელ-ნელა წამოდგა და საპირფარეოში შევიდა მოხუცი.

— **Ой мамочки!** ისევ შევიდა!



ბელურა

ვიღაცამ ბელურა შეარქვა და წამდვილი სახელი აღარავის გახსენებია.

დაბალი, სიფრიფანა სხეული, გამხდარი სახე და წამდვილი ბელურას თვალები ჰქონდა.

აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობდა. ყოველი ხელფასის შემდეგ დატვირთული ჩადიოდა სოფელში დედასთან და იქვე, ღარიბ ოჯახში გათხოვილ დასთან. სექტემბრისთვის რვეულებით და ტანსაცმლით ამარაგებდა დისშვილებს. ზამთარშიც მისი ნაყიდი თბილი ჩექმები ეცვათ. გემრიელი კანფეტებიც მისი ჩატანილი იყო.

ფაბრიკამ ბინა მისცა. თვითონ იკლებდა საჭმელს, კაპიკს კაპიკზე ადებდა და ნელ-ნელა ავსებდა სახლს ავეჯით, ჭურჭლით. ტელევიზორიც იყიდა, ფარდებიც და მაცივარიც...

ლოგინაღწავარდნილი დედა თავის მოწყობილ ბინაში ჩამოიყვანა და წლები უარა. დისშვილმა სკოლა რომ დაამთავრა, ისიც წამოიყვანა და ფაბრიკაში მოაწყო. მერე ბიჭმა გოგო მიაყენა კარზე: ჩემი ცოლიაო! აილო ბელურამ თავისი ლოგინი, სამზარეულოში ვინრო ტახტი ჩადგა და ზედ დააგო. ოთახი მათ დაუთმო.

დაიბადა ბიჭი. ბელურას საზრუნავი მოემატა. ახლა მისთვის ეზიდებოდა სათამაშოებს, ფანქრებს, საშლელებს... სკოლის დამთავრების აღმნიშვნელი ქეიფისთვისაც აჩუქა ფული. ბოლოს ბინაც გადაუფორმა.

ფაბრიკები რომ გაჩერდა და მალაზიებთან გრძელი რიგები გაჩნდა, ბელურას დისშვილი, ცოლით, სოფელში

დაბრუნდა. მისი უმუშევარი ბიჭი კი თბილისში დარჩა და ქალი შეირთო.

ბელურას უკვე ბევრი წელი, ნაოჭი და ხერხემალში ჩაკირული მარილი ჰქონდა.

მათხოვრობა დაიწყო.

თავიდან თითქოს იუკადრისეს ნათესავეებმა, მაგრამ გემრიელი იყო მისი მიტანილი პური და ჩაჩუმდნენ.

იდგა ბაზრის შესასვლელში მობუზული ბელურა. მერთალყვავილებიანი კაბა ეცვა. წვრილ ფეხებთან ჩანთა ედო. სახეს ფერდაკარგული თავსაფრით იფარავდა და სუსტი ხელით თოხოვდა.

კიდევ დაიბადა მის სახლში ბავშვი.

ისევ ისე — ანასთვის პამპერსები, მისი დედმამისთვის ყავა, სიგარეტი...

ბეზეს გოჭებით მორთული ტორტი და სანთლებიც ბელურას შეგროვილი ფულით იყიდეს. სტუმრად ნათლია მივიდა, თავისი ექვსი წლის ნატათი. ჩაბნელებულ ოთახში შეიტანეს განათებული ტორტი სიმღერით.

შვიდივე სანთელი ჩააქრო ანამ.

ზედმეტი ტკბილისგან გულამსუყებულმა ქალებმა სამზარეულოში, მაგიდასთან ფეხი ფეხზე გადაიდეს და გააბოლეს.

ოთახში, სანოლზე მიწოლილი მამა ტელევიზორს უყურებდა. ბავშვები თამაშობდნენ.

კარი აჩხაკუნდა. ბელურა დაბრუნდა. ანამ ხელი ჩაჭიდა და ოთახში შეაჩანჩალა.

— ნელა, არ წააქციოთ! — ეკრანს თვალი მოსწყვიტა მამამ.

— ვითომ ფეხმძიმედ ხარ და ბავშვი უნდა გააჩინო! — თოჯინა კაბის ქვეშ შეუჩურთა ანამ.

— დალლილი ვარ, შვილო! — სათამაშოს მოშორება დააპირა მოხუცმა.

— არ გამოიღო, თორე ვიტირებ!

ქალი შეყოვნდა.

— ჩქარა დაწე! ტახტზე მიუთითა და ბელურას ნაკიდი ლაკის წითელი ფეხსაცმელი იატაკს დაარტყა გომ.

დანვა.

— ფეხები მოლუნე!

ბელურას მოერიდა. ანამ ძალით გაუჩაჩხა და მოახრევინა. ბამბის წინდები და გრძელტოტიანი საცვალი გამოჩნდა. მოხუცმა წამოდგომა სცადა.

— არ გაინძრე! არ შეიძლება! — დაუყვირა ანამ.

დანებდა.

— ერთი ნახე შენი ქალიშვილი რა დღეშია! — სამზარეულოს კარში ჩადგა კაცი და ცოლს გაუცინა.

— რა დღეშია? — ნაფაზი დაარტყა ქალმა.

— ბელურას ამშობიარებს!

დედებმა ოთახში შეიჭვრიტეს.

— ნუ გეშინია, ეხლავე ნემსს გაგიკეთებ! ექთანო, ნემსი! — ბრძანა ანამ.

ნატამ გადატეხილი, ყვითელი ფანქარი მიანოდა.

ქალები სიცილით დაბრუნდნენ მაგიდასთან.

— ეს ვინ გაიზრდება! — ჩაიცინა კარადასთან დაყუდებულმა მამამ და ლუდიანი ჭიქა გამოსცალა.

მეორე დღეს ბაზართან, მყუდრო ადგილას ფეხზე მდგომმა ბელურამ მკითხავის მოდულებული ყავა შესერიპა. მჭახეპომადიანმა ჭიქა ჩამოართვა და ჩაიხედა. იმედით შეჰყურებდა ბელურა და ყველა სიტყვის დამახსოვრებას ცდილობდა. ძირს დაგდებულ ტალახიან პურის ნატებს ბელურები დასეოდნენ.

დედა, სახელად მარიამი

თავსხმა წვიმა არ წყდება. აყვავებული ფშატის სურნელი მძიმედ იფრქვევა დანისლულ სოფელში. ვარდები გაშლას იწყებენ.

მონყენილ დღეებს და ღამეებს ორსანოლიან, არაბულ ტახტზე ატარებს მარიამი. მის კი-

დეზე ჩამომჯდარს სქელი ფეხები და უშველებელი მუცელი ჭუჭყიან, შავ იატაკზე უწყვია. მუცელზე დიდი ძუძუები ჩამონოლილა.

„არაბული ტახტის“ მხოლოდ სახელი აქვს შერჩენილი მარიამის სარეცელს. განაცრისფერებული, მუქი ლაქებით დასვრილი ლოგინი ყოველთვის აბურდულია. სანოლში ყრია ტანსაცმელი, ძაფები, ჭურჭელი, საჭმლის ნარჩენი, კარტი (ხანდახან მკითხაობს), „ნაბელავის“ ბოთლები... თუ რამეს ვერ სწვდება, მოულოდნელი სიმარდით ზურგზე წვება, მორებივით ფეხებს მალა იშვერს, აჩენს დასვრილ საცვალს და იღებს საჭირო ნივთს.

ტახტის შორიანხლოს დაბალი, ყურებმოგლეჯილი ტახტი დგას — მარიამის ლამის ქოთანია.

მეორე, შედარებით ფართო ოთახში მისი ბიჭების საწოლებია, უჩიხოლო, დანაფლეთებული და უზენრო ლეიბებით. ოთახი სავსეა ავეჯით, ნაგვით გატენილი ტოპრაკებით, ბოცებით, ფეხსაცმელებით... ყველაფერი მტვრისანი და გამურულია. სახლს არ ალაგებს მარიამი მაინც რემონტის გაკეთებას აპირებს.



მხატვარი ბადრი გაგნიძე

ფანჯარაზე ფერშეცვლილი ჩითის, მიტკლის ფუ-
თები ანყვია. საბნების და ლეიბების შეკერვაც უნდა...

თვრამეტი წლის გათხოვდა. როგორც თვითონ
ამბობს, ქერა თმა ტრაკამდის სცემდა. სულ ორმოც-
დაექვს კილოს იწონიდა. სახეზე ბალანი არ ამოსდი-
ოდა და რა თქმა უნდა, არც იპარსავდა. თვალები კი
ახლაც ღამაზი აქვს. იცის ეს მარიამმა და თუ ვინმეს
ეტრახებდა, ლურჯ თვალებს მალლა უცნაურად ატ-
რიალებს. იპრანჭება...

ხევსურ ბიჭს, გოგიას გაურიგეს. პატარძლის
მშობლებმა ეს ორი ოთახი აჩუქეს. ბიჭიც ორი შეეძი-
ნათ, დედისთვალება ვანა და მამასავით შავი ალიკა.
დიდხანს იცხოვრეს ერთად. ბოლომდე მაინც ვერ გა-
უძლო გოგიამ მარიამს და სხვა ქალთან წავიდა; გამ-
ხდარ, თმა, თვალებ, ტურზე შეღებულ ქალთან. კარგა
ხანს სდია უკან ცოლ-შვილმა. ეჩხუბნენ. მოეფერნენ.
დაემუქრნენ. ერთხელ მისი საყვარელი მარტო ჩაიგ-
დეს ხელში და ისე სცემეს, მარიამი ძალიან კმაყოფი-
ლი დარჩა. აღარ დაბრუნებულა გოგია მათთან. ნელ-
ნელა შეეგუა მარიამი ქმრის დაკარგვას.

უკვე დიდი ბიჭები ჰყავს, მშრომელი ბიჭები. არ
ეზარებათ შეშის ჭრა, ბარვა, თონხა, არხების გაყვანა.
ბეტონზეც მუშაობენ. ლობის აშენებაც ეხერხებათ. სო-
ფელში ამგვარი საქმე არ ილევა და სულ აქვთ სამუშაო.
არ აკლებენ დედას საქმელ სასმელს, ექიმს და წამალს.

მინის რეფორმის დროს, რამდენიმე საუკეთესო ნაკ-
ვეთი შეხვდათ. თავიდანვე კარგ ფასად შეიძლებოდა მა-
თი გაყიდვა, მაგრამ სხვებივით არ იჩქარეს. ფასმა ნელ-
ნელა მოიმატა. კვადრატულის ფასი ასი დოლარი გახ-
და. ეს თანხაც ეცოტავებათ და ას ევროს აფასებენ...

მას შემდეგ, რაც გაიგო, რომ მდიდარია, ოცნე-
ბობს მარიამი, ხანდახან ხმამაღლა: გავყიდი ნაკ-
ვეთებს. აქვე, სოფელში, პრესიჟულ ადგილას ვიყი-
დი ორ ორსართულიან სახლს, თავისი „პარნიკე-
ბით“. ბიჭებს მოუწყვან ცოლებს. დღევანდელ გო-
გოებს მეტი რა უნდათ? ჩაცმა და ყ...! ბოლო სიტყ-
ვას გამოორჩეულად ხმამაღლა ამბობს მარიამი...

წლები გადის. ოცნებობს ზაფხულში, შემოდგო-
მით, ზამთარში...

მაისის წვიმიან საღამოსაც ოცნებობს. ჩრჩილის
პეპელა იტაცებს მარიამის მზერას და ოცნებიდან
გამოჰყავს. სიმშვიდეს ურღვევს მისი ფარფატი.

— ვანა! ალიკა! ჩრჩილი! მოკალით! — ყვირის
და ბიჭების ოთახისკენ იყურება. სიჩუმე იბუდებს...

...ვანა და ალიკა დიდი ხნის წინათ, ორივე ერთ
დღეს დაიღუპა ტამიშთან...

პეპელა თვალს ეფარება. მარიამი მშვიდდება და
უბრუნდება შეწყვეტილ ოცნებას: უკვე მერამდენედ
ყიდის ნაკვეთებს, ყიდულობს დიდ, ღამაზ სახლებს,
თავისი სათბურებით. ბიჭებს მოყავთ ცოლები. ორი-
ვეს ერთად უხდის ქორწილს... აქ თავისი ქორწილი
და გოგია ახსენდება. ნელ-ნელა თვლენა ერევა.

თითქოს ამას ელოდაო, სამალავიდან ძვრება
ჩრჩილის პეპელა და თავჩაქინდრული მარიამის
გარშემო დაფრინავს.

ისევ წვიმს.



სხვა ვერ დაწერდა და ისე, როგორც სხვა ვერ დაწერდა. იგი წერს იმ
კილოზე, რომელმაც ადამიანური სულის სიღიად შეაცნობინა.

მზია კავთელაშვილი

კა დრო იყვ, კაი...

- გამარჯობა, დეიდა ნინო!
- რომელ ხარ?
- მზია ვარ, მზექალას მულისშვილი.
- ჩემის მზექალისაი? რომლისაი ხარ, შვილო?
- თამარის.
- აუ, აუ, ჩემო ქალო, ჩემო მზია, რამრა გაგახსენ ჩემი
თავი ბეჩავი? თვალთ აღარ მიჩინს და ყურთ აღარ მამდის შვი-
ლო!.. მარტოაი ხარ?
- არა, შვილიშვილებით ვარ.
- კაია, კა. შვილიშვილებ წამაგისხამს სანათესაოს. მეშაბა-
თენი! ვართ შვილო ერთურთისად. ვანოსას ხარა?
- დიახ.
- კაია, კა. რა გიქვიანთ დიდს და პატარას?
- დიდს არჩილი ჰქვია, პატარას ლევანი.
- კა სახელებ ას, კაი. კლო² კიდ მოქცასთ ღმერთმ ვაჟებო,
კა სახელებ დაჰქვივნიდი... ჯილბერტაიო... გილბერტაიო... კი-
დენ, ისი... მაიცა, მაიცა... ჩაბარკონა³ კაც რაიმ ყოფილას, და-
უპყრავ ქვეყანაი... ტკბილს კეცეულს აცხოვდეს მის სახელი-
სას... ჩემ ქალაშავაიც აცხოვდის წინავ... მაიცა, მაიცა ისი...
- დაუპყრავ ქვეყანა?
- ჰო, ბენიკუა⁴ რაიმ ყოფილ, კანდლაკაცუნაი...⁵ უცხოის
ტომისაი...
- საქართველოც დაუპყრავ?
- ვერ ჩამაულწევავ!
- ააა, ნაპოლეონი?
- ჰოო, ნაპოლეონი, შვილო, ნაპოლეონი... რაია ას? კალთა-
ში იყოფს ხელებს.
- ჰაა?... კომუშტოია⁶ ნიგვზიანია? ჰო, ჰო... შვილო... კაია, კა...
- ეს რაილა ას? ხელით სინჯავს: ნაპოლეონია? არა მართ-
ლა... მართლა?
- გულიანად ვიცინით ორივე.
- არა, ნაპოლეონი არ არის. მე მგონი ნაპოლეონის ცოლის
სახელი ერქვა წინათ ამ ნამცხვარს, ეხლა სხვა სახელი ჰქვია.

კვლავ გვეცინება.

— არ შავჭამ, შვილო, არა. დიაბეტი მაქვ, დიაბეტი. სწორად გამოთქვამს უცხო სიტყვას.

— სად ას ციცინო? თავის რძალზე მეკითხება. ახლოში ას?

— არა, იქით არის, ცეცხლთან ტრიალებს.

— ჰოო, კოკობზინობს და ას... რავი მე, ჩემად არარაი ა და... კინჩხი კვიმსრის? და კონწარი,⁸ აი, ესი... სხვაი არც რა... ზამთარში მთუთქარს არ მაღირსის, კოჭუკულმამავალი ესი... ეეჰ რას იქ, რას? დიალა ნუ აჩქარდები, მე ველი თავის კალოსა...⁹ თაოდ რახელ ხარ, რას გიქს ზძალი?¹⁰

— კარგი ქალია, კარგი.

— აბაბაი... უნდოდ იქნევს ხელს. მერე გაყურდა და თქვა: ეგრ იყოს, ეგრ... თაოდ ხარ კაი, თაოდ.

ორივე ჩაფიქრდით...

დავცქერი ას წელს მიღწეულ ხევსურის ქალს, პირდაპირ მიწაზე მორთხმით რომ დამჯდარა ჩრდილს შეფარებული და მაგონდება როგორ აჰყარეს და ჩამოასახლეს მთის ლაღი ხალხი მზით გადახნურუკულ შირაქში, გარბოდნენ ხევსურები, მთავრობის ხალხი გზას უჭრიდა გაქცეულებს, უკან აბრუნებდა და სამართალში გადასცემდა. ბევრი ჭლეკით მოკვდა, ვერ აიტანა უდაბნოს სიცხიანი ჰავა: დაღლილი კლდეს თუ არ მივეყუდნეთ, რახელ დავისვენათო?! ჩიოდნენ ხევსურები.

ჯერ ახლა რა არის და მაშინ რა იქნებოდა. წყალს ყიდულობენ, ცისტერნით დააქვთ წყალი.

— დეიდა ნინო, ყოველთვის ყიდულობდით წყალს?

— აარ, გამაგვიყვანეს წყალი, კრანტს გავადიდით და... წინავ კია, წყალი ზურგითაც გვიზიდნავ. სადღაა ხევსუეი წყლიანნი, წყაროიანნი, იოჰ დედილაჲ!... აყნელს¹¹ გადავლა მენდა!... ვაი, სიბერეე ტიელო... არც სალოცავ არს, არც ჯვარ... არც საით სიტყვა ღმრთისა; ხუცობა არც სრულ, არც... სნეულ ვართ, სნეულ... ლონმიდილ და სასჯელუმძიმეს მეტ რაილა გინდ, ამახოფვაა, გაგრილება...¹² წინავ, მთაჩია ხუცობა იყო შვილო, ხატმისახურებაი...ხატი ხახმატის, ახოს, ბლოს, ლულს,¹³ სოფელს ყველას ხატ და ჯვარ. თემს ყოველს ხატ და ჯვარ.

— კერპებიც ხომ გყავთ და ქრისტესაც შესთხოვთ შველას, ეს როგორღაა, დეიდა ნინო?

— ჰოო, მალედავ,¹⁴ წინავ, სრულ კერპ ყოფილ, კიავ, მემრ არა. რავი მე, რაის ბედენაი ას? ან ჯვარ ას სრულ ყველა. უფალი ერთაი ას. მძლავრ გვეყოს, მკვიდრ გვეყოს! ჯვარს თავის სახელ აქვის: ბერბაადურგუდანის



მხატვარი ბერდია არაბული

ჯვრის სახელ ას. კოპალა, ლაშარის ჯვარი, ხახმატის ჯვარი, იახსარი სულეთის, მექარობა შამადგომის, ენკენია ესეც შამადგომისაა, ღვთისშობლობა მერიემობა, სარემპო შესანიწავ ცხვარბატკანთა, საკარგემო მკვდრისადა და ბევრ სხვაი, ბევრ სახელებ ხქეიებ. დიდ არს ოცობა, აღვსება აღდგომა, ესი გუთნის პირველად შაბმის დღეია შვილო. მძლავრ ას სახელი ჯვარის: არხოტის ჯვარმ რო გაიგ ნასულა, მიმდინარს ქისტის ლაშქრისად ბადე გადაუხურავ თავ ზეით, ხევსურთ საქონ ნამაულაღვთ უკვენ.

ჯვრის ძალით რო არ დაელიშნ,¹⁵ ქვე ვინ მისცემთ ქალსა? შობახალწელს დიდ იყო ხატობა, შვილო. წინავ სამზადის იყო დიდი: დოხანს, აშურას ვჭამდით სამარხვოს. ის რომ დღეი ხუთეექვს, ზოგრიგა მეტიც, ვინაც ახალ ზედამჩო¹⁶ იყო მეტიც. მკვდარ რო იყო სულეთს, იახსართან.

გამავსწურავთ არაყს, შამადგავთ ლუდს, კარიკურ,¹⁷ კარისთავ, საქონთ სადგომი, ლაჭანყურე,¹⁸ ზედასთვალი ქოოდ კაად სრულ.¹⁹ ეეჰ, კაა დრო იყვ, კაი...

ცოტახანს ჩაფიქრდა. გამალეებით ვინიშნავ ნათქვამს. ვცდილობ არაფერი გამომჩეს, რა ვიცი, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს?

ოხშამ²⁰ ბალეებისად ას მარტოდენ. ხან ისიც არა. ხანდხან საქონსაც ვამარხულიდით. ზისცვარს²¹ ჩამაგვიდგამს მერე. ნაშენს მაგვეცემს კაას. არას უქამს სიმძილი, არას.

სინირფლე²² უნდ უფალს, სინირფლე. ბალსაქონს მავლოთნებთ,²³ მარხე თოლ²⁴ ავაცილათ. შაუნდავთ ცუდად მზრახავს. ცოდოში ზდგომაა არშანდობაც, დაუმძრახობაც გულდაღრიან²⁵ ას. ბევრაის ხვეწნით შავარიგებდით.

ახალს დავაცხოვდით პურს, ბიბკიან²⁶ არ შაიძლების, არც ლისკი,²⁷ არც მატუსვილ.²⁸ ბენიკიურეები, ქადაკეცულნი ყველა ხატისად. ცხენთ დავნალვიდით, ლამაზ, მოხატულ უნაგირს დავადგიდით, თორპილს²⁹ მძივერცხლს დავხკიდით.

ზოგზოგ ძილმთხვირ³⁰ ას, გამალევიძის ყველა. დედაი, დაი, ახალზალი დიაცნი ყველა მალიადავ ნამავსდგებით, ცეცხლს მავივლიდით ალსა, მაშიავ დავადგებით გზასა. ჯერ მამრნი, ხატონინი: მეზარე, მოსანთო, მეორახენი, მეგანძურნი, ზედამდეგნი. ხატონი არ ჩანთქამს წყალს, პურს ესრ ას. გზათ ჩაიცვამდის ბექთარსა, ჯაჭვმუზარადსა, ხატთან შორიახლოს დაჰყრიდის. მემრ ჩვენ, დიაცნი, სადიაცო ხევსუევით. ეეჰ, კა დრო იყვ, კაა...

ჩემობა მორწმუნენი სრულ ყველა: უთურგა ლულიდან, დედიძაი ჩემი, შვენოდა ხუცობა, ხმაი ჰქონდ, ხმაი. შენი გასამარჯვო იყოს, ჯვარო მთისა და ხევსურთაო იტყოდა

ბეჭე შეამამდგარ, დაჭეხვანას ჰგავდა კლდისას. ხმაი ჰქონდა, ხმაი. ამენ შენ მადლსა, ამენ შენ მადლსა სამჯერ იტყოდა დასტურნი და მემრნ ჩვენ ყველა.

მეავ, შვილო ერთგულ ვარ ჯვარისაი, რაი მემრ? ვერას ვიქმ და... კნინ ას სული, ცარცულ³¹ ას სული, ეშმა გამახედენაშია ოხრად მყოფ სულის. ნამავა ურნმუნოებაი უფრო მეტ. რაი რა უყვ, არ ვი. ოხრად მარჩებად ყოველი, და ამას ვსტირ, ამას, ჩემ შვილო, ჩემ შვილთაშვილო ვსტირ. ვეუბნენ: ილოცვიდით გაზაფხულს, ილოცვიდით შამადგომას, ილოცვიდით დღენიადაგ. არ იქნების პურ მაძლირე, არ გამრავლება იქნების ჯილაგის, ჯალაბის, ნამავა ეშმა, არ უნდა ძევა.

ძოლანის³² სიცილ დამყარ. ქრეჯა³³ იცის. ქურულ³⁴ ვერ მაერევა, თუ იტყვის რასმე ჯიუტად. ან, მავჰკვდები ამის ხელჩია. სიტყვ მწარნი, ქცევა ცუდ...

და მიყვება, როგორ ატარებს დღეებს მათთვის ლოცვაში მუხლმოდრეკით... რალა თქმა უნდა, არა ნელდება ნიჭის ძალა და შეჩვენების წილ, მხოლოდ სევდას ჰგვრის მორნმუნის გულს ურნმუნოება. მათთვის მლოცველი კვლავ მშვიდობით ჰყავ, ყოვლად ძლიერო.

ზოგი ნაყოფი ყვავილისებრ ნაზი სურნელით ეფინება ნაპირ რწმენისას. საკვირველება არა არის რა. ზოგს კი უჭირს ცარიელის სივრცის განდევნა უძღურ ტანიდან. იქნებ, მოლოდინს შენის ძალით ყამთა ტრიალის შეჩერებაც გადაუწყვეტია, უძღვევლია კურთხევის ძალა, მლოცველთმფარველო. იგია ჩემი და, საყვარელი. და, რომ აქა ვარ, დიდად გმადლობ, ყოვლადძლიერო!

ალბათ, ნებაა ესეც შენი, რომ მოვსულიყავ და შენის ძალით მათთვის მლოცველი მემრავლებინა, შენვენასა გთხოვ, სახემნათო უდიადესო. და მეც ვლოცულობ ჩემად, ჩურჩულით.

— უბრად რად ხარ, ჩემო ქალო?! ხელს მიწვდის და ცდილობს შემეხოს. ისეთაივ ლამაზ ხარა? მეკითხება ღიმილით და სახეს ეძებს ჩემსას.

შეწყვიტე ლოცვა... ახლოს მივედი...

— მაგას ნუ იტყვით, სირცხვილია.

— რაად, დედანსავ? კარგობა სირცხვილ ას ა?

ვეხვევი, სურნელსა ვგრძნობ მეტად საამოს, ხმელი ბალახის, თუ დედამინის, და ვეუბნები:

— მე ხომ ლამაზი არასოდეს არა ვყოფილვარ. იცი, ლამაზი ეხლა ვარ, როცა ჩემთანაა ნაზარეველი.

თითქოს არ ესმის, ნამით გაყურდა და გავიგონე ლოცვა საამო:

— უფალო ქრისტე, ღვთის ნათლულო, ღვთის ნაკურთხო, მადლ მამიძღვნავ სულის სიმტკიცის ნამლისად. მთქმელ გაამრავლენ, გამგონ გაამრავლენ. შაუნდენ ჩვენ ცოცხალთა, შენამც ხელსა და ნებასამც იქნებ. ღმერთო, დიდება შენდა, მადლ შენდა შენის მიცემითა, იერუსალიმის ძალავ.

წყალო უბინო, ნუ ჩაიშვრის ჩემად შენი წყალობა, ნუ გაეკრებ ჩალის ცეცხლივითა, ნუ გავდნებ თოვლის წყალივითა, ნუ გავივლ ქარივითა, ნამალ დამადგ მოთმინებისაი.

მომეხვია. გული გრძნობას ველარ იტევს, ცრემლს ვერ ვერევი. ხეთა ფესვივით გამხმარ თითებს მისვამს სახეზე და მეუბნება:

— შენა ხარ, ეგების შემე საგული, მალიმალ მოხვიდოდე, შვილო, კაც ვერ გადასჩების სიკვდილს. სიმურ³⁵ უნდ ვიყვნეთ ჩვენ. საგოგანნი³⁶ მეტ რაიდ ვქნათ?!

კვლავ ლოცულობს:

— ქრისტე, ძეგ უფლისაო, ჰქმენ სიტყვა ჩემ იავარდივით, დავსტკებ და დავთაფლდ, გამგონ მამცემდე, ნურვინ დალონდება ურნმუნობაშიად, სულის სინმინდის ხსენებოდეს, მკვდარნიც შენ გაბარნიან და ცოცხალნიც. შენამც მოგივლენ ჩვენი მკვდარნი...

ბარაქას მოგვცემდე, დო სქელ და ერბო მრავალ, სადღეველ ბარაქიანი, ბუხარში ცეცხლ ჩაუქრობელი, ნუ მაიხიბლვის ცხვარძროხა თვალშურით, მოგვცე საქონლად და მრთელ, ნუ იქნება ცარიელ ბრუნვა წისქვილისად, ჭირ ლხინად მაგვიქცივ.

ქრისტო, მაარსებლო, მადლ შენდა ღიმიად და სიხარულისად... ამენ!

ჩაიმუხლა, კვლავ ძველ ადგილზე ჩამოჯდა, ცრემლს ინმენდს, იმშრალებს.

სიჩუმეა...

და, უცებ შეშფოთება შევნიშნე, მოუსვენრობამ შეიპყრო, მერე გაირინდა, თითქოს სუნთქვა შეკრა.

— ჰოოო... ახალ ამბავ რაიმ ას. ჩაილაპარაკა. ისივ აქავ ხარ, შვილო? თუ არ ნახველ?

— არა, აქა ვარ, დეიდა ნინო.

— ძალღონე მამცა ნეტა! აბა, მისმენა?! მაიცა, მაიცა, ვიდრემდ მახვიდოდ აი, მამიავ იყო ესი. ლამადე³⁷ ჩამანვა თუოდ მომეძინ, არ ვი.

და ჰყვება სიზმარს თუ ჩვენებსა:

— ნაშენს მივსდივ, ნაშენს, ჰოი, მივსძახ, ჰოივ, ლამაზავ, მასკვლიავ, ღებილაე! რაიდ ვქნა, ნუხრ ხან მისჯარე-ბიყვ. მივსდივ, მივსდივ და... იქავ ვარ. ელდადელდად³⁸ მივალ და... იქავ ვარ. შიშ არ მაქვის სრულ. საქონ მადარდის, საქონ. ზისცვარს არ ჩამამიდგამს.

ნინო, ნინოო შამასძახის. მამახურას ხმაი ას. მაგთვენ ვი. მამიავ უნდ გავსძახ: რომენი ხარ, რომ გზით მოხვალ, შვიდმცა მამას ნულა მოხვალ... არვიანა...

მირგვლივ ვიხედვი, იქიაქათ. არვინ ას. რაის ხმაი ას? ავიხედ სათავეზე, სრულ კლდეია, ჩამადიოდის ნანვეით. არხოტვანებია შამახვეულ, კაკბისმკერდა, არჯაკვლა.

მაშივ გავიხედ თავგალმივ, ჰოივ, ჩემო თავო, სრულ გონთნა, გადამყარნა. კლდის თავზეით, დიდდიდ ქვა რო სხავ³⁹ გადმოჩენილ, სულეთით მოსულ, ჩემის შვილების მამა.

პერანგნაქსოვტალავარ ჰმოსავ, ლამაზ რაიმ, ნაჭრელა ბიზიონითა, სრულ სამხრებზე მოხატულ: კიმხადაკაულ, თავგრაგნილანი, ბურმას შეხამებითა, არ ღვავს ჩემად ნაქსოვნაქარგს. ფეხ შამაუდგამს საყუფს⁴⁰, კლდის პირს ქარაფიანსა, მხარს დაუკიდნავ ოსტამულ⁴¹, ვადაზე უდვავ ხელნი.

დავხედე... მეც მმოსავ მოხატულ, ლამაზ სადიაცონი. სათაურა ტრედისყელა, ქოქლოც მადგა თავზეით მძივით ნაქარგი. მდუმარ ვართ ესრეთ...

— რაი ვქნათ, სწორფერო, ესრეთ მდუმარ ვიყვნეთა?.. სამწუხროს ამბის მტყობარ ხო არ ხარა?.. რადრა სწუხ ნეტარძი?.. მეშულლეთ თავსისხლსანენსო გადახილ აქვისთ, ვეყო?.. ლუდიც გამამიხდავ შენის სულისად, სახმითმატიროც გადამიხდავ... ჩქამ რო არ ისმის?.. საქნარს მიწუნებ, თუ რაი ას?!

სახვიელ მადევ თვალზეთ, სახვიელ! ზედამრჩო კი ვარ, კი... რაის ბედენაია მემრ?! ვერცაით ვარგ და... გაოხრდა ცელნამგალ, საფარცხველ უქმად აგდივავ, ხარს აღარ ადგამ საქედურს, ბულულსანვიროთოს ვერვინ დგამს შენად მსგავსად... საქონს რა უშავს მყურე ჰყავ, ჯალაბი გყავის ტიელად.

— ბევრ ყურს არ მიგდებს თუ რაი ას, ისრიე გაყურებულ ას.

— შენ უფრო გამაარჩევდი კა საქმეს ავის ქნისაგან, შვილებს თავით გაფიცებ, დედისშენის მანდილითა, ნუ გამაბრუნებ ტირილითა.

გადმაიხარნა, ნაულველს ვატყობ დიდს.

— ქალას რა უყავ? მზეი სხვათა ქვეყანას ანათებსო! ხმა იყო კლდეთა ხმის მსგავსი.

— ჰოი გულო, მეც ვწუხ, მეც, რაილ ვქნათ? ვინდ ას ჩვენ მშველელი?

— და... გამამელვიძ, თუ რაი ას? ვითამც არც ძილ იყო და ძილმთხვირ ვიყავ. ვითაიცი დრო გასრულ. და შენც მახველ, დამეხმინე.

ამოიოხრა...

სიჩუმე ჩამონვა... მწუხარებაა სულის, თუ სადღეგრძელო, თუ ნეტარება, ველარ ვერკვევი სულის ტრიალში...

— რას გასაყვედურობდათ, დეიდა ნინო?

— იას, ჩემს იას. გერმანიას ას გათხოვილ ჩემ შვილიშვილ, ქალი ჩემის იოსებისი. შევნიერ ჰყო უფალმან და თავმოდრევილ, ხელ მაუმართას! შეხმობილ ვიყვენით უფალშიდ.

მზეთუნახავთ შასჯობრებაე მზეი ჩემი; ჰკვირობენ ესრეთ ლამაზს, ჰკვირობენ. საჩიონია ფრიად, საჩიონი. შევნიერ ჰყო უფალმან.

ოოჰ, ციციწოვ, არ დააყენ ენა ჩხუბისთავშულლიანმა, გაჰლალა იოსებმა ჯალაბი⁴² უცხო ქვეყანას.

წინავ ერთურთის მამებელი იყვეს დაძმა. დიდ იყვეს ჯალაბი. ძმაი, ძმათა შვილნი, გაუთხოვარ დაი, შინში⁴³ მათ შვილნი და შვილთაშვილნი, ერთ იყვეს სრულ, ჭირნიც და ახალუხბაღნიც, ერთ იყვეს. რაღას ვიქმთ, რაღას, ეგრე ას და...

— მობრძანდითო, სუფრასთან გვიხმობს ციციწო.

გაჰქრა ოცნების სამეფო. რა მოსანწყენი მეჩვენ სინამდვილე და ირგვლიე ყოველივე.

ვთხოვ მოხუცებულს ჩვენთან ერთად დაბრძანდეს სუფრასთან. უარობს: მე არა, შვილო, არ ვარ მენდობე.⁴⁴ თაოდ წაედ, თაოდ.

სუფრასთან ციციწო სისულელებს აფრქვევს. არ ვუსმენ, ფიქრით სხვაგან ვარ.

— კორპუს მინდ არსენავ. შესჩივის ქმარს.

— რაო, რას ამბობსმეთქი? ვეკითხები ქმარს მისას.

— ქალაქში უნდა ცხოვრება, კორპუსში სადმე.

— ჰოო...

ცოტა ხნის შემდეგ კვლავ ხმიანობს ციციწო:

— ეეჰ, რა კა ქალაქი ას გერმანია, რახელ მომწონს!

— ეხლა რაღა უნდამეთქი?!

— გერმანია რა კარგი ქალაქიაო.

— ჰოო...

სევდით ამევსო გული.

მოხუცისკენ ვიხედები, საჭმლით ტაბლა უდგას წინ. თავად ფეხზე წამომდგარა, ზეცისკენ აღუპყვრია უსი-

ნათლო თვალები და ლოცულობს. მხურვალედ ლოცულობს...

ამინ! ამინ! ღმერთმა გისმინოს, შე მეგანძურო, შენა! მადლობელი ვარ ამ სინაზისთვის, ნათესავო ჩემი სულისა. რა წრფელია შენი ზნე და როგორ ზრუნავ დღესაც მისი სინმინდისათვის, ეს უნარი გიცავს, ალბათ ამ სწრაფმავალ წუთისოფელში. უღრმესი კრძალვით ვეამბოროები, ვემშვიდობები.

— მალიმალ მოხვიდოდო, კვლავ მიმეორებს ბეჩავია კაცის მოდგმა, გიყვარდესო იგი და ისიც გიყვარდეს, რაც ქველსა და ბინს შუა ძევსო.

აჩქარებით გამოვდივარ, აღარავინ მინდა. აჩქარებითვე გავდივარ თვალუნვდენელ მინდორში, არად ვაგდებ შეგონებას მობრუნდი ქალავ, მომძახიან დაგგესლავს რამეო!

ოოჰ,... მივიქეც განცდად.

1. ახლობელნი, ნათესავნი;
2. კვლავ;
3. დაბალი ტანის;
- 4-5. პატარა, ქონდრის კაცი;
6. კომბოსტო;
7. ყველის პატარა ნატეხი;
8. აქ: მწარე ძველი ნაღები;
9. რაგინდ აჩქარედ, მაინც თავის დროზე გაილენება შენი კალო;
10. რძალი;
11. სოფელი ხევსურეთში;
12. აქ: გარდაცვალება;
13. სოფლები ხევსურეთში;
14. ადრე;
15. დაენიშნათ;
16. ცოცხალი, ზემყოფი;
17. კუთხეკუნჭული;
18. თივისა და წნელისაგან დამზადებული სანოლი;
19. სულ ერთიანად, კარგად, სრულად;
20. ვახშამი;
21. რძე;
22. სინმინდე, სისუფთავე;
23. ვეფერებით;
24. ცუდი თვალი;
25. ბოლმანი, გაბოროტებული;
26. ობიანი;
27. გამოუმცხვარი;
28. მიმწვარი;
29. თავპირი;
30. ფხიზელი;
31. გაძარცული;
32. ამასწინათ;
33. გამოჯავრება;
34. ჯარი ხალხისა;
35. ხატის წყალი;
36. აკვნის ფეხები;
37. ბინდი;
38. აქ: სწრაფად;
39. დიდი ქვები რომ ყრია;
40. გზის შემალელებული მოსახვევი;
41. თოფი;
42. ოჯახი;
43. ბიძაშვილი, დეიდაშვილი;
44. მხურველი.



მურმან ჯგუბურია ის პოეტი, რომელმაც იცის რა თქვას, როგორ თქვას და ვისთვის თქვას. მასთან განცდა ლაპარაკობს საგნის საშუალებით. საგნის კონტური მეტისმეტად მკვეთრი და ზუსტი აქვს. მასთან განცდა არსებობს იმდენად, რამდენადაც ის საგნით არის გამოხატული. აქედან იზადება სისადავე, უბრალოება, სიცხადე, სინათლე, უშუალოება, სიმძაფრე. ყოველი ლექსი, ყოველი სურათი არის ქმნადობის პროცესი, საიდანაც უწყვეტ ნაკადად გამოედინება სიცოცხლისა და აზრის ნაკადები.

სევდიან, უბრალო სტრიქონებში გამოსჭვივის სიბრძნე, ცხოვრების მცნობელი კაცის საზრისი. განსხვავებულობის ანუ თავის თავად ყოფნის პოტენციული მურმან ჯგუბურიას ლექსის მრავალხმიანობასა და მრავალთემანობაშიც ვლინდება. მისი სტრიქონი სხვადასხვას და სხვადასხვანაირად ხმინობს.

თემა, როგორც ეფექტი!

ძველმოდურია, მაგრამ შეიძლება ამაზე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ძველი ფორმა თავისუფლად ირგებს ახალ შინაარსს...

„გუბერნატორად გამწესების წინ დონ-კიხოტმა სანჩო-პანსას ჭკუა დაარიგა“. ლექსი — „მორალიტი“, რომლის დიდაქტიკური პათოსი იშვიათი სიცოცხლისუნარიანობას ავლენს. ეს არის თანამედროვე ქართული „კაპრიზოს“, რომლის მთავარი თემებია ყვარყვარიზმი და ის ტრაგიკული ილუზიები, როცა ბაყაყის პერსპექტივა უცილოდ ხარის ზომამდე გაბერვა ჰგონიათ.

მურმან ჯგუბურია

გუბერნატორად გამწესების წინ დონ-კიხოტმა სანჩო პანსას ჭკუა დაარიგა

1. უწინარესად ზენაარი ვახსენოთ, სანჩო, ვინაც გვიბოძა ლუკმა-პური და დღეის სარჩო, და ესოდენი წარმატება გარგუნა ბედად, თუმცა იოლად მოგენიჭა, მე როგორც ვხედავ, თანამდებობა ამდაგვარი... სად თქმულა, როდის, ვინ მოგაშავებს უანგაროდ, გარეშე შოფოთვის, გარეშე ქრთამის, გარეწრობის, ტყუილის, ლიქნის, ავაზაკობის, სამწუხაროდ, რაც ბევრზე ითქმის...

2. რა დაგიმალო, ჩლუნგი ჭკუის პატრონად გთვლიდი, რასაც გაჩხრეკა და დასტური არ უნდა დიდი, დილაადრიან აღარ დგები, არც ღამეს ტეხავ, რაზედაც გულში გეცინება კიდევაც ეხლა. ერთი უქნარა ვილატა ხარ, მქექავი ნაცრის, არას-მოხელე, ძლივს რომ დააქვს მი და მო ნაცი, რაინდთა სუნთქვა მოგეკარა ოდნავ და მორჩა, დაგაჭერინა რამაც ხელში ახალი დროშა.

3. გავიმეოროთ, მთავარია, ღვთის შიში გქონდეს, რაც სიბრძნეს უდრის და მფარველობს რაინდთა ორდენს, თვალი მიმართე შენს შინამოს, შეიძლო რათა ღარი გაუჭრა საკუთარი ტყუილს და მართალს. შეიცნო რათა, ვინ ხარ, რა ხარ, მოდიხარ სიდან, თუმცა მე გატყობ, ხარის ტოლად გახდომა გინდა, რაკი არ გახსოვს, რა შეემთხვა გაბერილ ბაყაყს, ამიტომ გირჩევ, თავს საკუთარს მოუხსნა ალყა, და განარიდო სამარცხვინო შური და გესლი, ბოლოს და ბოლოს ვინ იყავი, — ღორების მწყემსი. გვარიშვილობას ვერ იყავი, ისა ხარ, რაც ხარ, სადა გაქვს, მაგრამ ფიქრში მაინც ჩახედე დავთარს. არ ითაკილო გვარი შენი, გახსოვდეს მიწყვი, ზნეობას ველარ გადასწონის ვერასდროს სისხლი.

და რაკი ყველა ასეა და, ასეა მართლაც, მრავალი რამის შენს კუნძულზე მოგინეცს გათვლა.

4. ხამს ცოლი გვერდით იყოლიო, გავუსვათ ხაზი, რადგან უცოლო დიდ-მოხელეს აქვს ჩალის ფასი, ასწავლე, ძალა დაატანე, განვრთენი ფრიად, თორემ შენ რასაც მოინაგრებ, გაატანს ნიავს. ვინიცობაა, რომ დაქვრივდე (რა არა ხდება), ხელახლა ქალი რომ შეირთო, ვინ გართმევს ნებას, მაგრამ იმგვარ ქალს ნუ მოიყვან, ანკესად გექცეს, ჩაგჩინებდეს დღენიდაგ უიღბლო ბედზე, ვითომ შენზე კარგს გაჰყვებოდა და შენზე მდიდარს, გამორიცხული აღარაა, აქ მინდა გითხრა, მალე დაიწყოს მან ფარულად ალება ქრთამის, და მოგეჭრება სამუდამოდ კიდევაც თავი.

5. კაცთა ბუნება გარყვნილია, გახსოვდეს კარგად, ღმობიერება ზოგჯერ ხმაღზე მეტადრე ვარგა, თუ დარიგებას უერთგულე, მოიგებ კიდევ, და გზა გექნება ყველგან ხსნილი, გინდ სითაც ვლიდე. და გაიხარებს მოდგმა შენი, ბადიში შენი და წამავალი არ მოხედავ ცხოვრებას წყენით.

6. ზომიერება არის, სანჩო, ყველაფრის თავი, ხომ იოლია გასარჩევად თეთრი და შავი, მაგრამ მრავალი ვერ ასხვავებს ბოროტს და კეთილს, რატომ დამჭირდა აქ ხსენება შავის და თეთრის? დამჭირდა, რათა განვასხვავოთ ურგი და სარგი, თუკი არ იცი, რაა ცუდი, არ იცი კარგიც. ვერ დააფასებ სათანადოდ, რიგით და წესით, ეს იოლია, ვინემ გემო გაიგო ლექსის, მაგრამ მოვეშვათ ამაღლებულს, მინაზე დავრჩეთ, მინა იგია, სანჩო, რაიც ავაზაკს არჩენს, აქ „ავაზაკი“ ც-ნაწილაკს მოითხოვს წესით და უნდა მეთქვა, „ავაზაკსაც,“ გაუწყრეს ღმერთი.

7. ზომაზე ჭამე, ზომაზე სვი, ზედმეტის ხუხვა კვლავ სანანებელს და სანუხარს შეგამთხვევს უხვად,

თან აქვე გეტყვი, გამუდმებით გახსოვდეს ისიც, ზედმეტმა ღვინომ საიდუმლოს გამხელა იცის. არ მიეძალო ხახვს და ნიორს, რომ მძაღლე სუნით არ შეაწუხო საკრებულო, არ დაგდონ წუნი. ნუ „ერუტირებ“ წურავის წინ, რაც ნიშნავს ბოყინს, ლათინურია, რასაც სარგოდ მიიჩნევს ზოგი, და ზოგი კიდევ გამდიდრებას ეძახის ენის, რა გაავარძელო ესპანური არ არის ჩვენი.

8. ამასთანავე გეტყვი, სანჩო, მოეშვი იგავს, ანდაზებს ნულა ჩააკერებ შიგა და შიგა. ვინც ბევრს ლაქლაქებს, მას შეცდომაც მოუდის ბევრი, იყავი მშვიდი, ვით მარანში პირსავსე ქვევრი, უფრო უბრალოდ გეტყვი, სანჩო, იყავი სწორი, როგორც მოხრილი ხმალი არის, როდესაც ომი შედის ძალაში და გაისმის ძახილი ბუკის, ორიოდ სიტყვას თავის დროზე მოიხმობ თუკი, უფრო მჭრელია, ვიდრე ხმალი ან ენა ქალის; ერთი ალაგის ნუ დაიწყებ საჯაროდ ქავილს.

9. წიგნი არ გიყვარს, სანჩო, ვიცე, და არას გეტყვი, მაგრამ ხამს გულთან მიიტანო შენ სხვათა ბედიც. ბევრს უჭირს, სანჩო, ქვეყანაზე არაა კაცი, რომ არ ეგემოს ორგემაგე ცხოვრების ხნარცვი. ჭირს ჭირი აღარ მიუსართო, გახსოვდეს, სანჩო, სხვას არ არგუნო მისაბაძი სხვისათვის სარჩო, ან სულაც დარჩი, გეძნელება რაკილა წასვლა, კაცი ვით შეძლებს პატრონობას სხვადასხვა კაცთა. მაგრამ ხომ ვიცე, მაინც წახვალ, შენ შენსას იზამ, და რაკი ძლიერ გაზბილდები, მომძებნი ისევ, მარტოდენ მე ვარ სულელი და ნამდვილი გიჟი, რომელიც მუდამ შეგივრდომებს, რაც კარგად იცი, – რაინდთა წესი ამდაგვარი ყოფილა მუდამ, კაცთა სისუსტე მათ ყოველთვის მიჰქონდათ გულთან; მეც შეგეჩვიე, რა დავმალო, ანუ რა გითხრა, ცრემლები მახრჩობს; წერილები მომწერე, ვითა იქნები მარტო; დარიგებებს მე კვლავაც მოგცემ, გზა გიღვეს, ცოტა შევისვენოთ ამ წმინდა მოღზე.

10. სიყვარულია, დაიხსომე, სანყისი ყოვლის, სხვა ყველაფერი შარშანდელის მსგავსია თოვლის. ძლიერ კარგს იზამ, თუ საკუთარს მიხედავ ოჯახს, ოჯახში ხოლმე სახელმწიფოს ღირსებაც მოსჩანს. შეილები გიყვარს, მათ უყვარხართ თუ არა, ვინ თქვას, მაგრამ ვით რითმას ბუნებრივად მოჰყვება რითმა, მათაც მოჰყვებათ მოდგმა მათი, წესით და რიგით, და ვინც მშობელზე არა ზრუნავს, ბრიყვია იგი. ხოლო მთავარი, სანჩო, გნამდეს, ეგაა მხოლოდ: უანგარობა არის ყოფნის თავი და ბოლო. სიკეთე ჰქენი, ნუ მოითხოვ სანაცვლოდ ქირას, მსგავსნი ვართ ყველა, ვით შაბათი ვერ სჯობნის კვირას, კაცმა კაცს ძნელად რომ აჯობოს, ხომ გესმის ჩემი, რაა ცხოვრება, თუ არ ზღვაში გასული გემი,

მგზავრნი ვართ ყველა, ყველას ერთი გვიჭირავს გეზი, და რომ გგონია, არსად მიხვალ, მაშინ ხარ ფეხზე!

11. ენამასწარა ნუ იქნები, თან მინდა გითხრა, ჯერ გონმა უნდა უპასუხოს წამოჭრილ კითხვას და გული უნდა გაიაროს, შინამო ჩვენი, რომ იწონიდეს ზუსტად იმდენს, რამდენსაც – ენა. არ იშლი, სანჩო, ვერც დაგიშლი (მიმიხვედი ვითომ?), ქვეყნად იმდენი არის „რატომ“, რამდენიც – „მიტომ“, მე რომ შემეძლოს ის გადმოგცე, რაც ჩემში არის (გუბერნატორად გამწესებას დაუდგეს თვალი), აღარ მისცემდი ხელალებით უგუნურ დასტურს და არ არჩევდი რაინდობას ამაო ფაცურს, მიზანს – უწმინდესს, უსპეტაკესს, სიკეთის მოქმედს, ანაცვალედა განა კაცი ქალაღებებს, ოქმებს, მერყევ საბრძანისს, ჭამს რომელსაც ნიადაგ ჩრჩილი... ნუ მოგერევა, გეხვეწები, მცირე ხანს ძილი.

12. ცაში იყავი, ვით გვაუწყე, სულ ერთი ციდა რომ მოგეჩვენა დედამინა შორეულ ციდან, რა ციდად, ლილად მოგეჩვენა, იმგვარად ჩანდა, რა ბედენაა იყო მისი პატრონი, ანდა მთლად უარესი – მისი ერთი ნამცეცა მხარის, თუმცაღა ვიცე, რასაც ვამბობ, წყლის ნაყვა არის, შენ ზომა-წონა რომ არ იცი, ამიტომ ვწუხვარ, ნუ მიწყენ, მაგრამ ხომ გეტყობა, რაოდენს ხუზავ, რომ აღარ გითხრა, ხეთქავ-მეთქი, და უვლი სტომამეს, ჩემზე უკეთესს ვერ იპოვი შენ ვერსად ქომაგს, და გული მტეხავს, თავს რომ გახვევ შენიშვნას ამდენს, თუმც ხატი, რჯული, მართალი ვარ მიწიდან ცამდე. დაფიქრდე იქნებ, იქნებ კიდევ არ იყოს გვიან, და ნუ გაატან შეგონებებს ქარსა და ნიავს... გამომოჩა, სანჩო: ნუ ატარებ წვირიან ფრჩხილებს, სირცხვილი არი, გუბერნატორს ჰკილავდეს ვინმე. ღარიბი ქალი შეინყალე, არ ენდო ლამაზს, მომაპყარ ყური, როგორც შვილმა საკუთარ მამას, მე შენი ცოდვით უფრო ვინც, ვინემდის ჩემით, თუკი მოხდა და წამეტერა როსმე თემს თემი, მშვიდად განსაჯე, აჩქარება არ უყვარს საქმეს, მართალს პატივი მიაგე და მტყუანი დაგმე. ხამს ჩაუღრმავდე საქმეს სწორად, დიდსა და წვრილმანს... მაგრამ ვაი, რომ აღარ მისმენ და კიდევ ხვრინავ!..





თენგიზ სვანიძე გვიან გამოვიდა ლიტერატურულ ასპარეზზე. პროფესიით ინჟინერია და ცხოვრების დიდი ნაწილი სამშენებლო ობიექტებზე გაატარა. ერთი სიტყვით, არაპოეტური საქმით იყო დაკავებული, მაგრამ, როგორც ჩანს, პოეზია ყველგან არის, ყველაფერში და ყველა განზომილებაშია. ბატონმა თენგიზმა აშენებული ტკობაც იცის და ისიც იცის, რომ ბედნიერება შენებაშია. ერთ მშვენიერ დღეს საინჟინრო კონსტრუქციებს სალექსო კონსტრუქციები რომ შეუნაცვლა, მიხვდა, ბედნიერება იქ უნდა ეძებნა, სადაც მუზა იწვევდა. მისი ლექსის დახვეწილ, ფილიგრანულად დამუშავებულ ფორმას თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება პოეტურ შემოქმედებას. პოეტური მასტერკლასი შოთა ნიშნიანიძესთან გაიარა, მისგან ისწავლა ბევრი რამ, მასთან მეგობრობასა და შემოქმედებით ურთიერთობაში აღმოაჩინა თავისი თავი და თავისი ხელწერა. ახლა იგი ორივე ფეხით მყარად დგას პოეტურ მიწაზე და რაც აქვს, თავისი აქვს — მოტივები, თემები, განწყობილებანი.

თენგიზ სვანიძე

ირიჟრაჟა, ზეცა გადაინმინდა,
სხვა სიცოცხლე ამოენთო მინიდან.

მიბრუნება ნარსულში

ვერ მოვუხერხე ვერაფერი ფიქრებს უსიერს,
გულს უსაშველო — ეს რა დარდი შემოუსიე!

მაინც მოგძებნი, დამაყარე თვალთა ისრები,
იქნებ და სჯობდეს, შენგან დროზე თუ მოვისრები.

გულმა შემოსვლა შენს ქარ-ცეცხლში არ დაიშალა,
სულზე ნაწერი ჩავლილ დრომაც ვერ წამიშალა.

ეჰ, შენ რა გიჭირს — ისეც პირბადრს მზე გელერება,
შენგან გარიყულს ვინ, ვინ მეტყვის, რა მეშველება!

გული მტკივა, — რა დილა და რა ღამე, —
სანამებლად ამირჩიე რალა მე!

ზოგმა გზები რა იოლად გათვალა,
ჩემი სვე კი ვინ ეშმაკმა გათვალა?

შენი სიტყვა გავიხსენო რომელი,
როგორ მინდა, დავიჯერო, რო მელი!

ასე მერგო, მარტოდმარტოს მეარა,
რადგან, კარგო, სულ სხვა გიყვარს, მე — არა!

ელვის თოკებით სატანჯველად ამ გულს მოები,
კვლავ გამიცოცხლე გადავლილი საღამოები.

შენ მომივლინე, სულის ერთავ, ცრემლთა მორევი,
მაგრამ სიყვარულს მაინც ჩემსას ვერ მოერევი!

მონყანა

მარტო ხარ, მარტო, არ გყავს გამტანი,
ვის უნდა შენი გული მართალი?..
სივრცეს აყრუებს ყვავთა ყრანტალი, —
თავს დაგვადგება მალე ზამთარი.

უჭკუო და ჭკვიანი

სიბრძნეა ყველა კაცისათვის თოფ-იარაღი,
შუქი ციური-მადლი ღვთისა — გულზე ჰფენია...
უჭკუოსათვის ეს ცხოვრება ჩირად არა ღირს.
ჭკვიანისათვის — არაფერიც ყველაფერია!

გეზსა და სურვილს უფლისმიერს ვერვინ აღკვეთავს,
ვინ ჩააღამოს ცა — სხივებით შენამოსარი?..
უჭკუოსათვის არ არსებობს სასონარკვეთა
და უეცარი სიხარულიც მისგან შორს არი!

ვინც ვერ პოულობს, ნუთისოფელს ფუჭად ისა თვლის,
გულს ჰპოვებს სიტყვა (ჭეშმარიტად!), თუკი წრფელია...
...ყველა სიმაღლე საშიშია ჭკვიანისათვის,
უჭკუოსათვის ყველაფერი — არაფერია!

ენაცვლებიან ფერები ფერებს,
ერკინებიან დროს ცივს და უძლევეს...
მაინც სიკვდილი მოგვძებნის მერე
და მოშლის ჩვენი სიცოცხლის ფუძეს.

დედის ხალაბი

გუშინდელივით გახსოვს ყრმობა,
მოხუცი უკვე
და მაინც, მაინც თავი ისევ
ბავშვი გგონია...
თანდათანობით
დედისაკენ გზას იკვლევ უკვლევს, —
უნდა დამთავრდეს
მონატრების ეს აგონიაც.
ჩემი ბავშვობა ფენშიშველა
ველად ისევ რბის, —
აღვევლინები უფლისადმი
ლოცვა-ვედრებად...
ქვეყნად რამდენი ვინმე დადის

* * *
ღამის ცაზე მთვარე ამოდაირდა,
რომ ვერ გხედავ, აღარა ვარ დარდითა.

გულით მზისებრით,
მაგრამ დედის გულს
ვერაფერი ვერ შეედრება!
ტკბილ მოგონებებს
ზოგჯერ თვალი აეხილება, —
სამოთხის ბაღად გადიქცევა
გულის საკანი...
...ნეტავი წუთით დამასიზმრა
დედის ხელები —
სულ პანანინა თენგულიას
თბილი აკვანი.

უიგალო ლოდინი

დღე იყო ზაფხულის, გელოდი შადრევანთან,
მზე ღიმილს ხარჯავდა
ზღვისპირზე რონინში...
ენტო ცისარტყელა — ციური შედევერი!
წუთები ინვოდნენ შეხვედრის ლოდინში.
ფოთლები მაგნოლიის თრთოდნენ, ვით სიმები,
ზღვა სულაც არ ჩანდა
უნდო და გულგრილი...
ქუჩა განბანილი შხაპუნა წვიმებით,
მზეზე ლაპლაპებდა ვეშაპის ზურგივით.

გელოდი შადრევანთან.

ჰამაკაცოზ

მახსოვს სიკვდილისგან თუმცა წყენაც, —
ყბაში ერთი-ორჯერ მაგრად მხია...
მერე ისევ ფეხზე დამაყენა,
ხელიც მეგობრულად გადამხვია.

გულიდან სათქმელმა ამოხეთქა, —
ეძმაკაცობ სიკვდილთან, ამ ოხერთან!

დროს მოყოლილი ფიქრები

სულაც არ არი,
ჩვენ რომ გვეგონია, ანტი, —
ჰარიჰარალით
მიდის დღეები მარტის.

გადიჯირგალა
დრომ მთა-მინდვრები წყენით...
კვლავაც გრიგალად
მოვლენ უცნობი დღენი.

ისე, ნერგია
სიტყვა-ვერთქმული სიბრძნე...
ის ენერგია,
რაც გვწამს, სიყვარულს იძენს!

ალი-კვალია
ყველა პოეტის ხვედრი...
მტკივა ძალიან
გული, უფალო, გვედრი,

რომ ამაცილო
მინას — გიჟთ ჰარამხანას...
ამდენ მაცილებს
უდგათ ზეობის ხანა!

მორჩა ზაფხული
ფერად წუთების მიძივით...
მორარდახული
მოჩანს ურმების მწკრივი.

...განაცრისფერდა
ცა, — ვარსკვლავები არ ჩანს, —
ცაზე მთის ფერდი
იფენს ნისლების ფარჩას.

ვარ დამარხული —
მინის სამარე ცივი...
დარდით დახრული
წუთი წარსულის წივის.

მადგას ცა მრეში,
ვისმენ ჭოტების კივილს...
გულის არეში
ვერძნობ განუწყვეტელ ტკივილს.

ვინ წერს სამართალს? —
თვლებს ცრემლები ალტობს...
დრომ რაც წამართვა,
მხოლოდ მე ვიცი მარტო!

რია-რია

შენზე ფიქრში დავანთებ
ფიჭის ნაჭერს ანუ კვარს...
მაინც გავძლებ სანამდე? —
გნატრობ მუდამ სანუკვარს!
კვლავ წავაგებ ამ ერთ ხელს, —
ნარდს ვთამაშობ არც ისე...
მაკოცნიე ამ ერთხელ, —
შენ ხარ ჩემი ნარცისი!
ჩემს სტრიქონებს აცხია
მზის ცრემლთა მანანები...
ულვთოს და ხელმარცხიანს
მე ვერ დავემგვანები!
ვინ მიწოდოს მე უნდო?
არ მხიბლავდეს ია რად?...
წყენა ყველას შევუნდე, —
ასე ვნამლობ იარას!
სავსე სოფლის ვალებით
კვალში მივდეგ მზის სავალს,
წავალ, დაგემალეებით,
„მინისა ვარ, ცისა ვარ!“



შოთა ბოსტანაშვილის პოეტურ-სემიოტიკური ნარატივის სპეციფიკა თვალდათვალ გამოიკვეთა. აქ სიტყვა არის შეგემონი. ყველაფერი სიტყვაში იწყება და სიტყვაში მთავრდება. სიტყვა ბობოქრობს, სიტყვა დულს, სიტყვა ებრძვის თავის თავს, თავის შინაარსს; სიტყვა ბატონობს ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობაზე; სიტყვა აუქმებს ყველა საზღვარს.

სიტყვა აუქმებს ავტორს.

სიტყვა — აბსოლუტური მმართველი!

სემანტიკური ესთეტიკის თვალსაზრისით, ბევრი რამ ხდება შოთა ბოსტანაშვილის ლექსში, რომელიც იდეალიზმისა და პრაქტიკის ზღვარზე „მუშაობს“. სიტყვის შიგნით ნარმოიშობა ახალი სინტაქსი, ახალი სააზროვნო ორიენტაციები, რაც განსხვავებულ მიდგომას გულისხმობს და ამ მიდგომაში, ჩვენი აზრით, მთავარია ინტელექტი, ინტელექტის მუშაობა იმ რიტმში, რა რიტმითაც სიტყვა თამაშობს.

იდეალიზმს თუკი სადმე აქვს გამართლება, პოეზიაში აქვს. შოთა ბოსტანაშვილმა ეს კარგად იცის და ამიტომაც მეტაფიზიკური შემეცნებითი სისტემებით „აიარაღებს“ ლექსს, როგორც სიტყვას და როგორც ქმნადობის უწყვეტ პროცესს, რომელშიც არის ყველაფერი — ნიშანიც, შინაარსიც, სტრუქტურაც, ინფორმაცია — მაგრამ არ არის ავტორი, რადგან სიტყვა, როგორც ითქვა, აუქმებს ავტორს.

მეგობრებო!
მე კობრებმა —
მეკობრებმა
წამართვეს ვარცლი,
არც კი მაცალეს დაფრთიანება,
მართვე ვიყავი,
როცა წამართვეს მე კარაფითა;
არაფრით არ დამანებეს
პატარა გემი ჩემი.

ჩემი ნუშა.

ზღვამ გამომრიცა
...და მივკუნძულდი...

სად არი ჩემი სანდალი,
ანდა სად არი მისი ბადალი,
მისი სადარი სად არი?!..

ხომ არ ვხადილობ ხომალდი მეთქი,
ანდა დრომონი “უდიდეს ყო(ვ)ელთა”,
არც საომარი სტოლი,
არც ოჩხომელი,
ოლეჭკანდერი,
კოპანო,
კარაბა,
კარჭაბა,
ანდა კატარლა
რალა ვთქვა აბა?
(კარგია საბა).

ნარნარებდა და ნარა დავარქვი,
ტივი ხომ იყო ბოლოსდაბოლოს,
პატარა ნარა,

ჩემი ნარა/ტივი...

კარგით, ასე ვთქვათ,
რომ უფრო — ნავი,
ჯერ უფრინავი.

.....
დიახ,
იმ ნავით უნდა მეფრინა,
უნდა მეარა,
მარტო მე არა —
ჩემიანებსაც.

უნდა მეცურა,
(ანდა მეც “ურა” მეხივლა)
უნდა მეხილა არემარე და...
გზა ამერია.
ამიერიდან

რიდი არა მაქვს,
დავკარგე შიში...

იმასაც ვიტყვი მერე რა მოხდა:
დრო იყო აუუ!..
ავი ავდარი,
არადა?.,

ის იყო დამთავრდა ომი
და ახლა შიში —
ახალი შიში
მიშიშინებდა მშვიდობის ტყეში;
მისი შენობა — ბინა, თუ „შინა“
დაგვიანაწილდა,
ალმოწინა ჩვენში;
ჩვენ დაგვემართა ის ავი სენი,
ან საბას ენით:

ჩვენი გვემაა
და ჩვენი გვამი
სინოხი და კატარაკატა —
“მღვიმესავით შესაწყდომელი”;
იქ შეყუჟულა პატარა კატა,
იქიდან კნავის...
(ნავის ამბავი უკვე გითხარით)

ღმუილი ისმის...
ის, მის წიაღში ცხოვრობს ცხოველი;
ის, მის წიაღში იშლება ველი;
ის, მის წიაღში ჩაღდება ომი;

სსისინი ისმის...
ის, მის წიაღში ბუდობს ქვემძრომი;
ჩხავის ყვავი და
დათვი ღრიალებს;
კობრაც ვიცანი,
ვიცი ვინც არი,
მოკეთებულა გენაცვალე
და ფერნაცვალი
ა, მისსსრიალებს...

შოთა ბოსტანაშვილი ნარა/ტივი

მარიანო ხოსე დე ლარა

ლიტერატურა

(ჩვენი ლიტერატურის ისტორიისა და თავისებურების მოკლე მიმოხილვა. მისი დღევანდელი მდგომარეობა. მისი მომავალი. ჩვენი თვალსაზრისი)

პოლიტიკა, ჩვენი დროის ეს უმთავრესი და უპირველესი თემა, ლამის მთლიანად ავსებს ჩვენი გაზეთების ფურცლებს, ოღონდ კი აამოს ცნობისმოყვარე საზოგადოებას, მაშინ, როცა ლიტერატურას ვერა და ვერ ეღიროსა სულ მცირე ადგილი, სულ მცირე ადგილიც კი, რაც წესით და კანონით ეკუთვნის. მაგრამ ჩვენ ჯერ არ დაგვეწყვიტოთ, რომ სწორედ ლიტერატურაა ქვეყნისა და ხალხის კულტურული დონის მაჩვენებელი და ნამდვილი თერმომეტრი; მითუმეტეს, რომ ჩვენ იმართიცხვს არ ვეკუთვებით, ვინც, უცხოელთა ფეხის ხმას აყოლილები, გაიძახიან: ჩვენი „ოქროს საუკუნის“ დასრულებასთან ერთად ესპანეთში ნატიფი სიტყვიერების სიყვარულიც ჩაქრაო; არამც და არამც, ჩვენ ლიტერატურას თავისი აყვავების ხანაშიც ჰქონდა მეტად თავისებური ხასიათი, რაც დროის შესატყვისად ან უნდა გარდაქმნილიყო, ან არადა სიკვდილის განაჩენი გამოეტანა თავისი თავისთვის, თუკი არ გადახალისდებოდა და იმ ახალ ფილოსოფიურ სულს არ ეზიარებოდა, რაც უკვე გამოისახა ევროპის ჰორიზონტზე. ჩვენი ლიტერატურა ხომ არაბებისგან მიღებული ორიენტალიზმით იყო გაჯერებული და რელიგიური მეტაფიზიკით გვარიანად გამსჭვალული. დარწმუნებით შეიძლება ითქვას ისიც, რომ უფრო ბრწყინვალეობით გამოირჩეოდა, ვიდრე საფუძვლიანობით, უფრო პოეტური იყო, ვიდრე კონკრეტული. იმ ხანებში ჩვენ მწერლობას დიდი გასაქანი არც გააჩნდა, ერთ ვინრო წრეში იყო ჩაკეტილი, არც ის უნდა დაგვევიწყდეს, რომ ენაც არ ყოფილა ჩამოყალიბებული; სწორედ ამ დროს გაჩნდა იდეა თავისი არსით რელიგიური, შედეგებით კი პოლიტიკური; ხოლო თუ ამ იდეამ სხვა ქვეყნებსა და ხალხებში კვლევა-ძიების სული გააღვიძა, ესპანეთში ითრგუნებოდა და იღვენებოდა, ამდენად ჩვენთვის ეს გახდა ნეც პლუს ულტრა — ამის მიღმა არაფერი არ არის, — რამაც ჩაგვავდო უძრავობის მდგომარეობაში და გაგვნირა უმოქმედო არსებობისთვის. რეფორმაციამ ახალი გზები დაუსახა გერმანიისა და ინგლისის ხალხს, მათაც დიდი სასოებით აიტაცეს, მაგრამ თუ საფრანგეთში დიდად ვერ იზეიმა, საკმაო გავლენა მაინც მოახდინა, რომ ბრმა ფანატიზმის გზებზე გაენელებინა თუ შეერბილებინა; ხოლო იმ ადამიანებმა, ვინც გაბედა მასთან შებრძოლება, სულერთია, მაინც ვერ შეძლო თავის ნებაზე მიეშვა რელიგიური რეაქცია, რაკი შიშობდნენ რელიგიური მჭვრეტელობის აღკვეთა ხალხს ნააქეზებდა სხვა გზას დასადგომოდნენ, მით უფრო, რომ ამ გზას უკვე ხედავდნენ კიდევ. ამ ვითარებამ წარმოშვა შემწყნარებლობაც და კანონმდებლებიც იძულებული გახდნენ გამოეყენებინათ ეს ხერხი როგორც რელიგიაში, ისე პოლიტიკაში; საფრანგეთშიც ამან შეუმზადა ნიადაგი მწერალ-ფილოსოფოსთა ეპოქას, როცა მათ გონებაში ჩაავდო რევოლუციის პირველი თესლი, თუმცა კი სისხლიანი რევოლუციი-

სა, რამეთუ ამ აზრს ნერგავდნენ არა შეგონებითა და რწმენით, არამედ ძალადობით. ესპანეთი სხვებზე გაცილებით შორს აღმოჩნდა ახალ იდეათა კერისგან; მაშინ, როცა ეს იდეები სხვა ქვეყნებში კარგა ხანია მოძველდა, მისთვის სულ ახალი იყო, რამეთუ მრავალი წლის მუსლიმანური უღლისგან სულ ცოტა ხნის წინათ თავისუფლებულებს ისევ კათოლიციზმი ესახებოდათ თავიანთ მხსნელ პალადიუმად. ესეც არ იყოს, შეიდასი წლის მანძილზე



გამუდმებულმა ომებმა და რელიგიურმა შეხლა-შემოხლამ მეტისმეტად ფანატიკოსებად აქცია ისინი; ამის მერე გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ რეფორმაციული მგზნებარება სულ ოდნავ შეეხო მის ხალხს, რადგან მათ შინაური შუღლი და მტრობა უფრო ადარდებდათ, ვიდრე საერთო-სახალხო მოძრაობა, რასაც ისინი ადრედაწვე ჩამოაშორა ქვეყნისმიდა საზრუნავმა. არადა პირიქითაც კი მოხდა, სწორედ ჩვენთან ეძებდნენ თავშესაფარს ისინი, ვინც საკუთარ ქვეყანაში განიცადა მარცხი; აქეთ მოეშურებოდნენ ადამიანები, რომელთაც რეფორმაციამ ხელიდან გამოაცალა იარაღი თავიანთ სამშობლოში, ჩვენთან მოინდომეს აღემართათ ციხე-სიმაგრეები რეფორმაციის შემოჭრისგან დასაცავად, მაგრამ რელიგიური დევნა, რასაც თან ახლდა კალონიზატორული და სამოციქულო გზებზე გვიბიძგებდა ახალ სამყაროთა აღმოჩენისკენ, რომ მიგვენდო ზეცისთვის, ამან კი კარგა ხნით ჩაკლა ჩვენში პროგრესის ყოველგვარი იმედი. ჩვენ მაინც მოვძებნეთ რაღაც გამართლება; დამპყრობელი ერის სახელი, ჩვენი პოეზია ჩვენთვის ასე თუ ისე მაინც ამსუბუქებდა იმ ბორკილების სიმძიმეს, რაც ამდენ დამონებულ ხალხებს დაეადეთ, რომლებიც ჩვენთვის გადაიქცნენ ოქროდ, ჩვენს მიერ მოპოვებული მეტალის საბადოდ. ანდა რა გასაკვირია, თუ ძველმა ესპანეთმა თავისი შინაგანი თავისუფლება გადაცვალა თავის საზღვრებს მიღმა სამფლობელოებზე მაშინ, როცა სულ ცოტა ხნის წინათ შეიძლებოდა გვეხილა დიდი ერი, გაცილებით დანინაურებული, ერი, რომელმაც თითქოს სამუდამოდ მოიშორა ყოველგვარი ტირანია, თუნდაც სისხლიანი რევოლუციის ფასად, კიდევ გავიმეორებ, თუკი ჩვენ დავინახეთ როგორ დაადგა გვირგვინი ახალ ტირანს, რომელსაც საკმარისი იყო ერთი ხელით გვირგვინი დაედა თავზე და მეორეთი ყველაზე შმაგი რესპუბლიკელებისთვის შეეთავაზებინა დღემოკლე დაფნის რტოები და ასევე დღემოკლე მონაპოვარი თუ ყალბი ოქრო.

ესპანეთში ადგილობრივმა მიზეზებმა შეწყვიტა ინტელექტუალური წინსვლა, რამაც თავისთავად გამოიწვია ლიტერატურის განვითარების შეფერხებაც. ეროვნული თავისუფლების დაკარგვას ჯერ რელიგიური ტირანია მოჰყვა, მერე პოლიტიკური, და თუ საუკუნის მანძილზე მაინც ვინარჩუნებდით ლიტერატურულ პირველობას, ეს უფრო ადრე მიღებული ბიძგის ბუნებრივი შედეგი იყო, თუმცა თვით ლიტერატურამ ვერც შემეცნებითი ხასიათი შეიძინა

და ვერც ფილოსოფიური, ანუ ვერც სასარგებლო გახდა და ვერც მონივნავე, რამეთუ უფრო წარმოსახვას მიენდო, უფრო პოეზიას გაუხსნა ფართო გზა, ვიდრე პროზას, ასე რომ, „ოქროს საუკუნის“ საზღვრებშიც კი მოაზროვნე მწერალთა საკმაოდ შეზღუდულ რიცხვს თუ დავასახელებდით.

ჩვენ რომ გვერდი აგვევლო მისტიკური ნაწარებისთვის, საღვთისმეტყველო თუ თავსატეხი მორალურ-მეტაფიზიკური ტრაქტატებისთვის — რაც ალბათ მთელი „ძველი მწერლობის ბიბლიოთეკას“ შეადგენდა და გაცილებით სრულსაც, ვიდრე სხვა სახის ლიტერატურა — მოგვენდომებინა პროზაიკოსთა დასახელება, ისევე ისტორიის სფეროში უნდა დაგვეწყოს ძებნა. სოლისმა, მარიანამ და კიდევ ზოგიერთმა სხვაგვარად შეძლეს ტაციტუსისა და სვეტონიუსის მუზა დიდებით შეემოსათ, მაგრამ ნურც ის დაგვაინყებდა, რომ ამ მწერლებმა უფრო ენის სფეროში გამოიჩინეს თავი, ვიდრე თავიანთი დროის მოვლენების ახსნა-განმარტების საქმეში; ისინი ერთი ნაბიჯითაც არ წასულან წინ, როცა ზღაპრებსა და ლეგენდებს განიხილავდნენ რეალურ პოლიტიკურ ძალებად; ისინი გაცილებით მეტს ზრუნავდნენ საკუთარი ნიჭის გამოვლენაზე დახვეწილი სტილის სფეროში, ვიდრე მოვლენათა წარმმართველი ძალების აღმოჩენაზე, რაზეც მართებდათ კიდევ მოეთხოვრათ. მათი თხზულებანი უფრო ცალკეულ ნაწყვეტ-ნაწყვეტ მასალებს, სხვადასხვა დროს საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების კრებულს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე სამეცნიერო სახის ისტორიას. რაკი იმის უნარი არ ჰქონდათ ერთმანეთისგან განესხვავებინათ ქრონიკა და ისტორია, ისტორია და რომანი, მარტო ის შეძლეს, რომ მრავალი ტომი შეერსოთ, მაგრამ ერთი წიგნიც კი ვერ დაწერეს.

რომანი, ცარიელი ფანტაზიის ეს ნაყოფი, ჩვენ ლიტერატურაში უფრო სრულადაა წარმოჩენილი, თანაც იმ დროს, როცა ეს ჟანრი ჯერ კიდევ უცხო იყო მთელი დანარჩენი ევროპისთვის; აკი რაინდული რომანებიც პირენეის ნახევარკუნძულზე დაიბადა. ამ სფეროდან ზოგიერთი გამორჩეული მწერალიც შეიძლება დავასახელოთ, მაგრამ არც მათი რიცხვი იქნება საკმარისი. იმასაც ვიტყვოდი, რომ მარტო ერთი ჩვენი „მახვილგონიერი იდალგოც“ — ადამიანური გენიის ეს მწვერვალიც საკმარისი იქნებოდა, — თუნდაც სხვა მისი ბადალი არც გვეყოლოდა, — რომ დაფნის გვირგვინი ებოძებინათ ჩვენთვის. თუმცა არ უნდა დაგვაინყდეს, რომ არც რომანის ეპოქა ყოფილა ხანგრძლივი, ხოლო კვევდოს შემდეგ პროზა კვლავ დაინყებას მიეცა; მაგრამ მერე გამოჩნდა რჩეულთა ერთი ჯგუფი, რომელმაც სცადა ლიტერატურული სამყაროსთვის შეეხსენებინა, რომ ესპანელებს კვლავაც შეეძლოთ მოეხდინათ სასწაული როგორც ენის, ისე რომანის სფეროში. ამის მერე ლიტერატურა ერთხანს თეატრს მიეკედლა, ოღონდ არა იმისთვის, რომ პროგრესული იდეები ექადაგა; თუმცა ფეხის მოკიდებაც ვერ მოასწრო, რომ უკვე გადაგვარდა კიდევ.

გასული საუკუნის მინურულს ის-ის იყო კვლავ გამოკრთა იმედის ნაპერწკალი, ალორძინების ერთგვარი მინიშნება და ეგებ კიდევ გაღვივებულიყო, რომ არა პოლიტიკური მღელვარება, როცა იძულებული გახდნენ ფეხით გაეთელათ ის თესლი, ჯერ კიდევ კარლოს III-ს დროს, ბედნიერ წლებში რომ ჩააგდეს. რაკი ერთი ბიძგი მიეცა და თითქოს შედეგიც, ბუნებრივია, უნდა მოჰყოლოდა; ევროპაში საკმაოდ ხანგრძლივმა მშვიდობამ, იმ გარინდებამ და მონურმა

მდგომარეობამ, ხალხი რომ შეიპყრო, ტირანების შიში გაანელა, თუმცა კი უფრო გამჭრიახი გონების ადამიანები უკვე გრძობდნენ ქარიშხლის მომასწავებელ ყრუ გუგუნს, ცხადი იყო, რომ აფეთქება უნდა მომხდარიყო, ოღონდ არა ესპანეთში. ჩვენში ისეთი განწყობილება სუფევდა, როცა ბოლოს აფეთქება მართლაც მოხდა, ესპანეთის ხელისუფლებას შიშის არანაირი ნიშანი არ გამოუმჟღავნებია რევოლუციის გადამდები სენის წინაშე; პირიქითაც კი, თვითონვე აღმოჩნდა ახალი იდეების გავრცელების ერთ-ერთი წყარო, რაკი მხარი დაუჭირა ამერიკის პირველი კოლონიების ამბოხებას მეტროპოლიისაგან გაათავისუფლების მიზნით. ამგვარად გასული საუკუნის მინურულს ესპანეთში გამოჩნდა ახალგაზრდობა უკვე აღარც ისეთი აპათიური, არამედ უფრო შემართული და მონადინებული, რომ მეცნიერებას ზიარებოდა, ვიდრე მისი წინა თაობა; მაგრამ ერთია, ამ თაობას მაინც წარსულისკენ ჰქონდა მიპყრობილი მზერა, ისევე წარსულში ეძებდა მაგალითსა და მასწავლებლებს, ისევე თავიანთი წინაპრების იმედი ჰქონდა, მაგრამ იქაც სიცარიელე დაინახა და სასონარკვეთილებამ შეიპყრო, რადგან შეეშინდა, რომ განყვეტილ ძაფებს ველარ გადააბამდა, ველარ გააგრძელებდა მოძრაობას, ორი საუკუნის წინ რომ ჩაკვდა; და რაკი უკეთესი გზა ვერ დაინახა ამ უფსკრულის ამოსავსებად, ისევე გადახტომა გადაწყვიტა, ეგებ ასე უფრო ადვილად მიახლოებოდა მეზობელი ქვეყნის მოძრაობას, აეთვისებინა მათი იდეები. და სწორედ მაშინ მოხდა მეტად იშვიათი რამ ხალხთა ისტორიაში. ჩვენთვისვე მოულოდნელად აღმოვჩნდით იმ გზის ბოლოში, რაც თავიდან არ გავგვევლო.

აიალამ, ლუსანმა, უერტამ, მორატინ-მამამ, მელენდეს ვალდესმა, ხოველიანოსმა, სენფუეგოსმა და სხვებმა რა თქმა უნდა გააცოცხლეს ჩვენი ფატიფი ლიტერატურა, მაგრამ როგორ? მათ ჩვენს XVIII საუკუნეში შემოიტანეს ფრანგული გემოვნება, ისევე როგორც XVI საუკუნეში ზოგიერთები ავრცელებდნენ იტალიურს; ისინი ხდებოდნენ მიმბაძველები ისე, რომ ვერც ხვდებოდნენ, თუმცა შეიძლება ხშირად კიდევ მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ანალიზისა და ფრანგული ფილოსოფიის სულმა და აზრმა უდავოდ მოახდინა გავლენა ჩვენ ლიტერატურულ ალორძინებაზე; მისმა წარმომადგენლებმა, რომლებიც თავიანთ თავს მაინც დამოუკიდებლად მიიჩნევდნენ, მოინდომეს ჩვენი ძველ-თამბუკი წამსხვრევებიდან სტილისტიკა მაინც გადაერჩინათ; ანუ თუკი XVIII საუკუნის ფრანგულ იდეებს აითვისებდნენ, ჩვენი XVI საუკუნის ენაზე გამოხატავდნენ. რაკი თავი პურისტებად წარმოიდგინეს, თვითმყოფობაც დაიჩემეს... მერე კი პოეზიაში აღმოვჩინეთ ჩვენი ნეტარი წლების პოეტიკაც — გადარჩენილი და შემონახული; ასე რომ, მოგვეჩვენა თითქოს კვლავ ვუსმენდით ერერასა და რიოხას ლირას; ხოლო პროზაში დანაშაულად გამოაცხადეს ყოველგვარი სიახლე სერვანტესის ენაში; ირიარტემ, კადალსომ და სხვებმა გადაჭრით გამოაცხადეს თავიანთი თავი პურისტებად და ყოველგვარ სიახლეს სატირის ისრებს ესროდნენ, მაშინ, როცა მელენდესი, ხოველიანოსი, უერტა და მორატინი იმავე თვალსაზრისს იცავდნენ, ოღონდ საკუთარი შემოქმედების მაგალითით.

ამ შემთხვევაში ალბათ ურიგო არ იქნებოდა ერთი არსებითი შენიშვნა გამოგვეთქვა. ადრე უკვე ვთქვით, რომ ლიტერატურა არის ეროვნული პროგრესის მაჩვენებელი, და რომ სიტყვა, ზეპირი იქნება თუ წერილობითი, უნდა

იყოს იდეის გამომხატველი, ანუ პროგრესისა. ამდენად, წინსვლა იდეოლოგიის, მეტაფიზიკის, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა თუ პოლიტიკის სფეროში ნიშნავს ძველი იდეების გამდიდრებას ახლით, ძველი დებულებებისა — დღევანდელით, ადრინდელი ანალოგიებისა — თანამედროვეობის ენით; ამასთან, იმის დაჩემება, რომ ენას არაფერი შეეხო, როცა სწორედ ენა უნდა გახდეს პროგრესის გამომხატველი, ეს ნიშნავს, რომ საბოლოოდ დავკარგოთ თავი, დაე გვაპატიონ ბატონმა პურისტებმა. მეტად კი ალარ ჩავუღრმავდები ამ საკითხს, მაგრამ დიდი სურვილი მექნებოდა, თვით სერვანტესისთვის შემეხედა, ჩვენ დროში საგაზეთო სტატია რომ დაეკლებინათ, როგორ დაწერდა პირდაპირი არჩევნების, სამინისტროების პასუხისმგებლობის, კრედიტების, ბირჟაზე თამაშისა და სხვა ამისთანა რამეებს, და მერე მენახა, რა ენით დაწერდა. დაე ნურავინ დაგვიწყებს მტკიცებას, ჩვენი უპირველესი გენიოსი არასოდეს დაიმდაბლებდა თავს და ამისთანა წვრილმანებს ახლოსაც არ გაეკარებოდაო; თუმცა ჩვენი ახლანდელი ცხოვრება სწორედ ასეთ წვრილმანებად და დაყვანილი, ისევე როგორც ძველ დროში ხმლისა და მოსასხამის კომედიების დონეზე იყო. ასე რომ, თვით სერვანტესი, რომელიც ფულის გულისთვის წერდა ამგვარ კომედიებს იმ დროს, როცა მარტო ხმლისა და მოსასხამის კომედიები იწერებოდა, ალბათ ჩვენ დროშიც უთუოდ დაწერდა სტატიებსაც გაზეთისთვის, როცა საგაზეთო სტატიების მეტს არც არაფერს წერენ. ხოლო რაც შეეხება პურისტებს, დიდი-დიდი მოეთხოვათ პატივისცემა, აღწუსება და თანმიმდევრობა შესაძლებლის საზღვრებში, წყობა, წარმომავლობა, წყარო და ენის ნესები ახალი სიტყვების ათვისებასა, ბრუნვასა და კონსტრუქციების დაცვასთან ერთად.

თუმცა ეს ჭეშმარიტებანი მაინც არ იქნებოდა გასაგები ჩვენი ლიტერატურული აღორძინების მამებისთვის: უფრო იმას მოისურვებდნენ, რომ უცხო ქვეყნების, მათთვის უცხო, იდეები კი აეთვისებინათ, ოღონდ საკუთარი ენის სამოსში გამოეწყოთ; მაგრამ ენა ხომ ქრისტეს პერანგი არ არის, წლებისა და პროგრესის შესაბამისად დაგრძელდეს; ძველი დროისთვის მართლაც უმაღლო, მდიდარი ენა ახალ მოთხოვნილებათათვის ღარიბი აღმოჩნდა; ერთი სიტყვით, ხიფთანი ძალიან ვიწრო გამოდგა იმისთვის, ვისთვისაც სურდათ მოერეოთ. წარმოიდგინეთ, რომ ეს გახდა ერთ-ერთი დაბრკოლება, რამაც ხელი შეუშალა ჩვენ მწერლებს უფრო ღრმად ჩაეხედათ საუკუნის სულში. ამას მოწმობს ის ბრალდებაც, რაც სიენფუეგოს წაუყენეს ენის არასაკმარისი პატივისცემისთვის. ანდა რა გასაკვირია, თუ ჩვენ შორის პირველი სიენფუეგოსი აღმოჩნდა, ვისაც მოუხდა ბრძოლა საკუთარ იარაღთან, კალამთან, ბრაზისა და უილაჯობის შეტევის დროს ათასჯერ მაინც რომ დაამტვრია. ხოლო თუ ჩვენი მოსაზრებანი დიდად ვერ დაგარწმუნებდათ, მაშინ ეგებ უფრო დამაჯერებლად მოგეჩვენოთ იმ ხალხის მაგალითი, ვისთვისაც იძულებული გავხდით მოგვებადა. იმ დროს, როცა ჩვენი ენა უძრავად იყო გაჩერებული, ისინი თავიანთ ენას სრულიად სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებით ამდიდრებდნენ და თან არც კი ეკითხებოდნენ „სადაური ხარ“, ან რისთვის და რაში გამოგვადგებიო. თან არც ის ავიწყებოდათ, რომ იმ დროს, როცა სხვები მიდიოდნენ, ერთ ადგილზე გაჩერება მარტო გაჩერებას კი არ ნიშნავდა, არამედ ჩამორჩენასაც და სივრცის დაკარგვასაც.

ამ და სხვა მიზეზებთან ერთად, რამაც არანაკლები დაბრკოლება შეუქმნა ჩვენ დანინაურებას, კიდევ სხვაც იყო; საქმე ის არის, იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც აითვისეს ფრანგული გემოვნება და ჩვენში ახალი ლიტერატურაც შემოიტანეს, ძალზე მცირე გახლდათ; ეს იყო ერთგვარი მზვერავ-მაციებელთა პატარა ჯგუფი, რომელიც გამოირჩეოდა ჯერ ისევე გვარიანად ჩამორჩენილი მასიდან, დიასხ, ჩამორჩენილი როგორც ლიტერატურაში, ისე პოლიტიკაში. სულაც არ გვინდა უმაღურებად მიგვიჩინონ. პირიქით, მადლიერები ხომ ვართ, მაგრამ ამავე დროს დიდად დავალეზუნინიც; მაგრამ უნინ იმას ვისურვებდით, რომ უფრო ფართო პერსპექტივები დაგვესახა ჩვენი ახალგაზრდა ესპანეთისთვის, რათა მეტი შესაძლებლობა ჰქონოდა თავისი კუთვნილი ადგილი მოეპოვებინათ ეროვნული ლიტერატურისთვის ევროპულ ლიტერატურებს შორის.

ამ მოკლე მიმოხილვაში მიზნად არ დავვისახავს სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა ჩვენი წინამორბედი თაობის ნიჭი და უნარი; ეს ძნელიც იქნებოდა და უსარგებლოც ჩვენი ჩანაფიქრისთვის, ხოლო მათთვის, ვინც დღესაც იღვწის, საკმაოდ უსიამოვნოც. მას შემდეგ, რაც მავანმა და მავანმა ვერ შეძლო ესპანეთის სახელის გავრცობა-განდიდება, ყოველ შემთხვევაში ფრანგული ლიტერატურა მაინც შემოიტანა და გაგვაცნო; ხოლო მას შემდეგ, რაც მათ ქედი მოგვადრეკინეს ლუი XIV-ის დიდებული და განონასწორებული საუკუნის ლიტერატურული კანონმდებლების წინაშე, პოლიტიკურმა მღელვარებამ შეაჩერა ის-ის იყო დაწყებული გარდატეხა, რასაც ჩვენ სასიკეთოსაც კი ვუნდობდით, რამეთუ არჩევანი არ გვექონდა.

იმ დროიდან მოყოლებული დღევანდლამდე, არც ისე ცოტად დრო გავიდა, ჩვენ კი მაინც ვერ გავერკვიეთ შექმნილ ვითარებაში და ვერც ის გავიგეთ, ბოლოს და ბოლოს ჩვენი საკუთარი ლიტერატურა გვექნებოდა თუ ისევე ისე დავრჩებოდით გასული საუკუნის ფრანგული კლასიკური ლიტერატურის დანამატად. დღესაც თითქმის იმავე მდგომარეობაში ვართ როგორც პოეზიაში, ისე პროზაში, და მზად ვართ მივიღოთ ყველაფერი, რაც ჩვენი, საკუთარი არ გავგანჩია. ამჟამად საკმაოდ გამოჩნდა ცოდნასმონყურებული ახალგაზრდობა, მაგრამ რა დროს? მაინცდამაინც იმ დროს, როცა ინტელექტუალური პროგრესი წარსულის ბოთკილებისგან თავისუფლდება, ანგრევს მოძველებულ ტრადიციებს, ამსხვრევს კერპებს, აცხადებს მორალის თავისუფლებას და მასთან ერთად ხორცისაც, რამეთუ შეუძლებელია ერთის არსებობა მეორის გარეშე.

რასაკვირველია, ლიტერატურაც უნდა გამოეხმაუროს ამ უმაგალითო რევოლუციას, ამ უკიდევანო პროგრესს. ადამიანი ხომ უნინ თავის უფლებებსა და ინტერესებს ხედავს პოლიტიკაში, ანუ ჭეშმარიტებებს; ესე იგი ლიტერატურაშიც მხოლოდ ჭეშმარიტებას უნდა ეძებდეს. დაე ნურავინ იტყვის, ჩვენი საუკუნის სული და სწრაფვა, ანუ კონკრეტული ანალიზის სული თავის თავში შეიცავს ლიტერატურის სიკვდილსაო. ასე არ არის! რამეთუ ადამიანური ვნებანი სამარადისოდ რჩება ჭეშმარიტებად, ანდა თვით წარმოსახვა, განა ესეც უმშვენიერესი ჭეშმარიტება არ არის?

თუ „ოქროს საუკუნის“ ლიტერატურა უფრო ბრწყინვალეებით გამოირჩეოდა, ვიდრე საფუძვლიანობით, თუკი მერე დაიღუპა რელიგიური შეუწყნარებლობისა და ტირანუ-

ლი პოლიტიკის ხელით, თუ მერე მაინც შეძლო გამოცოცხლება ფრანგების დახმარების წყალობით და თუ სამშობლოს ბედუკუდმართობის გამო შეწყდა გარედან მიღებული იმპულსი, იმედი უნდა გვექონდეს, რომ სულ მალე შევძლებთ საძირკველი ჩავუყაროთ ახალ ლიტერატურას, რომელიც წარმოგვიდგენს იმ ახალ საზოგადოებას, რომელსაც ჩვენ შევადგენთ, ჭეშმარიტების ლიტერატურას და ისეთივე ჭეშმარიტებაზე დაფუძნებულს, როგორც საზოგადოებაა; რამეთუ არ ვიცით სხვა წესები, გარდა ჭეშმარიტებისა, სხვა მასწავლებლები, გარდა ბუნებისა, რამეთუ ის არის ისეთივე ცოცხალი და ახალგაზრდა, როგორცაა ის ესპანეთი, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ.

თავისუფლება ლიტერატურასა და ხელოვნებაში, ისევე როგორც მრეწველობაში, ვაჭრობაში და სინდისში. ეს არის დევიზი ეპოქისა და ჩვენიც; ეს არის საზომი, რითიც გაეზომავთ; ჩვენ ვიქნებით მსაჯულები, როცა ვკითხავთ ნიგნს — „რამეს გვასწავლი? შენ ასახავ ჩვენივე კაცობრიობის პროგრესს? — მაშასადამე კარგიც ყოფილხარ“. ჩვენ დამრიგებლის როლს ვერ მივაკუთვნებთ ვერც ევროპის ლიტერატურას და მითუმეტეს ერთ რომელიმე ადამიანს, ან თუნდაც ეპოქას, რადგან გემოვნება არის რაღაც თავისებური, შედარებითი; ვერ ვაღიარებთ განსაკუთრებულ სრულყოფილებას ერთი რომელიმე სკოლისა, რადგან აბსოლუტურად ცუდი სკოლა არ გაგვიგია. არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქოს ჩვენი სავარაუდო მიმდევრების წინაშე არც ისე ძნელ ამოცანას ვაყენებდეთ. არა! ჩვენ მათგან მოვითხოვთ განათლებას და მოვითხოვთ ცოდნას ადამიანისას: მათ კლასიკოსებისა არ იყოს, ჰორაციუსი და ბუალოკი არ უნდა აღმოგვიჩინონ და აძაგონ ლოპე დე ვეგა და შექსპირი; რომანტიკოსთა კვალად დადგნენ ვიქტორ ჰიუგოს დროის ქვეშ და გაემიჯნონ მოლიერსა და მორატიანს. არავითარ შემთხვევაში! ჩვენს ბიბლიოთეკაში არიოსტო იქნება ვერგილიუსის გვერდით, რასინი — კალდერონის, მოლიერი — ლოპეს გვერდით; ერთი სიტყვით, ერთნაირი უფლებებით ისარგებლებენ შექსპირი, შილერი, გოეთე, ბაირონი, ვიქტორ ჰიუგო და კორნელი, ვოლტერი, შატობრიანი და ლამარტინი.

ასე და ამგვარად, ჩვენ უარს ვამბობთ იმაზე, რასაც დღეს ლიტერატურას უწოდებენ; ჩვენ არ გვინდა ისეთი ლიტერატურა, რომელიც მარტო სტილზე ზრუნავს, რითმების უღერადობაზე, სონეტებისა და ოდების ჯღაბნაზე, „შემთხვევისთვის“ რომ ინერება ხოლმე, ერთი სიტყვით, მარტო ფორმაზე რომ ზრუნავს და არა იდეაზე. ჩვენივე ლიტერატურა არის პირმო გამოცდილებისა და ისტორიისა და ამდენად — მომავლის შუქურაც; ის სწავლობს, აანალიზებს, ფილოსოფოსობს, უღრმავდება, ფიქრობს ყველაფერზე და ლაპარაკობს ყველაფერზე. ლექსსა და პროზაში ჯერ ისე უბირი ბრბოს მოთხოვნილების თანახმად, ის ქადაგებს და აერცვლებს ცოდნას, ჭეშმარიტების გზას აჩვენებს მათ, ვისაც ამის გაგების სურვილი აქვს, ადამიანს გვიხატავს ისეთს კი არა, როგორც მას სურს რომ იყოს, არამედ ისეთს, როგორც არის, სწორედ ამ გზით შევიცნობთ მას; ჩვენ გვინდა ისეთი ლიტერატურა, რომელიც სრულად ასახავს ეპოქის სამეცნიერო ცოდნას, ჩვენი საუკუნის ინტელექტუალურ პროგრესს.

ესპანურიდან თარგმნა მარი ტიტინიქაი

პაატა ჩხეიძე

პიროვნების მცველები

(ლიბერალი და კონსერვატორი)

ადამ სმიტი (1723-1790) და ედმუნდ ბერკი (1729-1797) მეგობრები ყოფილან.

ადამ სმიტს უთქვამს, ეს ანგლო-ირლანდიელი ვიგი, ედმუნდ ბერკი, ერთადერთი კაცია, ვისაც ზუსტად ისეთი შეხედულებანი აქვს ეკონომიკაში, როგორც მეო.

ორივენი XVIII საუკუნის შვილები იყვნენ, განმანათლებლობის ეპოქისა, და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განმანათლებლობის კულტურ ფრთას მიეკუთვნებოდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ ერთი სკოტლენდიელი იყო და მეორე ირლანდიელი, არამედ იმიტომაც, რომ განმანათლებლობის კულტური მიმართულება სხვებს არა ჰგავს.

არა აქვს მნიშვნელობა თუ როგორ ვუყურებთ განმანათლებლობას, XVIII საუკუნის დიადი ადამიანები მაინც აღტაცებასა და მონინებას ინვევენ ჩვენს პროვენებებით ღატაკ დროებაში.

ეს იყო ეპოქა, როცა კაცი აღემატებოდა პოლიტიკურ ძალაუფლებას. მეფეთა ღვთაებრივ უფლებასა და დემაგოგების ცბიერებას გვერდით ამოუდგა ანუ წინ აღუდგა ბუნებრივი უფლებები; კაცობრიობა და საყოველთაო ძმობა უფრო მეტ ღირებულებად დაისახა, ვიდრე ადამიანური ინსტიტუტები და სახელმწიფოებრივი ძალაუფლება.

ამ თითქოსდა კეთილშობილურსა და უვნებელ იდეებს ჯერ რევოლუცია და მერე მეცხრამეტე საუკუნის ძირფსვიანი ცვლილებანი მოჰყვა. სამყარო გარდაიქმნა, გაჩნდა ფრიდრიხ ჰეგელის, ჩარლზ დარვინის, კარლ მარქსის, ჰერბერტ სპენსერის, ფრიდრიხ ნიცშესა თუ ზიგმუნდ ფროიდის ურთულესი თეორიები, დაიწყო დასავლური კულტურის კრიზისი, დაირღვა ადამიანური საზოგადოება, დაიშალა თვითონ ადამიანი, დაიყო კატეგორიებად, მისწრაფებებად, სურვილებად თუ ნაწილაკებად. XIX საუკუნის იდეოლოგიებმა არა მხოლოდ დაამხეს საუკუნეთა მანძილზე განძივციებული იდეები, არამედ დაატყვევეს, დაბორკეს და დაახრჩვეს დასავლური ცივილიზაცია და ევროპელი ადამიანი.

მეცხრამეტე საუკუნე საფრანგეთის რევოლუციის ფერფლიდან ამოიზარდა და მას მიყოლებული ეროვნულ-ლიბერალური ამბოხებებით საზრდობდა. ეს იყო საუკუნე სოციალური და ეკონომიკური რევოლუციებისა, აღმოჩენებისა, მსოფლიოს დაპყრობისა, კაპიტალიზმის ზეობისა, რასაც თან ახლდა სოციალისტური და კომუნისტური იდეოლოგიების გაჩენა, სისხლმონყურებული მდევრებით რომ ჩაუდგნენ კვალში კაპიტალიზმს. საუკუნის დასაწყისში ტომას ჯეფერსონი გახდა ამერიკის პრეზიდენტი და ჯორჯ III ჯერაც მეფე იყო ინგლისისა. საუკუნის დასასრულს ლენინი უკვე გეგმავედა რევოლუციას და მალე ჩერჩილიც გააფრთხილებდა მსოფლიოს, ჩაახშვით, თორემ დიდ უბედურებას მოიტანსო.

ამ საუკუნემ დაშალა და დაანაკუნა ადამიანი.

და თუ რამ გადარჩა კაცისაგან, კლასიკური ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის იდეებს უნდა უმადლოდეს. ეს იდეები ითხოვენ, ამტკიცებენ, დაიჟინებენ, საჭიროა გადარჩეს პიროვნება, თუნდაც რთული და შეუცნობელი იყო-

სო. ყველაზე გამჭრიახი გონების კაცები, ვინც პიროვნულ თავისუფლებას ესარჩლებოდნენ, მეტწილად საუკუნეში ცხოვრობდნენ და კულტური წარმოშობის იყვნენ: ადამ სმიტი, მამამთავარი კლასიკური ლიბერალიზმისა, და ედმუნდ ბერკი, მამამთავარი ჭეშმარიტი კონსერვატიზმისა.

ბერკი და სმიტი დღესაც კი იბრძვიან, იცავენ თავის მემკვიდრეობას, ისევე, როგორც სოკრატე, პლატონი, არისტოტელე იცავენ ანტიკურ ათენის მემკვიდრეობას, ციციერონი რომის რესპუბლიკისას, ავგუსტინე რომის იმპერიისა და ტომას მორი კი — ინგლისური კულტურის გაზაფხულის მემკვიდრეობას.

მეგობრებიც ყოფილან და თანამოაზრენიც, მაგრამ ბევრი რამ განასხვავებდათ, თუმცა ორივე დასავლური ტრადიციების ერთგული იყო და ადამიანს ბიოლოგიურ, ეკონომიკურ ან ფსიქოლოგიურ არსებად კი არ აკინებდნენ, არამედ წარმოსახავდნენ რთულ, შეუცნობელ, იდუმალ ფენომენად; თვითულ პიროვნებას უნიკალურად და განუმეორებლად მიიჩნევდნენ.

ამკარაა ურთიერთზეგავლენა სმიტსა და ბერკს შორის; ადამ სმიტი სტოეცი იყო ქრისტიანული მიდრეკილებებით, ხოლო ბერკი ქრისტიანი გახლდათ და მოხიბლული იყო სტოიციზმით, და ეს მაშინ, როცა სმიტი უტილიტარიზმს ენდობოდა, ბერკი კი — ტრადიციული, ბუნებრივი კანონის თეორიებს.

XVIII საუკუნის განსწავლული ადამიანები განათლებაში გულისხმობდნენ „ლიბერალურ განათლებას“. ისინი სწავლობდნენ ბერძნულს, ლათინურს და ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებს. სხვაგვარი განათლება მხოლოდ „წვრთნად“ მოიაზრებოდა. ამგვარი განათლება მიიღეს სმიტმა და ბერკმა და ასე მოექცნენ იმ უწყვეტ ჯაჭვში, რაც უკან, სოკრატემდე მიდიოდა.

თავის ნაშრომებში ადამ სმიტი მრავალ ავტორიტეტს იმონებებს, მაგრამ უფრო ბერძენი სტოელებისა და რომაელი, რესპუბლიკელი ციციერონისაკენ იხრება. „ზნეობრივი განცდების თეორიის“ ცნობილ პასაჟებში სწორედ სტოელებს ეხმაურება, როცა აცხადებს, ყველაზე მაღლა ძმური სიყვარული დგასო.

ამრიგად, სხვაზე უფრო უნდა იზრუნო, ვიდრე საკუთარ თავზე, უნდა შეზღუდო თავკერძა სურვილები და შეძლებ სრულყოფილად ამიანური ბუნება, მიაღწიო ვნებებისა და განცდების ჰარმონიას. სიყვარული მოყვასისა, როგორც საკუთარი თავისა, ქრისტიანობის უმთავრესი კანონია; ამით მივდივართ ღვთაებრივ სიყვარულამდე, უნდა გიყვარდეს მოყვასი და მოყვასს უყვარდე შენ.

ადამ სმიტი ვერ მივიდა ქრისტიანული ღმერთის აღიარებამდე, მაგრამ არც დევიდ ჰიუმის სკეპტიციზმი გაუზიარებია. ამის ნაცვლად ადამიანსა და ბუნებას სტოეცი თვა-

ლთახედვით იაზრებდა; მისი „უხილავი ხელის“ იდეას სტოელთა ბეჭედი აზის.

აზრი პიროვნების შესახებ ადამ სმიტს გამოთქმული აქვს „ხალხთა სიმდიდრის“ (ფილიპე გოგინაიშვილს ასე აქვს თარგმნილი **Wealth of Nations**) პირველ ტომში:


„...თვითეული პიროვნება შეძლებისდაგვარად შრომობს საზოგადოების ყოველწლიური შემოსავლის გასამდიდრებლად. საზოგადოდ, მას არც სურს დაეხმაროს საზოგადო საქიროებას და არც იცის რამდენად ეხმარება მას. იმით, რომ შინაური საქმეების შემწეობა უჯობს საგარეო საქმეებისას, საკუთარ უსაფრთხოებას იცავს; და როცა თავადებული შრომობს, რომ მეტი და მეტი მოიპოვოს, მას, ისევე როგორც სხვა საქმეებში, წარმართავს „უხილავი ხელი“ იმ მიზნამდე მისაღწევად, რაც არ განუზრახავს.“

„უჩინარი ხელის“ ხსენება ალბათ კლასიკურ ალუზიად უნდა ჩათვალოს, მაგრამ არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ ამავ ე ალუზიას წინასწარხედვის სტოეცი გააზრება უდევს საფუძვლად. სტოელები აღიარებდნენ იუპიტერის უხილავ ხელს, რომელიც წარმართავდა და ნესრიგს ინარჩუნებდა სამყაროში, ერთმანეთს უხამებდა კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს. კიდევ ერთი სტოეცი კონცეფციაა დამუშავებული ადამ სმიტის „ზნეობრივი განცდების თეორიაში“; მისი აზრით, თვითულ პიროვნებას სურს იყოს უფრო დიადის ნევრი, ვიდრე მისი უშუალო გარემოა. და ამ უფრო დიადი მიზნებისათვის საკუთარი ნებით უნდა განიროს თავისი მცირე, პირადი ინტერესი.

ბერკსაც ლიბერალური განათლება ჰქონდა მიღებული. პირველსავე ფილოსოფიურ ნაშრომში იგი იმონებებს არისტოტელეს, სტოელებს, ციციერონს, შუასაუკუნეების სქოლასტიკოსებს და თავის ბუნებითი კანონის იდეებს მათ ნააზრეზე აფუძნებს. სმიტისა არ იყოს, ბერკის მსოფლხედვაც კოსმიურ ნესრიგსა და მასში ადამიანის ადგილს უტრიალებს.

ბერკი მიიჩნევდა, რომ დიადი ავტორი ჩვენი ყოფიერებისა ცხოვრებას წარმართავს არა ჩვენი სურვილების მიხედვით, არამედ ღვთაებრივი ნებით. ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ იქ და ისე, როგორც დანესებულია. ჩვენი ვალდებულება კაცობრიობისადმი არ არის განპირობებული რომელიმე დადებული თუ განსაზღვრული ხელშეკრულებით, არამედ ეფუძნება კაცის ურთიერთობას კაცსა და ღმერთთან, და ეს ურთიერთობანი არჩევის საგანი არ გახლავთ.

ედმუნდ ბერკი პირველ ყოვლისა ქრისტიანი იყო და შემდეგ შეითვისა სხვა მოძღვრებანი, თუმცა მორწმუნე ქრისტიანად დარჩა. სმიტისადმი მიწერილ წერილებში ალტაცებული აქვს მეგობრის წიაღსვლებს და განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც სტოელთა გავლენა მოჩანს.



ადამ სმიტი



ედმუნდ ბერკი

ბერკი მტკიცედ და ბეჯითად მისდევდა ქრისტიანულ რწმენას და ეს ჩანდა მის ნაშრომებსა და ზეპირ გამოსვლებში. ამიტომაც იყო, რომ 'ქრისტიანი სახელმწიფო მოღვაწე' უწოდა რასელ კერკმა. ადამ სმიტს არასოდეს განუმარტავს, სტოიზმი მისთვის რწმენა იყო თუ ცოდნის ნაწილი, და მისი რწმენა სადღაც ჰიუმის ურწმუნოებასა და ბერკის რწმენას შუა ჩარჩა. არც ორთოდოქსია და არც ერეტიკოსი, უფრო „ჰეტეროდოქსიაო“, ამბობდნენ მასზე.

მრავალი დიდი მოაზროვნე ყოფილა, ვის იდეებსაც გვერდი-გვერდ უვლიათ, მაგრამ ადამ სმიტსა და ედმუნდ ბერკს ალბათ კელტ-იბერიული წარმოშობაც წაეხმარათ და პლატონის, სტოელთა, ციცერონის, ნმ. პავლესა და ავგუსტინეს დახმარებით მიწვდნენ სამყაროს უფრო ვრცელს, ვიდრე ეს ქვეყანაა, უფრო დიდ რეალობას, ვიდრე ამქვეყნიურია, და თუნდაც ხელიდან გასხლტომოდათ ამქვეყნიური აღქმანი, მათ წინაშე იყო სხვა, უფრო ნამდვილი სამყარო, მდებარე დროის საზღვრებს მიღმა.

ასეთია ადამიანის ბუნება. მხოლოდ ადამიანს აქვს გონება და აზროვნება; და რა არის ზეცაში თუ ქვეყნად უფრო ღვთაებრივი, ვიდრე გონება. მონიფულსა და სრულყოფილებასთან მიახლოებულ გონებას სიბრძნეს ვუწოდებთ და სიბრძნე გახლავთ კავშირი ადამიანსა და ღმერთს შორის.

სტოელთა და ციცერონის ჭვრეტა გონისა უფრო ღრმაა და მისტიკური, ვიდრე მეთვრამეტე საუკუნის რაციონალისტებისა, რუსოსი თუ ბენტამისა.

ციცერონი ხედავდა ორ სამყაროს: ამქვეყნიურს (შდრ. სოფელი) და ზესამყაროს (შდრ. ზემთასოფელი). ადამიანი არ იკეტება მინიერი ყოფის კედლებსა და ერთ ქალაქში; იგი მიისწრაფის ტრანსცენდენტისაკენ, რასაც სტოელები „კოსმოპოლისს“ უწოდებენ და რასაც ნმ. ავგუსტინე „ღვთის ქალაქს“ უწოდებდა.

მარადიული კოსმოსი სამართლიანობის ფორმაა; ასე წარმოიდგენდნენ ანტიკურ სამყაროში. სამართლიანობის სიქველე იმ ადამიანშია, ვინც იცის თავისი ადგილი ყოფიერების წესრიგში, ყველა იმას იღებს, რასაც იმსახურებს. ადამ სმიტი ხშირად ასხენებს სამართლიანობას, როგორც ხელისუფლების უმაღლეს მიზანს. რა თქმა უნდა ბერკი ეთანხმებოდა ამ საკითხში; იგი ფიქრობდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება საჭიროა სამართლიანობის დასამკვიდრებლად სახელმწიფოში.

სმიტისა და ბერკისათვის თავისუფლების, სამართლიანობისა და წესრიგის მტრები ისინი იყვნენ, ვინც იდეოლოგიებს ამკვიდრებდნენ. სმიტი, ალბათ ბერკის გავლენით, წინააღმდეგია „სისტემის ადამიანისა“, გონებაზე ზღუდული და თავდაჯერებული კაცებისა, ვინც შეიძლება ტირანიც იყოს, წვრილი ბიუროკრატიც და სკოლის დირექტორიც.

ადამ სმიტი უფრო თხოდა ერთგვარ სისტემურ სულს, რომელიც პარტიულ-ფრაქციული ფართიფურთიდან გამოსხლტებოდა და უცხო სხეულად შეერეოდა სიყვარულსა და მეგობრობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ სულს, აურ-დაურეკდა სამოქალაქო ჰარმონიას, დათრგუნავდა საზოგადოების პატივცემულ წევრებს. სისტემის სული თუ სისტემური სული მიზანში ამოიღებს ყველაზე ნაზსა და დაუცველ ადგილს საზოგადოებრივი ცხოვრებისა, გააღიზიანებს, გაამძვინვარებს და ფანატიზმის სიგიჟემდე მიიყვანს, ვარაუდობდა ადამ სმიტი და ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე მიანიშნებდა, სისტემის ადამიანი იმდენადაა დარწმუნებული, რომ საუკეთესო მთავრობას ჩამოაყალიბებს, რომ

ვინც უნდა ურჩიოს, რა ხმაც უნდა გაიგონოს, რა ხილვაც უნდა ეწვიოს, თავისი გზიდან გოჯითაც არ გადაუხვევსო.

კეთილშობილური გრძნობებით აღვსილმა კაცმა კი იცის, რომ ერთადერთი სრულყოფილი სისტემა ღვთისა და ადამიანის მიერ შექმნილი დიადი სახელმწიფოა.

ადამ სმიტი და ედმუნდ ბერკი მაშინაც ერთად იდგნენ, როცა ამერიკის შტატებს (სახელმწიფოებს) ესარჩლებოდნენ და მათ დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს. „ხალხთა სიმდიდრის“ დიდი ნაწილი ამერიკის კვლევასა და რესურსებს შეეხება; აღნიშნულია შობადობის მაღალი დონე და არნახული ეკონომიკური ზრდა ატლანტის ოკეანის მიღმა ინგლისურ კოლონიებში. ყოველივე ამის გადაჭარბებით შეფასება ძნელიაო, წერდა ადამ სმიტი.

ცნობილია თუ როგორი თავგამოდებით ესარჩლებოდა ედმუნდ ბერკი ამერიკის კოლონიების თავისუფლებას. პირველივე გამოსვლიდან მოყოლებული, როცა „ბექტის აქტის“ წინააღმდეგ გაილაშქრა, იგი გამოხატა ინგლისური კოლონიების ზედმეტ დაბეგვრას და აფრთხილებდა ჯორჯ მესამის დესპოტური პოლიტიკის მხარდამჭერებს, საბუდისწერო შედეგებამდე მივალთო, ინგლისელთა შთამომავლებს კონსტიტუციური უფლებები არ უნდა შეუვლახოთო, და ამაოდ გაისარჯა 1775 წლამდე, როცა ყველა იმედი დაიკარგა დაპირისპირების მშვიდობიანი მოგვარებისა.

ედმუნდ ბერკი მიიჩნევდა, რომ კანონები და პოლიტიკური ქმედებანი მმართველებისა და მართულების გამოცდილებიდან, პრაქტიკიდან, ხასიათიდან და სულიერებიდან უნდა მომდინარეობდეს და თანდათანობით ვითარდებოდეს. პარლამენტურ ძალუფლებას არ უნდა დაუნესდეს სხვა ზღვარი, თუ არა გონიერებიდან და საგანთა ბუნებიდან მომდინარე, ხოლო კოლონიების ზრდამ პარლამენტს უნდა ასწავლოს, რომ თვითონ უნდა დაუდოს ზღვარი საკუთარ ძალაუფლებასო, წერდა იგი 1775 წელს.

მრავალი ინგლისელი ჯენტლმენი გამოხატა ამერიკისათვის დაპირისპირებას, მაგრამ ვერავინ გახედა მეფეს შეკამათებოდა. ამას ბერკმა „კოლექტიური სიგიჟე“ უწოდა. როცა მეფემ მარხვა გამოაცხადა ამერიკაში წარმართული ომის დასახმარებლად, ბერკმა ნადიმი მოაწყო და პროტესტის ნიშნად დროებით შეწყვიტა პარლამენტში საქმიანობა. და, როცა დაბრუნდა, თავის გამოსვლაში მეფეს, როგორც ანგლიკანური ეკლესიის მეთაურს, დაცემულ ანგელოზთა წინამძღოლი უწოდა.

უცნაურია და სამწუხარო, რომ რუსეთის სამსახურში მდგარ, გარუსებულ ქართველობას, ნიჭიერ, სახელგანთქმულ ადამიანებს ეთაკილებოდათ თავიანთი წარმოშობა; ინგლისის სამსახურში მდგარი, გაინგლისელებული ირლანდიელები თუ სკოტლენდელები კი კელტებად რჩებოდნენ მუდამ და ამაღლებული, თავდადებული თუ გამშაგებული სიყვარულით უყვარდათ თავიანთი სამშობლო.

ეგებ მრავალნი არ დამეთანხმონ და განმიცხადონ, ისეთ უნივერსალურ მოვლენას, როგორიც განმანათლებლობაა, შეუძლებელია ეთნიკურ-ნაციონალური ხასიათი აღმოუჩინო. მაგრამ ევროპელ მკვლევართათვის უცხო არ არის აზრი, რომ კელტურ განმანათლებლობას სხვათაგან განსხვავებული ნიშნები აქვს.

ფრანგი განმანათლებლები, რუსოს გავლენით, ადამიანს უკან ეწოდნენ — ბუნებრივი მდგომარეობისაკენ, და სურდათ აღმოეფხვრათ ცივილიზაცია, რათა ახალი შეექმნათ.

ინგლისელი განმანათლებლები, ჯერემი ბენტამის გავლენით, ესწრაფოდნენ გულცივიად გამოეთვალათ და ალენუსხათ ტკობა და ტანჯვა კაცის ცხოვრებაში.

ამერიკული განმანათლებლობა ბენჯამინ ფრანკლინისებურ, ორიოდ ექსცენტრიულსა და ანგარიშიან მოაზროვნეს ეყრდნობა.

სკოტლენდელი განმანათლებლები კი, რელიგიური სკეპტიციზმის მიუხედავად, იმედოვნებდნენ მოვლენათა „სალი აზრის“ ნედომას და ისე მიდიოდნენ უნივერსალურ პრინციპებამდე, რომ არ ანგრევდნენ პიროვნების განსაკუთრებულობას. კელტური განმანათლებლობა ყველაზე

უკეთ იძლევა პასუხს შეკითხვებზე და ცდილობს ისე მიუდგეს დასავლურ ტრადიციას, რომ არათუ დაანგრეოს, არამედ არც კი დააზიანოს. ცდილობს შეინარჩუნოს და განავრცოს დასავლური ჰუმანისტური თვალსაზრისი. სკეპტიციზმშიც კი მორჩილებისაკენ უფრო იხრება, ვიდრე ეგოიზმისაკენ.

და ყველა, ვისთვისაც ძვირფასია წესრიგი და თავისუფლება, ამგვარი მემკვიდრეობისაკენ უნდა მივბრუნდეთ ჩვენსავე კულტურებში და წინ აღვუდგეთ უფესვო ნეოკონსერვატორებს და მილიტარისტ ლიბერალებს, შინ რომ ცენტრალიზებულ ხელისუფლებას კვებავენ და გარეთ კი

ლიალოგი

უხამსი მწერლობა — მიზეზთა შედეგი

უძღვნი ბატონ მერაბ ნებიერიძის ნათელ ხსოვნას

ნებისმიერ ეპოქაში მოაზროვნეთა და მკვლევართა მეცნიერულ ინტერესთა სიმძიმის ცენტრს ყოველთვის წარმოადგენდა მიზეზობრიობა. ცხადია, ბუნებაში მოქმედებს მიზეზობრიობის კანონები, და თუ მოქმედებს, რა ზომით, რა მოცულობით იჩენს თავს სამყაროში. სამყაროში? სადაც ინტერესთა და დაკვირვებათა ცენტრი თვით ადამიანია.

მიზეზობრიობას (სუბიექტურსა და ობიექტურს), როგორც რეალობას, თუ ადრეული საუკუნეებისათვის სივრცობრივი აზროვნების პლანში წარმოადგენდნენ (თეოლოგია, ფილოსოფია...), ბოლო, ჩვენთვის შედარებით უფრო კარგად ნაცნობი საუკუნეების მეცნიერებათათვის (ფსიქოლოგია, ფიზიკა...), მაკრო სამყაროს გამოკვლევები უფრო მიკროსკოპიულ დაკვირვებათა ფოკუსში მოექცა. თუ ადრეულ საუკუნეებში სამყაროს (და მასში ადამიანის) შესწავლა ჰორიზონტალური განლაგებისა იყო, ბოლო საუკუნეებისათვის მოაზროვნეთა დაკვირვებებმა უფრო ვერტიკალური სახე მიიღო. მიზეზობრიობის პრობლემას კარგა ხანია განიხილავს ფიზიკა. მეცნიერული კვლევის მეთოდებს კვანტურ ფიზიკაში იყენებენ, რაც ახალი მოვლენა როდია. მაგალითისათვის გახლეჩილი ატომიც საკმარისია, რომელიც უსასრულობამდე შეიძლება დაიყოს სივრცეში...

„სამეცნიერო ტექნიკური რევოლუცია, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ლიტერატურაშიც იწვევს რევოლუციას. თუ ეს არ მოხდა, მაშინ ლიტერატურა დაკარგავს პროგრესულ ხასიათს. ამიტომ მწერალი უფრო და უფრო ღრმავდება ინდივიდუალურ ფსიქიკაში... გარედან შიგით ჩაბრუნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ვერტიკალური ჰორიზონტალობა. კლასიკური ხელოვნება იყო ჰორიზონტალური, ვაშლილი რეალურ დროსა და სივრცეში. იქმნებოდა რეალობის შემოქმედებითი ასლი. რენესანსის მხატვრობა ბრწყინვალედ განასახიერებდა ამ თვისებებს... XX საუკუნემ შეცვალა მდგომარეობა, ხელოვნება ავტორის ცნობიერებაში ჩაიძირა“ (სოსო სიგუა „ავანგარდიზმი“).

მიზეზობრიობის არსებობა გარესამყაროში და საკუთრივ ადამიანში მარადიულია. მაღლობა ღმერთს, გონიერი არსება ყოველთვის ითვალისწინებდა შედეგებს (ცხოველთა სამყაროშიც კი, ზოგადად ყველა ცოცხალ სისტემაში ინსტინქტური შედეგობრიობა წარმართველი), რომელიც გარდაუვალობის მოუცილებლობით თანმდევი, ან მუდამ წინმხვედრია. ბუნებრივია, ნებისმიერი მიზეზი ადამიანისაგან მოითხოვს შედეგთა მეტ-ნაკლებ გათ-

ვლას. ყველაზე გამარტივებული, ცდისეული ფაქტების დახვეწილი ინტერპრეტაციის წყალობით ჩვენი წინაპრები ყოველთვის შედეგობრივ აზროვნებას გვიღვივებდნენ და ასე გვიკვალავდნენ მომავალს. ყველაზე სადა მაგალითად „თხა და ვენახი“ მეგულებს, სადაც ყველა (მიზეზ-შედეგობრივი) ეფექტი ჯამდება.

შემოქმედებით ადამიანში არსებული ნებისმიერი მდგომარეობა გამოძახილს ჰპოვებს გარესამყაროსთან, რომელიც ჩვენდა უნებურად, ბუნებრივია, აღქმელის აზროვნებას მოიცავს. შემოქმედი ვერასოდეს წარმოსდგება სამყაროში ცალკე, განყენებულ „მონოლოგად“. მას ისე, როგორც არავის ესაჭიროება აღქმელი. XXI ს-ის დასაწყისშივე აღქმელი აღმოჩნდა ტლანქი, აგრესიული და უხამსი შემოქმედის პირისპირ. ვულგარიზმი ყოფით, ცხოვრებისეულ დამოკიდებულებათა გარდა, სამსუხაროდ, შეეხო მარადიულ ღირებულებებსაც, მოიცვა ხელოვნების თითქმის ყველა სფერო. „თანამედროვე გართულებული ცხოვრება ხელოვნების ტრადიციულ ფორმებს ნაკლებად ეგუება, ეს პროცესი ბუნებრივია და ლოგიკური, ხოლო რამდენად კარგი — სხვა საკითხია“ (სოსო სიგუა „ავანგარდიზმი“).

ჩემთვის, კვლევის პროცესში, მთავარია მკვლევართა ინტერესების სიმძიმის ცენტრმა (მცირე ხნით მაინც) ლიტერატურაში არსებულ ვულგარიზმებზე გადმოინაცვლოს, რომელიც სოციუმში მოქმედ სიახლეთა უშუალო გამოხატულებაცაა.

მეტყველება და აზროვნება ერთმანეთისაგან განუყოფელი პროცესებია. „როდესაც ინდივიდს უჩნდება აზრის წინაგანცდა, ინტუიტიურად იწყებს სიტყვების ძიებას, წინადადებათა აგებას. იშველიებს შინაგან მეტყველებას, რომელიც გამოუთქმელად გამოიყენება. როგორც ცნობილია, შინაგანი მეტყველება არ სცილდება სუბიექტის შინა სამყაროს“ (სოსო სიგუა „ავანგარდიზმი“). კაცობრიული შედეგობრივი გამოცდილებით, შემოქმედთა მხატვრული ხერხები შინაგანი სამყაროს გამოვლენისათვისაა გამიზნული.

„ტ-ნაურთმეტყველება“ (დ. ბარბაქაძე), რომელმაც ქართულ მწერლობაში XXI ს-ის დასაწყისშივე იჩინა თავი (და ახალგაზრდა „მოაზროვნეთა“ მიერ დღემდე უზოდიშოდ განაგრძობს ყიფინას ქართულ „ლიტერატორთა“ გარკვეულ ნაწილთან) თვით ლიტერატურული აზროვნების შინაგანი პრინციპებითვე უნდა გაიმიჯნოს ლიტერატურისაგან.

„ყოველი ეპოქა სამყაროს, ახლებური ჭვრეტის საგნად აცხადებს... განმარტებული ძალაც ყოველთვის ახალგაზრდობა... მოდერნიზმი და ავანგარდიზმი თანამედროვე მწერლობის საფუძველია... ახალ ლიტერატურას ქმნის ახალი ტიპის შემოქმედი“ (სოსო სიგუა „ავანგარდიზმი“). უხამსი „მწერლობის“ გაცნობისას იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალგაზრდა მწერალთა ნაწილს სურს შექმნას მკითხველის ახალი ტიპი: მიმდინარეობს აღქმელის ცნობიერებაში მანამდე არსებული სახეების მსხვერვეა. მაგალითად, მოდერნისტებმაც და ავანგარდისტებმაც შეცვალეს ძველი ესთეტიკა,

მსოფლგანცდა, მაგრამ არა ვულგარიზმებით, ან უხამსობებით, — პირიქით.

რადგან მწერლობაში (ხელოვნებაში, პედაგოგიკაში) ვულგარიზმები, სამწუხაროდ, უწყვეტი, პროგრესირებადი რეალობაა, კვლავ ჯიუტად განვაგრძობთ გამოსავალი გზების ძიებას, საუბრებს, რისთვისაც საჭირობოროტო საკითხთა გარკვევა ვთხოვეთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ლიტერატორს, პროფესორ სოსო სიბუშას, რომლის კვლევის ძირითადი სფერო XX ს-ის ლიტერატურა, მოდერნიზმ-ავანგარდიზმისა და შემოქმედების ფსიქოლოგიის პრობლემებია.

— ქართულ საზოგადოებაში საკმაოდ გავრცელებულია სამწუხარო შეურაცხყოფა საკუთარი დედის (მამის) გინებით: “ჩემი დედა...” „მამაჩემის (ეს, ის) ვიყოს“-ს სახით, რამაც XXI ს-ის დასაწყისისათვის უკვე ლიტერატურაშიც იჩინა თავი. მაგალითისათვის საკმარისია არამარტო ლ. ბულაძისეული თამარის სახე XXI ს-ის ქართულ „მწერლობაში“, ან დ. ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“, არამედ უახლესი ქართული მწერლობის ის მოზღვავებული ნაკადი, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ბატონო სოსო, ჩვენს სამყაროში არსებობს მიზეზთა და შედეგთა გარდაუვალი მწკრივი... თქვენი აზრით, რა სახის მიზეზებს უნდა განვიპირობა გააზრებულ და შეგნებულ ფრაზებზე საკუთარი დედის (მამის) ვერბალური შეურაცხყოფა, რომელმაც მოიცვა ერის როგორც ლინგვისტური მეტყველება, ასევე სასამენი ველი, თან ისე განზოგადდა, რომ ლიტერატურულ მონაცემებადაც კი მოგვეჩვენება?

— ტელევიზორცეში, პრესაში, ლიტერატურაში, ჩვენს სოციუმში გავრცელებული ბილნსიტყვაობა, ვულგარიზმები თუ ყოველგვარი პათოლოგიის სახე გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებულ ნიჰილიზმში, რაც სოციოლოგიურ პრობლემათა რიგს უფრო მიეკუთვნება. როდესაც სახელმწიფო ძლიერია და უფროსილდება მოქალაქეთა სულიერ თუ სოციალურ ცხოვრებას, სახელმწიფო ენას, ზნეობას, კულტურას, მაშინ ერიც მტკიცედ გრძნობს თავს. ხოლო როდესაც ქვეყანა მიემართება დაშლის გზით, მაშინ იმსხვერვა იდეალები, ეცემა ენა, ზნეობა, იკარგება რწმენა ადამიანისა ქვეყნისადმი, ბატონდება ალვირასხნილობა, რომელიც ჰპოვებს კიდევ თავის გამოხატულებას სულიერ ცხოვრებაში, კერძოდ, ლიტერატურაში. გრივოდ ორბელიანი ამბობდა: „რა ენა წარხდეს, ერიც დაეცეს“, რაც სწორი არ არის, ენა არ წახდება თუ სახელმწიფო ძლიერია. მაგალითად, ლათინური ენა გადამენდა მაშინ, ანუ ცოცხალი მეტყველება ლათინური უკვე აღარ იყო, რაც დაემხო რომის იმპერიას. იგი იქცა ექიმთა და მნივნობართა ენად. ასევე მოკვდა ძველი ბერძნული ენა, როდესაც დაემხო ათენი და ელავდა. ძველი ბერძნული ცალკე ენად შერჩა მსოფლიო კულტურას, ბიზანტიური სხვა ენად, ხოლო ახალი ბერძნული სულ სხვა ენად. სწორედ იმ სახელმწიფოებრივ-მმართველობითმა კატაკალიზმებმა, რომელშიც გამოიარა ბერძენმა ერმა, უშუალო გამოხატულება ჰპოვა ენაში. იგივე ითქმის, მაგალითად, ძველ, შუა საუკუნეთა და ახალი სომხური ენების შესახებ, რაც ამ ერის ტრავმებიც ასახავს.

— ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ დედათა (მამათა) თაობიდან მომავალი თაობის გამოყოფის პროცესი არის ერთობ მტკივნეული. თაობათა აგრესიული დაპირისპირება, გნებავთ ყოფითობაში და გნებავთ ხელოვნებაში, თა-

ობათა ამ გამოყოფის პროცესიდან მომდინარეობს. თქვენი აზრით, რატომ გამოხატავს ნაწილი ახალგაზრდებისა თავიანთ სათქმელს ასე აგრესიულად? მაგალითისათვის მოვიყვანდი დ. ბარბაქაძის „ტრფობა წამებულთა“-ს. რას უნდა გამოენივია მსგავსი მდგომარეობა, წინა თაობასთან თუნდაც დაპირისპირების მიზეზით, რომ ასე, ერთი ხელის მოსმით, მოაცამტვერა ავტორმა ყველა და ყველაფერი?

— არ მივიჩნევ აგრესიად. სხვა არაფერია, ვიდრე უმწეობით გამოწვეული ნიჰილიზმისა და დეპრესიის გამოვლენა. ეს გახლავთ ძალადაკარგული თაობის პასიური პროტესტი. აგრესია არსებობს მეომრის, რაც სახელმწიფოს დაპყრობის მომასწავებელია; აგრესია ქალის დამორჩილებას, რომელიც ნაყოფის, სიცოცხლის მომცემია; მოქანდაკისათვის ქვის დამორჩილებას, მწერლისათვის — კალმის დამორჩილებას, ანუ ის, რაც შექმნას ემსახურება. ქართული უახლესი “მწერლობის” მონაცემები მხოლოდ სუსტი ეგოს მაჩვენებელია, რომელიც ესაზღვრება დეპრესიას. უხამსი მწერლობა არც ესთეტიკური თვალსაზრისით არის საინტერესო. მაგალითად, XX ს-ის 20-იან წლებში მოსულ ახალ თაობას უწოდებენ “დაკარგულ თაობას”. დაკარგულნი არა შემოქმედებითი თვალსაზრისით (პირიქით, ამ პერიოდმა დიდი მწერლები შესძინა ერს), არამედ I-მა მსოფლიო ომმა მათ იდეალები დაუმსხვრია, რის გამოც ისინი დეპრესიამ მოიცვა. უფრო ადრე კი XIX ს-ში დეკადენტური ლიტერატურა არსებობდა. “დეკადანსი” დაცემას ნიშნავს, მაგრამ შემოქმედთა მიერ დაცემა იდეალად კი არ ყოფილა გამოხატული, პირიქით, ამ თაობის ტრავმები იწოდებოდა. სწორედ ეს ტრავმები გამოხატეს მათ ლექსის ფორმით, რომანის ფორმით, თუ სხვა ჟანრის სახით... მიკროსკოპიული დაკვირვება სულაც არაა საჭირო, რომ მიხვდეთ, სახელმწიფოს მიერ მოწვეული წამახალისებელი პროგრამებით, პიროვნული დაცემა ქცეულია ახალი თაობის ღირსებად. როგორც ცნობილია, ღირსების დაცემა იწვევს სქესთა აღრევას — გაერთმინებელიანებას. ყოველივე გათვლილია ღირსების დევალაციაზე, სულიერი ორიენტაციების დაკარგვაზე, რაც თანამედროვე მსოფლიოს პრობლემაცაა. აკი შეეცადნენ კიდევ ევროპის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანით ჰომოსექსუალისა და ჰომოსექსუალისათვის კანონიკურობის მინიჭებას. ღირებულებათა დევალაცია იწვევს არათუ სახელმწიფოთა, ან იმპერიათა დაშლას, ერების გაქრობასაც კი. საქართველოს გადამთიელ, გარე მმართველთა გათვლით, უნდა ვიფიქროთ არა ჩვენი ქვეყნის მომავალზე (ჩვენს მომავალზე ისინი იფიქრებენ), არამედ უნდა მივყვეთ დინებას. ჩვენ არ უნდა ვიყოთ ის აგრესიული, პროტესტული ძალა, რომელიც მეომარს ახასიათებს, პირიქით, შემგუებულურნი, დამყოლნი, უმწეონი, ამიტომაც უსახავენ აღმქმელს იდეალად ამგვარ “ლიტერატურულ” პერსონაჟებს. არაპროიკუული საქციელი ვლინდება ენობრივ გარსშიც. ენობრივი გამოვლენაა სწორედ ის, რაც სხვადასხვა უახლეს ქართულ ლიტერატურაში. ამიტომ შემოჰყავთ ავტორებს მწერლობაში ისეთი პერსონაჟები, როგორსაც ვერცერთი მშობელი საკუთარ შვილს ნიშნავდა ვერ დაუსახავს.

— „ინდივიდი სტიქიურად ელტვის ორიგინალობას... შემოქმედი უმეტესად თავის თავს სამყაროს ცენტრადაც კი მიიჩნევს“ (სოსო სიგუა). „მწერალთა“ ამოცანა მკითხველზე ერთგვარი შოკის მოგვრა იყო და ამ

ტიპის „მწერლებს“ საზოგადოებაზე მოულოდნელობის ეფექტი, მართლაც გამოუვიდათ. მაგალითისათვის საკმარისია ლ. ბულაძისეული თამარის სახე XXI საუკუნისათვის. საინტერესო იქნება მიზეზობრიობის თქვენეული, როგორც ლიტერატორის შეფასება, მით უფრო, როცა არსებობს ალბათობა ბულაძისეული თამარის სახე დარჩეს ლიტერატურის ისტორიას...

— ერთი წუთით წარმოიდგინეთ, ლ. ბულაძე რომ არ გამოჰყავდეთ ყოველდღე ტელევიზიით. არავინ მის წიგნებს არ წაიკითხავს. სწორედ ამას ეწოდება საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ძალდატანების ერთ-ერთი ფორმა. რაც შეეხება მათ მიერ გამოწვეულ შოკს, არ განეკუთვნება ლიტერატურის სფეროს და არ არის ლიტერატურულ-ესთეტიკური შოკი. ისე, ისიც შოკი იქნება, ჩვენი საუბრისას კარი გაიღოს და შიშველი ქალბატონი ან მამაკაცი შემოვიდეს, მაგრამ ჩვენ ხომ ამ ფაქტს ვერც ესთეტიკურს და ვერც კულტურულს ვერ მივაკუთვნებთ. შოკი უნდა თავსდებოდეს კულტურის სფეროში, რომელიც აღმქმელისაგან აღიქმება კულტურულ მოვლენად, ხოლო ანტიადამიანურ და ანტიკულტურულ მოვლენას ლიტერატურულ ხელოვნებას ვერ მივაკუთვნებთ. მსგავსი ნაწერი დარჩება, ერთი მხრივ, სოციოლოგიურ ფაქტად საზოგადოებაში და ფსიქოლოგიურ ფაქტად, თვით ინდივიდში, რაც საინტერესოდ შეიძლება მიინიოს სოციოლოგმა ან ფსიქოლოგმა. ვერც ბულაძე, ვერც ბურჭულაძე და ვერცერთი უხამს ენაზე მოაზროვნე მწერალი თაობებს ვერ გაუძღვება ისე, როგორც რუსთაველი ან დანტე. დანტეს „ღვთაებრივ კომედიაზე“ დგას თანამედროვე იტალიური ენა. მან შეუქმნა თანამედროვე იტალიურ მეტყველებას საფუძველი. როგორც ნესტანი, ტარიელი, თინათინი და ავთანდილი იყო მისაბაძი თაობებისათვის, ისე მათი ავადმყოფი პერსონაჟები ვერ გახდებიან თაობათათვის წინამძღოლნი. საბედნიეროდ, არცერთს ამ მასშტაბის ტალანტი არ გააჩნია. სულიერი დაცემა მოდურია ახალგაზრდებში, რომელიც ვლინდება მეტყველებაში, ამა თუ იმ ლიტერატურის ჟანრისა და ფორმისადმი გატაცებაში (მაგალითად 60-იან წლებში მოდაში იყო ჰემინგუეის სტილი, ყველა მასავით წერდა — მოკლე ფრაზებით, დიალოგებით და ა.შ.). როგორც ნესი, ვერცერთი მოდური და ვინაო მოვლენა განადგურებას ვერ აიცილებს.

დღეს ადამიანის ცნობიერების წარმართველს წარმოადგენს ტელევიზია. ტელევიზიას განსაზღვრავს სახელმწიფო, სახელმწიფოს კი განსაზღვრავს უცხო ცნობიერება. ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული. ვფიქრობ, ეს ავადმყოფური ნაკადი ჩვენს ლიტერატურაში აქამდეც ჩაკ-

ვდებოდა, რომ არ ჰქონდეს სახელმწიფო მხარდაჭერა. იქნება ეს ტელე-სივრცის, გამომცემლობების, პრესის, გრანტებისა თუ მათი პროპაგანდის სახით. მაგალითად, ტელე-ეკრანებზე ჭეშმარიტ მწერალს კი არ გამოიყვანენ, — მწერლის სახელწოდების მქონე უნიჭოს. ჭეშმარიტ მეცნიერს კი არ წარმოუდგენენ ხალხს, — სუროგატს, რათა თვალსა და ხელს შუა მოხდეს მეცნიერებისა და მწერლობის გაუფასურება მიზანი: ჩვენ უნდა ვიყოთ მხოლოდ მოსამსახურე ერთი და არა შემოქმედი.

— იცვლება და ირღვევა სულიერი ორიენტირები, სულს შეენაცვლა გონება, სიყვარულს — სექსი, ადამიანს — მანქანა... ბატონო სოსო, როგორც თქვენ ბრძანებთ, „მხატვრული სტილი დაიქანცა ტრადიციული სქემების განუწყვეტელი ვარირებით“. იქნებ ვულგარიზმები ავანგარდული აუცილებლობაა ლიტერატურული სიახლისათვის?

— რა თქმა უნდა ადამიანის ფსიქიკა-განწყობილება ცვალებადია, შესაბამისად ლიტერატურაშიც არ შეიძლება, მაგალითად, სულ მოდერნისტული, ან იმპრესიონისტული სტილით მკითხველის მოქანცვა. მაგრამ ნებისმიერი ცვალებადობა არ უნდა გაცდეს კულტურის სფეროებს. ცნობილია, მოჭიდავეთა შებრძოლება მხოლოდ ხალიჩაზე შემოსაზღვრულ რკალში უნდა წარიმართოს. ზღვარგადასულს მაშინვე აჩერებს მსაჯის სიგნალი. უწესო ორთაბრძოლაშიც კი, რომელიც



სოსო სიგუა

ჩვენი აგრესიული ეპოქისათვის დამახასიათებელი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა, სავალდებულო წესები სრულდება. ყველა სხვა შემთხვევაში ნებისმიერი სახის ასპარეზი სცილდება კულტურის ნორმებს.

— მოდერნიზმი — ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ახლისა და უჩვეულოს შექმნას, წარსულის სახეცვლას, თანამედროვე იერის მინიჭებას... ხოლო მოდერნიზმი გერმანულად გახრწნასაც ნიშნავს. ბატონო სოსო, სიტყვიერ ხელოვნებაში აშკერაა და სიტყვის შეუკავებლობა რამდენად წარმოადგენს ლიტერატურას, ან რამდენად შეიძლება განიხილებოდეს ლიტერატურულ სიახლედ?

— თანამედროვე ხელოვნებას რატომღაც უწოდებენ პოსტმოდერნისტულს. ჩემი ღრმა რწმენით, უხამსი მწერლობის მონაცემები წარმოადგენს ვულგარულ ნატურალიზმს. ტერმინოლოგიურადაც კი მას არანაირი კავშირი არ გააჩნია პოსტმოდერნიზმთან. მოდერნისტები იყვნენ არისტოკრატიული ხელოვნების შემქმნელნი. მაგალითად, გალაკტიონი, კ. გამსახურდია, პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, კ. ბალაშონი, ალ. ბლოკი, რილკე გერმანულ ლიტერატურაში, ფრანგულ ლიტერატურაში ვერლენი, ბოდლერი, მალარმე... ისინი იყვნენ სიტყვის არისტოკრატები. „პოსტ“ ნიშნავს შემ-

დგომს. მოდერნიზაციის შემდეგ იყენენ პოსტმოდერნიზაციას, იმპრესიონიზმის შემდეგ პოსტიმპრესიონისტული მიმდინარეობა იშვა. უხამს ენაზე მოსაუბრე „მწერლებს“ რატომღაც სურთ თავიანთი თავი იმ დიდი კულტურის მემკვიდრეებად წარმოაჩინონ, არადა, არანაირი საერთო მათთან არა აქვთ. მაგალითად, ევროპაში ემილ ზოლა ადამიანის ბიოლოგიურ არსებას, ქალსა და მამაკაცს შორის ინტიმურ კავშირს ნატურალისტური სიზუსტით ასახავდა, რასაც მოდერნიზტულს ვერ ვუნოდებთ. ექიმი გინეკოლოგიც წერს დეტალური სიზუსტით, მაგალითად, სამედიცინო სახელმძღვანელოებში, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ ვუნოდებთ პორნოგრაფიას, რადგან მას თავისი დანიშნულება აქვს. საკმაოდ გინეკოლოგიც ცოდნა გამოსცდეს მეცნიერულ საზღვრებს, დაერქმევა ვულგარიზმი. რა პროცესებიც მიმდინარეობს დღეს ხელოვნებაში, კერძოდ, ლიტერატურაში, არის მხოლოდ და მხოლოდ ნატურალისტური ვულგარიზმი.

— **კარგად მესმის, დღესდღეობით „ორნამენტული ფრაზა ღიმილის მომგვრელია...“ და მაინც, „მოჭრილი მუჭური“-ს.. (მ. მიქელაძე, 2009 წ.) აღწერა ეფემერული მოშველებითაც ხომ არის შესაძლებელი? ბატონო სოსო, ქართულ უახლეს „მწერლობაში“ დამკვიდრებული უხამსობანი შეიძლება აღქმულ იქნას სიმახინჯის ესთეტიკის ვარიაციად?**

— სიმახინჯე არის, მაგრამ ესთეტიკა არა, არც მისი ვარიაცია. მიუხედავად კვაზიმოდოს ფიზიკური სიმახინჯისა, არც ავტორი და არც აღმქმელი მას არ ლებულობს როგორც საძულველს. სიმახინჯის ასახვამ მისი საზიზღრობა კი არ უნდა გაგრძობინოს, ან ავტორის მიერ უსუსური განცდების წარმოსახვა პერსონაჟის მიმართ ზიზღს კი არა, თანაგრძობას უნდა იწვევდეს. ვერცერთი აღმქმელი ვერ დასახავს იდეალად „ნეტავ ჩემი შვილი ასეთი იყოსო...“ თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ მთავარი პერსონაჟი ადრიან ლევერკიუნი, გენიალური კომპოზიტორი, ახალგაზრდობაში დაავადდა სიფილისით. ავტორის მიერ ნაჩვენებია, ეს დაავადება თუ როგორ გადადის გენიალობასა და შეშლილობაში. აღწერილია, სიფილისის სტადიები თუ როგორ არღვევს მის სხეულს, ნერვულ სისტემას, ტვინის უჯრედებს და ამ რღვევის პროცესში, როგორ წარმოიშობა გენიალური განათება, რომელიც კატასტროფით მთავრდება. თომას მანს მოცემული აქვს ავადმყოფურისა და გენიალურის მონაცვლეობა სააზროვნო თემად, თორემ რამდენი სიფილისით სნეული ყოფილა ან იქნება, უმნიშვნელოა.

— **მანამდე ლომბროზოსაც ხომ აქვს განხილული გენიალობა და შეშლილობა?**

— ლომბროზოს თეორიით, გენიალობა ყოველთვის შეიცავს ავადმყოფურს, ანუ გენიალობა არის შეშლილობა. მისი თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია და ტალანტის განვითარებაზე მოქმედებს ფსიქიკურ-ნერვული ტრავმები, ამ ადამიანის განცდები, რომლებიც გადასულია ფსიქო-ნერვულ სისტემაში, მაგალითად, სამშობლოსადმი გრძობა იქნება, ქალისადმი სიყვარული თუ მისი დაკარგვა, რომელიც ფსიქო-ნერვულ სისტემას ისე შეეხება, რომ აუცილებლად გადავა მხოლოდ აზროვნების სფეროში. ვინ მოთვლის, მსოფლიოს რამდენი ფსიქიკურად დაავადებული ჰყოლია, რაც გენიალობას სულაც არ ნიშნავს.

— **ბატონო სოსო, ბურჟუაზიის ნაწერები გენიალობად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ნიჭიერი ავადმყოფის ხედვად შეიძლება ჩაითვალოს?**

— ბურჟუაზიე უხამსი ენით მოაზროვნეთაგან, შედარებით უფრო ნიჭიერია. მიმაჩნია, რომ ის არის ნიჭიერი ავადმყოფი. თუმცა არც ისეთი ავადმყოფია, როგორც იავადებს თავს.

— **თქვენი აზრით, რაში შეიძლება დასჭირდეს მწერლობაში დამკვიდრების მოსურნე ადამიანს ავადმყოფის როლის თამაში?**

— ერთგვარი ორიგინალიზმანიაა, თან მისი და მისთანათა ნაწერები ესადაგება საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. იგი ჯდება იმ სააზროვნო რეალში, რომელიც ხელს აძლევს სახელმწიფოს და პირიქით. აუცილებლად უნდა ითქვას, სახელმწიფოს ხელს არ აძლევს არისტოკრატიულ-ჰეროიკული ლიტერატურა სულ უბრალო მიზეზის გამო, შემოქმედი რომ არ იყოს შემწინააღმდეგებელი, არამედ მიმყოლი. ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მოდელით, მოქალაქე სურს აღზარდოს მონად. დღეს სხვადასხვა კულტურების მცოდნე ინტელიგენცია სახელმწიფო მმართველობას არ სჭირდება, ზედმეტი ბალასტია. მიმდინარეობს ქვეყნის, ხალხის ამერიკანიზაცია, რომელსაც ახალი კულტურის შემოსვლად ნათლავენ. ამისათვის სახელმწიფოს სჭირდება დამყოლი შემოქმედი და, შესაბამისად, აღმქმელი. ამ ენით მოაზროვნე „მწერლებმა“ უნდა შეძლონ საზოგადოების ზედმიწევნითი დამორჩილება. ისინი ქმნიან მკითხველის ახალ ტიპს. საინტერესოა, რა ხერხებით? ცოდნით? ინტელექტუალიზმით? — არა, დემორალიზაციით: მამაკაცში განკაცებით, მამობის სურვილის აღმოფხვრით, ხოლო ქალში დედის სახისა და დედობის სურვილის მოსრვით. ამიტომაც სჭირდებათ ბურჟუაზიესა და მისთანათ ავადმყოფური პერსონაჟები. მაგალითად, გალაკტიონის, კ. გამსახურდიასა და მ. ჯავახიშვილის ლიტერატურა არ შეესაბამება დღევანდელ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას. უხამსი მწერლები მიჰყვებიან სახელმწიფოს გარედან შემოსულ ინსტრუქციებს, დინამიკას. შესაცვლელია როგორც ქალის, ისე მამაკაცის ტიპი. აუცილებელია სექსი სახეცვლილი და ა.შ. არადა საკმარისია შემოქმედმა შემოიტანოს რეალობა აზროვნების ჭრილში და ადამიანურ ტრადიციად გაიაზროს, რალა თქმა უნდა, შეიქმნება ლიტერატურა. იდენტური პროცესები მიმდინარეობს განათლების სისტემაშიც. საქართველოში დღეს უნივერსიტეტი აღარ არსებობს, ის თავისი დატვირთვით არის, მაქსიმუმ, კოლეჯის დონეზე. გერმანული სიღრმისეული სწავლა-აღზრდის სისტემა დღევანდელმა ქართულმა სახელმწიფოებრივმა ცნობიერებამ გამიზნულად დაანგრიო. დაუკვირდით, სანაცვლოდ შემოიტანა მსუბუქი, ზედაპირული განათლება, რომელიც ძირითადად მოიცავს ინფლურსა და მხოლოდ კომპიუტერულ ერუდიციას. სხვათაშორის, მსუბუქი, ზედაპირული განათლება გათვლილია უშუალოდ ქალთა სოციალურ ჯგუფზე, რომელიც სჭირდებათ მსუბუქი განათლების მქონე „კულტურულ“ მეძავებად, რომელთათვისაც საკმარისი იქნება ზედაპირული ცოდნა. ალბათ დამეთანხმებით, ღრმა ინტელექტუალის, ესთეტიკური აზროვნებისა და არისტოკრატიული სულის ქალბატონის დაყოლიება ნებისმიერ საკითხში ძალზე ძნელია. ყო-

ველივე რას ისახავს მიზნად? — სექსის კულტს, ოღონდ არა მაღალი ღირებულების (რაც იცის მსოფლიო ზეკულტურებმა), არამედ მხოლოდ გარყვნილების მნიშვნელობით.

— **ფროიდმა უძველესი მითების საფუძველზე წარმოაჩინა არაცნობიერი ფსიქიკა, რომლის ბირთვად მიიჩნია ინცესტი და მამის მკვლელობა — “ოიდიპოსის კომპლექსი”. ფროიდის თეორიის საფუძველზე, “ინცესტი ძალაუფლების სიმბოლიკაა, გზა მშობელი დედის დაუფლებიდან მშობელი მინის დაუფლებამდე...” ბატონო სოსო, მშობელი დედის დაუფლების გაუცნობიერებელი წარმოჩენა (მაგალითად ზ. ბურჭულაძის შემოქმედებაში “...დე, პირში აიღებ?...”) ხომ არ გამოხატავს მიწებდაკარგული, ნიადაგამოცლილი ქართველი “მწერლისათვის” მშობელი მინის ქვეცნობიერი დაუფლების ჟინს?**

— ფროიდი გამოყენებული მაქვს კონკრეტულ ნაწარმოებთა მიმართ, მაგალითად, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებასა“ და „დიონისოს ღიმილში“, რომლებიც ასახავენ ფროიდიზმის ზეგავლენას. ჩვენ ამ დონეზე რომ განვიხილოთ უხამსი აზროვნების „მწერლები“, ისინი უნდა ჩავთვალოთ, სულ მცირე, სერიოზულ მოაზროვნეებად. რამდენი შიზოფრენიკი საავადმყოფოში ან მის გარეთ რამდენ სისულელეს იტყვის, არ მოეძებნება რაიმე სახის აზრობრივი გამართლება. რაც შეეხება დედისა და სამშობლოს დაუფლებას, ამის მეტაფორულ მაგალითად მეცნიერებს მოჰყავთ იულიუს კეისარი. მან, როდესაც ჯარები დაძრა რომის დასაპყრობად, ეკრძალებოდა რუბიკონს აქეთ ჯარების გადმოყვანა, რადგან ამბოხებად აღიქმებოდა. იგი რამდენიმე დღე დარჩა რუბიკონს მიღმა, გალების ტერიტორიაზე, და ფიქრობდა, შეჭრილიყო თუ არა რომში. ერთ ღამეს ესიზმრა, რომ დედის სარეცელს იზიარებდა. იგი სიზმარმა შეზარა, როდესაც მესხიერებაში სიზმარი აღიდგინა, იმწუთივე გასცა რომისკენ დაძვრის ბრძანება. შემდეგ კეისრის ისტორია მოგვხსენებათ... კეისარმა დედის სარეცელის გაყოფა აღიქვა როგორც დედასამშობლოს ხელყოფა, რისი მეტაფორაც არის ეს ისტორია. ინცესტის ნაირსახედ ფსიქოლოგებს კიდევ მრავალი სხვა მაგალითი მოჰყავთ მეცნიერულ ფაქტებად. ხელოვნების ყველა ჟანრი, ყველა სტილი განიდა მხოლოდ ერთი მიზნით — მაქსიმალურად გამოაჩინოს აზრიანი ემოცია. დედასთან ურთიერთობა, ან მამის მკვლელობა შესაძლოა ხდებოდა, ან მოხდეს კიდევ, მაგრამ მსგავს ფაქტებს ხომ ვერ განვიხილავთ აზროვნების, ან ესთეტიკურ პლანში? ადამიანის ესა თუ ის ავადმყოფური გამოვლენა საინტერესო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის სააზროვნო კონტექსტში განიხილება. მხოლოდ დრამატურგის გენიალობამ შემოიტანა ოიდიპოსის თავგადასავალი, როგორც პრობლემა ზნეობრიობის სფეროში და ტრაგიკულად დაანახა აღმქმელს, თუ რა შეიძლება დაემართოს, ბედისწერის რკალში მოქცეულ ადამიანს. სხვაგვარად უზნეობის ასახვა ხელოვნებაში მიზნად რატომ უნდა დაისახოს? პორნოგრაფია, დანაშაულებანი, პათოლოგიური სახეები, სხვადასხვა სწეულებანი არსებობდა და იარსებებს, რაც კაცობრიობა იყო და იქნება, მაგრამ პათოლოგიათა ესთეტიკურ იდეალად დასახვა სხვა არის და პათოლოგიის, როგორც ავადმყოფობის, განხილვა — სულ სხვა. კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი, მისი არსებობის მანძილზე ცდილობს, რომ ადამიანი იყოს

უკეთესი. შესაძლოა მშობელს ჰყავდეს უზნეო ან ავადმყოფი შვილი, მაგრამ მას ეს კი არ ახარებს, ეს მშობლის ტრაგედიაა. ცალკეულ ხელმოცარულთა უნიჭო ნააზრევი წარმოადგენს მათ შემოქმედებით იმპოტენციურ მდგომარეობას, რომელიც მყარადაა გამჯდარი დღევანდელი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების მოდელში.

„**მოდერნიზტები პოლიტიკას ხელოვნებისათვის ზედმეტ ტვირთად მიიჩნევენ...**“ (სოსო სიგუა). **როცა რუსეთი ხელმეორედ აჩოქებდა საქართველოს, ქართველი პოეტი ტილს უძღვნიდა სონეტს... XXI საუკუნის დასაწყისისათვის „შემოქმედებით“ სინამდვილე ბევრად ამაზრზენია: განსხვავებული აზროვნების „მწერლებმა“ „აღმოიყარნეს ყვერ-ფალოსნი...“, „მხიარული ყლებითა და მოკისკისე მუ-ლებითა“ (დ. ბარბაქაძე, 2000?) და „ყ-ეზე წითელი ბანტი...“ (ზ. ბურჭულაძე, 2010?) შეუდგნენ რუსეთის მიერ მესამედ წამოჩოქილ საქართველოს გზებს... ბატონო სოსო, ვის ნიხლქვემაც უნდა აღმოჩნდეს საქართველო, განა ლიტერატურული პრინციპებითვე არ უნდა გაიმიჯნოს ლიტერატურიდან მსგავსი ესთეტიკა და პოეტიკა, ან რა ხერხებით?**

— ამ სახის ნაწერები არ განეკუთვნება ლიტერატურულ ხელოვნებას. მხოლოდ იმ უმწეობის, უილაჯობის გამოსატყულებათა, რომელსაც ახლავს დეპრესია და ნიჰილიზმი. არაცნობიერი პროცესი რა თქმა უნდა წარმართავს შემოქმედებას. არაცნობიერს ყველა ადამიანი ატარებს, როგორც ინსტინქტებს, როგორც გაუცნობიერებელ ლტოლვას, მიდრეკილებებს, მოქცეულს არაცნობიერის სფეროში. მსგავსი ნაწერები არ წარმოადგენს შემოქმედებით პოტენციას, მხოლოდ გადაგვარების, დეგრადაციის გამოხატულებათა. უხამსი ენით აზროვნება ლიტერატურული აზროვნებისათვის ღირებული რომ ყოფილიყო, მათზე ბევრად ვაჟკაცები იყვნენ გენიოსები. მაგალითად, ბაირონი, ულამაზეს კაცად ითვლებოდა, თან ყველა სიკეთესთან ერთად უამრავი ლამაზმანი ქალბატონით განებივრებულს დაასწრებდნენ ჭიალეები მსგავსის შექმნას? ბევრად უფრო მძაფრად, უფრო პორნოგრაფიულადაც, ვინ მოთვლის, კაცობრიობის რამდენი გენიოსი შეძლებდა იგივეს, უხამსი ენით აზროვნება ესთეტიკურად წარმართველი რომ ყოფილიყო კაცობრიობისათვის.

— **კ. გამსახურდიას სიტყვებს რომ დავესხსოთ, „როდესაც ერი კარგავს პოლიტიკურ თავისუფლებას, მან უნდა გაიმარჯვოს კულტურის ფრონტი...“ რასაც, ცხადია, ვულგარიზმითა „სასატკბილობით“ ვერ მოვიპოვებთ. ჯერ კიდევ წინა საუკუნის დასაწყისში, მან საერთოდ ამოავდო რუსეთი ლიტერატურის იმპერიიდან და ორიენტირად გამოაცხადა დასავლეთი – გერმანია და საფრანგეთი...**

— ვინც ინსტრუქციებით მართავს დღევანდელ საქართველოს ხელისუფლებას, ზედმიწევნით აქვთ შედეგი გათვლილი, უნდა დაინგრეს სულიერების ციტადელი — რელიგია და კულტურა. კულტურაში ყველგან და ყოველთვის აზროვნების წარმართველი ძალა ლიტერატურაა. დაუკვირდით, მოხდა მუსიკის პროფანაცია (შებლაღვა). ყველა ის პროცესი, რომელზეც თქვენ ამაზვილებთ ყურადღებას, პირველ რიგში ლიტერატორთა ზრუნვის საგანია. 2004 წელს, ჩემი რედაქტორობით, “მწერლის გაზეთმა” უკომენტაროდ სამი ნომერი დაუთმო მხოლოდ მათ ციტატებს, რამაც დიდი აღფოთება გამოიწვია თვით ამ ენაზე მოაზროვნე

ნე მწერლებში, ვისი ციტატებიც იყო მოყვანილი. წუხილი და დიდი ინტერესი გამოიჩინა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც. ჩვენი ბრძოლა იმით დასრულდა, რომ გაზეთს მოუხსნეს დაფინანსება. ქალბატონმა ნინომაც ზურგი შეგვაქცია და შევრჩით უდიდეს პრობლემას მარტონი, პირისპირ, რაც მხოლოდ იმის მანიშნებელი იყო, რომ ჩვენ ამ ტენდენციის წინააღმდეგ ხმა არ უნდა ამოგვეღო.

ყველაფრის მიუხედავად, რაც უნდა გადაგვხდეს, მაინც ყველაზე დიდი იმედი მაქვს ქართველი ქალის, რომელიც საქართველოში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. ქართველი კაცისათვის ქალის კულტი განმსაზღვრელია, რაც ჩვენს ქვეყანაში იქმნებოდა ყოველდღე მარიათა, წმინდა ნინოს, თამარისა და ქეთევან წამებულის სახეებით. ქართველი მამაკაცი ქალს ყოველთვის აღიარებდა იდეალად და მისი ღირსების დაცვას — მოვალეობად. ხუმრობითა თუ ქალთა სახეების შესაქმნელად ქალის მრავალგვარი იერი ითხზებოდა (მსუბუქი ყოფაცქევის, ტრაგიკული და ა.შ.) ხელოვნებაში, მაგრამ როგორც იდეალი, ყოველთვის იყო ქართველი კაცის აზროვნებისათვის წმინდა, სანიმუშო და მისაბაძი. ისტორიულადაც ყველაზე მძიმე ჟამს ქვეყნის ღირსების გადამრჩენი გახლდათ ქართველი ქალი. ოციოდენ წლის წინათაც, როდესაც მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და დაამხეს ზვიად გამსახურდიას კანონიერი ეროვნული მთავრობა, ყველაზე უფრო პატრიოტული ნაწილი ქალთა საზოგადოება აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტი იბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. დღეს, როდესაც კაცის ღირსებას თვით კაცი უთხრის ძირს და მიჰყავს დაღუპვისაკენ, ისევე ქართველი ქალი ააღორძინებს. ქალი არის დედა, რომელსაც სურს ჰყავდეს ვაჟი არა ისეთი, როგორ პერსონაჟებსაც უხამსი ენით მოაზროვნე “მწერლები” ხატავენ, არამედ — როგორი მამაკაციც წარმოუდგენია თავის არსებაში.

— ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეა ანდროგენულ აზროვნებაში წარმოშობს აქტიური ტიპის ქალის ქვეცნობიერ აგრესიას (რაც შემოქმედთა მიერ გამოიხატება კიდევ ანდროგენულ ქალთა სახეების შექმნით). მაგალითად, ჰეგელისათვის „მეცნიერი ქალი — ულვაშებიანი ქალი“, ცნობილია ტიცან ტაბიძის „მადონა აფთარი“, XX საუკუნის 70-იან წლებში, ევროპაში ფემინიზმის ბუმის ხანაში ავანგარდისტი პოლაკი ქმნის „ულვაშებიანი ჯოკონდას“ სახეს, რომ არაფერი ვთქვათ დემონურ ქალთა არქეტიპებზე, რაც სხვა არაფერია თუ არა გააქტიურებული ფემინური აზროვნების გაიგივება დემონურ ძალებთან. ბატონო სოსო, ჩვენს თანამედროვეობაში ფემინური სამყაროს გააქტიურებული ეპოქით ხომ არ არის გამოწვეული ქართველ შემოქმედლებში ის უხამსი აგრესია, რასაც ყოფითი და შემოქმედებითი სახით ასე უხამსად გვთავაზობს?

— ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ჰგავს საქანელას, აინონა-დაინონას. როდესაც კაცის ფუნქციები ქვეითდება, ქალი აქტიურდება. ძველ დროში მსგავსი საკითხი არც მოიაზრებოდა, რადგან ქალი სავსებით ემორჩილებოდა მამაკაცის ნებას. მოგვწონს თუ არა, განგებამ გადაუნაწილა ფუნქციები ორივე სქესს. ქალს ვერ დავავალდებულებთ, რომ მან იარაღით დაიცვას სამშობლო, დაწეროს „ვეფხისტყაოსანი“, ჩამოაყალიბოს ფარდობითობის თეორია, შექმნას სარაკეტო სისტემა და ა.შ. სამა-

გიეროდ, უკლებლივ ყველა გენიოსს შობს დედა. არცერთ კაცს არ სურს მისი გათხოვილი ქალიშვილი იხილოს დაჩაგრულ მდგომარეობაში. ისევე, როგორც არცერთ ვაჟს არ უნდა მის დედას მამამისი შეურაცხყოფდეს. ამ ორ სქესს შორის უდავოდ არსებობს მამაკაცის პრიმატი. ვფიქრობ, ქალისათვის არაბუნებრივი მდგომარეობა სწორედ ის გახლავთ, როცა ხდება ფუნქციათა აღრევა. ქალი იძულებულია ორმაგად გააქტიურდეს და გაითავისოს, მამაკაცის ფუნქციებიც, რითიც ეკარგება ქალურობა, შესაბამისად — ელახება ქალური ღირსებანი.

— როგორ ფიქრობთ, მსგავსი სახის ნაწერები ხომ არ წარმოადგენს სოციალურ პრობლემათა ნაწილს: მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მოხსნა კაცის ძალის (პრიმატის) უპირატესობა; კლონირება, გნებაზე ხელოვნური ჩასახვა, როგორც მოვლენა, აშკარა უარყოფაა მამაკაცისა; სოციალური დაუსაქმებლობით გამოწვეული უფუნქციობა მამაკაცს სტატიკურ მდგომარეობაში აქცევს... შემოქმედი ალლოთი ხომ არ გრძნობს, რაშიც იყო უპირატესი, ცხოვრების ახალი წესებით თანდათან ეცლება ხელიდან. პასუხად აგრესიულ, უხამსობას ხომ არ გვთავაზობს იმ გამოხატულებით, რასაც შემოქმედებად ასაღებს და მწერლობას არქმევს?

— თქვენს ჩამონათვალს მართლაც ვერ ავარიდებთ თვალს. აშკარაა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ჩვენს დროში არსებულ ცვლილებათა ხელის შემწყობია. გაიზარდა ქალის ასპარეზი. ამ დროს ქალის შეგნებაც ისაა, რომ მან ალლო უნდა აუღოს თანამედროვე რეალობას და გაისიგრძეგანოს, რომ მამაკაცის პასიურ მდგომარეობაში მოქცევა გარემოებითა, ანუ მისი სტატიკურობიდან სულაც არ მომდინარეობს. სხვათა შორის არსებობს კიდევ ერთი, ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი დეტალი — კვების საკითხი. მოგეხსენებათ, ძველ დროში, მამაკაცთა სოციალური ჯგუფი ძირითადად იკვებებოდა ნანადირევით, რაც ნიშნავს, რომ საკვებს მოიპოვებდა მოქმედებით, ბრძოლით. მამაკაცთა პოპულაციისათვის დამახასიათებელი ცხოვრების ეს წესი უშუალო კავშირშია მამაკაცური, შემტევი, აგრესიული ინსტინქტების აუცილებელ განვითარებასთან (მხოლოდ სექსს არ ვგულისხმობ, ეს თავისთავად...), ზოგადად შექმნასთან, დამორჩილებასთან, წინააღმდეგობის აუცილებელ გადალახვასთან, ძალის გამოვლენასთან, რაც ბუნებრივია, აქტივობის გარეშე ვერ მიიღწევა. მაგალითად, ძველ რომში ქურუმებს, გარდა ქალთან კონტაქტისა, ეკრძალებოდათ სისხლის შეხედვაც კი. სისხლი, ხორცი, ცხენი, მახვილი და ა.შ. კაცში აძლიერებს აგრესიულ ენერგიებს. ერთი დღე, თუნდაც კვირა, ვერაფერს ვერ დააკლებს კაცს, მაგრამ როდესაც ბავშვობიდან ძალაგამოცლილი ენერგიით იკვებები, ბუნებრივად ხდები ძალაგამოცლილი ენერგიის მატარებელი. მამაკაცის განუკაცებელი პროცესში კვება ძალიან დიდ როლს ასრულებს, მით უფრო უცხოეთიდან შემოსული შეუმცნებელი საკვები რა და რა სახის კონცენტრაციების მომცველია — ჩვენ ვერ ვამოწმებთ. რაც შეეხება სულიერ ცხოვრებას, ლიტერატურულ ხელოვნებაში აგრესია ნიშნავს სიტყვის დამორჩილებას და არა აშვებულობას, რაც მხოლოდ პოეტთა, გენიოსთა ხვედრია. თუ შექმნიან მათ მიერ შემოთავაზებული ხერხებით ღირებულ ლიტერატურას, სულ სხვა საკითხი იქნება. ზოგჯერ ცხარე სიტყვა სიცოცხლის უნარს სძენს, მაგალი-

თად, სუფრას — ხალისი შეაქვს, მაგრამ ვულგარულ ფრაზებს ყველაზე დიდი გემოვნება სჭირდება. მათ მიერ შემოთავაზებული ნაწერები განეკუთვნება არა ხელოვნებას, არამედ ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ პრობლემათა სფეროს. რამდენადაც სოციოლოგია და ფსიქოლოგია ლიტერატურაში იჭრება, ამდენად ვმსჯელობთ ამგვარ საკითხებზე, თორემ მათ მიერ შემოთავაზებულ პროდუქციას ვერ გადავაცქევთ ლიტერატურული განსჯის საგნად.

ესაუბრა

წუთები და წლები

როსტომ ჩხეიძე

მცურავი დინამიტები

— ტფილისი ცოტათი გამოცვლილია. კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენ.

ჩანანერი, რომელიც ამ ფრაზებით იხსნება, მიახლოებით დათარიღებულია 1921 წლის 25 მარტი-2 აპრილით.

გიკვირთ ეს გამაოგნებელი, აუხსნელი სიტყვები: კომუნისტები რეპრესიებს არ მიმართავენო?

არა, ნუ იფიქრებთ, რომ გალაკტიონი დაშინებულია და საკუთარ თავსაც ვერ უმხელს ახალ მონესეთა მსახვრალი ხელის არსებობას.

ამ ფრაზაში არც არაფერია გაყალბებული და არც არაფერი შელამაზებული.

ეს მართლაც ის დღეებია, როდესაც ახალი ხელისუფლება მოჩვენებით დათმობას ამჯობინებს, ჯერ დასამკვიდრებელნი არიან, ისიც არ იციან დაბეჯითებით, მარტო თვითონ მოიპოვებენ მმართველობას თუ ორხელისუფლებიანობა დამყარდება და მენშევიკებთან მოუწევთ ძალაუფლების გაყოფა.

ხომ არსებობდა ასეთი იდეა, თვით ლენინის გონებაში დაბადებული და გარკვეულ დრომდე ნებადართულიც: აღმოსავლეთ საქართველო — ბოლშევიკებს, დასავლეთ საქართველო — მენშევიკებს.

ამიტომაც ძალიან ერიდებიან მოსახლეობის შეწუხებას.

დედაქალაქი ცოტათი რომ გამოცვლილია, ეს ბუნებრივად აღიქმება ყველას და, ცხადია, გალაკტიონის თვალთაც — ომი მის მისადგომებთან, მენშევიკური მმართველობის დამხობა, ახალ მონესეთა მოვლინება.

და სიხარული, დიდი სიხარული, რომ დევნა-შევიწროება არ არის მოსალოდნელი.

აგერ მწერლებისათვის ახალ მმართველთ უბოძებიათ მართლაც დიდებული ხელოვანთა სასახლე, ეგაა, გალაკტიონს გულს ეთანადრება: რატომაა მისი ნომერი 13-ო.

დროებით ამ სასახლეში შეიკედლებდნენ.

— მიმიღეს სიმპატიურად.

ოღია ოკუფავას ძმები უკვე თვალსაჩინოდ იკვეთებიან ახალ ხელისუფლებაში, და სხვანიც კეთილად ეპყრობიან. ამიტომაც რატომ არ უნდა იფიქროს სახელმწიფო თეატრში

სალამოს გამართვაზე? ეს ხომ ცოტათი მაინც გამოუკეთებს საქმეს. არწმუნებენ, წიგნის გამოცემაც შესაძლებელიაო.

იმედოვნება სულ უფრო და უფრო უღვივდება და უმყარდება.

კვირას ხელოვანთა კომიტეტის არჩევნებია დანიშნული.

— ყველა ხელოვანები აქ არიან. მთავრობა ხელოვანებს დიდი ყურადღებით ეპყრობოდა. უთუოდ არც მე დავიჩაგრები.

სულაც არ აპირებს განზე გადგომას, გვარდიელთა გაზეთის რედაქტორობამ მად გაუღვიძა მხოლოდ და ასე ადვილად ვერ ჩამოეხსნება ასეთ საქმეებს. ჯერ მკაფიოდ ვერ წარმოუდგენია თავისი ადგილი ახალი ხელისუფლების პირობებში, მაგრამ უსათუოდ რომ დაისაჭიროებენ მის სამსახურს, ეჭვიც არ ეპარება. დაე ნახონ, თავს როგორ გამოიჩინოს!..

„გვარდიელისათვის“ ვითომ არც ურედაქტორია, ზედმეტია ახლა ამის გახსენება, იმედით კი იმედოვნებს, რომ ბოლშევიკები მისი ბიოგრაფიის იმ ეპიზოდს სულაც არ გაბუქავენ და არ ნააკეცავენ ხოლმე.

და უეცრად აღფრთოვანდებოდა:

— სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს! მე მასში ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება.

20 აპრილის დღიური იმით დაიწყო, რომ დაღვებდა თუ არა „რიუმკა“ კონიაკს, გაეშურებოდა კადეტთა კორპუსისაკენ და იქ დანაკლისის შესახებ დაელაპარაკებოდა შინაგან საქმეთა კომისრის მდივანს. რა დანაკლისს გულისხმობს? მთავარი აქ მაინც ისაა, რომ:

— ის თურმე კიდევ მცნობდა და დიდებულად მიმიღო. ვნახოთ, რა გამოვა.

ეს შეხვედრა კიდევ უფრო განუმტკიცებდა რწმენას, რომ ახალ სინამდვილეში ადგილის დამკვიდრება არ უნდა გაძნელებოდა:

— საზოგადოდ საზოგადოებაში თანდათან ვსარგებლობ იდუმალი სიმპატიით, რაც ძნელი გამოსაცნობი არაა.

სალამოს აკადემიის სხდომაზე გრიგოლ რობაქიძე ლექციას რომ წაიკითხავდა ნოვალისის პოეტიკის შესახებ, გალაკტიონი განსაკუთრებული ცნობისწადილით დაესწრობოდა ამ სალიტერატურო შეკრებას, რაკილა მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი შემოქმედის ირგვლივ მსჯელობას საუცხოო ერუდიტად აღიარებული პიროვნების მიერ მოსალოდნელია საკმაოდ გაემდიდრებინა მისი ცოდნა.

ლექტორი თავის გამოსვლას იმ სიუჟეტურ ქარგაზე ააგებდა, რომ აღწერდა ნოვალისის გარეგნულსა და სულიერ ცხოვრებას და აქედან გამოიყვანდა მის პოეტიკას.

გალაკტიონი განბილებული დარჩებოდა: რობაქიძე წიგნიდან კითხულობდა ციტატებს და ასე ლექციის წაკითხვა არავისთვის საძნელო არააო.

* ბიოგრაფიული რომანიდან „კომიკოსი ტრაგედიაში (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“

კი მაგრამ, რატომ მოენდომებინა წიგნიდან წაკითხული ციტატებით ლექციის გადავსება მჭევრმეტყველებით ცნობილ ადამიანს? ალბათ ფიქრობდა, ზეპირი საუბრისას ვაითუ მნიშვნელოვანი დეტალები გამომრჩეს, ის ნიუანსები, რაც ასერიგად აუცილებელია ნოვალისის პოეტური თავისებურებების განსჯისას.

— მაინც ლექცია ძლიერ საინტერესო გამოვიდა ერთის მხრით, — ამ ფრაზას რომ ამოიკითხავთ დღიურში, რას წარმოიდგენთ, ირონიულად თუ არის ნათქვამი, არადა, ეს მაშინვე გათვალსაზიროვდება: მან ნათლად დაამტკიცა რობაქიძის არაპოეტობა, და ამისთვის შესაფერისი საფუძვლების ძიებაო...

ნოვალისი სულ სხვა კატეგორიის პოეტი რომ გახლდათ, ვიდრე რობაქიძე, უფრო სულიერი ცხოვრების წარმომადგენელი, მის პოეტიკას ოდნავ მაინც ვერ მიუახლოვდებოდა ქართული სწავლული, როგორც ფილოსოფოსი და ვიარჩესლავ ივანოვის მოწაფე?

და ამ სახელის — რუსი მწერლისა და მეცნიერის — ძალდაუტანებელი წამოტივტივება ახალ მასალას მიაწვდიდა გალაკტიონს ირონიისათვის:

— სად ნოვალისი და სად ვიარჩესლავ ივანოვი? სად „პროკურორი“ და სად „კურდღელი“? სად „პროლეტარი“ და სად „ჩიტი“.

სიამოვნებით ჩაელიმებოდა, როდესაც გერონტი ქიქოძის მოსაზრებას ამცნობდნენ: სად გამონახავს რობაქიძე ასეთ თემებსო. და ძალიან დაინტერესდებოდა, ნეტა პავლე ინგოროყვა რას ამბობსო. ვერ გაარკვევდა და შენუხდებოდა — და ეს დეტალიც მკაფიოდ მოწმობს, თუ რარივ აფასებს ამ პიროვნებასა და მის შეხედულებებს.

ეს ორი სახელი გვერდი-გვერდ კიდევ მოიხსენიება იმავე დღის ჩანაწერში, რომელიც დღიურის კვალობაზე ვრცელდება და დეტალური, ესეისტური დაკვირვებებითაც სავსე, თორემ ყოფითი სურათებით ხომ თავისთავად.

შემდეგი თავყრილობა პარასკევს დანიშნულიყო და მოხსენება პოეზიაზე კონსტანტინე გამსახურდიას უნდა წაეკითხა, იმხანად აბაშისპირელის ფსევდონიმით რომ გამოსულიყო ასპარეზზე.

გალაკტიონი წინდანწინვე ვარაუდობს, თუ რა არის მოსალოდნელი, თითო ფრაზით მეტყველად წარმოსახავს მომსწენებელსაც და მთავარ მოკამათებულსაც, რომელიც კონსტანტინეს დისკუსიას გაუმართავინ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გალაკტიონისთვისაც სახიფათონი არიან.

- აბაშისპირელი უარყოფს ყოველგვარ მუსიკას.
- რობაქიძე საშუალოდ უარყოფს.
- ტიცინი უთუოდ თავისად გამოიყენებს.
- პაოლო ბევრს იყვირებს და სხვა არა იქნება რა.

იქვე დასძენს: ძალიან, ძალიან სიმპატიური ხალხიაო, — მაგრამ თურმე კვლავ ირონიით, რაკილა მომდევნო სიტყვები, ასერიგად მწარე, თვალნათლივ ცხადყოფს მათდამი გალაკტიონის ნამდვილ დამოკიდებულებას:

— საცოდავები! მალე მაგათი ხსენება აღარ იქნება. აქა იქ გაშვებულია მცურავი დინამიტები, საცაა აფეთქდებიან. მაინც... მაინც როგორ უნდა აფეთქდნენ?

და გარშემო რომ მიმოიხედავდა, ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა თანამოკალმებზე: ამაყი და შეუგუებელი ხალხია და უმრავლესობას სწყურია გამბედავი მეთაური.

ნეტა საკუთარ თავს ხომ არა გულისხმობს „გამბედავ მეთაურში“?

აბა, სხვას ვის?!

ფსიქოლოგიურად მისთვის გასაგები გახლდათ, ასეთი ხასიათის ადამიანებისათვის შეუფერებელი გარემო რომ იყო გარშემო და გულისტკივილით ჩაინიშნავს: საჭიროა სხვა, რუკაზე არსად არ აღნიშნული პოლუსის, რომელიმე კამჩატკის გამონახვაო.

და, აი, კიდევ ერთხელ ჩნდება გერონტი ქიქოძისა და პავლე ინგოროყვას სახელები.

— თანაც კონტექსტს დაუკვირდით.

— უნდა იცოდეს გერონტი ქიქოძემ რა აზრის არიან მასზე რობაქიძე და ტაბიძე და იაშვილი. როდესაც ამას გაიგებს, იგი სავსებით ჩვენ მოგვემხრობა.

და იმ სამეულის ხსენება მაშინვე რომ გააგულისებს: საზოგადოდ მაგათი ხერხი და იარაღი პროვოკაცია და ენის მიტან-მოტანააო, — თავის მხრივ თანამდგომთა შემომტკიცებას ეშურება და:

— უნდა გავაგებინოთ პავლე ინგოროყვას, რომ ისინი მას უნიჭოს უწოდებენ.

— უნდა იცოდესო... უნდა გავაგებინოთო...

თუ კულუარული ბრძოლაა, კულუარული ბრძოლა იყოს... კიდევ აცოდინებს, კიდევ გააგებინებს ერთსაც და მეორესაც, აბა, სად უცადოს, ვიდრე ვინმე ჩაანვეთებდეთ... სულ პავლეს ქებაში რომ არიან ცისფერყანწლებიც და მათი მეთაურიც, ლექსებსაც უძღვნიან და საჯაროდაც ყოველთვის მის ხოტბად იღვრებიან? ენაზე ჭალი მოეკიდებათ თუ რა!.. მაგრამ დროს იშოვნიან თუ არა, ნესტარს მალულად მასაც წაჰკრავენ და დაე საკუთარ თავზეც ზღონ, რას ნიშნავს ენის მიტან-მოტანა...

შალვა დადიანსაც უსათუოდ ამცნობს: რობაქიძე შენი წინააღმდეგია, ლოთს გეძახისო.

ობოლმა მუშამ (სოლომონ თავაძე), ვარლამ რუხაძემ და ალექსანდრე აბაშელმაც უკვე უნდა აირჩიონ, თუ ვის გვერდით აპირებენ დგომას.

— ამაშია თვით მაგათი ხსნა.

ხსნა კი ამას და მხოლოდ ამას გულისხმობს:

— შემაერთებელი ძაფი უნდა მოინახოს. უამისოდ მოსალოდნელია სწრაფი კატასტროფა...

ხოლო ნოვალისში ბევრი რამ რომ იყო მეტაფიზიკური და ბევრიც მისტიციზირებული, ნეტა გრიგოლ რობაქიძეს როგორ ესმოდა მისტიციზმი? გალაკტიონი მაინცდამაინც ვერ ივარაუდებდა, თავის მხრივ კი მისტიციზმს განსაზღვრავდა შეცნობად მსოფლიოს მეორე არსისა, სიკვდილისა და... სიყვარულისა, და გაახსენდებოდა, რომ სიყვარულს ნოვალისი რელიგიას უწოდებდა.

ნოვალისი სიყვარულს მთელი არსებით რომ შეიგრძნობდა სოფიოსთან, მისი გარდაცვალება კი ისეთ საშინელ მწუხარებას მოჰგვრიდა, ათქმევინებდა: მე ახლა მკვდარი ვარ, მე აღარ ვარსებობო, — ეს მწუხარება დიდხანს არ გაგრძელდებოდა და იგი სხვა ცოლს შეირთავდა. ლექტორი ამას რომ ჰყვებოდა, დასძენდა: ეს დიდ საგონებელში აგდებს მის მკვლევარებსო, — და გალაკტიონს გააოგნებდა და კრიტიკულ მოსაზრებას გაუჩნდა: მათ რომ დაკვირვების უნარი ჰქონოდათ, დაინახავდნენ, რომ მთელი დედამიწა და შეიძლება თვით ეს ბიოგრაფებიც სწორედ ასე იქცევიან და ნოვალისის სულიერი ცხოვრება სავსებით დამოკიდებული იყო მის მატერიალურ არსებობაზე, მის სხეულზეო.

— ეს ისეთი ნათელი ფაკტია, რომ არავინ საგონებელში არ უნდა ჩააგდოს.

გალაკტიონი ნოვალისს წარმოიდგენდა არა ერთი ხაზის, განსაკუთრებული სულისა და იდეის კაცად, არამედ ჩვეულებრივი სუსტი ნებისად, ვინც ამ ფიქრსა და ოცნებას აპყვებოდა: ადამიანი არასოდეს არ მოკვდება, თუკი ამაში დარწმუნებულიაო.

ამ აზრს თუ რაიმე სხვა სარჩული არ მოენახებოდა, ძალზე სასაცილო შეხედულებად დარჩებოდა. თავისთავად ლამაზი იდეა გახლდათ, რომ ჩვენ ანარეკლი ვართ ჩვენი მეორე მე-სი, მაგრამ აღარ უნდა გვეცადა მისი დამყარება ჭეშმარიტ საფუძველზე.

გალაკტიონს ესმოდა ეს.

თვითონაც განეცადა და უკიდურესი სიმძაფრითაც.

— ჩვენში არის დაფარული მეორე „მე“ — უფრო ნამდვილი, ვინემ ხილული „მე“. სწორედ ამ უხილავ „მეს“ გამოამკარავებამია მთელი საქმე და მიზანი პიროვნებისა. აქ ინტელექტი თამაშობს უდიდეს როლს, შეიძლება გადამწყვეტსაც. შესაძლებელია „მე“ სამუდამოდ დამარხული დარჩეს და გამოუამკარავებელი.

გრიგოლ რობაქიძეს ნოვალისის ბიოგრაფიიდან რომ გამოეყვანა მისი პოეტიკაც, გალაკტიონი თავის მხრივ დასძენდა: მხოლოდ ხანდახან არის შესაძლებელი ბიოგრაფიული ხაზებიდან პოეზიის საფუძველების ძიება.

პირადად მისთვის რას წარმოადგენდა პოეზია?

— როგორც სხვა, არაჩვეულებრივი, სხვანაირი ცხოვრება. ბიოგრაფიასთან პოეზიის მიგნების ძიება ძველი მეთოდია, თუმცა არა... ხშირია ასეთი მეთოდები ეხლაც. ცხოვრება ყოველთვის დიდ მასალას აძლევს პოეტს.


და გაიხსენებდა ვალერი ბრიუსოვის სიტყვებს: ვერლენში შეერთებული იყო პოეზია და ცხოვრებაო.

— მართალი აზრია, რომ პოეტი ცხოვრების ნაპირების გაღრმავებას უნდა ცდილობდეს, მაშინ რალაც ახალი აღმოჩნდება ყოველთვის.

ვითომ ზოგადი თვალსაზრისით აინტერესებს ეს ყოველივე და ბრიუსოვის ფრაზაც უნებურადაა წამოგონებული.

არადა, საკუთარ თავს შეჰყურებს ამ ფონზე — ნოვალისისაც, ვერლენისასაც... და გუნებაში იბეჯითებს: ჩემშიც შეერთებულია პოეზია და ცხოვრებაო.

გალაკტიონისათვის რომ გეკითხათ, მისი სიყმანავილის ხანა გაციოსკროვებულიყო ედგარ პოსა და ნოვალისის ლანდებით, თითქოს ეს სამნი ნავითაც მიუყვებოდნენ მდინარის ჩქერალებს და გალაკტიონს ოდნავადაც არ აკვირვებდა თვალნათლივი ხილვა იმ ორი პიროვნებისა, რომელნიც სხვათათვის შორეულნი გახლდნენ და მარტოდენ დიდი სახელები და წიგნის ბინადარნი — როგორც ლიტერატურის კლასიკოსებად აღიარებულნი...



მხატვარი კარლო ფაჩულია

მაგრამ გალაკტიონი უფროს ძმებად მიიჩნევდა ერთსაც და მეორესაც. და თუმც ეს აზრი თუ განცდა ასე პირდაპირ არ იხსენიება მის პოეტურ მემკვიდრეობაში, — მიუხედავად იმისა, რომ ერთის სახელიც და მეორისაც არაერთხელ (განსაკუთრებით მაინც ედგარ პოსი) გაისმის გალაკტიონის ლექსებში, — ის ინტიმი, რითაც მათი ხსენება განმსჭვალული, სწორედ ამ შთაბეჭდილებას გვიტოვებს.

ძმები იყვნენ, აბა რა, ისე ემშობლიურებოდა ერთიც და მეორეც.

ყველაზე მძაფრი ტრაგიზმის გამოხატვა რომ მოუნდებოდა, ათასგვარ ხილვათა შორის ძალდაუტანებლად გაი-

ეღვებდა ნოვალისის პოეზიის უმთავრესი სიმბოლო, რომანტიზმის სახისმეტყველების ერთ მთავარ სიმბოლოდაც გადაქცეული: ცისფერი ყვავილი, — ხშირად რომ წამოჰგონებიათ და დაუმონებიათ, მაგრამ გალაკტიონისათვის კიდევ სხვა განცდით გაიჟღერებოდა და უმძაფრეს წარმოსახვებს რომ ჩაექსოვებოდა: იყო ირგვლივ ზიანება და ყორნების ჩხავილი, თოვლმა სილას მიანება ნოვალისის ყვავილიო, — ამ ყვავილის, მისი მარადიულობისა და წარუვალლობის გამოც მოხდებოდა, რომ სასწონარკვეთილი განწყობილება ერთბაშად შემოტრიალდებოდა და შემოგარსული სივრცეც სადღაც ჩაირღვეოდა, იმავდროულად ფრიდრიხ ნიცშეს მარადიული დაბრუნების იდეაც რომ გამოკრთებოდა და ამ ორი სახელის ამოტივტივებით გამხნევებული უკვე სხვათაც შეაგონებდა:

მაგრამ გულში დარდი ნუ ისევ, ოცნება თუ გმორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება.

ხოლო „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ (1922, 2) მონინავედ განსაზღვრულ სტატიამი სწორედ ნოვალისის (და მასთან ერთად კიდევ სხვა გერმანელი რომანტიკოსის — ვილჰელმ ჰაინრიხ ვაკენდროდერის) სახელის გახსენებით გააცხადებდა საკუთარ პოეტურ მრწამსსა და არჩევანს:

— მე ვიცოდი, რომ ადამიანებს შორის აღარ არის არავითარი კავშირი უსულო და უგულო ანგარიშების გარდა, რომ ამაოდ წყუროდათ ამ ადამიანებს იდეალი და ჰარმონია, რომ ეგოისტურმა ანგარიშებმა სრულიად წაღვეკეს ლტოლვა არაქვეყნიურ ოცნებისადმი, გაჰქრა მწუხარება ვაკენდროდერის, გაჰქრა ზმანებები ნოვალისის.

მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით უნდა მოხდეს.

ჯერ გალაკტიონი გრიგოლ რობაქიძის ლექციას ესწრება და, განზილებულს, ეს ფიქრი აკვირდება: უკეთესადაც შეიძლებოდა, ბევრად უკეთესადაცო!..

მოხსენების შემდეგ კონსტანტინე გამსახურდია რომ ილაპარაკებდა და აღნიშნავდა მუსიკის არარსებობას საზოგადოდ პოეზიაში, გალაკტიონი, იქ გაჩუმებული ნესტარს ნაპკრავდა უბის წიგნაკში:

— ყველა თავის უნიჭობის საფუძვლებს, იდეოლოგიურ გამართლებას ეძებს.

გრიგოლ რობაქიძე თავისას ამტკიცებდა: თვითუფლ სიტყვას, რანაირიც უნდა იყოს, აქვს თავისი მუსიკაო.

და გალაკტიონი კვლავ განმარტობაში ჩაძირული გადაეშვებოდა დისკუსიაში და წარმოსახვით შეეპაექრებოდა ცისფერყანწელთა ორდენის მეთაურს: მაშინ რა არის კეთილხმოვანება, რისთვის ამჯობინებს თქმას „წყალიდან“ და არა „წყლიდან“. თუ სიტყვაში არის შემეცნება და საზრისი, აზრი, რატომ არ შეიძლება ის თანაბრად გამოიყენებოდესო.

და გაგულისდებოდა:

— მე უნდა დავარწმუნო ეს ვაჟბატონები, რომ არის პოეზიაში მუსიკა, არა ქვების (მალარმე), არა არტიკლების (გერმანელი პოეტები), არა ვერლენის (ნიუანსები), არამედ სხვა...

ეს „სხვა“, ცხადია, თვითონაა.

აი, თუ არა, თორემ ამ „სხვას“ ასე აღმატებულად არ განსაზღვრავდა:

— ნიჭის, ნიჭის და კიდევ ნიჭის.

ეს მართალია პარადოქსს ჰგავდა, მაგრამ სხვანაირად როგორ გინდოდა აგეხსნა?

— სიტყვა არც რომანსია, არც სიუიტი, არც ოპერა, ამათ ყვეთ თავიანთი კომპოზიტორები. სიტყვა გამოძახილია მხოლოდ სხვა დიდი მუსიკის, რომლის სახელიც უნდა მოინახოს. ერთი რამ აღმოჩნდა: მუსიკა აქ სხვა და სხვანაირად ესმით, ორნაირად ესმით: ერთი როგორც გამოსახულება და მეორე როგორც მუსიკა. ამნაირად ჩვენ, მგონია, ბევრში ვთანხმდებით, ბევრში ვერ ვრიგდებით. ეგ ჯერჯერობით არაფერია.

ეს კი მოეწონებოდა და სასიკეთო პერსპექტივას ივარაუდებდა, პოეტები გულდამშვიდებით რომ მოუსმენდნენ გრიგოლ რობაქიძეს და სრულიად ჩუმად დაიშლებოდნენ.

და იქვე გული არ მოუთმენდა, რომ იმ თავგამოდებული ახალგაზრდა კაცისათვის არ გადაეკრა: ეტყობოდათ უფრო მეტი დაფიქრება, ვიდრე აცუნდრუკება ლეონიძესავითო.

ლექციის შემდეგ პაოლო იაშვილი ჩაიზე რომ მიიწვევდა თანამოაზრეებს, გალაკტიონსაც დაპატიჟებდა. ეს მოსვლით კი მივიდოდა, მაგრამ ინანებდა:

— აქ მე პირდაპირ ობლად ვგრძნობ თავს. იმდენად უსინდისოები არიან, რომ ყოველნაირად ტერორს მიკეთებენ სიტყვის თქმის დროს, ერთმანეთს გადახედავენ ხოლმე და სხვა.

თუმცა გულს მაინც გაიკეთებდა:

— ეს კარგი, მე მშვენივრად ვგრძნობ თანდათან რანაირად მოვიქცე.

უბოლოო, დიდი და ღრმა მწუხარება და მარტოობა დაუფლავებოდა:

— დავკარგე ყველაფერი რაც მიწერია ბავშვობიდანვე... სულ ყველაფერი.

რა გასაკვირია, ამის გამო ასეთი დიდი მარტოობა რომ განეცადა:

— თითქო მომკვდარიყოს ჩემი სიყმანვილე: მთელი ჩემი სიყმანვილე, მრავალი (გაუთავებელი) ლამეები, მრავა-

ლი გრძნობები სიხარულისა, მუყაითი შრომის, ენერგიული თავგამოდების...

მისი დღიურები.

მისი ლექსები.

სადღა იყო ეს ყველაფერი!..

და სიტყვებს ქვითინიც ამოსდევს:

— ვერასდროს, ვერასდროს, ვერასდროს მათ ველარ ვნახავ... ვერსად მათ ვერ ვნახავ, დაწერილებს მსუბუქი ხელით ახალგაზრდული სიმსუბუქით და გატაცებით (ონეგინისებური) უზრუნველობით, ყველაფერი დაიკარგა...

და ყველაზე მეტად რაც ეაფსუსება და ესათუთება:

— ოჰ, ძვირფასო წერილებო საყვარელი ქალისა: რა სასოებით, რა იღუმალი სიამაყით გინახავდით თქვენ... რა თავდადებული წარსულის შუქი გამაშუქებდა თქვენ გადაფურცვლაზე, ეხლა ყოველივე ეს მკვდარია...

რაო, საყვარელი ქალის ძვირფასო წერილებო?

ნაკლებ მოსალოდნელია რაისა ჩიხლადქს მიენეროს მისთვის ეს გულათრთოლებული ბარათები.

აბა, ოღია ოკუჯავას წერილები შემორჩენილია, და თუ მათი ერთი ნაწილი იგულისხმება, ასე მწარედაც არ უნდა განიცდიდე: ყველაფერი დაიკარგა და ახლა ყოველივე ეს მკვდარიაო.

არადა, სასოებითა და იღუმალი სიამაყით ინახავდა თურმე.

ვინ შეიძლება იყოს ის ქალი, ვისი სიყვარულის ბუნდოვანი კვალიც არ დამთენილა?

ან... არსებობდა კი რეალურად?

იქნებ ყოფით სინამდვილეში გალაკტიონის წარმოსახვა ისე ძალუმად იჭრება, რომ რაღაც არარსებულს გვაჩეჩებს ხელთ?

ამასობაში კი დღიური მოსთქვამს იმ იღუმალეობით სავსე ნაწყვეტების გამოც, რომელნიც მოწინებით ინახებოდნენ მომავალი დიდი რომანის დასამუშავებლად.

იმ ძვირფასი წიგნების გამოც: გოტიესი, ვერლენისა, რემბოსი.

იმ მშვენიერი სურათების გამოც.

— არავინ, არავინ, არავინ თქვენგანი არ დაბრუნდება, არც ერთი თქვენგანი არ გამიღიმებს და ვარ მარტო ეხლა, სრულიად მარტო.

ის ყოველივე — ხელნაწერებიც და წიგნებიც, არსებულებიც და... არარსებულებიც, მის მარტოობას იზიარებდნენ, არ ანებებდნენ თავი ეგრძნო სრულიად მარტო.

ადამიანები კი არა, სწორედაც ეს ბარათები, ეს ფრაგმენტული ჩანაწერები, ეს წიგნები.

გალაკტიონური მარტოობაც ეს ყოფილა.

გაუსაძლისობას მხოლოდ ფურცლები რომ ამსუბუქებდა — ხელნაწერი თუ დაბეჭდილი.

სასონარკვეთილებას არ უნდა მისცემოდა, არაფრისდებით არ უნდა ეთქვა: ამიერიდან ველარაფერს ველარ ვავაკეთებო... მაგრამ რაც დაკარგულიყო, ვილა დაუბრუნებდა?

— ვერავინ, ვერავინ, ვერავინ. გაჰქრა წარსული: ჩემი გული, ჩემი იმედი მომავლისა.

მომავალს ახსენებდა და... შეეშინებოდა — ვინ დაუჭერდა მხარს, ვინ მისცემდა ძალას? სანუგეშოს ვერაფერს ჰპოვებდა და დიდ, დიდ, დიდ მწუხარებაში ჩაიძირებოდა.

— გალაკტიონ ტაბიძე აღარ არის...

ეს ლოგიკური დაგვირგვინებაა მთელი ამ კვენესა-ურვის, მთელი ამ სულიერი ტანჯვის. მაგრამ... მაგრამ ეს რაღა?

— გაუმარჯოს გალაკტიონ ტაბიძეს.

ვინ ამცნობს, ვინ ჩასჩურჩულებს იმ საიმედო სიტყვებს, ერთბაშად ასე რომ აღიტაცებს? თუ... მხოლოდ იმას ცდილობს, რომ სასონარკვეთას არ გაუტყდეს? თავს იტყუებს და ილუზიებით ლამობს ყოფით რეალობაში ადგილის მოპოვებას?

მაინცდამაინც ილუზიები არ უნდა აღანთებდეს ასე, საკუთარ თავს გამარჯვების კიჟინით რომ ეგებებოდეს.

ის მტკიცე ნება, რაც მის არსებაში ჩაკირულა, უნდა იჩინდეს თავს ამ დიდი მწუხარების ჟამს და არ ანებებდეს ერთიან ჩამორღვევას — ხორციელსა და სულიერს.

რაო, ტიცციანი რას ამბობს?

როდესაც რობაქიძე ლაპარაკობდა ბარათაშვილზე, ნოვალისსა და მას შორის მსგავსებაზე, საზოგადოებამ გალაკტიონს გადახედაო...

აჰა, მასხრობა უნებებია.

გალაკტიონი ხმაგაკმედილი ზის და... გულში კი ყალყზეა შემდგარი: ვნახოთ, ვინ იქნება მასხრად აგდებულიო.

და ყალყზე შემდგარი თავისი ის მეორე მე გალაკტიონს არწმუნებს, რომ რობაქიძის ლექციაც რა იყო ბოლოსდაბოლოს — მთლად მორის მეტერლინიკიდან გადმოღებული, ხოლო სიცილი ტიცციანის რეფერატზე იქნება თუ იქნება. პაოლო და ტიცციანი დიდი მეგობრები არიან? მაგრამ მოსალოდნელია, რომ ძლიერ წაიჩხუბონ და ეს სულ ახლო მომავალში.

გიორგი ლეონიძის ის ფრაზაც ჩარჩებოდა სსოვნაში პაოლოსთან ვახშობიდან წამოსულს, გულსგარეული: საზოგადოება გულდასმით ისმენდა და დებოში არ აუტეხავს, განსაკუთრებით იმათ, საგანელის ხალხი რომ არისო.

და გალაკტიონი თავის მომავალ მოქმედებას ჩაინიშნავს:

— ეს უნდა იცოდეს კარგად საგანელმაც.

უეცრად ნიკოლო მინიშვილის ლანდი ამოუხვეტებოდა თვალწინ და... ლეონიძის გესლიან მუსუსად მოიხსენიებდა.

და ამ თვალთ რომ მიმოიხედავდა გარშემო, გესლიანობის მეტს ვერც ვერაფერს აღმოაჩენდა. რა გააგრილებდა ამდენ გესლს ცოტათი მაინც? რა და... ფართო სალიტერატურო აკადემია, საამისოდ კი ჯერჯერობით შესაფერისი მუშაობა არ დაწყებულიყო. მაგრამ აუცილებლად კი დაიწყებოდა, ვითომ ცისფერყანწილები ხელს შეუშლიდნენ მის დაარსებას?

— მაგრამ ეს არაფერია. საქმე თავისით წავა წინ. ძლიერ წავა წინ. საჭიროა ერთი თესლი გადავარდეს, ერთი ნაპერწკალი და იგი თავისით სწრაფად აინთება: იგი ძლიერ გაიზრდება და უშველებელ ალად გადაიქცევა.

არა, ამ რობაქიძეს რომ ჰგონია, ყველაფერი ვიცით.

გალაკტიონი მაინც არ ტყუვდება, რომ ეს ასე არ არის და... ეს მალეც დამტკიცდება.

მერე: საცოდავები, მალე მაგათი ხსენება აღარ იქნებაო.

მერე: აქა-იქ გაშვებულია მცურავი დინამიტები და საცაა აფეთქდებაო.

მერე: უმრავლესობას სწყურია გამბედავი მეთაურობა.

მერე: თავმომწონედ რომ მიმოიხედავს ირგვლივ, მეთაურობს აგერ ვარო.

ხოლო 21 აპრილს რომ შესთავაზებდნენ მონაწილეობა მიელო 7 მაისისადმი მიძღვნილ გაზეთში, დაიქანდინდა: ვამზადებ ყუმბარას — მანიფესტს, იქნება აფეთქებაო.

სულ ასაფეთქებლად რომ არის გამზადებული!..

შალვა კარმელი გაუმხელდა: თქვენზე სულ სხვა წარმოდგენისა ვიყავი, ვილაც ყაჩაღი მეგონეთ და აღმოჩნდით ძალზე და მეტად მშვიდობიანიო.

ეს იმიტომ, რომ მოენდომებინათ მისთვის ბინა წაერთმიათ მწერალთა სასახლეში, ის კი პასუხად... დუმისლს ამჯობინებდა.

ტიციანი რალაც იდუმალად ჩასჩურჩულებდა:

— არ შეიძლება ამდენი ხნის ჩვენი ბოიკოტი.

და გალაკტიონი ამჯერად გაიზიარებდა მის რჩევას: მართლაც დროა გამოსვლისო!

სალამოს კონსერვატორიაში ბოგდატიევის რეფერატს რომ დაესწროდა ლევ ტოლსტოიზე, მეტად უკმაყოფილო დარჩებოდა: უსინდისობით სავსეო. ტოლსტოი არც თვითონ სწამდა როგორც ფილოსოფოსი, მაგრამ აღიარებდა გენიალურ მხატვრად, რეფერანტი კი რალაცას მიედ-მოედებოდა ტოლსტოისა და რევოლუციური იდეალიზმის შესახებ და იპოვინდა ოდნავ ანარქიზმს (ჰუმანიტარულს და არა რევოლუციურს), ჩულკოვის მისტიკური ანარქიზმის მსგავსს. და გალაკტიონს ჩაეცინებოდა იმ რევოლუციურ პათოსზე, რითაც გამოსვლა მოთავდებოდა: ტოლსტოის უყვარდა ორნამენტები უსამუალებოდ, ჩვენ კი, რევოლუციონერებს, გვიყვარს შავი მუშაობა და ტალახი, რომლისგანაც ორნამენტი მზადდებო.

რომელიღაც მსახიობი ნაწყვეტს რომ წაიკითხავდა „ანა კარენინადან“, გალაკტიონი ყურადღებას მიაქცევდა, რომ თვითონ ისიც ძალზე ლამაზი გახლდათ და ძალიან ჰგავდა ანა კარენინას. და გული არ მოუთმენდა, რომ გამოსვლისთანავე პირდაპირ არ შეეხედა მისთვის თვალეში.

მაგრამ:

— ხვალევე იგი დამავინწყდება.

აი, ანა კარენინა გერმანოვა რომ ახსოვდა, ის კი სამუდამოდ ემახსოვრებოდა.

ყარა-დარვიში, სომეხი პოეტი, ერთ ლამაზ სომხის ქალთან ასე წარადგენდა: გაიცანით, ეს გახლავთ პოეტთა მეფეო.

და გალაკტიონი საკუთარი თავის წინაშე ლალადისად დაეცემოდა: შენ არავის წინაშე დამნაშავე არა ხარ... შენი სული სავსეა იმ მარგალიტებით, რომლისთვისაც სხვა თავს მოიკლავდა, შენ კი გაჩერებულხარ და სრულიად არ აფასებ მას. ასე არ შეიძლება. ეს ნამეტანია. ეს არ გეკადრება შენ... შენ ისეთი დიდი ხარ და იმდენად წარმოუდგენლად დიდი, რომ არც კი გინდა ეს შეამჩნევინო ვინმეს... სულს, რამდენი რამ დაჰკარგე... მაგრამ ნუ შეშინდები... და სამაგიერო ჯილდოსაც მიიღებ... რამდენია განადგურებული და ობოლი სული, ყველას ნუგეში უნდა, ეს აუცილებელი ნუგეში უნდა მოიფინოს ყველგან შენს მიერ და შენ მიიღებ სამაგიეროსო.

მესიანისტური განწყობილება და ნოტები შემოიჭრებოდა ლალადისში, რომელშიც რუსული ფრაზებიც გაერეოდა და გამეორდებოდა: გაბედულად, ნათლად და კეთილგანწყობილად უნდა შეხედო ყველას თვალეში, ყველაფერსა და ყველასო. და ლალადისის ფინალსაც ეს რუსული სიტყვები დააგვირგვინებდა, როგორც უმთავრესი: გაბედულად, ნათლად და კეთილგანწყობილადო...

22 აპრილს აკადემიის სხდომის გახსნის მოლოდინში ფორიაქი აუტყდებოდა: საცაა დაიწყებაო. ჯერჯერობით გაურკვეველი გახლდათ მის წევრთა ვინაობა და ალბათ თანდათან გამოირკვეოდა, ინიციატორებიც, საფიქრებელია, ამას უცდიდნენ, ჯერჯერობით კი არაფერს აგებდნენ.

ხოლო გალაკტიონი, ეს ბოროტი გენია საქართველოს პოეტებისა, კაცმა არ უწყოდა, კიდევ რა როლს ითამაშებდა შემდგომ გარემოებებში.

— მე თანდათან ვრწმუნდები არც ერთს მათგანს არა აქვს ჩემდენი დაფარული პოეტური ენერგია. ეს ენერგია თავისთავად, უჩემოდ იკვალავს გზას და სადმე დაგუბებული ვულკანისებური ცეცხლით ამოხეთქავს.

და წარმოსახვას ფრთას ჰკრავდა და მთელი არსებით აპყვებოდა მის ქარბორიას:

— იგი გაანადგურებს ყოველივეს რაც კი წინ დახვდება. გაანადგურებს, დაღენჯავს, დაანგრევს. გაუმარჯოს მომავალ ბრწყინვალეებს და მეფეს ქართველი პოეტებისას. შორს არაა ის დრო, როცა კიდევ იგრილებენ გაზეთები, ქუჩები, თეატრები. ამ ხმას აპყვება მსოფლიო. გაუმარჯოს მსოფლიო რეზონანსს.

24 აპრილსაც საკუთარი დიდების ჭვრეტაში ჩაინთქმოდა და ქადილის კორიანტელსაც კვლავ დააყენებდა, რაკილა ბოთლიდან ამოშვებული ჯინი ასე ადვილად ვერ ჩაებრუნებინა უკანვე და... ანკი რატომ უნდა ჩაებრუნებინა, როდესაც ასე უკეთესად გრძნობდა თავს, სულიერი აღმაფრენისა და განდიდების ნეტარების გარემოცვაში.

— რამდენ ძალას ვგრძნობ, რამდენ ნიჭს, რამდენ ღირსებას ჩემში: არისტოკრატიულს, შვენიერს, უსათუოდ შვენიერს... მახალისებს ყოველივე. მე გავიმარჯვებ, ჩემი დიდება აუცილებელია, ჩემი შუქმოსილი ბრწყინვალეობა დააბნელებს ირგვლივ ყველაფერს... ეს აუცილებელი მოვლენა და დღე იქნება მალე, ძალიან მალე.

ვინ, ცისფერყანწნელები გადაელობებიან წინ?

ტყუილად ნუ ექნებათ ამის იმედი, რაკილა გალაკტიონი და სწორედ გალაკტიონია ის გაბედული მეთაური, ვის გამოჩენასაც ასეთი მოუთმენლობით მოელის ამაყი და შეუგუებელი ფრთა მწერლობისა, რომლებიც უკვე შეუდგნენ შემაერთებელი ძაფების გამონახვას ერთმანეთთან და სალიტერატურო აკადემიის დასაარსებლად პირველი ნაბიჯებიც გადადგმულია. მითუმეტეს, რომ გაზეთიდან ყუმბარასავით უნდა დაიქუხოს გალაკტიონის მიერ შედგენილმა მანიფესტმაც.

შემოდგომიდან დიდი და ინტენსიური მუშაობის დაწყება მოგვიხდება და თუ ენერგია არ გვექნა — არ შეიძლებაო, — ამასაც რომ ჩანებდა 1921 წლის 21 ივნისს გაგზავნილ ბარათში ოლიასთან, ისეთი დაიმედებული გახედავდა იმ მოახლოებულ ხანას, ალტკინდებოდა და:

— ჩვენ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ შემოდგომიდან. გაუმარჯოს მომავალ შემოდგომას!!! მე დარწმუნებული ვარ იგი არ იქნება ჩვეულებრივი... ძალიან დარწმუნებული ვარ. შენ დაბრუნდები — როგორც კაცი — არა ოლია? შემოდგომაზე დავიწყებთ ახალს, ენერგიულს, მზიურ ცხოვრებას.

მოდგომ-მოდგომა უკვე ეცადა ამ ახალი, ენერგიული, მზიური ცხოვრების წიაღში შესაღწევად.

„ნარკომპროსში“ ერთი ადგილი გათავისუფლებულიყო — აკაკი პაპავას, ლიტერატურული განყოფილების გამგეს, ლაპარაკი მოუვიდოდა უფროსობასთან და იძულებული შეიქნებოდა თავი დაენებებინა სამსახურისათვის. „ნარკომპროსი“ შესთავაზებდა ხელოვანთა კავშირის მთავარ გამგეობას, ამ ადგილზე დაესახლებინათ ერთის მაგივრად სამი კაცი, რომელნიც პასუხისმგებელნი იქნებოდნენ მთავრობის წინაშე; და გამგეობა კი დაასახლებდა ვალე-

რინ გაფრინდაშვილს, ალექსანდრე აბაშელსა და... ისევე აკაკი პაპავას.

გალაკტიონს... კბილები აუკანკანდებოდა, ეგებ დიპლომატიურად მოველაპარაკო ზოგიერთებსო, მაგრამ უფრო ივარაუდებდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა. ასე ურჩევნია განენყოს, რომ შემდგომ ძალიანაც აღარ დაწყდეს გული. თან ვერც მოშვებია ამ ფიქრს, რაკილა გარდა იმისა, რომ საქმე ლიტერატურულია, ჯამაგირი ნახევარი მილიონი მანეთია და აკადემიური „პაიოკი“ 60 „სოლოდნია“, 5 გირვანქა „მასლო“, ბევრი შაქარი და უამრავი კიდევ სხვა. თორემ რა გამოდიოდა — აკადემიურ „პაიოკს“ მხოლოდ სამი კაცი რომ ლებულობდა: გრიგოლ რობაქიძე, მელტონ ბალანჩივაძე და შალვა დადიანი.

— მაგრამ ყოველივე ეს არაფერია, ჩემთვის უმთავრესია ის ლიტერატურული მუშაობა, რომელიც აქ გაჩაღდებოდა.

ექვთი არ ეპარებოდა, ეს საქმე ჩემს სასარგებლოდ მოწყობოდა, რომ ვიცოდე ვის მივმართოო.

მიშა ოკუჯავა?

მას რომ ენებოდეს ეს საქმე, გალაკტიონის ბედს ძალიან არ დაჰყვებოდა, მაგრამ რაკილა უშუალოდ იმის ხელთ არ იყო ეს ყოველივე, ვერ გაუბედავდა შენუხებას.

ოლიას მეგობრებს მიმართავდა დახმარებისათვის — ეს მანიაო, ეს ნინაო... ნინა შეპირდებოდა, მარიამ ორახელაშვილს მოველაპარაკებოო... ნეტა რა იყო მოსალოდნელი?..

ამ საქმეთა გამგე თუმანოვი გალაკტიონს სრულიად არ იცნობდა.

რომ სცნობოდა?

— იგი ძლიერ მალე დარწმუნდებოდა, რომ მე ათჯერ მეტს გავაპკეთებ, ვინემ სხვა რომელიმე მწერალი საქართველოში.

არ ეექვება თავისი ორგანიზატორული უნარისაც.

ჰაერში ფარფატს რა სჯობდა, ზეციურ სამფლობელოებში ნავარდს, მაგრამ მიწაზეც საკმაოდ მყარად გრძნობდა თავს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებასთან შეგუებასაც ყოველთვის მარჯვედ ამიტომაც ახერხებდა — ალღოს აღებასაც, დროულ გარიდებასაც და, რაც მთავარია, მოვლენათა შუაგულში ყოფნას, წარმატებანი ხელიდან რომ არ გასხლტომოდა.

თავს კი იმშვიდებს: თუ მარგუნებენ, ხომ კარგი, თუ არადა — რა უშავსო, — მაგრამ თან ეს განცდაც არ ეშვება: ასეთი ადგილი თითქოს პირდაპირ შენთვისაა შექმნილიო.

ოლიას მხოლოდ უზიარებს თავის საწუხარს?

არა, სთხოვს, რომ როდესაც ლაპარაკი მოუხდება... ან სჯობს ტელეგრაფით შეატყობინოს ნინასა და მანიას, რომ ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდონ ხელი.

— და ბედნიერება იქნებოდა, ეს ადგილი რომ შემხვდეს.

მალე ჩამოვალთ, ყოველ შემთხვევაში მე მაინც მოვახერხებ ჩამოსვლასო, — ატყობინებს და დასძინს: რომ იცოდე, როგორ შეგნატრითო.

ბევრი ახალი ლექსიც დაგროვებოდა.

მეორე წერილის გაგზავნისას ლექსებსაც დაურთავდა, ახლა კი ვერ მოესწრო, საჩქაროდ სწერდა.

ის მეორე ბარათი კარგა ხანს აღარ გაიგზავნებოდა და ოლია ჩვეულებისამებრ საყვედურებს რომ მოჰყვებოდა და ამ სიტყვებსაც აღარ მოერიდებოდა: შხამით არ კურნავენ მეგობრებსო, — ეს გაგულისდებოდა: რა შხამი გახსოვს ჩემგანო? — და აღარც თვითონ დაერიდებოდა:

— თუ ამნაირ საყვედურებზე მიდგება საქმე, მე უფრო ბევრი შხამი მახსოვს შენგან. დიახ, დიახ!
 რატომ ემდუროდა ქალი: ბარათებს არ მწერო!
 გალაკტიონი თავს არც იმართლებდა და ცოტა უკმეხა-დაც ამცნობდა:
 — მე მთელ დედამიწის ზურგზე ყველასთან ასე ვიქცევი: არავის წერილს არ ვუგზავნი, მაგრამ არავინ არ მემდურობა. რა საჭიროა ყოველ წუთში წერილები.
 ახლა კარგად დაფაცურებულიყო — ტელეგრამით შეატყობინე ნინასა და მანასო?
 რას იზამ — როდესაც ადგილი შენთვის გგონია ზედგამოჭრილი, კი უნდა გაიხარჯო.
 მე ათჯერ მეტს გავაკეთებო...

ვინ გააკარა, თორემ!..
 ცოტა მეტი კი მოუვიდოდა: ათჯერ მეტსო, — მაგრამ ეს მთლად ტყუილი ქადილი არ გახლდათ.
 კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენო...
 მამ შეგიძლია მთელი არსებით გადაეშვა ლიტერატურულ ცხოვრებაში და მსოფლიო რეზონანსზეც ისე იოცნებო, როგორც ხელისგასანვდენ ადგილას საგულეებელზე...
 აი, ცისფერყანწელები ჩამოგაშორებინა, ერთადაც რომ არ შეუგროვდებათ შენდენი დაფარული პოეტური ენერგია. თუმც მათი ფართიფურთის ხანა ხომ ამონურულა, მცურავ დინამიტებზე აფეთქება რომ მოელოთ!..
 ...არ ხმარობდნენ, არა, კომუნისტები რეპრესიებს!..
 ჯერ-ჯერ-ობ-ით!..

კრიტიკა

ნუნუ ბალავაძე

განსხვავებული პერსონაჟი



გოდერძი ჩოხელის მხატვრული სამყარო

გასული საუკუნის 80-იან წლებში ბევრი დაინერა გოდერძი ჩოხელის პროზის შესახებ. კრიტიკოსთა უმეტესობა მისი მოთხრობების სიუჟეტებს პირობითად და ზედაპირულად აღიქვამდა. ერთ მთავარ ასპექტზე კი არავის გაუმახვილებია ყურადღება: ჩოხელთან რაოდენ ეპოქალურად უნდა იყოს ესა თუ ის მოვლენა, ის მაინც განზოგადებულ ჭრილში წარმოჩნდება, რასაც მწერალი კეთილისა და ბოროტის მიმართებაში მოიაზრებს. ბოროტება ყოველ დროსა და ამ დროით გარდაქმნილ ადამიანებში იბუდებს. კეთილი „უცნაური“ ადამიანის სახით ხდება საცნაური... შესაბამისად, გოდერძი ჩოხელის პროზის პერსონაჟები უცნაური ადამიანები არიან. უცნაური თავიანთი სიცოცხლითა და სიკვდილით. მწერალს აინტერესებს ეს განსხვავებული გმირები ჩვეულებრივ ადამიანებთან ურთიერთობისას და, მეორე მხრივ, როგორ იღებენ „ჩვეულებრივი“ უჩვეულოებს. უცნაური პერსონაჟის ჩვენებისას, ხშირ შემთხვევაში, დრო არ კონკრეტდება, მაგრამ ამასთანავე გოდერძი ჩოხელს საბჭოთა ეპოქის ჩვენების დროსაც შემოჰყავს განსხვავებული ადამიანი. უნდა ითქვას, რომ მწერალი თვითმიზნურად არ ქმნის ასეთ ტიპებს. ამისი მიზეზი რეალობაა. მეოცე საუკუნეში ჩამომდგარი დრო ისეთია, რომ კაცი ნებისმიერ არსებად ყოფნას ნატრობს ადამიანობის გარდა. ეს არის ხერხი შემდეგი სათქმელის გა-

მოსატვისა: ახალი დრო და კანონები არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანები გვეუბნებიან თავიანთი სიტყვით ან ქმედებით.
 როგორც კრიტიკოსი გურამ ბენაშვილი აღნიშნავს, გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში განსხვავებული ადამიანები სახლობენ. იგი წერს: „მოთხრობის თემატიკა და პერსონაჟთა ცხოვრების წესი ზედმიწევნით ორიგინალური, ინდივიდუალური ნიშნებითაა განპირობებული და ჩვეულებრივი ფსიქოლოგიური განზომილებებისაგან განსხვავდება“.
 ასეთია გოდერძი ჩოხელის უცნაური ადამიანი:
 თევზად ყოფნა სურს გამიხარდას მოთხრობაში „თევზის წერილები“. იგი ადამიანობას უარყოფს. მთავარი გმირი ვერ გადაიტანს, როცა ბრიგადირი სიმწრით მოპოვებულ თევებს წაართმევს და არაგვი შედის, თევზად ყოფნას გადაწყვეტს. უნდა აღინიშნოს, რომ გოდერძი ჩოხელის გმირების უცნაურობა სწორედ ეს არის — ისინი არსებული სინამდვილისადმი პროტესტს ორიგინალური, მოულოდნელი საქციელით გამოხატავენ, რაც უფრო მეტ ეფექტს იწვევს. გამიხარდას თევზად ყოფნა, ერთი შეხედვით, თითქოსდა „სასაცილო“ სიუჟეტია, მაგრამ როდესაც მოთხრობის ერთიანობაში აღქმა ხდება, ვხვდებით, რომ ესაა პროტესტი იმ ჰარმონიულობის რღვევის წინააღმდეგ, რასაც ადამიანი უწყობს ხელს. გამიხარდაც ღმერთის მიერ შექმნილ ადამიანს უარყოფს საკუთარ თავში. მოთხრობის ტრაგედია მთელი სისრულით ნაწარმოების ბოლოში შემოდის — გამიხარდას აღიღებული არაგვი წაიღებს. უნდა აღინიშნოს — გოდერძი ჩოხელი აბსურდულ სიტუაციასა და სიუჟეტშიც კი აჯერებს მკითხველს, ოღონდ ეს არაა ძალდატანებითი. მეტიც: რწმუნდება, რომ გამიხარდას მეტი „გამოსავალი“ არც ჰქონდა. ეს ისეთი ადამიანია, რომ სწორედ ამგვარად უნდა გამოხატოს შინაგანი, სულიერი წინააღმდეგობა.
 მოთხრობაში „მთავარი როლის შემსრულებელი“ ხეჩოს კაცად ყოფნა აღარ უნდა, დადის და იძახის: „კაცი არა ვარ, ირემი ვარო!“ მას შემდეგ, რაც რეჟისორი ფილმში გადაიღებს. სცენარშიც იმავეს ყვირის ხეჩო, მაგრამ ველარ ხდება მისი რეალობაში დაბრუნება. ტყეში გაიჭრება ირმის რქებით. ხეჩოს არსება მობეზრებულია ადამიანობას და ამას მხოლოდ მაშინ ხვდება, როცა ფილმში გადაიღებენ...

არნივი გაიტაცებს მეცხვარე მაქსინას („არნივთან ფრენა“), რომლის ხელებში ჩასობილი კლანჭები შეეზრდებიან ერთმანეთს, არნივს მაქსინა თავის ბუდეში მიჰყავს და იქ „უვლის“. თავდაპირველად მოთხრობაში თითქოსდა არ ჩანს უცნაური პერსონაჟი, უცნაური უფრო თვითონ სიუჟეტი. თითქმის ირევა ყველაფერი ერთმანეთში, ვერ ვიგებთ რა პრობლემა უნდა დაგვანახოს მწერალმა, მაგრამ სათქმელს ისევ და ისევ ნაწარმოების ფინალი ხსნის — მაქსინას აქვს მიწაზე დაბრუნების შანსი — ხალხი დანას დაუტოვებს მდინარის პირას, რათა არნივი წყლის დასაღვეად როცა ჩავა, იქნებ მაშინ გაითავისუფლოს თავი, მაგრამ მეცხვარე ამას არ აკეთებს და საბოლოოდ არნივთან რჩება. მაქსინამ არნივთან ფრენაში იპოვა ამქვეყნიურ ყოფაში მაქსიმალური თავისუფლება. ბოლოსდა ვხვდებით, რომ იგი განსხვავებული ადამიანია სხვებისაგან.

ცეკვით გამოხატავს გარსია დამოკიდებულებას იმის მიმართ, რაც თავის გარშემო ხდება მოთხრობაში „გარსია ხევსურული სახელია“. ლევან ბრეგაძე წერს: „გოდერძი ჩოხელთან წინასწარ ვიცით, რომ თავისი სათქმელი და განცდები გარსიამ ცეკვით უნდა გამოხატოს“. აქედან გამომდინარე, მკითხველი ითავისებს, რომ ეს მწერლის პროზის კანონზომიერებაა და ასეთი გმირების შემოსვლა აღარ გვაკვირვებს. არხოტიონებს მთიდან ბარში გადასვლას აიძულებენ. გარსიაც იცეკვებს მანამ, სანამ ამ ცეკვაშივე არ ამოხდება სული. მწერალი გვეუბნება, რომ მთავარ გმირს ყველაზე მეტად ორი რამ უყვარს — ცეკვა და მშობლიური არხოტი. ამდენად, ამბობს პროტესტს ამ ფორმით: თავისი მიწის დაკარგვა ცეკვით უნდა იგლოვოს; და ვიგებთ, რომ იდილიის დარღვევის მიმართ სათქმელის გამოხატვა გოდერძი ჩოხელის მოთხრობებში სწორედ უცნაურ ადამიანებს აკისრიათ.

სილამაზე შემოაქვს სოფელში ვარდისფერ კაცს, რომელიც სხვადასხვა ფერის ნაჭრებით მოსავს ადამიანებს და წელიწადში ერთხელ მათ „ფერისცვალეას“ ახდენს („ვარდისფერი კაცი“). გოდერძი ჩოხელი წერს: „ვარდისფერი კაცი მართლაც იყო ჩემს სოფელში. ამბროსა ერქვა, მთელმა სკოლამ მისი ფერადებით ვისწავლეთ წერა-კითხვა. მასწავლებლები ალბათ იმისი წითელი საღებავებით გვინერდნენ ხუთიანებს, ოთხიანებს, სამიანებს... ვარდისფერი კაცი ნაიყვანეს არაგვში და აბანავეს. გაცივდა და მოკვდა. ეს ამბავი როგორც მოხდა, ისე დაწერე... დაიბეჭდა მოთხრობა გაზეთში და ბოლო მთლიანად შეუცვლიათ: ვარდისფერი კაცი წავიდა და აღარ დაბრუნდაო, რატომღაც მისი სიკვდილის ამბავი ამოიღეს და სულ სხვა მოთხრობა გამოვიდა. სადღა იყო სევედა და სინანული ვარდისფერი კაცის მოკვლის გამო!...“



გოდერძი ჩოხელი

ვარდისფერ კაცს უჩვეულობა შემოაქვს სოფელში. „უჩვეულობა“ კი ის არის, რომ „ათასწიერი ლალი ფერებით ქარგავს ზამთარს“. მას ყველანაირი ფერი აქვს, რასაც ადამიანის ფიქრი მისწვდება, სწორედ ამას ვერ აიტანენ ადამიანები და ვარდისფრად შეღებავენ — ამ გზით გამოხატავენ დაცინვას ვარდისფერი კაცის მიმართ, რომელიც ცხოვრებას ულამაზებთ. ამბროსა კვდება და იწყება ისევ ჩვეულებრივი, უფერადო ყოფა. ხალხსაც უფერობა ედება სახეზე და „დადიან ახლა... ულაზათოები, ჯღუნაი ბერსა ჰგავს, ბერი — კოფიას, კოფიაი — მწარიას“. ადამიანებს ეკარგებათ თავიანთი ნამდვილი სახე...

ვარდისფერი კაცის მსგავსად აყვავებული მსხლის ხეებით ალამაზებს მარტუა სოფელს („დავიწყების მდინარე“). მან მომავალი სიკვდილისაგან უნდა იხსნას გუდამაყრელები, რომელთა სიცოცხლეს მთიდან ამომჯდარი უზარმაზარი ლოდი ემუქრება. მოქმედების თანადროულად სოფელში ბოშების შემოსვლაა დახატული, რომლებიც მომავლის გაგებას ჰპირდებიან ხალხს და ადამიანებიც იჯერებენ ამ ცრუ სასწაულს. ბოლოს იმედი იკარგება: ბოშები ხალხის ძვირფას ნივთებს წაიღებენ და წავლენ. სოფლები მარტუაზე აიღებენ ეჭვს და იწყება ქაოსი, განუკითხაობა, რომლის შედეგადაც ადიდებული მდინარე წაიღებს მენერგის სიცოცხლეს. ადამიანები კი ვერ ხვდებიან, რომ ნამდვილი სასწაული სწორედ მენერგემ დაუტოვათ სამუდამოდ — თეთრად მოელვარე აყვავებული ხეები, რომლებიც ყოველ გაზაფხულზე აკვირვებენ და ალამაზებენ სამყაროს.

ხალხი ვერც ჩიპოლინოს უყვებს, რომელსაც „ჭოგრითი“ აულია და ცას აკვირდება... იგი ვერ ეგუება დედამიწას, იმიტომაც არის, რომ უპატრონო დედაცაცის ძროხის ძებნაში დაღლილა ხალხი, ჩიპოლინომ „დაიწყო სოფლის მიდამოების თვალთვლება, მაგრამ... ეტყობა ზეცის თვალთვალს შეჩვეულმა თვალმა, დედამიწას ალლო ასე ადვილად ვერ აულო“. ბოლოს მაინც ის დაინახავს ხატის დარბაზში ჩავარდნილ ძროხას.

გაოგნებულია ჩიპოლინო „თავის მხრივ მართალი“ ხევისბერებისა და მეზობლების ქცევით — ხატის მოედნიდან რომ არავის გამოჰყავს ძროხა. პირუტყვს ისევ ჩიპოლინო იხსნის, მაგრამ „ხატის კარის გატეხვა კი ვეღარ აპატიო სოფელმა ჩიპოლინოს, წრეგადასულ გიჟობად ჩაუთვალეს და შური იძიეს“. შურისძიება კი იმ არყისხის მოჭრაა, რითაც მთავარი გმირი უახლოვდება მზეს. არყისხის მოჭრას ჩიპოლინო ვერ ეგუება და კვდება.

ამ უცნაური ადამიანის არსებობას მწერალი ასე ხსნის: „მართალია ზეცაში ვერ გადალახა ღვთის საუფლო-საბრძანისის საზღვარი, მაგრამ მიწაზე მაინც შეძლო საზღვარს გადასვლა. სიკეთითა და სიყვარულით სავსე გულს

ენდო და სწორედ მან ჩაადენინა ის, რაც მთელ სოფელში ვერავინ გაბედა“.

სიკეთისა და სიყვარულის ჩვენება სურთ გოდერძი ჩოხელის მოთხრობების უცნაურ პერსონაჟებს.

გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „ზანგი“ ისევ უჩვეულო სიუჟეტით იწყება — მარიკასა და დათიკოს ზანგი შეეძინებათ, რომელსაც დაბადებისთანავე მამა უარყოფს, ბოლოს კი გულისსწორი. ხალხი ვერ ეგუება იმ ადამიანის გვერდით ყოფნას, რომელიც მათგან გარეგნულად და სულიერად განსხვავდება. „ზანგის“ მეორე „უცნაურობას“ სწორედ მისი სიკვდილის დღეს ირწმუნებს ყველა, როცა გულიდან ამოსულ ვარდის ბუჩქსა და მასზე შემომჯდარ მაგალობელ ბულბულს იხილავენ. გოდერძი ჩოხელი სიყვარულზე მოგვითხრობს, რომელიც უცნაური ადამიანის არსებაში მეტყველებს.

მოთხრობის გმირი აგუნდაც ის ქართველი ქალია, რომელსაც „ყველა და ყველაფერი უყვარდა, რაც კი სამზეოზე ებადა... აგუნდას ისეთი გული ჰქონდა, ერთავად ღვთის ანგელოზები გალობდნენ შიგნით“ („აგუნდა“). მაგრამ ირღვევა აგუნდას გულში დავანებული სამოთხე, რადგან შვილს უკლავენ და „აგუნდას სძულს, ლამის არის ღმერთიც შესძულდეს“. ხევსური ქალი აცხადებს, რომ მოკლან შვილის მკვლელები, მაგრამ მკვლელსაც უყვარს სიკოცხლე და დაჭრილი მაინც გადარჩება...

აგუნდას კი შვილის დარდი გადაიყოლებს. როგორც მწერალი იტყვის: „აგუნდას სიკვდილი ნიშნავდა ხევსურთათვის აუხდენელი სურვილის სიკვდილს“. ბოლოს კი მოხდა ის, რაც იშვიათად, მაგრამ გოდერძი ჩოხელთან ხშირად ხდება — განსაცვიფრებელი პასაჟი, სადაც ავტორი ამბობს: გაცოცხლდა აგუნდა, ნამოდგა, წავიდა შვილის მკვლელის სოფელში. მივიდა დაჭრილის სარეცელთან. დაიჩოქა. აკოცა შვილის მკვლელს. მოუბრუნდა უკანადევენებულ ხალხს და თქვა: „არ მოკლათ ხალხო! წავიდა, თავის სარეცელზე დაწვა და განაგრძო სიკვდილი“.

გოდერძი ჩოხელი ამ პატარა მინიატურასაც დიალოგში მოგვითხრობს. დროდადრო დასმული კითხვა-პასუხებით იგება ნაწარმოები და ნაბიჯ-ნაბიჯ მიდის დასასრულამდე, რათა თითოეული ფრაზა შეიგრძნოს მკითხველმა, რომლებშიც „ვეფხვისა და მოყმის“ ბალადის საოცარი ინტერპრეტაცია ხდება — აქაც სიკვდილი იქცევა სიკოცხლედ.

ერთ-ერთ ინტერვიუში გოდერძი ჩოხელს ეკითხებიან: „მართლა შეიძლება კაცს მხარზე ნაძვი ამოუვიდეს?“ მწერალი პასუხობს: „აღბათ შეიძლება, თუ მწერალს სჭირდება, ნამდვილად შეიძლება“. მოთხრობა „წერილი ნაძვებს“ სწორედ ამ სიუჟეტით იწყება: კაცს გულის მხარეს ნაძვი ამოსდის. ხალხის დამოკიდებულებას — „ვითომ რატომ უნდა ამოსვლოდა ნაძვი?“ მკითხველიც უერთდება. მთავარ პერსონაჟს, ბერს, მწერალი სხვა გმირების მსგავსად განყენებულად წარმოგვიჩენს — მხოლოდ მას ესმის რატომ ამოუვიდა მხარზე ნაძვი და ამბობს: „მე არა ვნანობ!“ და უკვე ვხვდებით ამ ადამიანის უცნაურობას. მხოლოდ ბერმა იცის, რომ სხეულში „ორი სული უდგას და ეს ორი სხვადასხვა სული ერთურთის შერწყმას ლამობს“. ბერში უკვე სულ სხვა სამყარო ცოცხლდება. იგი ხედავს, როგორ სუნთქავს დედამინა, რომ ჰაერი მისი სულია,

მდინარეები — სისხლძარღვები. „როგორ გამოდიან ათასნაირი სახეები მიწიდან და ისევ მიწას უერთდებიან“. ბერს გაანდო უზენაესმა თავისი საიდუმლო, რასაც ჩვეულებრივნი ვერ სწვდებიან, საყურადღებოა, რომ კაცი მხარზე ნაძვით აკვირვებს არა თავის გარშემომყოფებს, არამედ ხეებსაც — მათ ხომ მოსიარულე ნაძვი არ უნახავთ. ბერი ადამიანად აღარ მიიჩნევს თავს. იგი საკუთარ არსებას ნაძვს უწოდებს, რომლის ფესვები თანდათანობით მოიცავს მთელ სხეულს. მოთხრობას გაკვირვება სდევს თან და ეს კულმინაციას აღწევს, როცა ერთსულად ქცეული ბერი ნაძვად გარდაისახება და მთელი არსებით იგრძნობს მზის ამოსვლას. სხვა ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, აქ არ არის კონფლიქტი, პროტესტი, შეიძლება ითქვას, ამ თხზულებაში დახატული პერსონაჟი შემკვრელობითი სახეა სხვა მოთხრობებსა თუ რომანებში არსებული უცნაური ადამიანებისა. მასშია თავმოყრილი ხეჩო და მაქსინა, ბობლია და ჩიპოლინო, გამიხარდა და ზოსიმე, ვარდისფერი კაცი და მარტუა, ზანგი და აგუნდა, თევდორე და სება... ბერი ის ადამიანია, რომელიც, ამ გმირთა მსგავსად, უჩვეულო სიმშვიდით ხვდება რეალობაში შემოჭრილ უცნაურობას — თავისი სხეულისა და სულის ნაძვად ქცევას, რომელიც მიწაში ფესვებგადგმული და წვერით ზეცამდე აწეული აერთიანებს ცასა და მიწას. აქედან გამომდინარე, სწორედ უცნაური ადამიანის ხატვისას შემოჰყავს მწერალს მხატვრული პირობითობა.

და თუკი ლიტერატურაში შესაძლებელია დაისვას კითხვა — რატომ? მაშინ ჩვენც დავსვათ: რატომ არიან გოდერძი ჩოხელის გმირები უცნაური ადამიანები?

მწერლის პროზის პერსონაჟთა უმეტესობა, როგორც მწერალი ამბობს, „ნაწილიანია“. მაგალითად, რომანის „მგელი“ მთავარ გმირს ლუკას ბეჭზე ფრთავაშლილი არნივი ახატია. „ხთიშვილის“ პერსონაჟს ზოსიმეს პირზე განსაცვიფრებელი ნათელი გადასდის, ნაწილიანია გამიხარდაც („ნაწილიანი“). ესენიც უცნაური ადამიანები არიან. გოდერძი ჩოხელის სხვა პერსონაჟები არ არიან ნაწილიანი, მაგრამ სწორედ ეს განსხვავებულობა მიგვანიშნებს მათ „ხთისშვილობას“ — ეს ის ადამიანები არიან, რომელთა პირობაც უნდა იქნას ბოროტი მსილებელი, ისევე, როგორც მოთხრობის „აფრენა და დაფრენა“ უცნაური გმირი გამიხარდა ამხელს თავის გარშემომყოფებს შემდეგი სიტყვებით: „არაკაცებო, გაუმადლრებო, საკუთარ ჯამში ჩამცქერლებო!“ იგი ვერ ითავისებს სხვებისაგან ნათქვამ ფრაზას — „რაც არის, ეგ არის!“ ამდენად, რომანის „სულიეთის კიდობანი“ პერსონაჟი სებაც თავის მხრივ ნაწილიანია, რადგან მან უნდა ითავსოს სულიერებისა და წარსულის გადარჩენის იდეა.

ამ თვალსაზრისით, გოდერძი ჩოხელის ერთ-ერთი მოთხრობა „სამანს იქით დასახლებულნი“ შეიძლება დიდ მეტაფორად ჩაითვალოს, იმ სათქმელის გამოსახატავად, რომლითაც მწერალმა უნდა ითქვას, რომ სამყარო ორად არის გაყოფილი. ერთნი, ანუ ჩვეულებრივნი — იქითა ნაპირას ცხოვრობენ. „ხთისშვილთ“, ანუ უცნაური ადამიანებს, სამანს აქეთ დაუდიათ ბინა. ამიტომაც ირღვევა თანხმობა და ვერ მყარდება კავშირი ადამიანებს შორის, რომლებიც ღვთის შვილებიდან ცოდვის შეილებადა ქცეულან.

ეკა ბუჯიაშვილი

სახლი გადაღმა

ახლა რომ ჰკითხოთ...

ორი ათეული წლის მერეც რომ ჰკითხოთ, ვერ გიპასუხებთ, რა ერქვა იმ გრძნობას, მაშინ რომ დაუფლებოდა, აი, მაშინ, თავისი ეზოს კარის საბოლოოდ გამოხურვამდე კიდევ ერთხელ რომ გადახედა იქაურობას. იგი ტოვებდა სახლს, თავის ნაამაგარსა და ნალოლიავეებს, რომლის კედლებიც, ქერიც, ჰაერიც კი მისი არსების ნაწილი იყო. და ამ ყველაფერთან ერთად რჩებოდა ცხოვრების რალაც ნაწილიც, ცხოვრებისა, რომელიც აღარასოდეს... აღარასოდეს განმეორდებოდა.

ეს იყო ომი.

ომი, რომელმაც თავისი შიშინი თვალებით თითოეული ჩვენგანის ოჯახში შეიხედა. დალი კვესელავა კი სულაც ამ ომში ჩარჩენილიყო, სტუმრად მყოფ დედ-მამასა და ძმისშვილთან ერთად. სამეგრელოში დასასვენებლად წასული ოჯახი — მეუღლე და შვილები — კი ომის მიერ მოხაზულ საზღვრებს გადაღმა დარჩენილიყვნენ, გუდაუთაში ჩამოსვლა ვეღარ მოეხერხებინათ. სწორედ იმ ავბედით 14 აგვისტოს, როცა ეს საშინელება დაიწყო, სოხუმის ტერიტორიაზე შემოდიოდნენ, მაგრამ... გზები უკვე გადაკეტილიყო.

იცოდა, ვერ ჩამოვიდოდნენ, მაგრამ ქმარ-შვილის დასახვედრად მაინც წავიდა. გაუცნობიერებლად დამდგარიყო გზაზე, გაუცნობიერებლად შეჰყურებდა, როგორ მიქროდნენ აფხაზი მებრძოლებით სავსე ავტობუსები... სადღაც იქ, ომში, მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ფიქრი იყო, ფიქრი იმაზე, რაც აქამდე მხოლოდ ფილმებში ჰქონდა ნანახი, იმ დიდ, შიშინ თვალებში კი პირისპირ არასოდეს ჩაეხედა.

იდგა და... ელოდა.

— აქ რა გინდა, არ იცი რა საშინელება ხდება? — ჰკითხავს აფხაზი მეზობელი, — ქართველები შემოიჭრნენ აფხაზეთში.

რალაცნაირად ყრუდ ჩაესმის ეს ხმა.

რაო?! ქართველებიო?! აფხაზეთშიო?!

ვერა, ვერ ხვდებოდა, მაინც როდის გაყოფილიყო ერთმანეთისგან ეს ორი ცნება, აკი აქამდე ყველანი ქართველები არ იყვნენ?! და ყველაფერს ერთად საქართველო არ ერქვა?

მერე... საერთოდ ყველაფერი აირია.

სოფელი ცარიელდებოდა.

თვითონ კი... იჯდა და ელოდა. ვის ან რას, თვითონაც არ იცოდა. გაგრა აედოთ აფხაზებს, ოჩამჩირე გადაკეტილი იყო, გუდაუთა და სოხუმი შუაში მოქცეულიყო.

სად წავიდოდა?!

როგორ წავიდოდა?!

პარალიზებულ დედას ფეხით ვერსად წაიყვანდა, ტრანსპორტის შოვნა კი ლამის წარმოუდგენელი იყო.

ღამით ყრუდ ისმოდა ომის საზარელი სუნთქვა. ქვეყნის ჰაერში კვამლი და დენტის სუნი ტრიალებდა და კიდევ უფრო იზრდებოდა შიში, რომელსაც ბოლო არ უჩანდა.

— შინ არავინ შემოგივარდება, მაგრამ მაინც მოერიდე, თვალში ნურავის გაეჩხირებო, — აფრთხილებდნენ აფხაზი მეზობლები. ხანდახან პურის ფქვილიც მიჰქონდათ მისთვის.

თვითონ კი...

სხვა გზა არ დარჩენოდა, ლოდინის გარდა.

ვისი ან რისი?

თვითონაც არ იცოდა, იქნებ დროის, რომელიც ერთ ბედნიერ დღეს ისევ მოვიდოდა, ამ საშინელებას ხელს მოხვევდა და თან გადაიყოლებდა უსასრულოებაში. მაგრამ... ეს დღე არ თენდებოდა, სამაგიეროდ, ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, უცნობი აფხაზი მამაკაცი დაუკაკუნებს კარზე და გადასცემს წერილს, რომელშიც ამოიკითხავს:

— ამ კაცს ენდეთ და წამოჰყევით. მე საზღვართან დაგხვდებით.

ხელს არავინ აწერდა. არც უცნობი გაუმხელს ვინაობას. უბრალოდ ეტყვის, რომ სთხოვეს, როგორმე ისინი ეშერის საზღვრამდე მიიყვანოს, და სამ დღეს მისცემს პასუხის მოსაფიქრებლად.

— უნდა წახვიდეო, — შეაგულიანებენ ნათესავეები, — დედაშენის პატრონი აქედან სხვა გზით ვერ გახვალ, უნდა დათანხმდეო.

და გადწყვიტა. ორი მაზლისშვილის წამოყვანასაც შეეცდებოდა, მაგრამ პასუხი მკაცრია და კატეგორიული: „მხოლოდ თქვენი ოჯახი!“

...სახლის კარი არ დაუკეტავს.

არც არაფერი წამოუღია იქიდან, ორი პატარა ჩანთის გარდა.

გამოსვლისას კიდევ ერთხელ გადახედავს იქაურობას. არა, არ იცის, არ ახსოვს, სახელს ვერ არქმევს იმ განცდას, იმ წუთას რომ დაეუფლა. სულში საშინელი სიცარიელე ედგა, იქ, სადღაც შიგნით, თითქოს რალაც ჰქონდა ჩანყვეტილი, და სტკიოდა... სტკიოდა...

ვინრო, უცნობი, ოღროზოლო გზებით ივლიან. გზაში სამჯერ შეამოწმებენ. ჩემთან არიანო, — ეტყვის უცნობი და ისინიც აღარ გაჩხრეკენ, დაუბრკოლებლად გაატარებენ. ასე მივლენ იქამდე, საიდანაც მხოლოდ ფეხით შეიძლება წასვლა, რადგან ირგვლივ გზები დანადგმულია და ბილიკებით თუ გადახვალ სამშვიდობოს.

— საკაცე გვჭირდება. ვეცდები ქართველებს დავუკავშირდე, — ეტყვის უცნობი და მალევე ოთხი სამხედრო გამოჩნდება. აქ გაიყრება მათი გზები. დამშვიდობებისას პატივისცემის ნიშნად შეთავაზებულ ფულზე უცნობი უარს ეტყვის. იქ კი, საზღვართან, მეზობელი დახვდებათ, ასევე რომ ჩარჩენილიყო სამეგრელოში, შემთხვევით გაეგო მათი ამბავი და დახმარება გადაეწყვიტა.

ასე ჩავლენ სოხუმში. ნოემბერია. ცივა. გზები გადაკეტილია. სამხედროების ბანაკს შეაფარებენ თავს. მეგზური დატოვებთ. შეპირდება, რომ დილით ისევ მოვა და რალაცას მოუხერხებს, როგორმე გაიყვანს აქედან.

მაგრამ ის დილა სხვანაირად გათენდება.

— ვისხედით ოთახში სუნთქვაშეკრულები, გარეთ არ გამოვიდოდით, საშინელი სროლა და კვილი ისმოდა.

მეორე დილით მეგზურმა აღარ მოგაკავითხა.

— მძიმე ღამე იყო, შეიძლება რამე შეემთხვა ან ვითარება შეიცვალა და ვეღარ ახერხებს, — გვითხრა უცნობმა, — ჩვენ დღეს ვიცვლებით, თბილისში მივიღივართ და მანქანით აეროპორტში გაგიყვანთ. მხოლოდ ეს შემთხვევა გაგიკეთოთ. აეროპორტში უამრავი ხალხი იყო.

— ვერტმფრენი რომ დაფრინდება, უნდა იყოჩალოთ და შეასწოროთ, — დაარიგებენ.

როგორ გინდა შეასწორო პარალიზებულ ქალთან ერთად?!

აეროპორტის უფროსი ახლობელი აღმოჩნდა.

— იქნებ შევძლო რამით დაგეხმაროთო, — გვითხრა და იქვე მყოფ მხედრიონელებთან, სულაც პირადად ჯაბა იოსელიანთან მიმიყვანა.

რისხვა და შეურაცხყოფა დაატყდა თავს „მხედრიონის“ უფროსისგან.

ვიდექი და ვფიქრობდი, რომ მერჩივნა მინა გამსკდომოდა და ჩავეტანე, ოღონდ ჩემ გამო შეურაცხყოფა არავის მიელო.

— რატომ უყვიროთ, ბატონო ჯაბა, ეგ არაფერ შუაშია, დახმარება მე ვთხოვე, ნეტა ჩემს სახლში დავგრჩენილიყავი, არ მეგონა თუ აფხაზი დამეხმარებოდა, აქამდე მოვალწევდი და ქართველი მკრავდა ხელს, — ვეუბნები, ის კი ერთს გადმომხედავს და... ცინიკურად ჩაილაპარაკებს:

— რაო, შენ ომი „კუკულობანას“ თამაში ხომ არ გეგონა?!

აქ ომია, ომი!.. თუ გინდა, აგერ, ოჩამჩირეში მივდივარ საბრძოლველად და იქ წამოდი, — მეუბნება „მხედრიონის“ ხელმძღვანელი და ვგრძნობ, როგორ დამცინის, ხელსაც მომხვევს და მიყვავარ.

— წამოვალ, რატომაც არა, ოღონდ თქვენ ეს ავადმყოფი დედა და ბავშვები სამშვიდობოს ჩამაყვანინეთ-მეთქი, — ვეუბნები და მივდეგ. ზუსტად ვიცი, რომ ვარ კიდევ წამსვლელი, ოღონდ ჩემები გამაყვანინა სამშვიდობოს...

ვერტმფრენთან დაცვა გადამელობება.

ისეთი ვარ... დანა კბილს არ მიხსნის.

მამა ამბობს: როცა ვერტმფრენი დაჯდება, იქნებ შენ და ბავშვი გაიქცეთ, მე კი ხელში ავიყვან დედას და ვეცდები, თქვენამდე მოვალნიო.

...მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია.

ასსოვს, რომ ხალხი გარბოდა... თვითონაც. ისიც ასსოვს, როგორ მოიხედა უკან და... სისხლი გაეყინა ძარღვებში:

— მამა წაქცეულიყო, ორივენი ძირს დაცემულიყვნენ და ეს გადარეული, გავეშებული ადამიანები ზედ გადადიოდნენ.

მეგონა, უკვე ცოცხლები აღარ იყვნენ. ახლაც, ამდენი წლის მერეც არ ვიცი, რანაირად, მაინც რანაირად აღმოვჩნდი ვერტმფრენის ფრთაზე — ვდგავარ და... ბოლო ხმაზე ვკვივი. ერთი, ერთადერთი სიტყვა მახსოვს: — მხეცებოოოოო!..

ამასობაში ვერტმფრენი შეივსება. ვინც „ზედმეტია“, ძალით ჩამოსვამენ.

ვიღაცის ძლიერი ხელი მასაც ჩამოიყვანს ქვემოთ.

დასისხლიანებულ დედ-მამასთან მიირბენს, რაღაც ქაოსურ მოძრაობებს აკეთებს...

მერე... ძირს სხედან... სასონარკვეთილნი.

შიგნიდანაც დარბეულნი, შიგნიდანაც დამსხვრეულნი, შიგნიდანაც სისხლშედელებულნი და ძარღვებჩანყვეტილნი...

მძიმედ... ძალიან მძიმედ ეშვება ღამე.

სხვა გზა არ აქვს, ღამეს ქუჩაში ხომ ვერ გაათევენ.

ნოემბერია, ცივა...

როგორღაც, კეთილი ადამიანების დახმარებით, იქვე, მეზობელ სოფელში, ნათესავთან ჩააღწევინა და სამი დღე გაჩერდებიან იქ. ერთ ღამეს კი ახლობლები ჩუმად შეაპარებენ აეროპორტში დაშვებულ ძველ ვერტმფრენში, სადაც გაყურებულნი დაელოდებიან გათენებას. დილით პილოტი რამდენიმე მგზავრს დაიმატებს და... ასე აღმოჩნდებიან სენაკში, მერე კი — მშობლიურ სოფელშიც.

— მთელი სოფელი გველოდებოდა, არავინ იჯერებდა, რომ ეს შევქელი — ავადმყოფ ქალთან ერთად, თორემ ჯანმრთელი კიდევ მოახერხებ რაღაცას.

ერთხანს ძმის ოჯახს შევეფარეთ, მაგრამ ლტოლვილი ნათესავებით რომ გავივსო იქაურობა, მოვკიდეთ ხელი ბავშვებს და წყალტუბოში ჩავედით.

უმცროსი 4 წლისა იყო, უფროსები — 9-ის და 10-ის. ახლობლების დახმარებით მოვძებნეთ ოთახი სანატორიუმში და იქ დავბინავდით. საჭმელს კი გვადლევდნენ დღეში სამჯერ და ვცხოვრობდით ასე...

დღესაც მახსოვს ლტოლვილობის პირველი ღამე უცხო ქვეყნებში. მოგვიანებით აღმოვაჩინე, ისე ვცხოვრობდით იმ ოთახში, ფანჯრებზე ფარდაც არ ჩამომიფარებია. რა სირცხვილი... რომელი მორიდება... ომმა ასეთი განცდები არ იცის. ის კი არა, მიცვალებულისა მესწინოდა ხოლმე — მეზობელი მეუბნებოდა: ცოცხლები გეშინოდეს, მკვდარმა რა უნდა გიქნასო — მერე კი ისე გამიშინაურდა სიკვდილი, საერთოდ შიში რა იყო, აღარ მახსოვდა.

მუდმივმა გაჭირვებამ ჩვენი ოჯახიც დაარღვია.

ეს მაინც, ოჯახი მაინც რომ შემრჩენოდა... მაგრამ როდის იყო ბედისწერა რამეს გაკითხებდა...

წლები გავიდა მას შემდეგ.

მოდის და მოაქვს თავისი ცხოვრება — მარტოს.

შვილები დაიზარდნენ, დაოჯახდნენ, თავთავიანთი გზა ნახეს, საზრუნავიც თავთავიანთი გაუჩნდათ და ახლა მათ საზრუნავს ინანილებს, როგორც შეუძლია.

ოღონდ ხანდახან, საკუთარ თავთან მარტო რომ რჩება ხოლმე, არის წუთები, როცა ფიქრობს იმ სახლზე, იმ ცხოვრებაზე, თავისი არსების იმ დიდ ნაწილზე, იქ, სადაც შორს, ომის გადაღმა რომ დარჩა.

ფიქრობს სხვის ქვეყნებში, სხვის კედლებში, სხვის კერაზე, სადაც მარტო ფიქრი და ტკივილია მისი.

...და ამ ფიქრსა და ტკივილს დიდი ხანია თავისი სახელი განუსაზღვრა ცხოვრებამ:

საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ყოფნის ტრაგედია.



დალი კვესელავა ოჯახთან ერთად

ნინო დეკანოიძე

და ელოდა სასწაულს

ერთიერთმანეთზე მიწყობილი თაკარა დღეების შემდეგ რომ გაგიმართლებს და საამური დარით მოგიწევს გამგზავრება, დასაწყისი შეიძლება მანუგეშებლად მოინიშნოს.

დათქმულ დრომდე მივაკითხავ ჩრდილების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, გელა კანდელაკს რუსთაველის თეატრში. ახალგაზრდული დასით შეფარებული ჰყავთ იმ შენობაში, გზა თაბუკაშვილის ქუჩიდან რომ ემხრობა.

ვიდრე ჩვენთან ერთად ნიქოზში წამომსვლელნი თავს მოიყრიან, ალაყაფთან ვდგავართ ორნი. დროდადრო თვალს გავაპარებ რეჟისორისაკენ. დარბაისლურად აღნაგ მართალია გამოხედვას უფარავს შავი მუქი სათვალე, სამაგიეროდ ჩალისფერი კოზირიანი ჭილის ქუდი თავისებურ შტრის სქენს მის პროფილს და პიროვნულ ხიბლს — კეთილმოსურნის სიტბოს — აჩენს.

ადრიანად მისვლით თუ შევანუხე, მოვუბოდიშებ. — ეგ ჩვევა მეც მახასიათებსო, გამიოლუბს. და გავიფიქრებ ისევ იმას, რაც ვერასდროს შემიბედავს წლებში შესული იმ კინომსახიობებისთვის, გამოლაპარაკების საშუალებაც რომ ბევრჯერ მომცემია: ნეტა რას განიცდიან თავიანთი ახალგაზრდობის ეკრანზე გაღვებისას — ამ გადასახედიდან. რასაკვირველია, ახლაც ვერაფერს ვიკითხავ, მიუხედავად იმისა, ჩემ წინ მდგომი არც ისე ძნელად ამოსაცნობია ოთარ იოსელიანის შესანიშნავი ფილმიდან „იყო შაშვი მგალობელი“.

ამასობაში შემოკრებილინაც გადავანაილდებით ორ მსუბუქ მანქანაში. დავემგზავრები მსახიობებს, რეჟისორი გადანწყვეტს ასე. თვითონ ინტერნეტტელევიზიის ახალგაზრდა ჟურნალისტებს გამოყვება, რათა მეგზურობაც გაუწიოს.

თბილისიდან ნიქოზამდე გზა შორი არაა. მითუმეტეს სასამოვროდ იკეცება ხალისიან თანამგზავრთა გარემოცვაში. სამნი არიან: ზურაბ ქვაჩახია, ვადიმ შუბითიძე და ელენე მუჯირი — დასის წევრები. ესენი თითქმის ყოველ ოთხშაბათს, თუ გასტროლები არ უშლით ხელს, ნიქოზისკენ მიისწრაფიან, რათა ეპარქიასთან არსებულ სამრევლო სკოლის მოსწავლეებს ხელოვნების გაკვეთილები ჩაუტარონ. ეს ტრადიციად განმტკიცებული მეგობრობაცაა, რასაც საფუძველი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დაედო. ამ ამბავს ელენე მიყვება, — მეზავრობას უხდება მუსაიფო, და გულგახსნილია და მომხიბლავი სიტყვა-პასუხით გამოირჩევა. ბიჭები მეტწილად ნათქვამს უდასტურებენ. ზურა უზის საჭეს — შოფრობა ყველას გვეხერხება, მაგრამ ამ პასუხისმგებლობას მხოლოდ მაგას ვანდობთო.

„გოლფ-3“ ჩრდილების თეატრში დანაზოგითაა შექმნილი. ასეთი მეზავრობისა შესაფერისადაც მიაჩნიათ. მაგრამ როცა მთელი დასი მიდის საგასტროლოდ, თანაც რეკვიზიტებიც უნდა აიკიდონ და გადავიდნენ რეგიონიდან რეგიონში, სოფლიდან სოფელში, და ასეთ დროს მსუბუქი მანქანა

ალარას არგიათ. ამიტომაც, უფლებამოსილ მოხელეებთან როცა მოუწევს ხოლმე შეხვედრა მათ რეჟისორს, მუდარით დააბარებენ: რაფი სთხოვეთ, ბატონო გელა, რაფიო...

მერე მომიყვება გელა კანდელაკის ამაგზეც და ბიჭები ჩაეზიარებიან თავიანთი წილი სიყვარულის გამოხატვაში. არ გახლავთ მათი მონათხრობი ეტიკეტური კრძაღვითა და სხვის დასანახავად გამოჩენილი პატივისცემა, რაც უშუალობას აფერმკრთალებს ხოლმე. სხვანაირი დამოკიდებულება დამანახვეს, უმცროს-უფროსობა მოწესრიგებული, მამამეილურად ნასათუთები: რომ რეჟისორი მისი ცხოვრების წესით მათთვის მაგალითია, რადგან თანაბარი ერთგულებითა და სიმხნევით კვლავ ხელოვნების უანგარო სამსახურშია. გაიჩინა თანამზრახველნიც: მეუფე ისაია, უწინ სტუდენტი ყოფილა გელა კანდელაკისა და თეატრალური ინსტიტუტის წლებიდან გაღვივებული მეგობრობა იმკის ახლა ნაყოფს თუნდაც პატარა ნიქოზელებისთვის, ვისკენაც ასე მიეჩქარებათ და თურმე ელოდებიან ისინიც რარიგ!..

ვარიანის გადასახვევთან, გაჩერებაზე, შუახნის კაფანდარა ქალს გამოარჩევენ და გაიკვირებენ: რუსთაველის თეატრის მკერავი არ არისო? მანქანას მოხერხებულად შეაჩერებს ზურა და სწრაფად გადადის. მალე საბარგულშიც ჩაულაგებს ტვირთს. შემომატებული მგზავრი ჩვენ გვერდით, უკანა სავარძელზე მოკალათდება. მანქანის სალონში, ორსაც რომ აღმოაჩენს ნაცნობს, გაიხარებს: აქაც თქვენა ხართ? გენაცვალოთ დეიდა ყუყუ, სულზე მომისწართო. მარშუტკას აკი სახლამდე უნდა მივეყვანე, მაგრამ მძღოლმა, ჯერ რუსიელი მგზავრები უნდა დავაბინავო. მე კიდევ ძლიერ ვეშურებოდი, კომბოსტოს ჩითილები მაქვს დასარგავი, დილით ქალაქში გაბრუნებაც უნდა მოვასწორო... და ხოტბას ასხამს ახალდაბას, თავის მშობლიურ სოფელს, ძალიან უხვი მოსავალი იცისო. ეგაა, რომ მონეულის გასაღება უჭირთ მერეო. არადა გლეხებმა მოსავლით უნდა შეინახონ ოჯახებიო. ჩემს სიძეს შარშან 35 ტონა კომბოსტო ჩაულპა და ლიახვს გაატანაო.

ახალდაბის გზაჯვარედინთან მოინდომებს მადლობა გადაიხადოს: ლამის შინა ვარ, აღარაფერი მიჭირსო. ამათ კიდევ ბოლომდე უნდათ თავაზიანობა გამოუხატონ. მოკლე მისახვევ-მოსახვევიც და მომცრო რკინის ჭიშკართან შეაჩერებინებს მანქანას. თითქმის იმავესთან ნინკარიდან გამოირეზინდება პანია გოგო, ჩაესტება გულში და მიუსხა-პასხუპებს: „ბაბო, რა მომიტანე?...“ ჩვენ ველარ მოვკრავთ ყურს პასუხს, მაგრამ თვალი იმახსოვრებს — ეზოს სიმწვანეში აცეკვებულ ბავშვს...

ისევ ასფალტგადატეცილი გზა. აქეთ-იქით კვლავ ბალებში მნიფე თუ ახალშეთვალებული ნაყოფით ტოტებდაზნექილ ხეხილს ჩაეუქროლებთ. მერე ლიახვის ხეობიდან ამოფოფრილი ნისლიც ამოჩნდება და ჩვენი მანქანაც კოპებმეკრული ცის ქვეშ შეცურდება... — აი, კიდევ მოვიდაო — ზურას ხმას გადაფარავს ცერად აშხაპუნებული ნიმი... რანაირად უნდა მიესადაგოს სიტყვები ბუნების ამ საკვირველ სურათს. ელენემ კი მოასწრო იშვიათი წამის შეჩერება თავის მობილურში.

მერე შლაგბაუმი. შლაგბაუმიან შემართულად დგანან მესაზღვრეები. ხსენება მეუფის სახელისა და გზაც გახსნილია.

...აი ნიქოზიც და მთელი კომპლექსი საეპისკოპოსო რეზიდენციისა. გულს სიამეს გვრის რესტავრირებული და

გამშვენებელი ღვთაების, ამალღების სახელობის ეკლესია, სადაც დაკრძალულია წმიდა პირველმონამე. V საუკუნით დათარიღებული ძეგლი ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. ვახტანგ მეფემ საეკლესიო რეფორმის შედეგად თორმეტი ახალი საეპისკოპოსო დააფუძნა, შემდეგ კი „ლიახუს გაღმა, ნიქოზის ეკლესია ღვთაებისა დიდი აღაშენა. ჰყო საეპისკოპოსოდა და დასუა ეპისკოპოსი“.

ვახტანგისავე ბრძანებით წრომიდან გადმოუსვენებიათ წმიდა პირველმონამე რაჭდენის ნანამები სხეული. ნიქოზის საკათედრო ტაძარი მისი განსასვენებელია.

ტაძარი შემოსაზღვრულია ახალი და მტკიცე გალავნით. გასწვრივ სასახლეა ეპისკოპოსისა, ძველქართული ტრადიციით აღდგენილი, 2008 წლის ომის დროს თვითმფრინავიდან საგანგებოდ დამიზნებული ბომბებით ლამის ნანგრევებად ქცეული და ნანგრევებიდან კვლავ წამომართული...

გალავანს ახალი ორსართულიანი შენობა ემიჯნება. ქვედა სართულის ერთ მხარეზე სატრაპეზოა. დანარჩენი ფართი მთლიანად სამრევლო სკოლას ეთმობა.

ნათელსა და მყუდრო საკლასო ოთახებში იმ დღეს მხოლოდ მუსიკისა და ხელოვნების გაკვეთილები ტარდებოდა.

მოსწავლეთა ერთი გუნდი ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკრასაც სწავლობს, კლასიკურ მუსიკას შეასწავლის შეგირდებს ფორტეპიანოს მასწავლებელი თამაზ აბრამიძე. იგი გორიდან საგანგებოდ ამოდის კვირაში ორჯერ.

ვადიმ შუბითიძე ჩრდილების ხელოვნების გაკვეთილზე ჩაუძღვა მოსწავლეებს იმ სახლში, სადაც დედათა სავანეცაა. მათ მეცადინეობას ველარ მიფუსნრებ, სამაგიეროდ გელა კანდელაკის მასტერკლასს დაუგუდებ ყურს, ოღონდ გაკვეთილის ბოლოს. პატარა სცენარისტებს ყოველდღიური ამბებისა თუ დეტალების ზუსტ და ფაქიზ აღბეჭდვაზე ამახვილებინებს ყურადღებას ჩანახატებში, ეტიუდებში. ასწავლის ბავშვებს დანახულის მკაფიოდ და ცოცხლად გამოხატვას, აჩვენებს ფიქრს, უფითარებს აზროვნებას.

ელენე მუჯირს აქვს გაკვეთილი ანიმაციური ფილმების სტუდია-სამონტაჟოში. სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას, ანიმაციური ფილმები შექმნან ბავშვებმა. კომპიუტერებთან წყვილ-წყვილად მომუშავე 8-9 წლის ნიქოზელი ყმაწვილებისაგან ასეთი ფრაზები გავიგონე: მასწავ... როგორც მირჩიეთ, ისე დავასკანერე... ჩემი ნახატიც ნახეთ ფოტოშოპში... შტიფტზე დამაგრებული ნახატებიანი ფურცლებიდან, ვიდეთვალის გამოყენებით, ჩიტის მოძრაობის ასლებს კომპიუტერში ჩატვირთავენ და გადაფრენის ბუნებრიობას მონიტორზე აკვირდებიან: ქეთევან თედევი, რატი მჭედლიძე, რომეო მაღალდაძე, დავით ნემსაძე, ზურაბ და ნიკა მჭედლიძეები.



მთავარეპისკოპოსი ისაია

ბავშვები „მთესვარის იგავის“ სიუჟეტს ამუშავებენ. მასწავლებელი მცირეოდენ ლაფსუსსაც არ ჰპატიობთ...

შებოჭილად წარვდექი მთავარეპისკოპოს ისაიას წინაშე. ჩვეულებრივ რესპონდენტთან, საერო კაცთან ხომ არ ვიყავი სარედაქციო დავალებით. სამწუხაროდ, ეკლესიური წესების საფუძვლიანი ცოდნაც რომ არ მომდევდა. მაგრამ დაბნეულობა გამეფანტა მყისვე, მახლობელი ნათესავით რომ შემითვისა საამოდ სადა მასპინძელმა და სასაუბროდაც შემიპატიჟა ეპისკოპოსის სასახლეში. მალე შემოგვესწრება გორიდან ვანო ჩხიკვაძე. მეუფის მეგობარი, მოკვეთ და ერთგული ავტორი ჩვენი ჟურნალისა, საყვარელი მწერალი მრავალთათვის. სწორედ მისგან ვარ დავალებული. ბევრჯერ უამბია აღფრთოვანებით აქაურობის მაღლზე. მეუფის ავტორიტეტზე შიდა ქართლში და მის გამორჩეულ ღვანლზე ეპარქიის აღმშენებლობა-გაძლიერებაში ისედაც ხომ მთელი ქვეყანა ლაპარაკობს. ხოლო სამრევლო სკოლის მოწაფეთა სიხარულით ანთებული თვალები, მათი ნორჩი გულების მიდრეკა ზნეობრივი ფასეულობების შეცნობისაკენ, ისევე და ისევე მეუფის მიერ განეული ამაგითაა. ყოველივე ამას იგრძნობს ნებისმიერი ადამიანი, თუნდაც ორიოდ საათით რომ შეჩერდება ამ ღვთითკურთხეულ გარემოში.

— პირველი მრევლი ბავშვები იყვნენო. თავდაპირველად პარაკლისებისთვის გამორბოდნენ, ნაკურთხი წყლის მისხურება მოსწონდათ თურმე ძალიან. მიანყდებოდნენ ტაძრის ეზოს და იკითხავდნენ: დღეს წუნაობა იქნებაო? მერე და მერე შეუყვარდათ ეკლესიის გარემოში. მშობლები, დიდედები და პაპებიც შემოიყვანეს ტაძარში. ის პირველი თაობა უკვე დაფრთიანებულია, მოჰყოლიან მომდევნონიც და ასე გრძელდება დღესაც.

ომამდე ხან წიგნებს უკითხავდნენ, ხანაც ერთად ხატავდნენ. ომის მერე ოფიციალურად დაარსდა ნიქოზის ეპარქიასთან ხელოვნების სკოლა. 2009 წელს აქ სწავლის მსურველი 40-მდე ბავშვი იყო. შარშან 150-დან 100 შეირჩა, რახან მეტს ვერ გასწავებოდნენ, უფრო ხელოვნებისკენ მიდრეკილებს მიენიჭათ უპირატესობა. შეასწავლიან აგრეთვე ინგლისურ ენას, კომპიუტერის პროგრამებს. სხვადასხვა საგნის მასწავლებლები გორიდან, თბილისიდანაც ჰყავთ მოწვეულნი.

ასეთია დღევანდელიობა. მაგრამ აქამდე მოსვლა, ანუ დასაწყისი არ ყოფილა ადვილი. 1995 წლის 5 აპრილიდან, ეპარქიის აღდგენის დღიდან, რამდენიმე სასულიერო პირთან ერთად იქნა მოვლინებული მეუფე ისაია ამ კუთხეში, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. თავდაპირველად გამგებელმა იური ლომსაძემ შესთავაზა ბინა თავის სახლში, რამდენიმე კვირა იქ უცხოვრიათ... შემდეგ, ორი წლით, მიტოვებული სახლი დაეთმოთ. ეს ის წლებიაო — ჩაერთვება ვანო ჩხიკვაძე — ქვეყანას რომ უჭირს, ყველაფერი ჩამკვდარია, გახში-

რეზულტატი მკვლევარობა-ტაცება, და ამ დროს მშენებლობის დაწყება რამდენიმე ბერის მიერ, თანაც შიშველი ხელებით, სასწაულს ნიშნავდაო. 17 წელი გაძლება უნდოდა ყოველივესო. სჭირდება აქაურობას ასეთი მოძღვარი. მეუფის ზეგავლენითაა, რომ ველარც გამიჯნავ, სოფელია ეკლესიასთან თუ ეკლესიაა სოფელთან — დასძენს ვანო.

უპირველესად ტაძარი გადახურეს, ჩამსხვრეული სარკმლები აღადგინეს და წლების განმავლობაში ჩამდინარე წყლისაგან დაზიანებული კედლებიც გაამაგრეს. გუმბათზე ჯვარი აღმართეს „ტონთიოს“ საზოგადოების ალპინისტების დახმარებით. თანდათანობით ღრეობამოყვარულ გზააზნეულელებსაც შეასმინეს, ეკლესიის ეზოს შეურაცხყოფის უფლება რომ არ ჰქონდათ. მეტი სიმტკიცისათვის გალავანიც გახდა აუცილებელი. გამორჩენენ გულშემატკივრებიც და ქვიშა-ცემენტიც მოიტანეს. ქვა — ბევრი იქვე ეყარა, ბევრიც ლიხვიდან ამოზიდეს. რადგან ხელობა არ იცოდნენ, ბერებმა მცხეთის ანტიოქიიდან მოიწვიეს კირითხურონი. მაგრამ არ აღმოჩნდა საკმარისი მათი ორდლიანი ნამუშავება გამოცდილების გაზიარებისათვის. სოფელმაც შეიტყო მათი ვასაჭირი და იწყინეს თურმე ხელობის მცოდნე კაცებმა: რაღა მცხეთიდან მოგყავდათ ხალხი, აქა ვართ და გამოგვიყენეთ... იმის შემდეგაა, ეკლესია და სოფელი რომ ერთად დგას.

ავგისტოს ომის დროს კი აქაურობა ერთიანად დაცლილა. სასონარკვეთილი ხალხი გარბოდა მშობლიური კარმიდამოდან. სხვათაშორის ეს ტრაგიკული მდგომარეობა მთელი მხარისა, გულისშემძვრელადაა აღწერილი ზაურ ნაქაძის რომანში „ელეთმელეთი“, რომელიც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თანადგომითაა გამოცემული. მწერალი საკუთარ კარ-მიდამოს არ გასცილებია სოფელ ფხვენიისიდან, ამიტომაცაა მისი მონათხრობი მწარე რეალობით განპირობებული. ნიქოზში მხოლოდ რამდენიმე ოჯახი დარჩენილა, უმეტესობა ხანდაზმულები. აქაურობა არც მეუფეს დაუტოვებია.

სოფელი რაა ადამიანის გარეშე — უთქვამს ასაკოვან მეზობელ ქალს, ზამირას. — რაღა სხვა იყოს ის ერთი ადამიანი, მე ვიქნები. მოხუცი ცოლ-ქმარი, კოლია და ლეილაც დარჩენილან, თავიანთი სახლის სარდაფს შეფარებიან. არც მეზობელი იასონი ნასულა სადმე. მეუფე იყო სოფლის ერთ-ერთი ფხიზელი თვალი და ყური. კარდაკარ დადიოდა, არწყლებდნენ მიტოვებულ შინაურ ცხოველებს... და ხანაც მაროდორობისა და ძარცვის დროს, შელაპარაკება თუ შეკამათება უწევდა რუს ოფიცრებთან...

— ომი თავისთავად საშინელებაა, მაგრამ ომში იმდენად სისასტიკე კი არ გაკვირვებს, არამედ გაკვირვებს ამ საშინელებაში ადამიანი როცა რჩება ადამიანად, არ კარგავს სიკეთის გრძნობას, ესაა საოცრება!..

საუბარი ნაწყვეტ-ნაწყვეტ და შეძლებისდაგვარად ჩავინიშნე სასახლის დარბაზში, რომელიც თავისთავადაა სიმბოლო სამი დროის უწყვეტობისა. ეს მოვლილ-ჩანიკნიკებული, ვრცელი, მყუდრო და გრილი სივრცე სამუზეუმო დანიშნულებისა ნუ გეგონებათ. აქ დროდადრო ხალისიანი ცხოვრება ჩქეფს და უკვე მრავალი ღონისძიებაც გამართულა ამ წმინდა კედლებში.

აკი ერთ-ერთი ზემისას, მეუფისადმი გულითადად მიძღვნილი ლექსიც დაგვამახსოვრა ვანო ჩხიკვაძემ, რომლის ბოლო ორ სტროფს აქვე მოვიხმობთ:

**იები, იები მეუფეო,
იები თვალეში ღაღანებენ.
გალობ და სიმშვიდე ეუფლება
ხატიდან გადმოსულ მახარებელს.**

**როგორც გაბრწყინებულ საკურთხეველს —
ლოცვით, ქურმუხიდან გონიომდე,
ისე შემოუვლი საქართველოს,
თითქოს ბენვის ხიდზე მოდიოდე.**

ტრადიციულად აღუნიშნავთ წლებანდელი შობის დღესასწაულიც. ნიქოზელი ბავშვებისთვის საჩუქრით ხელდამშვენებული მრავალი სტუმარი სწვევიათ, ქართველი თუ უცხოელი.

ლხინი ძველებურ წესზე გამართულა. სიმღერა, ლექსი, ცეკვა-თამაში გახურებულა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ყმანვილები პირველობას. ერთ-ერთმა ონავარმა ბიჭუნამ, მხოლოდ ერთი ლექსი რომ იცოდა და ძალიან უნდოდა უფროსებისთვის თავი მოეწონებინა, ასეთ გამოსავალს მიაგნო: ერთი და იგივე ლექსი სხვადასხვა დროს სამჯერ ნაიკითხა და გულთანად გააცინა ყველა.

აქვე გაიხსნა შარშან ანიმაციური ფილმების I საერთაშორისო ფესტივალი... შემოდგომაზე ელოდებიან კვლავ სტუმრებს, წარმომადგენლებს უფრო მეტი ქვეყნიდან.

ნიქოზის საერთაშორისო ფესტივალის დღეები დაუვინყარ შთაბეჭდილებად ქცეულა პოლონელი და ალიასკელი ამერიკელი მართლმადიდებლებისათვის. მათი 41-კაციანი დელეგაცია, თოთო ბავშვებიც რომ ჰყავდათ ამისპორეზე ჩამოყვანილი, ერთი თვე დარჩენილან, მამა პაისის თაოსნობით. ეპარქიის თეთრი ავტობუსით სულ გალობაგალობით შემოუვლიათ ლამის მთელი საქართველო. არც ფიზიკურ სამუშაოს მორიდებიან, აქ საქმეს რა გამოლევს...

ახლა სიზმრებში ვეფერებით ნიქოზსა და საქართველოსო — ხშირად ინერებიან ალიასკელი მეგობრები.

ეპარქიისადმი მზრუნველობას იჩენენ ჩვენში აკრედიტებული უცხოეთის საელჩოები. განსაკუთრებით პოლონეთისა და ევროსაბჭოს მისიის წარმომადგენლები.

მოკეთენი არიან ჩვენშიც. თუმცა აღმშენებლობისათვის, აქ რომ ნამოუწყიათ და უსახსრობის მიზეზით დროებით შეჩერებულან, მეტ საქმიან გულშემატკივრობას მოელოიან...

სხვანაირი გამხდარა ნიქოზის დანიშნულება დღეს. და რომ ეს ასეა, სასახლის მეორე სართულის აივნისაგან ერთბაშად თვალშისაცემია. აქედან უყვართ თურმე გადახედვა უცხოელ სტუმრებს ღამით; ტკბებიან მონმენდილ ცაზე ვარსკვლავების კაშკაშით... ხოლო დღისით გულსაკლავად იშლება ქართველის თვალწინ იშვიათი ხედი — კავკასიონის ცენტრალურ ქედზე შეფენილი, ერთიანი, მთლიანი ლანდშაფტის. ეს მაღლიანი მინა, ჩვენი ძვირფასი სანახები, ხუთიოდ კილომეტრში მოძალადის მიერაა გადაკვეთილი ხელოვნური საზღვრით.

მიღმა დარჩენილა ძირძველი ქართული სოფლები ლიხვის ხეობისა: თამარაშენი, ქურთა, კეხვი, ერედვი... და რასაკვირველია, განაპირა მხარედ ქცეული ნიქოზი, იგივე ფორპოსტი, უნდა იდგეს უფრო ძლიერად, უფრო გამართულად, რათა არ ჩაქრეს რწმენა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ დაკარგული არ არის.

იური ნაგობინი

სამნი, ქალი და მამაკაცი

როდესაც ეს ორნი „დარიალი“ გაჩერდნენ, შალვა აბესაძეს, სასტუმროს ბებერ, ჩასუქებულ, ყოველთვის გაუპარსავ, შეშუპებული სახისა და ნამძინარევი, გამჭოლი თვალების მქონე მეპატრონეს, გულმა საგანგაშო ვერაფერი უგრძნო. ამ ორს — ქალს და კაცს, ალბათ უფრო წყვილი ეთქმოდა, მაგრამ ვინაიდან შალვა აბესაძე, რომელიც ჯერ ისევ უცოლო გახლდათ და ქორწინების ინსტიტუტს სცემდა პატივს, წყვილად მხოლოდ კანონიერ ცოლ-ქმარს მიიჩნევდა. ეს ორნი კი სამოქალაქო ქორწინებაშიც არ იმყოფებოდნენ, როგორც საზოგადოების თანხმობით დაკანონებულ მრუშობას უწოდებენ ხოლმე, რომ საერთო ნომერი მოეთხოვათ, რასაც შალვა არასოდეს თანხმდებოდა. ეს მისი, საკუთარი კეთილი ნებით, ან უფრო სწორად, შინაგანი მოთხოვნით ნესიერებისადმი გადასახდელი ერთადერთი ხარკი იყო, ყველა სხვა შემთხვევაში სტუმრებს უფლება ჰქონდათ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოეგონებოდათ. მაგრამ საბედნიეროდ, ჩამოსულემა მომიჯნავე ნომრები მოითხოვეს, რითიც საკუთარი თავიც და სასტუმროს მფლობელიც უსიამოვნო ახსნა-განმარტებებისგან იხსნეს. მათ ნომრები მეორე სართულზე, სასტუმროს დანარჩენი იშვიათი სტუმრებისგან სრულიად მოშორებით, დერეფნის განცალკევებულ ფლიგელში გამოიყვეს, ხუმრობით „ბრმა ნანლაგად“ რომ მოიხსენიებდნენ.

„დარიალი“ ტიფლისის საუკეთესო სასტუმროების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, ცენტრიდან მოშორებით, კუზნიანით ამოზრცული, უქვაფენილო, უხეშად გაბარდული ბალახნოდებული ქუჩის ბოლოს იდგა და სიიაფით, სიმყუდროვით, არაჩვეულებრივი აღმოსავლური სამზარეულოთი და სისადავით გამოირჩეოდა.

ამჯერადაც, როგორც ყოველთვის დღისით, შალვა აბესაძე სასტუმროს შესასვლელთან, ბებერი ჭადრის ქვეშ მორყეულ მაგიდასთან იჯდა და ღვირის წრუპავდა. ჩამოსულეები ეტლიდან გადმოვიდნენ და გვერდით ჩაუარეს. შალვამ ისინი — უნაკლოდ ჩაცმული უცხოელები, მაღალი საზოგადოების მანერებით და ნიანგის ტყავის ძვირფასი, დიდი ჩემოდნებით — ჩამუქებული, შეშუპებული ქუთუთოების ვინრო ნაპრალეებიდან შენიშნა, ანონ-დანონა, შეაფასა და გაატარა. გულიც კი დასწყდა და გაუკვირდა, რომ სტუმრებმა ცალ-ცალკე ნომრები მოითხოვეს, რაც გამოცდილი პორტიეს ხმამაღალი წამოძახილით შეიტყო, რომელსაც ჯერაც ვერაფრით დაეჯერებინა გაგონილი. პირველად მოხდა, რომ სასტუმროს მეპატრონეს, რომელმაც ისინი „წყვილად“ ჩათვალა, შეუცდომელმა ალლომ უღალატა, თუმცა სტუმრებს ზედმეტად თავდაჯერებულად და თავისუფლად ეჭირათ თავი. ალბათ, ძველი, მყარი კავშირია რაღაც, ფიქრობდა შემცდარი და გულდანყვეტილი შალვა, თანაც, როგორც ჩანს, ზურგს უკან არც ეჭვიანი ქმარი უდგათ და არც მიტოვებული ცოლი — მათ არ ეშინიათ. თუმცა არც ურთიერთობის აფიშირება სურთ, ალბათ უბრალოდ განმარტობას ეძებენ.

განსაკუთრებით კაცი მოენონა: მკვრივი, ჩასკვნილი მამაკაცი ძლიერი კისრით; ნათელი, ღია ნაცრისფერი, ოდნავ გადმოკარკლული თვალებით და ჯიუტად მოღერებული თავით, რაღაცნაირ, მეომრულად რესპექტაბელურ იერს რომ ანიჭებდა. შალვა, რა თქმა უნდა, ასეთ გადაპრანჭულ სიტყვებს არ ხმარობდა, ამიტომაც ჩამოსული თავისებურად, უბრალოდ შეაფასა: ამ კაცმა საკუთარი თავის ფასი იცისო — იფიქრა.



მოსვენებას უფრო ქალი უკარგავდა, რომლის ასაკის განსაზღვრაც გაუჭირდა, ეს კი, ისევე, როგორც ნებისმიერი გაურკვევლობა, უკვე ძაბავდა. თუ სადღაც ორმოც წლამდე იყო, თავის ხნოვანებასთან შედარებით კარგად გამოიყურებოდა, თუმცა შალვას არც ის გაუკვირდებოდა, ბევრად ახალგაზრდაც რომ აღმოჩენილიყო. ამ შემთხვევაში მისი მოხდენილი, ჰაეროვანი სხეული, ფაფუკი, ქერა თმის შარავანდედში ჩაფლული ახალგაზრდულად მოღერებული თავი, სახის მკაფიო ოვალი, დამძიმებული, განივრად ჩასმული ქუთუთოებიდან მომზირალ თვალებში — ცხოვრების გამოცდილების სიმწარე და დაღლილობა, თხელი, თითქოს მომუნული ტუჩების დაშვებული კუთხეები და საფეთქლებზე შემოჯარული წვრილი ნაოჭი, ცხადია, იმის დასტური იყო, რომ საკუთარ თავზე უკვე ბევრი უკუღმართობა ეწვნია. თუმცა იქნებ გზამ დალაღა? დაისვენებს და ისევ ახალგაზრდულად მშვენიერი წარმოგვიდგება. არა, არ წარმოგვიდგება, ჩანს უფრო ოხვრით გაიფიქრა შალვამ, ქალის სილამაზის დიდმა, თუმცა კი უანგარო დამფასებელმა, თავისი ახალგაზრდობა მან უკვე მთლიანად მოლია. ამ ორთაგან უფროსი ის იყო და არა მხოლოდ წლებით, არამედ ცხოვრებისეული გამოცდილებითაც. საზრუნავსაც არაფერს გაუჩენდნენ, და ამის საწინდარი იმდენად მისი თანამზავარი მამაკაცის ხასიათი კი არა, რამდენადან თვით ქალის დაღლილობა იქნებოდა. ის ცხოვრებით არის დაქანცული და არა მგზავრობით და მხოლოდ სიჩუმე და სიმშვიდე სჭირდება. „შენ ამ ყველაფერს ჩემს „დარიალი“ მიიღებ“, — კეთილგანწყობილი პირობა მისცა შალვამ ქალს გულში. ასეთი მდგომარეობისთვის ბუნებრივი უხეში შეცდომებისა და ზუსტ განსაზღვრებათა მონაცვლეობით ფიქრობდა ჭადრის ჩრდილში შალვა აბესაძე. გონებრივი დაძაბვის დასასრულს კი მსკლარტე ღვირის დიდი ყლოში მოსვა და დამძიმებული ქუთუთოები მილულა.

ჩამოსულეები ნომრებამდე მიაცილეს, იქ უკვე მათი მცირეოდენი ბარგიც მიეტანათ. ბატონმა მტვირთავს — იგივე შვეიცარსა და სასტუმროს ღამის დარაჯს — გაუხეშებულ ხელის-გულზე ხურდა დაუდო და ქალბატონის კარზე დააკაკუნა.

— მობრძანდით! — მის წკრიალა, რბილ ხმაში დაღლილობის კვალიც არ ჟღერდა. — აჰ, თქვენ ხართ, ბაიარდ?!

— კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ვინმე სხვას ელოდით. — ბაიარდის ხმაში სერიოზულობა და უკმაყოფილება გაისმა — ხუმრობა არ გამოუვიდა.

— კი, მტვრითავს. ვიფიქრე, ბაკშიშისთვის მობრუნდამეთქი.

— აქ ბაკშიშს არ ითხოვენ, — ისევ ისე სერიოზულად, თუმცა უკვე სირბილეშერეული ტონით წარმოთქვა ბაიარდმა. — ჩვეულებრივი ევროპული გასამრჯელო კი უკვე მიიღეს.

— ძალიან კარგი. — თქვა ქალმა და პატარა მაგიდაზე უდიერად მიგდებულ სპილოს ძვლის პორტსიგარს დასწვდა.

— მოიცადეთ, — თქვა ბაიარდმა და მკრთალი და გამჭვირვალედ ნაცრისფერი თვალები დაჟინებით შეანათა. თითქოს მზერით მის შენოვასა თუ შესრუტვას ცდილობდა.

— ოჰ, არა, ბაიარდ! — წარმოთქვა მან შესაბრაღისად. — გთხოვთ... ახლა არა. დავილაღე. დაბანა მინდა. ძველი ნოხივით ერთიანად მტვრიანი ვარ. გთხოვთ, არ გინდათ, ცოტა მოითმინეთ!..

ბაიარდს მოთმენა არ სურდა და ქალი სანოლზე გადააწვინა. ისიც მის მოუხერხებელ ძალდატანებას მორჩილად დაჰყვა.

— რა ვნებიანი ხართ! — წარმოთქვა მან, როცა ბაიარდმა თავისი მკლავებიდან გაათავისუფლა და ფანჯარასთან მივიდა.

— მე წარ-მა-ლუ-რი მამაკაცი ვარ, — წარმოთქვა მან ხაზგასმით.

ქალმა ამოიოხრა. ტანსაცმელი გაისწორა, თუმცა სანოლიდან არ წამოდგარა, ისე გაიწვინა ხელი პაპიროსისკენ. ახლა ის წავა და თავის მონესრიგებას შეძლებს. ცხელ წყალს მოითხოვს, ასეთ სოროში აბაზანაზე ოცნებაც კი სისულელეა. წყალი, წყალი, ჩქარა წყალი, ცხელი, თბილი, ბოლოს და ბოლოს თუნდაც ცივი, მაგრამ წყალი! ნაუცბათევმა და დაუდევარმა სიახლოვემ უსუფთაობის შეგრძნება გაუმძაფრა. ერთიანად ჭჭყყიანი იყო, განებილი, თმა და ყურები მტვრით ჰქონდა სავსე, მტვრის კბილებზეც კი სილასავით ხრაჭუნობდა, კანს მტვრის სუნი ასდიოდა, თანაც უკვე სხვისი მტვრისაც, ისეთივე, მგზავრობის სუნით გაჯერებული მტვრიანი სხეულის სუნი — ეს ყველაფერი აუტანლად აწუხებდა.

რატომ უყვარს ასეთი მოულოდნელი, გზნებიანი და მოუხერხებელი შერწყმა? თუმცა ოდესღაც ადგილს და დროს არც მისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. მაგრამ ახლა მხოლოდ მშვიდი, სალუქი ბურჟუაზიულობა მოსწონდა: ლოგინში, მიწავლებული შუქით, აუჩქარებელი ალერსითა და ალერსიდან ალერსამდე ღრმა და გრძნობიერი ჩაძინებით. ბაიარდი კი დაჟინებით სანინააღმდეგოს ახვევს თავს, ალბათ სწორედ ეს სჭირდება. თვითონ კი არც იქამდე იტაცებდა დიდად — „შტურმ უნდ დანგ“-ი,* მაგრამ სხვის ტემპერამენტს და შექმნილ ვითარებას რბილად და ბუნებრივად, ახლანდელი ზიზღნარევი ძალისხმევის გარეშე ნებდებოდა, და ლტოლვა-საც იზიარებდა, ამ ბოლო დროს კი სულ უფრო და უფრო ხშირად მხოლოდ ყალბი თანამონანილეა. თუმცა ის იმდენად ეგოცენტრულია, რომ ვერაფერს ამჩნევს. ალბათ თავგადასავლები აკლდა ცხოვრებაში, რყევები, ახლა კი ამის ანაზღაურებას და მათი უკვე მყარი ურთიერთობების გამძაფრებას თავანწყვითი გზნების გამოვლინებით ცდილობს. ნამდვილი თუ საკუთარ თავსვე მოხვეული მისი ვნება სრულიად შეუფერებელ ვითარებასა და დროს ვლინდებოდა: მატარებლის კუპეში, სადგურზე გაჩერების წინ, როდესაც ყოველ წუთს შეიძლება გამცილებელი დადგომოდათ თავს, მთაში ქვიან ბილიკზე, უკაცრიელ სანაპიროზე თავსხმა წვიმაში

და სასტუმროს ნომერში, სადაც ის-ისაა ჩემოდნების შეტანა მოასწრეს მხოლოდ. იქნებ ეს მიმზიდველობა ბაიარდისთვის ავანტიურის სულით და კატასტროფის ზღვარზე გამავალი სწორედ იმ უკეთურობით იყო გამოწვეული, რომლითაც მისი განვლილი ცხოვრება სულით ხორცამდე გაიჟლინა? ის კაცია და ამაში არასდროს გამოტყდება, მაგრამ, ცხადია, ამ გამაბეზრებელი ლტოლვის უკან ჟინსა თუ კაპრიზზე მეტი იმალება, ქალიც მის ნებას ხმის ამოულებლად ემორჩილებოდა. უცნაურია, მაგრამ მისი გულის დამატყვევებელი ნებისმიერი მამაკაცი მაშინვე მისი ბატონ-პატრონიც ხდებოდა. ერთი ძველი მეგობარი — მტერი თუ მეგობარი? — სწორედ ამას უწოდებდა უმაღლეს ქალურობას.

ბაიარდს გულწრფელად სურდა უნაკლო ყოფილიყო, მაგრამ სინატიფე და სხვის სულში ჩახედვის უნარი აკლდა, სხვა შემთხვევაში ადვილად მიხვდებოდა, რამდენად აუტანელი იყო ქალისთვის ის ყველაფერი, რასაც ასეთი ბოჰემური თავანწყვით ნებდებოდა. როგორც მამაკაცი, თვითონაც ხომ ვერ ეგუებოდა მის წარსულს, რალაში სჭირდებოდა ასე ხაზგასმით ამ წარსულის შესხენება? დიდად არც ბაიარდის ტემპერამენტის დაუოკებლობის სჯეროდა... თუმცა ნამდვილად არ ღირს ამ ყველაფრით ზედმეტად სულის მონამვლა, ცხოვრება ისედაც საკმარისად მწარეა.

— დაისვენეთ, დაგნი, — გულმონყალედ თქვა ბაიარდმა. — სადილის წინ შემოგივლით...

საღამოსთვის დუქანში ცხარე და სანელებლებიანი მადისაღმძვრელი ვახშამი შეიგულეს, სადილზე, სასტუმროს რესტორანში, საკმაოდ რიგიანი ევროპული სამზარეულოს კერძი, ყავა კი ჭადრებქვეშ, პანანინა კაფეში მიირთვეს. დაგნიმ თავისთვის ადგილობრივი მინერალური წყლისა და, კრაკოვული დღეებიდან გამოყოფილი ჩვევით, პოლონური — „ღვინის ლამპის“ შეკვეთა სთხოვა. ბაიარდმა კეხი-ანცხვირიანი და ღვინით დალაქავებულ ტილოს ქურთუქში გამოწყობილი ახალგაზრდა ოფიციანტი მოიხბო, დაიცადა, ვიდრე ის შეკვეთას მოიტანდა, დაგნის ცერემონიულად დაემშვიდობა და ფულის გადასაცვლელად ქალაქში გავიდა.

დაგნი მინერალური წყლით გაზავებულ წითელ ღვინოს ნრუპავდა, ერთმანეთის მიყოლებით პაპიროსს პაპიროსზე ეწეოდა და ანგარიშმიუცემლად მრგვალი, კერამიკული სა-ეფრფლის მიღმა აფერფლებდა. გვერდზე მაგიდებთან მსხდართა აღმაცერი მზერიით მიხვდა, რომ აქაურ წესებთან შეუფერებლად იქცეოდა. როგორც ჩანს, აქ წესიერი ქალისთვის მაგიდასთან მარტო ჯდომა, ღვინის სმა და პაპიროსის მონევა მიუღებლად ითვლებოდა. ბერლინში, სტოკჰოლმში, ოსლოშიც კი, პარიზზე რომ არაფერი ვთქვათ, ამას ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ ყოველ მონასტერს თავისი წესი აქვს. თუმცა დაგნის ფეხებზე ეკიდა, ვინ რას იფიქრებდა. აქ წამოსვლაც კი არ სურდა, არათუ ამ მოგზაურობის საეჭვო სიამოვნებათა გამო თავის ჩვევებსა და პატარ-პატარა სურვილებზე უარის თქმა. საერთოდ არსად გამგზავრება არ სურდა. მაგრამ საჭირო იყო. ევროპაში ძალიან ბევრი იცნობდა, სახელი ზედმეტად გაითქვა და უკვე სრულიად აუტანლად აღიზიანებდა დროდადრო შეფეთებული, სა-ზიზღრად ცნობისმოყვარე სახეების ყურება. რა თქმა უნდა, მამისეული სახლის სიმშვიდეც არსებობდა, მაგრამ ძველი ყაიდის მამა მათ არ შეიფარებდა. ყველა კავკასიაზე ლაპარაკობდა, თუმცა თითქმის არავინ იყო იქ წამყოფი და მათაც, სხვების ინტერესს აყოლილებმა, კავკასიისკენ გამოსწიეს.

*„ქარიშხალი და შეტევა“

ბუნებისადმი გულგრილი განწყობა ჰქონდა. რაღაც მცირედი დოზით კიდევ იტანდა: რესტორნის ფანჯრის მიღმა თვალწინ გადაშლილი მენამული დაისის ან სასაქონლო გემის ბორტიდან ფიორდის ლურჯი, მოსარკული ზედაპირის, ანდა ქალაქის ბაღებში იასამნის ბუჩქების სახით, რომლებიც გაზაფხულის მოსვლაში გაჯერებენ საბოლოოდ... მაგრამ, როდესაც ბუნება ყოველი მხრიდან გერტყმის, მის წიაღში ერთიანად ეფლობი, როდესაც ის ცხვირსა თუ პირში, თვალებსა და ყურებში გეჩრება და მის იქით არსაით გზა აღარ არის, დამლელი, მოსაწყენი და შემამოფოთებელიც კი ხდება. თანაც ყოველ წუთს უსიამოვნებებს ელი: წვიმას, ჭექა-ქუხილს, ქარს, მთის მოზავებებს, მტვრის კორიანტელს, შზის დარტყმას და მფრინავი თუ მლოლავი სისაძაგლის კბენას. მაგრამ ბაიარდს სურს, რომ ის სამყაროს ამ პირველყოფილი უბინოებით, მისი სინმინდითა და სისპეტაკით, ხან ამ სისპეტაკის ფაქიზი სინატიფით და ხანაც მისი გამოგონებელი დიდებულებით ტკბებოდეს, ის ხომ მან ჩამოიყვანა აქ, სიჩუმესა და სიმშვიდეში და განმარტოების საშუალება მისცა, გადაარჩინა და ყველა საფრთხეს განარიდა, ამიტომ უნდა უხაროდეს კიდევ. თუმცა, თუ მთებს, ხეობებს, ჩანჩქერებს, სრამებს, ციკაბო ფერდობებს, აბეზარ ბუჩებს, ყველგანშემადნეველ მტვერსა და მწველ მზეს დავივიწყებთ, რაც, რა თქმა უნდა, არც ისე მარტივია, ბაიარდი მართლაც მადლობას იმსახურებდა. გამგზავრება აუცილებელი იყო, სადმე შორს, სადაც ვერავინ იცნობდა და არც არავის გაუჩნდებოდა გაცნობის სურვილი, და მათაც, როგორც ჩანს, სწორედ ასეთი მიწა იპოვეს. ერთთვიანი მოგზაურობის განმავლობაში არცერთი ნაცნობი, ცნობისნადილით ავად წამონთებული არცერთი მზერა, გაცნობის არცერთი მცდელობა არ ყოფილა. გულის სიღრმეში ტიფლისში გამოგზავრებისა ემინოდა — დიდ, ხალხმრავალ ქალაქში, სადაც უამრავი ადამიანი ჩამოდოდა, მათ შორის ევროპიდანაც, მაგრამ მზრუნველმა და ერთგულმა ბაიარდმა ყველაფერი წინასწარ გაიკითხა, შეიტყო და ქალაქის განაპირას ეს მშვიდი თავშესაფარი მოძებნა. მყუდრო, წყნარი, ხეებში ერთიანად ჩაფლული, სადაც თავს თუ კარგად არ გადაწვედი, მთებიც კი არ ჩანდა. მთები და ხეობები უკვე სიცოცხლის ბოლომდე ეყოფოდა. რა თქმა უნდა, აქაც ვერ აცდებოდა ქალაქის შემოგარენის პეიზაჟებით ტკობას, ბაიარდს ნამოსტყდა კიდევ უკვე მონასტრის ავის-მომასწავებელი, ისევე როგორც ქართულ სიტყვება უმეტესობაში მჭიდროდ მიბჯენილი თანხმონების გამო რთულად წარმოსათქმელი დასახელება, რომელიც დუელში მოკლულ პოეტს უკავშირდებოდა, თუმცა არა პუშკინს, არამედ მეორეს, სახელს ვეღარ იხსენებდა, სახელების დამახსოვრება ყოველთვის უჭირდა...

რა სიჩუმეა აქ!.. ჩამოცხა და ყველამ დარბებს მიღმა გრილ ოთახებს მიაშურა. გვერდზე მაგიდასთან მსხდომი — მისი საქციელით გულმოსული — მეზობლებიც წავიდნენ, სასტუმროს მსუქანი დეპატრონიც კი გაეცალა იქაურობას და ხელს ნახევრად დაცლილი ღვინის ბოთლი გააყოლა, კაფე დაცარიელდა. სულ უფრო იშვიათდებოდა გამველთა სილუეტები და იკბინებოდა განმკიცხავად გამკრთალი მზერა. ნაშუადღევის მდუმარება დაისადგურა. მეზობელ ეზოში ვირმა ერთი ამოიეროყინა და მიყურდა, თუმცა მერე, თითქოს ვერაფრით წყნარდებო, კიდევ დიდხანს განაგრძობდა სლოკინს, სადაც იქვე, თითქოს მიწის სიღრმიდან ამოსული ხმით ანკავნკავდა ლეკვიც. ხვატით და დახუთუ-

ლობით გათანგული ყოფიერება დანებებას არ აპირებდა და ჩივილზე, ბუზლუნზე, წინააღმდეგობის განევაზე თუ უბრალოდ ხმაურის გამოწვევაზე თავისი უფლების ბოლომდე დაცვას ცდილობდა. დაგნიმ თვალები მოჭუტა და მოჭუტული ქუთუთოების ღრიჭოებში ვარდისფერი ნათებალა მოიტოვა. სწორედ ამ დროს მამაკაცის ოდნავი ენის ბორძიკით და დამტვრეული გერმანულით წარმოთქმული მისალმება და მიმართვა მოესმა — „ქალბატონო პშიბიშევსკაია!..“

ერთგვარი შვებით, თუმცა მონყენილობის შეგრძნებით ახლალა გააცნობიერა, რომ უკვე ზღვარგადასული სიჩუმე არათუ აღარ ამშვიდებდა, მიიმე ტვირთადაც ქცეოდა, — დაგნიმ შემოჯარულწამნამებიანი მოჭუტული თვალები ფართოდ გაახილა და ნახევრად მელოტი, გაოფლილშუბლიანი და შავი, წამახული, მოკლე წვერით, ქუდით ხელში, პენსნიანი ბატონი დაინახა. მისი გარეგნობის უსაშველო სტანდარტულობის შემხედვარემ გადწყვიტა, რომ იცნობდა, და დაუდევრად წარმოთქვა:

— აჰ!.. თქვენ ხართ?.. გამარჯობათ. დაჯექით... თუმცა მე მაღამ პშიბიშევსკაია აღარ ვარ.

ბატონი მონწული სკამის კიდზე მოკრძალებით ჩამოჯდა.

— კარპოვი გახლავართ, პეტერბურგელი ჟურნალისტი... თუ გახსოვთ, ერთმანეთს ბერლინში, „შავ ტახში“ შეხვედრივართ.

— აჰ, მართლაც! ვის აღარ ვიცნობ!.. — სიტყვებს გაფანტული და დაუდევარი ტონი დაჰყვებოდა, მაგრამ თითქოს გადაკეტილი ხორხიდან ხმის ამოშვებას მთელი მისი ძალა დასჭირდა.

ტიფლისის ზაფხულის დღეზე ჩამონოლილ ხვატიან, თითქოს მოციმციმე, გამჭვირვალედ მოცახცახე მტრედისფერ ბურუსში შემოჭრილ „შავი ტახის“ ფენებდ გამშლილ, თამბაქოს ასეთივე მტრედისფერ კვამლში ღვინისა და დალილობისგან მოცისფროდ-გაფერმკრთალებული სამი მამაკაცის — ედვარდ მუნკის, ავგუსტ სტრინდბერგის და სტანისლავ პშიბიშევსკის — სახეები გამოიკვეთა.

— ერთმანეთი გალენ-კალელამ გაგვაცნო, — მოისმა თითქოს სადღაც შორიდან.

— ვინ აღარ გამაცნო გალენ-კალელამ! მოსწონდა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთს აცნობდა და საერთოდ არ ადარდებდა, სურდათ მათ თუ არა... — ხვატიანი ბურუსის სინამდვილეში სახეების აჩრდილოებ გაქრა, ხმაც გაუმტკიცდა და გაუძლიერდა. — მაგრამ თქვენ ამას ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ღვინო მიირთვით. უთხარით, ჭიქა მოგიტანონ.

— გამადლობთ, მაგრამ ჩემი თირკმელები... — მორიდებულად ამოიბუტბუტა პეტერბურგელმა ჟურნალისტიმა.

— მაშინ ყავა მოითხოვეთ, აქ თურქულ ყავას ამზადებენ.

— უკაცრავად, ჩემი გული... — კიდევ უფრო შეწუხდა კარპოვი. პენსნეს შუშებს მიღმა მისი თვალები, მოუხერხებლად მოკრძალებულ ქცევებთან შეუთავსებელი, ხარბი ცნობისმოყვარეობით ანათებდა.

„არაფერს არ ვიტყვი! — ნიშნისმოგებით გაიფიქრა დაგნიმ. — ჩემგან ვერაფერსაც ვერ გაიგებთ, ბატონო პეტერბურგელი ჟორიკანავ!“ მაგრამ უკვე ლაპარაკობდა, თითქოს ენა მის ნებას არ ემორჩილებოდა და თავისთავად, მისგან დამოუკიდებლად არსებობდა:

— დიახ, მე და ბატონი პშიბიშევსკი დავმორდით. ძალიან კარგი ადამიანია, ნიჭიერი და ასე შემდეგ, მაგრამ მასთან ცხოვრება შეუძლებელია.

პშიბიშვესკის უფრო ჰქონდა მასზე ამ სიტყვების თქმის უფლება. თუმცა არა მაშინ, როდესაც ისინი ერთმანეთს შორდებოდნენ, არამედ ბევრად უფრო ადრე, ბერლინისა და „შავი ტახის“ პერიოდში. მაგრამ მაშინ ის დუმდა. ხილულს იმ ჰალუცინაციებად აღიქვამდა, რომლითაც ახალგაზრდობაში იტანჯებოდა, ჰალუცინაციებს კი — სინამდვილედ. თუმცა მათ არანორმალურ წრეში, სადაც ერთი და იმავე დროს ქალებს აღმერთებდნენ და სძულდათ კიდეც, ამცირებდნენ და განადიდებდნენ, დედოფლებად ტახტზე აჰყავდათ და ტახტიდანვე ანარქისტებდნენ ძირს, და ამ ყველაფერზე მეტად კი — ეშინოდათ, უღიმღამო მორალისტებისა და სულით მემჩანებისთვის გაუგებარი შემწყნარებლობა და სულგრძელობა სუფევდა. მაგრამ ზედმეტად დაჭიმული სიმი ბოლოს და ბოლოს წყდება. საშინელი სცენა გათამაშდა, პშიბიშვესკი დაგნის პისტოლეტით დაემუქრა, ედვარდ მუნკი კი დუელში გამოიწვია. და დაიშალა კიდეც მთელს ევროპაში სახელგანთქმული ბერლინური წრე, ედვარდი პარიზში გაიქცა, სტრინდბერგმა ოსლოს მიაშურა, დაგნიმ და მისმა ქმარმა კი თავშესაფარი დაგნის მამასთან, კონსტანცინგერში იპოვეს.

იქ, წყნარ, მიყრუებულ ადგილას პშიბიშვესკიმ თითქოს ერთიანად ამოიგრო თავიდან „შავი ტახი“, მთელი ის უაზრო ყოფაც და დაწყნარებული, კეთილგანწყობილი, ოდნავ გაფანტული და თითქმის გულგრილიც კი საქმეში თავით გადაეშვა. დაგნი მისი ამ გულგრილობის მადლიერი იყო. ბერლინურმა ჯოჯოხეთურმა სიგიჟემ მთლიანად გამოფიტა. მითუმეტეს, სტრინდბერგი მაინც არ ეშვებოდა და ხან ზღვარგადასული და უსარგებლო სიყვარულით, და ხანაც გაბოროტებული და გააფთრებული სიძულვილით არ აძლევდა მოსვენებას. მაინც რა მიძიმე და საშინელი ადამიანია, აუტანელი, სულისშემზოვი სიგიჟით დაავადებული!.. არც ედვარდი ანებებდა თავს, თუმცა კი ღმერთმა უწყის სად გაუჩინარდა, არც გამოჩენილა და არც მოუწერია, მაგრამ დაგნის ფიქრებსა და ძილში, უფრო სწორად, უძილობაში არსებობდა. გამათანგველ უძილობაზე საშინელი არაფერია... დაგნი ვერ წერდა. იწყებდა და გულს ვერაფრით უდებდა. არადა ელოდნენ... მისმა ორმა უზადრუქმა პუბლიკაციამ მოულოდნელად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. პშიბიშვესკი ყველა თავისი მტანჯველი გრძნობის — ეჭვის, ტკივილის, იმედგაცრუებისა და დამცირების სიტყვიერ ოქროდ გადადნობას ცდილობდა თავდავებით, ის კი, დღისით გაბრუებული, ნახევრადმთვლემარე მდგომარეობისთვის, ღამე კი შფოთიანი უძილობისთვის განწირული, უმიზნოდ იტანჯებოდა. რა არის ეს — ქალის ბუნება თუ უბრალოდ უნიჭობა?

მაგრამ კრაკოვში, ახალი ვარსკვლავის დიდების შარავანდში გახვეული, უკვე არა მხოლოდ დიდი იმედის მომცემი ნიჭი, არა მხოლოდ ბრწყინვალე მნათობთა უფერული თანამდევნი, არამედ თვით მნათობი, აღიარებული ოსტატი და გონებათა და გრძნობათა განმკარგავი პშიბიშვესკი რევანშის იდეით აენთო. რთულად ჩახლართული რევანშის, რომელიც აუტანელ ტვირთად დააწვა დაგნის ისედაც დაუძლურებულ მხრებს. პშიბიშვესკიმ მწერალ კონსტროვიჩის ცოლთან „გრძნობიერი“ და ვნებიანი მიმონერა წამოიწყო, დაგნის კი არა მხოლოდ მისი გადაპრანჭულ-გულისგამანვრილებელი მალალფარდოვანი სიტყვები, არამედ მეორე მხრის ნატანჯი აღიარებანიც უნდა ეკითხა. ეს ეპისტოლური, გათა-

მაშებული რომანი ისეთ მტკიცებულებათა სისტემით იყო აღჭურვილი, რომ დაგნის სასამართლო კამათის შთაბეჭდილებას უქმნიდა. მას მოთმინება ამოენურა. ვარშავაში ჩასვლისთანავე პშიბიშვესკი მიატოვა, რომელსაც, სიმართლე ითქვას, დიდად არც უცდია მისი შეჩერება და პრალის გავლით, საიდანაც ამ, რა ქვია... ბაიარდთან ერთად (თითქოს გავრცელებული სახელია, არადა ვერაფრით იმასსოვრებდა) პარიზს გაემგზავრა. მაგრამ პარიზში თითქოს ჰაერიც კი ედვარდის სიგიჟეებით იყო გაჟღენთილი, და ისინიც კავკასიისკენ გამოემართნენ. დიახ, ყველაფერი სწორედ ასე მოხდა, საუბრები კი იმის შესახებ, რომ პშიბიშვესკიმ მიატოვა — ტყუილია. პშიბიშვესკის უსუსური ბუნტის ჩახშობა დაგნისთვის დიდ საქმეს არ წარმოადგენდა. მაგრამ მისი ნიჭის დამორგუნველი პშიბიშვესკის გენიალობით, დაავადებული ნერვებით და აღზნებული გონებით გადაიღალა, უხვად საწვლავებზეაჯერებული ეგზოტიკის მერე გულმა ჭვავის პურისა და რძისკენ გაუნია... გაუგებარი მხოლოდ ის იყო, მისი ცხოვრების ინტიმურ დეტალებს თითქმის უცნობ და ნაკლებმომხიდეველ ადამიანს რატომ უყვებოდა? ყველაფერში მისი დაწყვილილი ქალურობაა დამნაშავე!..

— აქ მეგობართან ერთად ვარ ჩამოსული, — რატომღაც გამოაცხადა მან. — არაჩვეულებრივი ადამიანია და ერთადაც კარგად ვგრძნობთ თავს, მაგრამ ზედმეტად გადაღლილი ვარ, რომ ისევ ქორწინებაზე ვიფიქრო. თუმცა არ ვიცი, იქნებ მოგვიანებით, ცოტა ხნის შემდეგ დავფიქრდე კიდეც...

პეტერბურგელმა ყურნალისტმა გაქუცული თავი მლიქვნელი პირფერობით ააკანტურა, თვალბში კი დაჭინებით და თავხედურადაც კი აენთო კითხვა:

— ?!

— აჰ, მუნკზე მეკითხებით? — მაშინვე მიუხვდა დაგნი. ...დანყველილი, დანყველილი ქალურობა!

რა თქმა უნდა, დასამალი დიდად არც არაფერი იყო, რადგან თუ ეს ბატონი იმხანად ბერლინში იმყოფებოდა და მათ წრეს მიეკუთვნებოდა, ისედაც ყველაფერი, ან თითქმის ყველაფერი თვითონაც იცოდა. ახალგაზრდული უდარდელიობით ისინი საჭიროდაც არ მიიჩნევდნენ რაიმე დაემაღლათ და შესაბამისად, რთულ ურთიერთობათა კვეთაზე გამავალი მათი ცხოვრება ყველასთვის ნათელ სურათს წარმოადგენდა. ერთადერთი, მხოლოდ პშიბიშვესკიმ არ იცოდა საკმაოდ დიდხანს არაფერი. „ყველაზე ბოლოს ქმარი იგებს“ — ძალიან ბანალური და უმსგავსი გამონათქვამია, მაგრამ მართალი. თუმცა, სიცხადის მიუხედავად, ამ გამონათქვამს მათ შემთხვევასთან კავშირი მაინც არ ჰქონდა და მოგვიანებით პშიბიშვესკის „თვალის ახელაც“ სიყალბე იყო.

— პშიბიშვესკიმ ედვარდი გამოიწვია. თქვენი აზრით ეს საქციელი ალბათ უფრო გერმანულ სტუდენტ-შფოთისთვის ან ნასვამ ბურშს შეეფერება, არა? მაგრამ ყველაფერი სულ სხვანაირად გამოიყურება და სხვა შეფერილობას იძენს, როდესაც საქმე ასეთი მასშტაბის ადამიანებს ეხებათ...

ასე მალალფარდოვნად დაიწყო და უცებ გაჩუმდა. საინტერესოა, შედგა კი საერთოდ ის დუელი თუ არაფერიც არ მომხდარა? გამოწვევა იყო, და თანაც შეფურთხებასავით შეურაცხყოფელი... დუელი შეუძლებელია არ შემდგარიყო. თუმცა ედვარდი სულაც არ ყოფილა იმდენად დამნაშავე, რამდენადაც ეს შეურაცხყოფილ ქმარს და გარშემომყოფებს ეგონათ. ედვარდს ყოველგვარი მორალური უფ-

ლება ჰქონდა, დუელზე უარი ეთქვა, მაგრამ ამ უფლებას არავინ დაიჯერებდა. უარს ლაჩრობად ჩამოართმევდნენ. მაშასადამე დუელი შედგა, თუმცა კი მისთვის არავის არაფერი უთქვამს. მაგრამ თვითონ რატომ არ დაინტერესდა აქამდე არც ერთხელ — რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს? თუმცა რატომ უნდა დაინტერესებულყო? რაში სჭირდებოდა დეტალების ცოდნა? სომნამბულური, წინასწარმეტყველური სიცხადით სისხლიანი შეტაკების სცენა დახატა, რადგან არ სურდა ცხოვრებას მისთვის დამახასიათებელი უცერემონიოობით სურათის ერთიანობა დაერღვია. პშიბიშვესკიმ გადაწყვიტა ადამიანი დაენდო, მხატვარი კი მოეკლა! მან ედვარდს ხელში ესროლა, იმ ხელში, რომლითაც მას ფუნჯი ეჭირა, მარჯვენა ხელის მტევანში...

— ალბათ პეტერბურგი მიყრუებული პროვინციაა, რადგან დუელზე იქ არაფერი გვსმენია. — ამოიბუტბუტა კარპოვმა.

მოულოდნელმა დადილობის შეგრძნებამ მხრებში მოხარა და თავი ტყვიასავით დაუძიძიმა. ღმერთო, ნუთუ მართლაც რაიმე მნიშვნელობა აქვს, შედგა თუ არა ის დუელი საერთოდ? რატომ უყვართ ადამიანებს ყველაფრის განადგურება, რასაც ლეგენდად ქცევა შეუძლია? ისე ეჭიდებიან უფორმო, საცოდავ რეალობას, იმდენად ვერ ახერხებენ ფაქტების არაფრისმოძვემ სიმართლეზე მალა დადგნენ, რომ ლამის სული აეჭრათ ამჟავებულ რძესავით. სივრცე არ ყოფნით! რაც გინდა ამოუხსნელი იყოს გამოცანა, რაც გინდა უცნაურად ტრიალებდეს ცხოვრების დანყველილი კარუსელი, თავიანთი ბანალური ყოფიერების ჭაობიდან ყოყინით მაინც იმას არკვევენ: იყო თუ არ იყო? ბოლოს და ბოლოს ვინ იცის, რა იყო და რა — არა! თუკი წარსული ყოფიერების უმაღლეს მიზნებამდე თავისით არ ამალდა, ღმერთი თავის რჩეულებს ამ წარსულის შეცვლის უფლებასაც კი ანიჭებს. ნამდვილი მხატვრული სიმართლე კი ასეთია: დუელი შედგა და ტყვიამ ედვარდს მარჯვენა ხელის მტევანი დაუზიანა, მაგრამ მას ხატვა არ შეუწყვეტია, ედვარდმა მხოლოდ დაგნის ხატების გამოსახვის უნარი დაკარგა, ხატების, რომელმაც ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიპყრო მისი გონება!.. დიახ, ბავშვობაში პატარა ედვარდს სრულიად არაბავშვური ოხვრა და კვნესა აღმოხდა, როცა პატარა დაგნი იული პირველად იხილა. ყველა ქალს დაგნის ხატებით ხატავდა, დაგნი „მადონაშიც“ იყო და „მომწიფებაშიც“, „სიცილშიც“, „წითელსა და თეთრშიც“ და ქალის სამსახოვან ხატებაშიც, და თუმცა ეს პშიბიშვესკის დაკვირვებულმა თვალმა ვერც კი შეამჩნია, სტრინდბერგის ყოვლისმომცველ ხედვას ნამდვილად არ გამოჰარვია. დიახ, ედვარდმა სწორედ ასეთი სასჯელი დაიმსახურა, მან

არა მეგობრობას, არამედ სიყვარულს უღალატა! მაგრამ ამის შესახებ მხოლოდ მათ ორმა იცოდნენ, მათი პატარა საიდუმლო კი არაფრადაც არ ღირდა, მითუმეტეს თუ ლეგენდასაც გააფერმკრთალებდა... ცხოვრება ისტორიის შავ მონახაზს ქმნის მხოლოდ, ადამიანთა ხმები კი ჩამოქნის და ფერს ანიჭებს. ეს ხმა და ჭორი სხვადასხვაა, ის მუდამ მართალია თუ ადამიანის არასრულყოფილებით და განგებასა და ბედისწერაზე მალა დგომის უუნარობით გამოწვეულ ყოველგვარ შემთხვევითობას, ქერცლად ქცეულ ზედმეტობასა და ცდომილებას იშორებს.

აჰ, რა სულელური ფარსი გაითამაშა მაშინ სახელოსნოში!.. ყველა იმ ხანგრძლივი კოცნის შემდეგ „შავი ტახის“ სარდაფში, იმდენად ხანგრძლივის, რომ სიცხადესა და ზმანებაში ერთდროულად ჩაკარგულმა, დროდადრო რეალობას დაბრუნებულმა და მრუემ ბურუსში კვლავ და კვლავ მათი შერწყმული სილუეტების ზანტი რხევის შემხედვარე პშიბიშვესკიმ ჰალუცინაციად მიიჩნია ამქვეყნიურობას მონყვეტილი, ყველა პირობითობისა და არათუ სიფრთხილის, არამედ თვით სიცოცხლის უგულვებლმყოფელი, ნირვანაში ჩაძირული, შეყვარებული წყვილის სხეულთა ეს უმოძრაო ვალსი — რა საოცრად დაიჭირა ეს თავის „კოცნაში“ მუნქმა: კოცნით გაერთიანებული და ერთ მთლიანობად ქცეული ორი სხეული და თითქოს ქვაბულებად გაპოზილი ტუჩებით ერთმანეთში შეზრდილი, ერთ სახედ შერწყმული ორი სახე!.. ბევრი, ძალიან ბევრი დრო დასჭირდა, რათა ამ ჰალუცინაციის გამანადგურებელი მატერიალურობა ელიარებინა. თუმცა ბედის ირონიით, მისი ეს აღიარებაც სიყალბე აღმოჩნდა. როგორ შეეძლო ამდენად გულუბრყვილო ყოფილიყო, ამდენად მიმნდობი და მიუხევედრელი — თვით მათი ცეკვა იყო უკვე დანაშაული!.. მაშინაც კი, როცა მუსიკა შეწყდა, ისინი ისევ არათუ უბრალოდ ჩახვეულ, არამედ ერთ მთლიან არსებად, სრულ სიჩუმეში ერთმანეთის ხელეების, მხრების და სახეების კოცნად შერწყმულ, თავდავინყებულ ორ სხეულად დარჩნენ... მინავლებულ სინათლეში თითქოს ფოსფორივით მანათობელი, არა მათი მჭვრეტელი, არამედ სადღაც მათ მიღმა მიმართული ბრეიგელის ბრმეებით შუშისებური პშიბიშვესკის მზერა კი მაინც უგრძობი და უმოძრაო რჩებოდა...



მხატვარი მალხაზ იაშვილი

თუმცა იმდენად ჭეშმარიტი და სამართლიანი იყო, რაც მას და ედვარდს შორის ხდებოდა, რომ პშიბიშვესკის ეჭვიანობისა და რისხვის მიუხედავად, დაგნი სხვანაირად მაინც ვერ მოიქცეოდა. მათ ერთმანეთი ბავშვობისდროინდელი იმ შორეული შეხვედრიდან უყვარდათ და დაგნიც მის ნახატებში, ალბათ მისთვისვე გაუაზრებლად, ბერლინამდე დიდი ხნით ადრე აისახა, ბევრად უფრო ადრე იქამდე, ვიდრე

მხოლოდ მისი პორტრეტების ხატვა დაიწყო, ვიდრე უკვე აღარც შეეძლო სხვა ქალი გამოესახა, ვიდრე ყოველი ქალის ხატებაში, რომელიც მისი ფუნჯით იქმნებოდა, ფართო, ყვრიმალეებიანი, მოკლე ცხვირითა და განივრად ჩასმული თვალებით დაგნის არასწორი ნაკვთები გამოკრთებოდა... ედვარდმა აიძულა იგი, საკუთარი სახე შეეყვარებინა! სახე, რომელიც იქამდე თვითონ იმდენად არ მოსწონდა, რომ ცრემლებამდეც კი მიდიოდა, ედვარდმა აიძულა საკუთარი თავი დაენახა და საკუთარი სილამაზისა ერწმუნა, სულიერი და ფიზიკური ერთიანობის ხატებად და ახალი პიგმალიონის სასწაულად სწორედ ედვარდმა ჩამოქანა!..

მაგრამ რამ გამოიწვია, რომ ბერლინში მათი შეხვედრისას, პირველი უშუალო სიხარულის შემდეგ, ედვარდმა თავი ასე შორს, ასე შებოჭილად დაიჭირა? საერთოდაც მოკრძალებულად თავშეკავებული და უსიტყვო იყო, თუმცა იქამდე, ვიდრე დათვრებოდა. მთვრალი კი მოულოდნელადც ფეთქებოდა და არც დებოშს და არც ველურ გამოხდომებს არ ერიდებოდა. მართალი იყო სტრინდბერგი, მთვრალი მუნკის სკანდალებს ედვარდის ავადმყოფური მორიდებულობის მეორე მხარედ რომ მიიჩნევდა. ღვინის ოხშიერის ზეგავლენით მისი სულის ფსკერზე ჩალექილ-ჩაპრესილი და ჩამწყვდეული ყველა განცდა ერთბაშად და ერთად იფრქვეოდა და თავისუფლდებოდა. საკმაოდ მალალი, ვინრო მხრებითა და მკერდით — ვერაფრით ათლექტურობით რომ ვერ დაიკვებნიდა, ნებისმიერს შეიძლებოდა მუშტებით სცემოდა და ამ უგუნურებითაც თავისებურად იყო მიმზიდველი. მაგრამ — აჰ, რა დროს ატარებდნენ! — ფხიზელსაც და მთვრალსაც ედვარდს მასთან თავი უცვლელად თავაზიანად, უტყვად, მოკრძალებით, სევდიანად და — ვერც ამ სიტყვას აუვლიდა გვერდს — თავშეკავებულად ეჭირა! თუმცა კი ხედავდა, რომ დაგნის უყვარდა და უყვარდა თვითონაც, დაგნი ამაში არ ცდებოდა... ამბობდნენ, ქალებისა ემინიაო... შესაძლებელია, თუმცა ეს შიში სრულებითაც არ უშლიდა ხელს უამრავი ქალის გული მოენადირებინა და თან ეს ნარმატებებიც არაფრად ჩაეგდო! ზღაპრულად ლამაზი გახლდათ... მისი დიდებული სახე და ამაყად მოღერებული თავი თითქოს ღმერთებს გამოეკანდაკებინათ. ცრუ შთაბეჭდილებას ქმნიდა მისი მკაცრი, ნებისყოფიანი ნიკაპი და მოღურჯო-ზურმუხტისფერი თვალები; ამ თვალებიდან ნამოსული ყინულივით გამჭოლი სიცივე და ძალა მისი დამყოლი და სუსტი სულის არცერთ კუნჭულს არ ესადაგებოდა. ...მაგრამ ვითომ მართლა ასეთი სუსტი და დამყოლი იყო? განა ძალად არ ამოხეთქავდა ხოლმე მისი უცნაური და ჯიუტი ხასიათი, განა ძალა არ სჭირდებოდა ურყევად წინ აღდგომოდა მისი, როგორც მხატვრის, ლანძღვას, მისი შემოქმედების ვერშეცნობას, სხვათა ზეგავლენებს, მეგობრული რჩევების გულუხვობასა თუ იოლი გზის ცდუნებას? იმხანად ულვამს ჯერ კიდევ არ ატარებდა და ნორჩი და რბილი ტუჩები ნაზად და გულუბრყვილოდ მოტიტვებოდა. დაგნის მუდმივად მისი კოცნა უნდებოდა და ისინიც ამბორში ჩაეხვეოდნენ ხოლმე ერთმანეთს, მაგრამ ამის იქით საქმე არ მიდიოდა. როგორც ჩანს, გონებაში მყარად ჩაბეჭდოდა გოეთეს სიტყვები, — ბავშვები ამბორით არ ჩნდებიანო... „ჩვენს ოჯახში მხოლოდ ავადმყოფობა და სიკვდილია. ჩვენ ასეთები ვიბადებთ“, — ამოიხრება ხოლმე. დედისა და უფროსი დის

სოფიას ნაადრევი სიკვდილი გულში სამუდამო ტკივილად ჩარჩენოდა. სოფიაზე დარდი მის „ავადმყოფ ბავშვში“ გადმოიღვარა. ახალგაზრდობაშივე მოხვეჭილი სახელი ედვარდისთვის უბედური სოფიას დამლუპველმა კოხის ჩხირებმა განაპირობა; ამ ტილოს სულშიჩამწვდომმა სისათუთემ ედვარდის მონინაალმდეგენიც კი ვერ დატოვა გულგრილი. „დაქორწინება ჩვენთვის ნებადაურთველია: არც ჩემთვის, არც ძმისა და არც ჩემი დისთვის, — იმეორებდა ხოლმე ხშირად. — მამისგან მემკვიდრეობით სუსტი ნერვები, დედისგან კი — სუსტი ფილტვები გვერგო“. საყვარელი, უმნიკვლო, გულუბრყვილო ედვარდი, მიაჩნდა, რომ თუკი ვნებას მიეცემოდნენ, აუცილებლად უნდა დაქორწინებულიყო კიდევც.

— და...?! — გაუბედავად დაიწყო პეტერბურგელმა ბატონმა და დაგნის დაწყვეტილმა ქალურობამ მაშინვე სწორი გაგრძელება მოძებნა:

— სტრინდბერგი?... საკმაოდ დიდხანს არ გვემორდებოდა, შეიძლება ითქვას, ლამის მოსვენებას არ გვაძლევდა. მერე კი საქვეყნოდ შემაჩვენა! იგი იმ საშინელ ადამიანებს მიეკუთვნება, რომლებიც ჯერ ფხვქვემ ეგებიან ქალებს, მერე კი ლაფში სვრიან. უგანათლებულესი, უბრძენესი და ულამაზესი ასპასია ერთბაშად ჯოჯოხეთის მოციქულად გამომაცხადა... და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უარი ვუთხარი და პშიბიშვესკის გაყვევი ცოლად. რაც იყო, იყო, სტრინდბერგზე ხინჯიც კი არ მაქვს გულში ჩარჩენილი, ისედაც საკმარისად დაისაჯა თავისი ღვარძლიანი ხასიათის გამო...

ბოლოს და ბოლოს აღსარებაზე ხომ არ არის?! რატომ უყვება ყველაფერს ამ შემთხვევით გადაყრილ, მოუსვენარ და უღიმღამო ადამიანს? უბადრუკი, მსოფლიო წრიალის უსახური ანარეკლი! მან კი საიდუმლოს კარიბჭემდე მიუშვა... როგორც ჩანს, გულახდობლად შემოუტია — ზედმეტად შემორჩა აქ, ბაიარდაც არ უნდა დაეტოვებინა მართო. მითუმეტეს, არსის არმცოდნისთვის ნახევრადსიმართლევ სიმართლეა. სტრინდბერგის ანგარიშები მისადმი კი ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საფუძვლიანი იყო. დაგნი სტრინდბერგს და ცოტა მოგვიანებით პშიბიშვესკისაც ედვარდმა გააცნო. მაგრამ თუმცა პშიბიშვესკის გაცნობა საკმაოდ მალე მოხდა, თავიდანვე ძძიმე და ქუში აღმაფრენით მასზე ერთიანად შეყვარებულმა სტრინდბერგმა იმ დროისთვის უკვე ხელის თხოვნაც მოასწრო — ცოლს ამ ამბამდე ცოტა ხნით ადრე გამოუდა — და, რა თქმა უნდა, უარის მიღებაც. თუმცა არა მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონ ედვარდი უყვარდა, არამედ — შიშს ჰგვრიდა ეს უსხივო, ელინურ სულს მოკლებული პერიკლე, გაუთავებლად რომ ბორგავდა, კვენსოდა და ბრდღვინვით „ასპასია!.. ასპასიას!..“ აბოდებდა. ის ქურთუკის ჯიბით პისტოლეტს დაატარებდა და ერთხელ დაემუქრა კიდევც მათ! არა, მას არა, უმწეო ედვარდს... ედვარდმა მისი საოცარი პორტრეტი დახატა, სადაც თავის ქალის გადამეტებული სიდიდე სტრინდბერგის უფერულად ჩვეულებრივი ნაკვთების სიმცირეს კიდევ უფრო მეტად ამცრობდა და აკინებდა. მოგვიანებით ედვარდმა პორტრეტის ლითოგრაფიული ვარიანტიც შექმნა, მაგრამ ჩვეულებისამებრ არა ზუსტი, არამედ შეასწორა და სტრინდბერგის სახეს შუბლისა და თავის სიმძიმე მოხსნა, რამაც პორტრეტს კეთილსახიერება კი შესძინა, თუმცაღა მრისხანე მრავლისმეტყველება მოაქლო. მაგრამ მაინც არა თავისი პორტრეტის დამახინჯება-დაკინებამ

ააფეთქა სტრინდბერგი, ამისთვის ზედმეტად ჭკვიანი გახლდათ, არამედ მხატვრის უცნაურმა თვალის ახელამ, რაც თითქოს ქალის ფიგურის მოხაზულობის, მოლიველივე ტალღოვანი ხაზებით პორტრეტის ფონად გამოყენებაში გამოიხატებოდა. სტრინდბერგმა ეს ედვარდის თავხედურ, მისი სულის ისეთ სიღრმეში შეღწევის მცდელობად მიიჩნია, სადაც არავის უშვებდა, პორტრეტზე მუშაობის ბოლო სეანსზე ჯიბიდან შეყენებული პისტოლეტი ამოიღო და კბილებში ყრუდ გამოსცრა: „ზედმეტი თვითნებობის გარეშე, თორემ!“ ასე, მისკენ მიშვერილი პისტოლეტის ლულის ქვეშ დაასრულა ედვარდმა ტილო. მამაკაცთა შორის ამ საშინო თამაშში რაღაც იმდენად სანაყალობელი და შესაბრალისი იგრძნობოდა, რომ დაგნის გულმა ვერ გაუძლო. რა თქმა უნდა, თავისი ეს კეთილგანწყობილი სწრაფვა მალევე ინანა, რადგან გულისხმიერების უესტი სტრინდბერგმა მასზე უფლებების მოპოვებად მიიჩნია. ალბათ ამიტომაც აჩქარდა და პშიბიშვესკის გაჰყვა ცოლად, ერთდროულად რბილსა და ფეთქებადს, ნახსა და გესლიანს, მუდამ აღფრთოვანებულს, აალებულს, და რაც მთავარია — საოცრად კეთილს. მისი ავადმყოფობის შესახებ მაშინ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა, მაგრამ რომც სცოდნოდა, გადაწყვეტილებას მაინც არ შეიცვლიდა. ანკი ვინ იყო გარშემოყოფთაგან სავსებით ნორმალური?.. ამ ქორწინებამ მის ბედისწერას ჩაფრენილი სტრინდბერგის საშინელი მარწმუნებისგან იხსნა. ამასთან, კიდევ ერთი კვანძიც შეიძლება გახსნილიყო, თუმცა ცინიზმის თუნდაც ფიქრად გავლებაც კი არ სურდა და თავსაც დიდად არ უტყდებოდა, მაგრამ იმის უფლება ხომ მაინც ჰქონდა, გულის სიღრმეში დაიმედებულყო, რომ გათხოვილ ქალთან ედვარდი ისეთი წინდახედულად ორჭოფული აღარ იქნებოდა. მათ წრეში ხომ ცოლქმრული ერთგულება დიდად არ ფასობდა და მაღალწენობრივი ოჯახური ღირებულებანიც მხოლოდ დაცინვის საგანს წარმოადგენდა.

ოჰ, ეს დაუმთხვევლობის სასტიკი კანონი! იგი ისევე მიძიმედ დაავადდა ედვარდით, როგორც სტრინდბერგი მისით. ედვარდი კი... რა თქმა უნდა, არც ის იყო მისადმი გულგრილი, სხვანაირად რითი აიხსნებოდა მისი ხატების ასე აკვიტება? დაგნი მისთვის ის მოზარდი გოგონაც იყო, ლოკინში გარინებული სიმწიფის დადგომას რომ აუძრწოლებია, მსხვერპლის კეფიდან სისხლის მწოველი ვამპირიც, დაგლეჯილი მამაკაცის ცხედარზე დახრილი ფართოსანი, ბრჭყალებმომარჯვებული ჰარპია, ფეხშიშველა, თხელ პერანგში, ფანჯარასთან მდგარი უმანკო მშვენიერი ქალიშვილიც, და თმაგამლილი და მოშიშვლებულმკერდიანი იმედგადასურული ეული სულიც, გრძნობებისგან მხოლოდ ფერფლი რომ დარჩენია. ქალის ამოცნობის მტანჯველი სურვილით ანთებული თითქოს მის სულში ეძებდა პასუხებს. ედვარდს შეეძლო ტილოზე გამოსახულისა და მისი ნაკეთების მსგავსებაში სულაც არ გამოეხატა ან გულუბრყვილო და ბოროტი დამახინჯებით უცნობადობის ბურუსში გაეხვია ეს ძიება, მაგრამ მის ცოდვიან, უმნიკვლო, ბინიერ, პოეტურ, მწარე თუ ნეტარ ყველა ხილვაში უცილობლად მაინც მხოლოდ დაგნი არსებობდა. ...და კვლავ ისმოდა მუსიკა ბერლინის ძველი სამიკიტნოს ლამისეულ დაცარიელებულ საცეკვაო დარბაზში, და თითქმის უმოძრაო ვალსი, და ბინდბუნდში მათ კოცნას მიჯაჭვული პშიბიშვესკის მოკიანე, არაფრისმჭვრეტელი მზერა. და როდესაც ყოვლისდამ-

თმენი მორჩილება ცოტაც და დახშულ ქვითინად ამოხეთქავდა მკერდიდან, ედვარდმა ის სახელოსნოში მიიწვია.

უბადრუკ, გაცრეცილი იატაკითა და კედლებგამიშველებულ, ძველმანი ავეჯით განწყობილ სტუდიაში გამოიღო მაგიდაზე შამპანურის ბოთლის ყელი ოქროსფრად ბზინავდა. ედვარდი, რომელიც სხვა დროს უსაშველო მოუნესრიგებლობის გამო ხარისხიან, მოდურ ტანსაცმელში ჩაცმულიც კი ელევანტურობის შთაბეჭდილების მოხდენას ვერაფრით ახერხებდა, ამჯერად უნაკლოდ გამოიყურებოდა: ღია ფერის ფლანელის კოსტიუმსა და გახამებულ პერანგში გამოწყობილს პეპელა-ჰალსტუხი ამშვენებდა. შამპანურის ბოთლიდან საცობი ხმაურით ამოვარდა. „თქვენ გაგიმარჯოთ!“ — თქვა და თვალები დაებინდა. დაგნიმ ბოკალი ერთბაშად გამოცალა. ედვარდმა ისევ შეუესო. „ჩვენ გაგვიმარჯოს!“ — დაასწრო უკვე დაგნიმ.

როდესაც ბოთლი დაიცალა, ედვარდმა იგი პატარა სააბაზანო ოთახში შეაცილა, რომელსაც მთელ კედელზე ფანჯარა ჰქონდა გაჭრილი. „გაიხადეთ, გთხოვთ!“ — უცნაური, გულშიჩამწვდომი ხმით წარმოთქვა და გავიდა. რაკი წინასწარ გადაწყვიტა არაფერი გაჰკვირვებოდა, დაგნიმ ტანსაცმელი მორჩილად გაიხადა. ის კი შემოვიდა და მისი შიშველი სხეული დაკვირვებით შეათვალიერა.

— მხოლოდ ჩანახატს გავაკეთებ ნახშირით.

დაგნიმ არაფერი უპასუხა და თვალები დახუჭა. სიბნელეში მარტო ნეკნებს მიღმა გულის გამალებული ბაგაბუჯი და მუყაოზე ნახშირის ხრატყუნი ისმოდა.

— კრანახის ქალები ძალიან მომწონს, — თქვა ედვარდმა, — მაგრამ შენ მათზე მშვენიერი ხარ... ახლა ფერს დავადებ.

...დაგნი მალე იღლებოდა და შიშობდა, დალილობას სხეულის მოხაზულობა არ შეეცვალა. საინტერესოა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს დაუგეგმავი სეანსი? ცხადი იყო, სურვილი ამ წარმოუდგენლად უცნაური ადამიანისათვის მისივე ხელოვნებიდან იზადებოდა, მხოლოდ უნდა მოეთმინა... მოულოდნელად მისი ხმა გაისმა:

— გმადლობ! ოჰ, დიდი მადლობა, დაგნი, რომ მოხვედი და ასეთი მომთმენი იყავი. ამას არ დაგვიწყებ... — და ავადმყოფის გასინჯვის დასრულების შემდეგ ექიმის საქმიანი ტონით დაამატა: შეგიძლია ჩაიცვა.

დაგნი იმდენად შეაცბუნა წარმოუდგენელმა პაემანმა, რომ სტრინდბერგის ვედრებაც კი შეისმინა. აუცილებელი იყო თავი კვლავ ქალად ეგრძნო. რატომღაც სწორედ მაშინ დასჭირდა პშიბიშვესკისაც ქმარი-დოყლაპიას კლასიკური როლის მორგება. ჯერ არცთუ ისე დამაჯერებლად ცხვირწინ პისტოლეტი უტრიალა, შემდეგ კი ედვარდს გაუგზავნა გამოწვევა. ეს ყველაფერი სისულელე იყო და სრულებითაც არ სიამოვნებდა, მის გამო ასეთი ამბავი რომ ატყდა, მითუმეტეს — თითიდან გამოწოვილი მიზეზით. ...ეს მერე, როცა უკვე ყველაფერი უკან დარჩა და მოვლენებს სქელი ბურუსი გადაეფარა, ლევენდის შესაფერისი შტრიხებით დაასრულა და გააფორმა დუელის სურათი, მაშინ კი საშინელი დალილობის გარდა არც არაფერი იცოდა და ვერც ვერაფერს გრძნობდა... მხოლოდ ათი წლით დაბერდა თითქოს ერთბაშად.

რა თქმა უნდა, მათგან, ამ ადამიანებისგან ბევრი რამ ისწავლა, მათთან შეხვედრამდე, მიუხედავად ოცდაოთხი წლის ასაკში უკვე მრავალ ქარტეხილგამოვლილი ცხოვრე-

ბისა, სრულიად გამოუცდელი იყო. მათ გვერდზე კი დაბრ-
ძენდა ვითარცა გველი, და ადამიანის სულგრძელობისა თუ
სიმდაბლის იმდენი უკიდურესი გამოვლინება იხილა ერ-
თად, რომ მის თანატოლ ნორვეგიელ გოგონებს არც დაე-
სიზმრებოდათ. მას სტრინდბერგის აკლდამის ქვასავით ყი-
ნულივით ცივი ვნებათაღელვაც დაეფერთხა და მუნქისე-
ბურ კოშმართა მწველი ტკივილიც, სული და გონება პშიბი-
შევსკის პათეტიკამ და ლოცვისებურმა ექსტაზმა დაუმძი-
მა და დაუძაბა, მსოფლმხედველობაში კი მეტერლინიკისა
და ჰოფმანსტალის სამყაროები და ვედეკინდის ეროტიკუ-
ლი ფოიერვერკი, ბერძნული დახვეწილი და ფელიცინ
როპსის შხამიანი სიმბოლოები შემოეჭრა... მაგრამ ზოგი-
ერთი ამოცანა არა მხოლოდ პასუხგაუცემელი დარჩა, არა-
მედ კიდევ უფრო გაუვალ ლაბირინთად ექცა, ამ ყოველი-
ვეს გადაჭარბება უცნაურ სულიერ გაღატაკებად მოუბ-
რუნდა და მისი შემოქმედების ნაკადული დააშრო. თანაც
ედვარდმა მისი — როგორც ქალის — თვითრწმენა შეარ-
ყია... და განცვიფრებულმა აღმოაჩინა, რომ სწორედ მათ-
გან, ამა ქვეყნის მდიდართაგან განიძარცვა. მათ ყველაფე-
რი, რასაც შეეხნენ, გრიმების მოჯადოებული ხარბის
მსგავსად, ოქროდ გადაექცათ. ისინი მაშინაც კი სარგე-
ბელს ნახულობდნენ, როცა მოტყუებულნი რჩებოდნენ, არ
უყვარდათ, ამცირებდნენ, ტანჯვას აყენებდნენ თუ აწვა-
ლებდნენ. მთელი იმ ერთდროულად წყეული და დალოცვი-
ლი ბერლინური თავანყვეტილი ცხოვრების დროსაც კი
არაფერი დაუკარგავთ... ლოთობდნენ, უხამსად იქცოდ-
ნენ, ყირაზე გადადიოდნენ, სიყვარულითა და ეჭვით იტან-
ჯებოდნენ, შედეგად კი არათუ არ იხარჯებოდნენ, მდიდრ-
დებოდნენ კიდევ! ედვარდი მისთვის აქამდე უცნობ გრა-
ფიკული გამოსახვის ხერხს დაეუფლა და მაშინვე მეფედ
იქცა, სტრინდბერგის უსაზღვრო ნიჭიერება ახალი ნახნა-
გებით აკიაფდა, ყველასთვის უცნობი პშიბიშევსკი ლიტე-
რატურულ ოლიმპზე აღმოჩნდა... ის კი, მათი მუზა, მათ აღ-
მაფრენათა, გაცისკროვნებათა და ტანჯვათა წყარო, მათი
გახელებული ჟინისა და სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლე-
ბის მიზეზი, თუკი რამ გააჩნდა, ყველაფრისგან განიძარც-
ვა და გაღატაკდა! რა თქმა უნდა, გამოცდილება შეიძინა,
მაგრამ გამოცდილება მწერლის სიმდიდრეა, უბრალო ქა-
ლისთვის კი, როგორადაც დაგნი იქცა, სხვა არაფერია,
გარდა განცდილ სიმწარეს დამატებული კიდევ ერთი წვე-
თი შხამისა...

— არა, პშიბიშევსკი ჯერაც მარტოა, — მიუგო უსიტყ-
ვოდ დასმულ კითხვას. — თუმცა ჩემი ინფორმაცია შეიძ-
ლება მოძველებულიც იყოს.

ასე მიმდინარეობდა მათი საუბარი, უფრო ზუსტად კი
მონოლოგი — პეტერბურგელი ჟურნალისტისთვის თითქ-
მის შეუმჩნეველი, დაგნისთვის კი — გონებაში ამოტივტი-
ვებული, ცნობიერების დამთრგუნველი მისი ცხოვრებასა-
ვით მძიმედ და მნიშვნელოვანი პაუზებით გაჯერებულ-შენყ-
ვეტილი.

უცებ თანამოსაუბრეს ცნობისმოყვარედ ანთებულ
თვალეში გამკრთალ კითხვას ვერ მიუხვდა. და რადგან პა-
სუხი საკუთარ თავში ვერ იპოვა, შეცბუნებულმა მზერა გა-
დაიტანა და ვერშემჩნევითა და არწარდგენით მრისხანე
გულისწყრომით ერთიანად დაძაბული ბაიარდი დაინახა.
ღმერთო, რა გულისგამანვრილებელია!.. რა ჰქვია?.. კი
მაგრამ, გარღვეულ ჯიბეში ჩაგდებული ხურდა ფულივით

რატომ ეკარგება გაუთავებლად მისი სახელი! კარგი, არა
უშავს, ამ პეტერბურგელს რაღა ჰქვია? თითქოს თქვა კი-
დეც... როგორ შეიძლება ასეთი დაბნეული და უყურადღე-
ბო იყო ადამიანი!

— ძვირფასო, გაიცანი, — მიმართა ბაიარდს „შენო-
ბით“, გამოკვეთილად ოდნავ ჩახლეჩილი, უშუალო ხმითა
და ტონით, რომ ეტიკეტის დარღვევა ვითომდა სიყმანვი-
ლის დღეთა მეგობრის გამოჩენით გახალისებულ „შინაუ-
რულ“ მანერად წარმოეჩინა. — ჩემი ძველი, ბერლინისდ-
როინდელი ახლობელი, პეტერბურგელი, ცნობილი ჟურნა-
ლისტი და, რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ადამიანი.

ის, ვინც მას არც კი ახსოვდა — თითქოს ჰიპნოზს აყო-
ლილი — გახარებული სახით წამოხტა.

— ძალიან სასიამოვნოა!.. კარპოვი... ნიკოლაი მიხაი-
ლოვიჩი...

— ეს კი ჩემი ბაიარდია, — წარმოთქვა დაგნიმ ხმაში გა-
რეული, იმ წუთას სრულიად აღუქმელი, სინაზით. — ჩემი
ერთადერთი და განუმეორებელი... ჩემი თეთრი რაინდი!..

კარპოვმა დააპირა თეთრი რაინდისათვის ჩამოსართმე-
ვად ხელი შეეჩერებინა, მაგრამ რაინდის ცივმა სალამმა გა-
დააფიქრებინა, სულელურ თავის კანტურს მოჰყვა და წა-
სასვლელად გამზადებული აწრიალდა.

— ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ, — ბუტბუტებდა და
უკან-უკან იხევდა. — მოხარული ვარ, რომ პატივი დამ-
დეთ... ძალიან, ძალიან მოხარული...

— ვინ იყო ეს ბატონი, ან ასე რა უხაროდა? — გახვე-
ებული ხმით იკითხა ბაიარდმა და მორყეულ სკამზე ცივად
ჩამოჯდა.

დაგნის მსგავსი ტონი აღიზიანებდა, მაგრამ ახლა გუ-
ლისგამანვრილებელი თანამგზავრის მადლობელიც კი
იყო. მოეწონა, ასე მტკიცედ და დაუნდობლად რომ განდე-
ვნი გაიძვერა დაუპატიჟებელი სტუმარი. საკუთარ თავზე კი
უკვე ბრაზობდა სულელური გულახდილობის გამო, თანაც
ამ საუბარმა ძალიან ღრმად ჩამარხული მოგონებანი ამოუ-
ტივტივა. ცუდია, რომ ბაიარდი უფრო ადრე არ მობრუნდა.
მაინც რა ბედნიერებაა, რომ მის გვერდით ეს უბრალო და
საიმედო ადამიანი არსებობს. ჰო, ვლადისლავი, აი რა
ჰქვია! გვარი კი რატომღაც გერმანული აქვს — ეშენბახი,
არა ეშენ... ოჰ, ეშენსაც ნაუღია მისი გვარი, რა მნიშვნე-
ლობა აქვს! მთავარი ადამიანია. რა არის სახელი — არაფე-
რი, ცარიელი ბგერები... ადამიანია მთავარი! ძლიერი. პირ-
დაპირი. ყოველგვარი უაზრო გადაპრანჭვების გარეშე...
მინიერებას მიჯაჭვულები, აიმრიზებოდა ხოლმე პშიბიშე-
სკი ზედმეტად მინიერ ადამიანებზე ლაპარაკისას... რა სი-
სულელეა! მით უკეთესი, თუ მყარად დგას მიწაზე და დაჭა-
ობებულ მისტიკურ-სიმბოლურ ნისლში არ ლივილივებს.

— ვლადისლავ, — დაიწყო მან და სახელი თავისთვის
გულში, ავანსად, იმ დროისთვის გაიმეორა, როცა ისევ და-
ავინყდებოდა: — ოჰ, ჩემო ძვირფასო ვლადისლავ!.. არა,
ასე მომართვა არ მინდა, — დაამატა წინდახედულად. — ეს
სხევისთვის, ჩემთვის კი თქვენ ბაიარდი ხართ... უშიშარი
და ღირსეული რაინდი! რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის
ამ ადამიანს, გარდასულ დღეთა არაფრისმთქმელ აჩრ-
დილს?

— მე მისი ვინაობა გკითხეთ, ან იქნებ პასუხის გაცემა
არ გინდათ?

— საიდან უნდა ვიცოდე? ნილაბი. იქსი. უსახური უცნო-

ბი. იქნებ მითხრათ, რომ მთელი ის ნაყარ-ნუყარი უნდა მახსოვდეს, „შავ ტახში“ ჩვენს ირგვლივ რომ ირეოდა?

ჯერ ისევ ლაპარაკობდა და უკვე საკუთარ შეცდომაზე ბრაზობდა. ყველაფერი კარგი, მაგრამ ეს „ჩვენს ირგვლივ“ რალა საჭირო იყო, ფრაზა დაუზუსტებლადაც უკვე თავის-თავად მრავლისმეტყველად ჟღერდა. ბაიარდმაც, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ თითზე დაიხვია:

— რა ამპარტავნულია!.. „ჩვენს ირგვლივ“!.. საკუთარი თავი, რა თქმა უნდა, სამყაროს ცენტრად მიგაჩნდათ, არა?

— ღვინო დალიეთ, ბაიარდ...

— და თუკი ეს ადამიანი ამდენად არაფერს წარმოადგენდა, მაგიდასთან რალატომ მოიპატიჟეთ?

— ღირს კი ამ უაზრობაზე ყურადღების გამახვილება?

— მშვენივრად გესმით, რომ ეს უაზრობა არ არის. მზად ხართ ყველასთან გაითქვიფოთ, ვინც იმ თქვენს სიბილნის ბუდეში ტრიალებდა... — ბაიარდი მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და გაჩუმდა.

დაგნი თვითონაც ბევრ რამეს გააკრიტიკებდა საკუთარი წარსულიდან, მაგრამ არ უყვარდა, როცა ამას სხვები აკეთებდნენ, განსაკუთრებით ბაიარდი. ერჩინა მისი დიდსულოვნება ერწმუნა. არც ისე დიდი იყო მის ღირსებათა ჩამონათვალი, რომ მათ რიცხვს ერთ-ერთი, და იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანიც კი, მოჰკლებოდა. კარგია, რომ გაჩუმდა, ესე იგი მიხვდა... უცებ გაახსენდა, რომ ბაიარდი ოდესღაც პშიბიშვესკის გარემოცვაში გარეყვას ცდილობდა. დაგნისთან შეხვედრამდე იგი მარადიული სტუდენტი გახლდათ. რთული დასაჯერებელია, მაგრამ რაც იყო, იყო... ეს საკმაოდ ხშირი მოვლენაა, როცა ადამიანი საკუთარ არსს ვერ აღიქვამს და სხვისი, შემთხვევით მორგებული ცხოვრებით ცხოვრობს. რალაც მოვლენა, ელდა, ავადმყოფობა, მოულოდნელი შეხვედრა, ერთი სიტყვით, ძლიერი რყევაა საჭირო, რომ საკუთარი მე აღმოაჩინოს და თავს დაუბრუნდეს. ვლადისლავს კი თვითგამორკვევა არც ექარებოდა, საკმაოდ მდიდარს, თავისუფლად შეეძლო ცხოვრების დინება ნებაზე მიეშვა. დაგნისთან შეხვედრით კი ძილქუშიდან გამოერკვა და თითქოს სული შთაებერა. მაშინვე პშიბიშვესკიც შეიძულა და მთელი მისი წრეც. მოკლე დროში მოყალივ სტუდენტი არა იმდენად შინაგანად, რამდენადაც გარეგნულად, სრულიად შეიცვალა; საკუთარი თავისა და მიზნის შემცნობი სულის დარად, ხორციით შეივსო და მომავრდა... ახალგაზრდობაში არაბუნებრივად ჩარჩენილმა ერთბაშად მყარ სიმნიფეში შეაბიჯა და, როდესაც დაგნი პშიბიშვესკის დაშორდა, მხსნელის როლიც ადვილად მოირგო... აჰ, ჩემი სქელტყავა მხსნელი!..

— ძვირფასო. — დაგნი ხელით მის ხელს შეეხო, — დაილაღეთ? შორს იყავით? ეტლი რატომ არ აიყვანეთ?.. რა სიცხება!..

— ხომ იცით, რომ სიარულიც მიყვარს და არც სიცხისა მეშინია. — ხმა მოუღბა ბაიარდს. — ყველაფერი ვიღონე, რაც საჭირო იყო, ფული გადავცვალე, ცდილობდნენ კურსით ეთაღლითათ, მაგრამ ჩემთან ასეთი ფოკუსები არ გაუვიდათ. ხვალ ჯვარის დასათვალთვლებლად მივდივართ, გამყოლს უკვე მოველაპარაკე.

— რა-ა?!

— ჯვარი, — გაამაყებულმა, რომ ასე თავისუფლად გამოთქვამდა სიტყვას, რომელზეც ენას მოიტეხდი, თამამად გაიმეორა. — მონასტრის ნანგრევებია. მერე კი სვეტიცხოველსაც ვნახავთ.

— ოჰ, ღმერთო! — დაგნი უმწეოდ გაიხედა აქეთ-იქით. — რა თქვით?

— სვეტიცხოველი... უძველესი ტაძარია, — განუმარტა ბაიარდმა.

დაგნი მიხვდა, რომ ბაიარდმა ეს სახელწოდებანი ტურისტულ გზამკვლევში ამოიკითხა. მას არაჩვეულებრივი მექანიკური მახსოვრობა ჰქონდა, ხუთ-ექვს ენაზე თავისუფლად ლაპარაკობდა და ათასი სისულელე ახსოვდა, მაგრამ მდგომარეობა აღფრთოვანების გამოხატვას მოითხოვდა.

— საოცრება ხართ!.. — სიტყვები არაფრით არ ემორჩილებოდა და გრძნობათა ამოფრქვევის ყველაზე იოლი გზა იპოვა: მიყვარხართ, — დასძინა და თავი ძლივს შეიკავა, რათა არ ატირებულყო ამ ქვეყნად მისთვის ყველაზე ძვირფას, ნამში ფასდაკარგულ სიტყვაზე...

ღამე ალერსში გაატარეს. ბაიარდი გათენებამდე ცოტა ხნით ადრე წავიდა, სიმხნევისა და ენერჯის მოსაკრებად თუნდაც ოთხი საათი მაინც სჭირდებოდა ძილი. დაგნისთვის კი სულერთი იყო, რამდენხანს ეძინებოდა. გამოღვიძება მაინც კომშარად უნდა ქცეოდა, მხნედ თავს მაინც ვერასდროს გრძნობდა. რამდენიმე ჭიქა ღვინო და პაპიროსი თავის დამორჩილების საშუალებასლა აძლევდა... ფარდის სიფრიფანა ქსოვილს მიღმა ფანჯარაში მკრთალი შუქი აღწევდა. ფარდები გადანია. უფერულ, ცარიელ ცაზე ჯერაც მზის სხივმუხები, ფერმკრთალ ოქროსფერზე ოდნავ შევარდისფრებული ახალი მთვარე ეკიდა... გაახსენდა, რომ ედვარდი ახალ მთვარეს მთვარედ ვერ აღიქვამდა. „სად დაიკარგა მთვარე?“ — მწუხარედ იკითხა მან ერთ-ერთ ჩახუთულ, ბერლინურ ღამეს, როდესაც „შავი ტახიდან“ ბრუნდებოდნენ ფეხარეულნი და ფლატუნით ძლივს მიაბიჯდნენ ტროტუარზე. — „მთვარეს ვერ ვხედავ... ცაზე მხოლოდ ეს დანყველილი ნამგალი კიღია და ყელის გამოჭრას მიპირებს!“ — „გონს მოეგე ედვარდ, — მის ჭკუაზე მოყვანას შეეცადა პშიბიშვესკი. — ეს მთვარე არ არის?“ — „რა მთვარე? სად არის მთვარე? ბავშვიც კი გეტყვის, მთვარე მრგვალიაო! ვილაცამ მთვარე მოიპარა!“ — დაიყვირა მაშინ სასონარკვეთილმა მუნკმა და მოულოდნელად აქვიტინდა... სრულიად უვიცმაც კი იცის, რომ მთვარე არამართლო მრგვალია, არამედ წვრილ ნამგლად იბადება და ნამგალადვე იღვავა. მუნკმა კი არ იცოდა, მაგრამ იმითმაც არის მუნკი, რომ მიწიერ ბრძენთათვის დაფარულს ხედავს, იმაზე კი, რაც ყველასთვის ცნობილია, წარმოდგენაც არა აქვს... და დაგნი ატირდა... მას ბავშვობიდან არ უტირია, ტირილი საერთოდ არ შეეძლო. ტირილით მორღვეული მიმიკაც კი ტკივილს აყენებდა, ცრემლები უსიამოვნოდ ეგლისებოდა სახეზე და ცხვირიდან სისველე ჩამოსდიოდა... პატარა გოგოსავით სლუქუნებდა და თავი ეზიზღებოდა, მაგრამ ვერ ჩერდებოდა...

ღლით კი ბრინჯაოსფრად მზემოკიდებულ, ხმელ-ხმელ მეგზურთან ერთად ექსკურსიაზე გაეშურნენ. მას დაგნის პირივით ვინრო, ინტელიგენტური სახე ჰქონდა, თუმცა კი ჭუჭყისფრად თეთრ ტილოს კოსტიუმსა და, დროდადრო ფეხიდან რომ ძვრებოდა, გაცვეთილ ფლოსტებში გამოწყობილი, მანანალასავით გამოიყურებოდა. თავი თავისუფლად ეჭირა, ზედმეტად თამამდაც კი, დაგნის დაუფარავი აღფრთოვანებით ათვალთვლებდა, ბაიარდის მრის-

ხანედ შექმნილ წარბებს კი ყურადღებასაც არ აქცევდა. ბოლოს, როგორც ჩანს, ბაიარდი მიხვდა, რომ მთების ამაყ შვილს ვერაფერს შეაგნებინებდა და ხელი ჩაიქნია. ის გერმანულად შესანიშნავად ლაპარაკობდა, თუმცა პროფესიონალი მეგზური კი ნამდვილად არ იყო — ზედმეტად თავდაუზოგავად იხარჯებოდა გარემოსა და ღირსშესანიშნაობათა მშვენიერების ქებაში. ასეთი ენთუზიაზმით ნამდვილი გიდი დიდი ხნის წინათ დაიღლებოდა და გაჩუმდებოდა, ეს კი გაუჩერებლად ლაპარაკობდა, დროდადრო ირემივით თხელ-თხელი, თითქოს მფრინავი ნაბიჯით რომელიღაც ღრმა ნაპრაღის პირამდე აირბენდა, ზემოდან რაღაცას ჩააჩერდებოდა და გრძელ-გრძელი ნახტომებით ისევ ქვევით ჩამორბოდა... გატაცებით უყვარდა ეს ხვატიანი და ქვალორღიანი მთები და სურდა სხვებისთვისაც შეეყვარებინა.

მიუხედავად ადრეული დილისა, ივნისის მზე უმოწყალოდ იკბინებოდა, ბილიკსაც კი მხურვალეა ასდიოდა. სივრცეში გამოკიდებული ხვატი ლივლივებდა; ჯერ ისევ უფერული, ფერმუხსხამი ცა, თითქოს სიმხურვალისგან შიგნით რაღაც სკდებაო, დროგამოშვებით თეთრ, თვალის-მომჭრელ ნერტილებად ელავდა. კლდოვან ნაპრაღში ნაც-რისფერ მტრედს მზის სხივით ლითონივით ალაპლაპებულ ი ცალი ფრთა გაეშალა და ნისკარტით მკერდის ბუმბულს იქექავდა.

ვიდრე დაგნი და ბაიარდი გაჭირვებით გორაზე ადიოდნენ, ავთანდილმა, ასე ერქვა მეგზურს, მთის ნევრზე ორჯერ არბენა მოასწრო. საოცრად ალგზნებული, გამოთქმით ლექსებს კითხულობდა რუსულად — დაგნის მახვილმა სმენამ ლექსის ენერგია, მუსიკალურობა და ორი ნაცნობი სიტყვა: „არაგვი“ და „მტკვარი“ დაიჭირა, — მღეროდა, ხელებს იქნევდა და მთელი ძალით ცდილობდა თავისი ალფრთოვანება ცივი უცხოელებისთვისაც გადაედო. დაგნი უღიმოდა, მაგრამ რა ექნა, თუ მისი სული მხოლოდ თანამედროვეობასა და ქალაქს ეხმანებოდა? რა თქმა უნდა იქაურობა მართლაც ლამაზი იყო. სადღაც ქვემოთ ერთმანეთს ორი მდინარე ერთვოდა, ოქროსფრად ბზინავდა ქვიშიანი თავთხელი, ჰაერში თითქოს უმოძრაოდ გამოკიდებული, უზარმაზარი ფრინველი ჰკრავდა ირაოს, მაგრამ პარიზის წყალსადინარი მილები, სან-მიშელის ბულვარის გისოსები, ფოთოლცვენა კარლიოჰანის ქუჩაზე და თვითმკვლელთა ვინრო და ამღვრეული მდინარე შპრეც კი მისთვის მეტის მთქმელი იყო.

და მაინც, როდესაც მწვერვალიდან გადმოიხედეს და თვალწინ ცისფერ ლენტად დაკლაკნილი არაგვი და მოყვითალო მტკვარი, მათა მოიხფრო-ვარდისფერ იდუმალეობაში მიმავალი სამხედრო გზა, მცხეთის ბანიანი სახლების სახურავები და თეთრად მოქათქათე სვეტიცხოველი გადაეშალათ, გულგრილობის საფარველი დაიმსხვრა — ალფრთოვანებისგან დაგნი თითქოს მიწას მოწყდა. ბაიარდისკენ ბედნიერებით გაბრწყინებული სახე მიაბრუნა, მაგრამ ბაიარდს მისი სიხარულის გაზიარება არ შეეძლო — მეგზურის კარნახით უბის წიგნაკში რაღაცას ინერდა. მთელი გზა რაღაცას გაუთავებლად ინიშნავდა, მაგრამ დაგნის არ აჩვენებდა, თუმცა მას დიდად არც აინტერესებდა, არადა ღირდა ჩახედვა — ამდენს რას წერდა. მაგრამ ახლა მისი პედანტურობის ირონიით აღქმა არ სურდა, პირიქით, ბაიარდის პროგნოზირებადი ნატურა, და თუნდაც ნანგრევებისა და პეიზაჟისადმი გამოხატული მისი მოვალეობრივი დამოკიდებულება მოსწონდა.

მეგზური ჯვარის, მის აღმშენებელთა და საქართველოში პირველი ქრისტიანების შესახებ ყვებოდა, ბაიარდი კი თხრობას მოკლე-მოკლე კითხვებით აწყვეტინებდა — „რომელ საუკუნეში?“ „რომელ წელს?“ „უშუალოდ ვინ?“...

მერე გრილ, მსუბუქად ლპობამეპარული სუნით გაჯერებულ მონასტრის სიღრმეში შევიდნენ და ვინრო და მალაღი სარკმლებიდან შემოჭრილი მზის სხივებით თითქოს და-ნით დასერილი სენაკები დაათვალიერეს; დაგნი უშედეგოდ ცდილობდა ახალი რწმენისთვის ხორციელის ვენებით აქნამებულეზე ფიქრით აეჩუყებინა გული, გონება კი ამ ფიქრს არ ნებდებოდა — ერთთა ჯიოთი თავგანწირვით მეორენი ბედნიერებას ვერ ჰპოვებენ... ბაიარდისა შურდა, ისეთი სერიოზულობით, ჩაფიქრებით და კრიტიკული ყურადღებით რომ ათვალიერებდა მონასტრს, თითქოს ყიდვას აპირებდა. მისი ძლიერი ქალურობა ბაიარდის გვერდით, როგორც წესი, უფერულდებოდა, მაგრამ ახლა მის ყოველ სიტყვას, მოძრაობას თუ შესტს ხალისით ეხმანებოდა, თავისი მუდმივობითა და უცვლელობით თვით მისი ნაკლოვანებებიც კი იზიდავდა. ის სხვა იყო, განსხვავებული იმათგან, ვინც ადრე ესოდენ გიჟურ ფერხულში ტრიალებდა მის ირგვლივ, მაგრამ სწორედ ამავით იყო ხსნა. და ამიტომ, როგორც უნდა იყოს, ძველ კედლებს პატრონის შემფასებლური ხელით მოსინჯავს, მეგზურს უაზრო კითხვებს დაუსვამს თუ დაწვრილებით ყველაფერს უბის წიგნაკში ჩაიწერს — იგი მისი იმედია, მისი მომავალი...

მერე კი ისევ — სიძველის სუნით გაჟღენთილი ღია ეტლი, თბილი ნიავი, მტკვარზე გადასვლისას სახეში შემობერილი დალოცვილი სიგრილე, მცხეთის ვინრო ქუჩების ქვაფენილის სიმრუდე, ბაღების მსუყე სიმწვანის მძიმე მოთენთილობა — არადა ზაფხული ახალი დამდგარია! — საქართველი ძველი დედაქალაქისა და მისი ტაძრის მაქებარი მეგზურის სულმოუთქმელი ლაპარაკი, და მზეში ჩაფლული, გასაოცრად მსუბუქად აზიდული ბუმბერაზი სვეტიცხოველი... მეგზურმა მათ თავისი მყივან-მხიარული ხმით ამცნო, რომ ტაძარში იესო ქრისტეს საოცარ ხატს იხილავდნენ, რომელიც მასთან მიახლოებისას თვალს ახელს.

— ეს რას ნიშნავს? — მკაცრად იკითხა ყოველგვარი მისტიკისგან შორს მდგარმა ბაიარდმა.

— თქვენ თვითონ ნახავთ, — გაეცინა ავთანდილს.

მაგრამ ბაიარდი ამ პასუხმა ვერ დააკმაყოფილა და მეგზური იძულებული გახდა აეხსნა. ოდესღაც, დრო-ჟამით მივიწყებულ ქტიტორს ტაძრისთვის უცნობი იტალიელი მხატვრის ქმნილება შეუწირავს. თუმცა კი ტილო დიდი ოსტატობით არის შესრულებული, არავითარი მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა, გარდა ერთისა: როდესაც ხატს შორიდან უყურებ, გეჩვენება, თითქოს მაცხოვარს თვალეი დახუჭული აქვს, მაგრამ საკმარისია მიუახლოვდე და ქრისტე თავის უძირ, ლურჯ, ხშირი ნაწმამებით შემოჯარულ დახუჭულ თვალეებს ფართოდ ახელს.

— რა სისულელეა! — მხრები აიჩქინა ბაიარდმა.

დაგნის ერთი სული ჰქონდა, იესო ქრისტეს საოცარი ხატი ენახა. მაგრამ მეგზურმა დაასწრო. ეტლი ბოლომდე გაჩერებულიც არ იყო, ძირს ჩახტა და თითქოს თავის წიაღში მიმხმობი ტაძრის ნახევრადჩაბნელებული თაღებისაკენ გაიქცა. დაგნი, რომელსაც ბაიარდიც დაავიწყდა, საკუთარი ასაკიც და ეტიკეტის ყველა წესიც, პატარა, თავქარიანი გოგოსავით გაეკიდა უკან.

სვეტებს შორის მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული, გვიანი იტალიური მხატვრობისთვის დამახასიათებელი მანერით შესრულებული ქრისტეს გამოსახულება ეკიდა. ყმანვილი — რბილი, ნაბლისფერი წვერითა და მთვლემარე მოცისფრო ქუთუთოებით. დაგნიმ ხატისკენ ნაბიჯი გადადგა თუ არა, მაცხოვარი გახელილი, მუქ-ლურჯ თვალთა ნაღვლიან-ჩაფიქრებული მზერით შეეგება.

— რა საოცრებაა! — აღმოხდა კეთილი ნიშნით გულაჩუყებულ დაგნის.

— ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება ნახო! — თქვა მეგზურმა და მდაბიური მანერით ენა გააწკლაპუნა.

მიახლოებულმა ბაიარდმა დაგნის მკაცრად გადახედა, ავთანდილს კი უკმაყოფილოდ; პიჯაკი სამხედროსავით გაისწორა და ხატისკენ ნაბიჯი გადადგა. სახეზე ნაკვთები დაეძაბა. ოდნავ უკან დაიხია, მერე ისევ წინ წავიდა და აგდებული მოძრაობით ქრისტეს ზურგი აქცია.

— სისულელეა, თვალს არ ახელს!

დაგნი შეცბუნდა. იქნებ იგი მართალია და უძლურად სხვის ნებას დაყოლილმა ისევ მისმა ქალღუბობამ წარმოისახა ესეც?! მეგზური კი?... თუმცა ჩამოსულთათვის გონების არევა ხომ მისი მოვალეობაა.

ტაძარში რუსების ოჯახი შემოვიდა: მსუქანი, უღალთმიანი, ჭორფლის სიყვითლემდე მზემოკიდებული ქალი, მოზრდილი გოგონა, ზურგისა და კიდურების გაძვალტყავებული დახვეწილობით მწევარს რომ წააგავდა, და ქათქათა თეთრი კანიანი, ხუთიოდე წლის, სერიოზული და შეშინებული ბიჭი. ოჯახი მათ გვერდით გაჩერდა. ბიჭმა დედას რაღაც ჰკითხა, ხელი გაიშვირა და ქრისტეს ხატზე მიუთითა.

— ბიძას ძინავს? — გულაჩვილებულმა ჩურჩულით გადაუთარგმნა ავთანდილმა დაგნის ბიჭის ნათქვამი.

დედამ ბიჭს წინ რბილად უბიძგა, მხრებში ხელი მოჰკიდა და ქრისტესთან ახლოს მიიყვანა. დაგნის სუთქვა შეეკრა, ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ახლა წყდებოდა მისი ბედი. ბიჭს სახე მტანჯველი გაოგნებით მოექცა, მერე კი სიცილი დაიწყო, ტაძარში შემოკრა და აყვირა. დედამ წარბი შეიჭმუხნა და შვილს ტუჩებზე ხელი ააფარა. დაგნის ავთანდილის დახმარება აღარ სჭირდებოდა, ცხადი იყო — ქრისტემ ბიჭს შეხედა. სიმსუბუქე და მწუხარება გულში ერთდროულად ჩაედგარა, მიბრუნდა და ტაძრიდან გავიდა.

— სხვისი გავლენის ქვეშ არ ვექცევი, — მზეზე თვალმოჭუტულმა, თვითკმაყოფილი ტონით გამოაცხადა ბაიარდმა.

— საცოდავი ადამიანი, — ჩუმად ჩაილაპარაკა დაგნიმ, — სანყალი, საცოდავი ადამიანი!

„ოღონდ ტირილი არ გაბედო! — უბრძანა თავის თავს გულში, — არ გაბედო!“

ეტლს უახლოვდებოდნენ, როცა საიდანლაც მის გვერდით ამოსვეტილმა ავთანდილმა შიგ ყურში ჩასაჩურჩულა:

— იესო ბატონის მზერას ვერ იტანს!..

გამყოლის თავხედურმა მიხვედრილობამ ადგილზე გააშეშა. ღირსი იყო ვინმეს მისთვის ჭკუა ესწავლებინა, რომ სხვის საქმეში ცხვირი არ ჩაეყო. ფულს აშკარად სხვა რამეში უხდიან და არა ამისთვის. მაგრამ აღშფოთებაზე მეტად ბაიარდის მიმართ წამში გაცოცხლებული სიბრაღული იგრძნო. სანყალი, მართლაც საცოდავი, თუკი ჭუჭყიან ძონძებში ჩაცმული მეგზურიც კი მის დაცინვას ბედავს... და დაგნიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს შხამნარევი ჩურჩული

ვერ გაიგო. რა თქმა უნდა, ბაიარდი თავს დამარცხებულად სულაც არ მიიჩნევს, პირიქით, გარშემომყოფნი მიაჩნია საცოდავ ფანტაზიორებად. საცოდავი სულელი, თავისი განონასწორებული გონების სიფხიზლით ამაცობს. და მოუნდა ბაიარდი აემალეებინა, რომ უაზრო შემთხვევა დაევიწყებინა, რათა მისი თავმდაბალი ერთფეროვნების უპირატეობა ერწმუნა ისევ, მაგრამ რადგანაც ვერ მოიფიქრა, ეს როგორ მოემოქმედებინა, ყველაზე უბრალო ხერხს მიმართა — მის წინაშე სხვათა დამდაბლება სცადა.

— იცი, — დაიწყო მან და უფერულ ცაზე თითქოს გზადაკარგულ ახალ მთვარეზე მიუთითა. — ედვარდს... მუნკს, — გამოასწორა მაშინვე შეცდომამ, — სჯეროდა, რომ ოდესღაც ცაზე ორი მთვარე არსებობდა, მაგრამ ერთი ჩამოვარდა და დღემდე ჩრდილოეთ პოლუსზე აგდია სადღაც.

მუნკის სხენებაზე თავიდან წარბმეყრილმა ბაიარდმა, ტუჩები კმაყოფილებით გამობურცა.

— ის რა, სრული იდიოტია?

— სტრინდბერგმა უთხრა ასე... ყველაფრის სჯეროდა, რასაც სტრინდბერგი ეუბნებოდა.

— იდიოტია!.. და სტრინდბერგიც მასთან ერთად. ამას მოფიქრება არ უნდა?! ვერაფრე იტყვი, ჭკვიანი მეგობრები გყოლია... სულ უფრო და უფრო მაკვირვებ — თურმე მთვარე ჩრდილოეთ პოლუსზე ჩამოვარდნილა!

რატომაც არა? შენ საიდან იცი, რომ არ ჩამოვარდა? დიახ, ჩამოვარდა და ყინულში ჩაიკარგა, მარტოსული, გაყინული, დაკარგულ ცაზე და იმ ცაში დარჩენილ მეორე მთვარეზე მოტირალი...

— მარტო შენ რატომ არ შემოგხედა იესომ? — წარმოთქვა მან უკვე ხმამაღლა. — რატომ მაინცა და მაინც შენ?

— რაზე ლაპარაკობ? — მუნკის უსაშველო სისულელის გამო ჯერ ისევ კმაყოფილების გრძნობით ატანილი ვერ მიხვდა ბაიარდი.

— უბედურება ის კი არ არის, რომ იესომ შენთვის არ გაახილა თვალები, არამედ შენი ურწმუნობა, რომ სხვებისთვის ახელს. ხომ არ გჯერა, რომ ახელს? — ჰკითხა სასონარკვეთილმა.

— ნესიერად მოიქეცი, — წაისისინა ბაიარდმა და მეგზურს გახედა.

სასტუმრომდე ხმა არც ერთს არ ამოუღია. დაგნიმ დრო იხელთა, ვიდრე ბაიარდი მეეტლესა და მეგზურს გასამრჯელოს უხდიდა, ზევით სწრაფად ავიდა და ნომერში ჩაიკეტა. ტყუილად გაისარჯა — მას არ დაუკაკუნებია.

შეეცადა დაეძინა, მაგრამ უშედეგოდ, ადგა, ქაშანურის თასზე დახრილმა სახეზე წყალი შეისხა და ქვევით ჩავიდა. ისევ იმ მაგიდას მიუჯდა და შებოლილი ხორცი და ერთი ბოთლი წინანდალი მოითხოვა.

საკამარისი იყო მწარე, პილპილით უხვად შეზავებულ ხორცის ნაჭერზე ერთი ყლოში ცივი ღვინო დაეყოლებინა, რომ გვერდით პეტერბურგელი ცნობისმოყვარე შენიშნა, რომელიც ჩავლას ისე აპირებდა, თითქოს ვერც შეამჩნიაო.

— ეი, თქვენ!.. — დაუძახა დაგნიმ და კინალამ ღვინო გადასცდა. — თქვენ!.. აქ მოდით!

წამიერად მისკენ მიბრუნებულმა კარპოვმა გახარებული გაცოცხლება ოსტატურად გაითამაშა.

— დაჯექით! — ბრძანება გასცა მან. — დალიეთ! — მაღალი ჭიქიდან ხელსაწმენდები ამოყარა და პირთამდე ღვი-

ნით გაავსო. — ვიცი, ვიცი, თქვენი ღვიძლი, თირკმელები, ნაღვლის ბუშტი... ყველას აქვს ღვიძლიც, თირკმელებიც, ნაღვლის ბუშტიც და სხვა დანარჩენიც... თუმცა აი, გულთან დაკავშირებით კი ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ! არცა აქვს მნიშვნელობა, მიმიფურთხებია! მოდით შავი ტახის ღორების და დიადი ღორების მოსვრისა დავლიოთ!

საბრალო დაგნი იული სულ ახალგაზრდობიდან, იმ დროის ყველაზე დახვეწილი ლიტერატურულ-მხატვრული გარემოს ესთეტიკური წარმოდგენების გავლენით, სერიოზულად მიიჩნევდა, რომ ცხოვრების სცენაზე მხოლოდ გენიოსებს უნდა ეთამაშათ, ყველა დანარჩენისთვის კი ბრბოს როლი იყო განკუთვნილი. მას არაფრით სურდა, ვილაც კარპოვისთვის თუნდაც რაიმე მნიშვნელობა მიენიჭებინა.

კარპოვმა იჭვნეულად ჩაიცინა, ღვინო მოსვა, დააგემოვნა, კიდევ ერთი ყლუპი დალია, მერე დაგნის გაულიმა და ყოველგვარი კეკლუცობის გარეშე ჭიქა ერთი მოყუდებით დაცალა.

— ყორჩა! თქვენგან კიდევ შეიძლება ადამიანი დადგეს. მითხარით — კარპოვისკენ გადაიხარა დაგნი — თქვენ შემოგხედათ იესომ?

უცნობია, ნანახი ჰქონდა თუ არა კარპოვს იესო ქრისტეს ხატი სვეტიცხოველში, მაგრამ ის არა მხოლოდ პეტერბურგელი ჟურნალისტი, საეჭვო დედაქალაქელი ტიპი და ამა ქვეყნის დიდებულთა ნადიმზე მოხვედრილი მუქ-თამჭამელა გახლდათ, არამედ საკმაოდ საიდუმლოებით მოცული, მრავალნახნაგოვანი ბუნდოვანი სულის პატრონიც და ათასი სხვა რამით შემკული რუსიც. მას არც გაუკვირდა და არც უკან დაიხია; კითხვა, თუმცა შეიძლება სხვა კუთხით, მაგრამ ჯეროვნად მოისმინა და პასუხად მალაღფარდოვნად გამოაცხადა:

— იესო თვალთა თვისთა ხილვისა და ედემის ნეტარებით დატკობის ღვთიურ მონყალეხას მხოლოდ მორჩილთა და სულით თვინიერთა მიმართ იღებს. — და რაღაც საზარლად დაამატა: უბადრუკია, ვისაც არ ეწყალობა უფლის თვალთა ხილვის უფლებსა.

ნუთუ მიხვდა?... წარმოუდგენელია! არა, ამ ჩუმჩუმელაში მაინც რუსის ეშმაკია ჩამალული. ტყუილად არ მიიღებდნენ „შავი ტახის“ გარეგანიცაში. მასთან ერთად ნამდვილად მშვენიერი საღამოს გატარება შეიძლება!.. გონს უნდა მოსულიყო და მთელი იმ ტაძრების, მონასტრების, ხეობების, ქაფიანი ჩანჩქერების, მოძღვრებების, მალაღფარდოვან ბანალურობათა და ბრტყელ-ბრტყელი სენტენციების მტვერი ჩამოეფერთხა და ძალა მოეკრიბა. ოღონდ კი ხელი არავინ შეგვიშალოს!..

მაგრამ შეუშალეს და საკმაოდ მალეც. ისინი მეორე ბოთლ ღვინოს ცლიდნენ, როცა ბაიარდი რისხვისგან განაცრისფრებული სახით მათ მაგიდასთან აღიმართა და დაგნის — კარპოვთან მიუსალმებლად — მიახალა:

— თუ შეიძლება გამომეყვიოთ!..

ჯეროვნად უნდა აღინიშნოს კარპოვის საქციელი: მან მყისიერად ჩაიხშო თავაზიანობის გამოხატვის მისთვის ბუნებრივი მოთხოვნილება და, თუმც კი სახის ნაკვეთი მოსულის მოგერიების მზადყოფნით დაეძაბა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ბაიარდს უბრალოდ ვერ ამჩნევდა. ნუთუ ისევ პისტოლეტებზე მიდგება საქმე? რა

დამლელია ეს ყველაფერი! და მხოლოდ ამ მამლაყინური ბრძოლებისადმი ზიზღის გამო ის ადგა, კარპოვს თავი დაუკრა და ბაიარდს უკან გაჰყვია...

მთელი მოგზაურობის განმავლობაში ეს ყველაზე მძიმე ლაპარაკი იყო... მას შეეძლო სმენა დაეხშო და პირველი რამდენიმე წუთი შეურაცხყოფილი თავმოყვარისა და მესაკუთრის აღშფოთებული რისხვა მის გონებამდე უბრალოდ ვერ აღწევდა... თუმცა ცოტა ხანში სიტყვათა შეუჩერებელი ნაკადი ცნობიერებას მისწვდა...

— თქვენ მე მამცირებთ. ხან მეგზურებს ეკეკლუცებით, ხან ოფიციალებს და ხანაც ვილაც ვიგინდარებს!..

ბრალდების უპასუხოდ დატოვება აღარ შეიძლებოდა:

— ეს თქვენ ეჭვიანობთ ვილაც ვიგინდარებზე? თქვენ, თქვენნაირი ამაყი ადამიანი?..

— თქვენი ირონია უადგილოა. დიახ, ამაყი ვარ, მაგრამ თავმოყვარეობაც მაქვს ბოლოს და ბოლოს! თუმცა, რა თქმა უნდა, თქვენთვის, ვინც მთელი სიცოცხლე ბოჰემის... — ნათქვამი ან ზედმეტად რბილ, ან ზედმეტად პოეტურ შეფასებად ჩათვალა, როგორადაც ის მართლაც იქცა კიდევ პუჩინის ოსტატობის წყალობით და სასწრაფოდ სხვა სიტყვა მოიფიქრა, — ...უფრო სწორედ, ნაძირლების გარემოცვაში ტრიალებდით, ეს არაფერს ნიშნავს!

„საბრალო ნაძირლები...“ — გაიფიქრა მან ანაზღად მონოლილი სინაზის გრძნობით. — თქვენ არც სიმთვრალესა და სკანდალებში, არც ჩხუბებსა თუ უგუნურობებში ტრივიალურობამდე არ დადიოდით. თქვენი სიტყვა ფასს არასდროს კარგავდა, თქვენი დაცემაც, დაცემა კი არა, აღმაფრენა იყო.

— იმ, როგორც თქვენ თქვით, ნაძირლებს მთელი მსოფლიო იცნობს... — ხმაში უსაზღვრო დაღლილობით წარმოთქვა დაგნი.

— მე კი არავინ მიცნობს, არა?! — აიტაცა ბაიარდმა. — ისინი მსახიობები არიან, ცოცხალი გენიოსები, მე კი „მინიერებას მიჯაჭვული, მი-ნი-ერი!“ ასე უწოდებს, არა, თქვენი ყოფილი დეგენერატი ქმარი ნორმალურ ადამიანებს?!

— თქვენ საიდან იცით? — გულწრფელად გაოცდა დაგნი. — ნუთუ ეს თქვენი თანდასწრებითაც თქვა?

— ერთი გაებედა! თქვენ მითხარით ჩვენი გაცნობის დღეს, როდესაც შამპანურმა თქვენი ისედაც სუსტი გონება საბოლოოდ გააბრუა.

— ყველაფერთან ერთად ღვარძლიანიც ყოფილხართ!

— არა, უბრალოდ კარგი მასხოვრობა მაქვს. თქვენი ქმრებისა და საყვარლების სკანდალური ქედმაღლობა კი ყველა დახვეწილ ადამიანში ინვევს ზიზღს!

— თუნდაც ასე იყოს, მაგრამ რატომ ქმრები, მე, სხვათა შორის, მხოლოდ ერთხელ ვიყავი გათხოვილი; ან საყვარლები რა შუაშია, რა შეიძლება საერთოდ თქვენ მათზე იცოდეთ?!

— საკმარისი იმისთვის, რომ მეზიზღებოდეს მთელი ეს უწმინდურობა! — გაცოფებისგან კანკალებდა ბაიარდი. — თქვენ მათი შექმნილი ხართ... ლუდისა და იაფფასიანი პაპიროსის სუნით სადგურის აყროლებული ბუფეტით თავით ფეხამდე მათი საზიზღარი სულით გაუღენთილი!

ოჰო!.. ხატოვან მხატვრობაშიც გადავარდა! უბადრუკში, იქვე ცხვირწინ შეგრძნებულში, მაგრამ მაინც... ასეთ გახვევებულ სულში მხოლოდ ძლიერ, გულწრფელ

გრძნობას შეუძლია ნაპერწკლად დაკვესება. და მას ეს ექვიანი, თავმოყვარე, შეზღუდული, მაგრამ მისი ერთგული ადამიანი შეეცოდა.

— ეს სისასტიკე და უსამართლობა... კარგად იცით, რა ტანჯვაც გამოვიარე, და თქვენ რომ არა...

ძველმა ხერხმა კიდევ ერთხელ გაჭრა. მან რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა და სახიდან სინითლე გაუქრა.

— მე თქვენ მიყვარხართ, სიყვარული კი სამართლიანი არც არის!

„ღმერთო ჩემო! — ისევ გაოცდა დაგნი. — როგორც ჩანს, გონება გაუნათდა! ეს უკვე ნამდვილი განზოგადებაა მისი მხრივ, ადრე მხოლოდ ფაქტის დადგენა შეეძლო. როგორც ჩანს, სიყვარული და ტანჯვა ზრდის და ეს არაჩვეულებრივი იქნებოდა, ჩემი სიმშვიდის ხარჯზე რომ არ ხდებოდა. მაგრამ მაშინ რაღაში მჭირდება?“

— თქვენი სიყვარული სამართლიანი უნდა იყოს, — თქვა მან სერიოზული ტონით, მაგრამ რბილად. — ბრმა გრძნობებით ეიფორიული გახლება სხვების ხვედრია, თქვენ ხომ ასეთი არ ხართ, თქვენში ხომ რაინდის სულია?! მე თქვენი მჯერა! მე ხომ თქვენს მეტი არავინ მყავს...

— სამწუხაროდ, წარსული გაქვთ, — თქვა მან ყინულივით ცივი ხმით, მაშინვე ოთახიდან გავიდა და კარი გაიჯახუნა.

თუმცა ეს არა მისი, არამედ ორპირის ბრალი იყო. ღია ფანჯრიდან მობერილი ქარით, წამით თეთრი ფარდა ფეხმძიმე ქალის მუცელივით გამოიბერა. დაგნის ისღა აკლდა, კარის ჯახუნი ბაიარდსაც დაენყო, — მისთვის ბავშვობიდან საზიზღარი, აუტანელი ჟესტი გაემეორებინა, რომლითაც სუსტი და მუდმივად გალიზიანებული მამა ამთავრებდა დედასთან ყველა ჩხუბს. რაღაც სიმბოლური ისმობდა ბოროტ და უიმედო ლაპარაკზე წერტილად დასმულ ამ ვულგარულ ხმაურში. მაგრამ რას ნიშნავდა მისი ბოლო ფრაზა, ანდა ტონი, რომლითაც ეს ფრაზა წარმოთქვა? ბოლო სიტყვის თქმის სურვილს? ან იქნებ შიშს, რომ ძალიან მალე დაყარა ფარ-ხმალი? თუ მასში მომნიშვნეულ რაღაც გადანწყვეტილებას?

დაგნის თავი ასტივდა — მას შემდეგ პირველად, რაც ბერლინის ლამეებს ჰაერში გახსნილი შამპანურის ბათქაბუთქში ათენებდა... ეს ცქრილა ღვინო დილაობით თავის ტკივილად რომ არ იქცეს, მაშინვე რამე უნდა დალიო; ედვარდი ამბობდა: დილით იმისთვის ვსვამთ, რომ გამოვფხიზლდეთ, დარჩენილი დღის განმავლობაში კი იმიტომ, რომ დავთვრეთო. ნეტა როგორ ვუძლებდი ასეთ ცხოვრებას?!

ტკივილის გასაყურებლად საძილე აბი მიიღო და საღამომდე ყოველგვარი ფიქრები, მოგონებანი, სინანული და შიშები თავიდან მოიშორა. უკვე შებინდებულზე გაეღვიძა, ესმოდა, როგორ აკაკუნებდა ბაიარდი უხმაუროდ, მაგრამ დაჟინებით, და ხმა არ გასცა. კარი ჩაკეტილი არ იყო და სახელურის ჩამოწევივით ამის შემოწმებას არაფერი უნდოდა... რა თქმა უნდა, მან სახელური არ ჩამოწია, რადგან უნებართვოდ მაინც არ მისცემდა თავს შემოსვლის უფლებას. ჩვეული დელიკატურობა დაუბრუნდა, გამოჯანმრთელდა და ისევ მის თეთრ რაინდად იქცა; თუმცა, სამწუხაროდ, უკვე ყოველგვარი უშიშრობისა და ღირსების გარეშე... ერთმანეთის მიმართ გამოთქმულმა ბოროტმა საყვედურებმა მათ შორის შიში დათესა. დაგნიმ თვითონაც არ იცოდა, რატომ

არ გამოეხმაურა მის თვინიერ თხოვნას... ძალიან შიოდა, თანაც მობეზრდა კიდევ მთელ დღეს სიცხით ჩახუთულ ნომერში წოლა. ფრთხილად, გამომშრალი იატაკის ფიცრები რომ არ აეჭრაჭუნებინა ფანჯარასთან მივიდა და სხეულზე ოდნავ შეგრილებული ჰაერის შეხება იგრძნო. ჯერ კარგად არ აგრილებულიყო, მაგრამ სიო მალე ველური ყურძნის შენამული ფოთლებიდან, ჭადრებიდან და ალვის ხეებიდან მობერავდა სიგრილედ. კარგი იქნებოდა ახლა ცივი წყალი გადაევლო, ტილოს თხელი კოსტიუმი ჩაცევა და დუქანში ჩასულიყო, სადაც უმარილო კვერები და მომწავო ღვინო, შამფურზე წამოცმული ბატკნის ხორცი, სურნელოვანი მწვანილი, ცხარე სანებელი და თუნგიტო მაგარი ყავა დახვდებოდა, მაგრამ სჯობს სურვილს სძლიოს და, მადლისამძვრელი საცდურების მაგივრად, ყოველგვარი შიმშილისა და წყურვილის დამავინყებელი კიდევ ერთი აბი, საძილე საშუალება მიიღოს.

ასეც მოიქცა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ძილი დიდხანს არ მიეკარებოდა. ცოტა ხნის წინანდელი მძიმე გაურკვევლობის გარკვევის მცდელობამ იმაზე მეტად ააფორიაქა, ვიდრე ელოდა. ლაპარაკში რაღაც ახალი — გააფთრება — გაისმა, ბაიარდის ხასიათმა პირი უცნობი სისასტიკით იბრუნა, მათი ნაკინკლავებების ჩვეული ტრადიციის დარღვევით მისმა ნასვლამაც საგონებელში ჩააგდო, მოსვენებას კიდევ რაღაც მტანჯველად უსიამოვნო არ აძლევდა, რასაც დაგნი სახელსაც ვერ უძებნიდა...

უსიამოვნო გრძნობები დაგნის სულში დიდხანს არ უჩერდებოდა. ბაიარდზე არ ბრაზობდა, ახლაც არა ბრაზი, არამედ გულისტკივილი და მომხდარში გარკვევის გადაუახავი, მტანჯველი სურვილი არ აძლევდა მოსვენებას. რაღაც ცრუ, მის არსთან შეუთავსებელი გამოვლინდა მასში. არაში სჭირდება იმათთან, დიადებსა და შეშლილებთან გატოლება? მისი მთავარი უპირატესობა ხომ უბრალოებასა და ჩვეულებრიობაშია და არაფერია ამ სიტყვაში დამამცირებელი. სწორედ ის არის სიცოცხლისუნარიანი, რაც უბრალოა და რაც ჭეშმარიტად სიცოცხლეს ემსახურება. ყველა ამოვარდნა ამ უბრალოებიდან კი, რაც უნდა თვალისმომჭრელი ნათებით ენთოს, სიმახინჯეა! განსაკუთრებულთა არსებობის ერთადერთი გამართლება ის არის, რომ თავისი არსებობით ისინი სწორედ ამ ჩვეულებრივთ უხალხებენ სიცოცხლეს. რაც უნდა პარადოქსი იყოს, ეს სწორედ ასეა... მათი არაჩვეულებრივი ხელოვნება უნდა შეიგრძნო, მაგრამ მათ ადამიანურ არსს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიუახლოვდე. ვინ ვინ, და მან კი იცის, რითი ნაზღაურდება ეს სიახლოვე... სული დაეღალა და არაფრის გაგონებაც არ სურს, თუნდაც ოდნავ მაინც რომ ახსენებდეს იმათ, ვინც ისედაც მთელი ძალით, უღმობელი ძალით ცდილობენ მეხსიერების სიღრმეებიდან ისევ სულში ამოძრომას... დღეს კი ბაიარდმა უხეშად, პირდაპირ, უნიჭოდ და კიდევ უარესი, მურით დაინყო პირველად მათზე ლაპარაკი. დაგნის ეგონა, რომ ის მათ არაფრად ავდებდა და ერთი მხრივ სძულდა ჩლუნგი ამპატავნობის გამო, მეორე მხრივ კი წარსულის მოჩვენებათა გამოხმობის ხელისშემშლელი მისი ამ თვისების მადლობელი იყო. ის კი, როგორც გაირკვა, წარსულთან ანგარიშებს ასწორებს და მისი ეჭვიანობაც იმავე წარსულისკენ არის მიმართული; მიზეზად ქცეული შემთხვევითი ადამიანები მხოლოდ საბაბია, რომ ეჭვით ანთებულს მუდმივად წარსულის აჩრდილებთან მიბრუნების

საშუალება ჰქონდეს. რატომ ართულებს ასე თავის სახე-ბას? მან ხომ განიერი მხრებით მშვიდობის სიჩუმე, ნათელი დღის შუქით განათებული სიკეთე და სინყნარე უნდა ზიდოს. გენიოსებთან მხოლოდ ასე მიახლოების შემდეგ იწყებ უბრალო ადამიანთა დაფასებას. ღმერთო, დაიფარე ავი სულების გავლენისგან!.. დემონიზმის ყოველგვარი გამოვლინება აუტანელია, მაგრამ გადმოვლებულ, ყალბ დემონიზმზე უარესი არაფერია.

როგორც იქნა ჩაეძინა...

დილას საუზმეზე ორივეს თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. გუშინდელ სცენას არცერთი არ ეხებოდა. იქნებ ეს შეცდომა იყო, მათ ხომ წინა დღეს მწარე, სასტიკი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს, თითქოს რაღაცაზე დადებული ტაბუ დაირღვა, რაღაც დასრულდა და რაღაც ახალი იწყებოდა... ნუთუ შესაძლებელია ადრინდელთან შედარებით უფრო დამძიმებული, მაგრამ ან დამშვიდებული სულით — უსიტყვოდ — ისევე ძველ კალაპოტში დაბრუნება? მაგრამ თუნდაც დამშვიდებული გონებით ურთიერთობათა გარჩევა იძლევა კი რამეს? მრისხანე ორთაბრძოლაში, გაცხარებისას ნათქვამი მხურვალე, უმართავი გრძნობით მართლდება, ცივ გულზე ისევ უკან მიბრუნება კი ბევრად უფრო საშიშია: აქ უკვე ყველა წვრილმანის დამამხსოვრებელი გონება მეფობს, ამიტომ შეიძლება მართლებიც იყვნენ, რომ ურთიერთობათა გარკვევასა და მონანიებაში, პატიებასა და სულგრძელობაში შეჯიბრების გამოცდილ თამაშს არ აჰყვნენ. ხომ ხდება ცხოვრებაში ისეც, რომ ნებისმიერ გზას მარცხთან მიყავხარ...

ბაიარდი ხაზგასმულად ყურადღებიანი და ძველმოდურად თავაზიანი იყო — ვიქტორიასული ეპოქის ჯენტლმენი, დაგნი კი ბრბოში დედის დაკარგვით შეცბუნებულ, ძველი ყაიდის მკაცრი ნორმებით აღზრდილ გოგონას თამაშობდა. ორივეს მეორის მიერ მორგებული როლი აკმაყოფილებდა. ორივემ საუზმის ბოლოსთვის დაავადების სიმპტომები სულის ისეთ სიღრმეში ჩამალა, რომ სრული გამოჯანმრთელება გულწრფელად დაიჯერა.

ისინი მორიგი ხეობის დასათვალიერებლად გაემართნენ. დაგნი თავს აიძულებდა ცისფერთვალაზე მაცდური მეგზურისთვის არ გაეღიმა, მისი ხელისა თუ მხრის დახმარება არ მიეღო მინაყრილზე გადასვლისას თუ ქვიდან ქვაზე გადახტომისას. დასახმარებლად უმწეოდ ბაიარდს ეძახდა და ისიც მაშინვე მასთან ჩნდებოდა. სიამოვნებდა, მის ძლიერ მხარს რომ ეყრდნობოდა. საიმედოობისა და დაცულობის შერყეული გრძნობა კვლავ მყარდებოდა და ძლიერდებოდა... ნდობა დაუბრუნდა და სული ისევ ნაზი და მსუბუქი გაუხდა. ვინ აჩუქა დამათრობელი უზრუნველობის ეს ნუთები ამდენწლიანი ტანჯვისა და დაუდგრომელი ქარიშხლების შემდეგ, თუ არა ბაიარდმა! საყვარელმა, ძვირფასმა ბაიარდმა!..

ხანდახან მის უცნაურ, გვერდულად გამოხედულ, დაეჭვებულ მზერას იჭერდა და უსიამოვნო შეგრძნება ეუფლებოდა, მაგრამ აფორიაქებას იშორებდა. შემთხვევით შთაბეჭდილებათა წვრილმანებში ნეხვის გროვაზე საკვების მადიბელი ბელურასავით ქექვა ნამდვილად არ ღირდა. ის ბელურა საზრდოდ მარცვალს მაინც პოულობს, ზედმეტად კირკიტა ანალიტიკოსს კი შეიძლება მხოლოდ ნეხვის გროვაში ქექვა შერჩეს და იმ ერთი მარცვლის გარეშეც აღმოჩნდეს. არა, არ შეიძლება ყოველი წვრილმანი სათვალავში

ჩააგდო და ყველა შეცდომა ცოდვას მიათვალა. ალბათ უბრალოდ დარწმუნება უნდა, რომ მან გუშინდელი ჩხუბი დაივიწყა, იქნებ მისი ასე სწრაფად აღდგენილი ნონასწორობისა და დიდსულოვნებისაც შურს... დაე მიყუროს, გაუკვირდეს და თუნდაც შეშურდეს კიდევ, ეს მხოლოდ ნაადგეობა. აუცილებელია სულის ნაგვისაგან გათავისუფლება შეგეძლოს ადამიანს... თვითონ ამის ძალა შესწევს, ბაიარდს კი ჯერ კიდევ სწავლა მოუწევს, შეძლოს.

დაგნის გულწრფელად სჯეროდა, რომ წინა დღის უარყოფითი ემოციების მტვერიც კი ჩამოიფერთხა, თუმცა კეთილგონიერების აქსიომით — მატერიალურ სამყაროში არაფერი ქრება... და რადგანაც ცნობილია, რომ სულიც მატერიალურის განუყოფელი ნაწილია, მაშასადამე ისიც იმავე კანონებს ექვემდებარება — სულის ცხოვრებაშიც არაფერი იკარგება, არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის!.. დაგნის თავისთვის გვერდიდან შეხედვა რომ შეძლებოდა, ალბათ საკუთარ ქცევაში, ამ ქცევათა ძლივს გასარჩევ შტრიხებში, დროადადრო კი მისი ბუნებრიობიდან მკვეთრ აცდენაში რაღაც ახალ ძალთა ზემოქმედებას აღმოაჩენდა...

იმ საღამოს კი გაბულულ და სხვადასხვა არომატებით გაჯერებულ დუქანში, სადაც რკინიგზელმა ინჟინრებმა მიიპატიჟეს (ერთ-ერთი ბაიარდის ნაცნობი აღმოჩნდა), კვლავ ყოფიერების სიხარულით აღვსილი და ყურადღების ცენტრში მყოფი ქალის ჩვეულ როლში აღმოჩენილი დაგნი, ისე, რომ თვითონაც ვერ ხვდებოდა, უკვე იმ ძველი დაგნისგან განსხვავდებოდა, რომლის სულიერი სხეულისთვისაც უკანასკნელი იარაღი არ მიეყენებინათ. მას გულწრფელად გაუკვირდებოდა, თუ მიხვდებოდა, რომ მისი თავისუფალი, თავდაჯერებული მანერები უფრო გამოწვევად აღიქმებოდა... თითქოს ვილაციისთვის რაღაცის დამტკიცება და თქმა სურდა: დიახ, სწორედაც ასეთი ვარ!..

დარწმუნებული, რომ ღვინო თითქმის არ ათრობდა და მხოლოდ თვალეში სხივსა და განათებულ ღიმილს უსვამდა ხაზს მის სახეზე, ბევრს სვამდა. წარმატება აღლევებდა, მამაკაცთა აღფრთოვანებულ მზერა, მათ შორის მეტოქეობის ატმოსფერო, შეგრძნება, რომ მის გარშემო მყოფთა იმედებისა და სურვილების სამყაროთა ცენტრად იქცა ისევ. დაგნი იმ დიდი ხნის წინათ დაეინყებულ აღმაფრენას განიცდიდა, შინაგანი შუქით განათებულ ღამაზმანად — კი, არა! — მუნკის ტილოების ქალად რომ გარდაქმნიდა ოდესღაც... იმათთვის, ვისაც ოდესმე მისი ასეთი აღმაფრენით გაცისკროვნება ეხილა, უკვე შეუძლებელი იყო ჩამქრალი, დაღლილი და გულგრილი დაგნის ხილვა!..

აჰ, რა მხიარულებას გრძნობდა დაგნი ბოთლებითა და დოქებით, ხორცისა და მწვანის მთებით დახვავებულ გრძელ, ხის გამოთლილ მაგიდასთან! დაე გაიგონოს ბაიარდმა მისი მართალი, მაგრამ თავისუფალი, მხოლოდ სიკეთის მორჩილი სულის სიმღერა! ბაიარდის კადნიერი საქციელის საპასუხოდ ენაწყლიანი სადღეგრძელობის სიცარიელეს, გულწრფელ აღფრთოვანებასა და ორაზროვან კომპლიმენტებს, მოკრძალებულ და ოდნავ თავხედურ არმპიყს, ალგზნებულ მზერასა და უბრალო გალანტურობისთვის ხელზე ზედმეტად დიდხანს შეჩერებულ ამბორს სიხარულით იღებდა. რა თქმა უნდა მამაკაცები უზადო საქციელით არ გამოირჩეოდნენ — მზაურიანნი, მოურიდებელნი — რასაც დაგნის გაურკვეველი ოჯახური მდგომარეობაც (რუსეთში ამას ანგარიშს უწევენ) და თავისუფალი ქვე-

ვაც, თვით ქეიფის ადგილიცა და მაგარი ჭაჭისა და წითელი ღვინის სიუხვეც უწყობდა ხელს. დაგნის ეს არ ანუხებდა, არც მისი ძველი მეგობრები გამოირჩეოდნენ სიმთვრალეში თავშეკავებული მანერებით, თუმცა ვულგარულობაში ისინი მაინც არასოდეს გადადიოდნენ. მაგრამ ხომ არ შეიძლება კავკასიელი ინჟინრებისგანაც მუნეისა და პშიბიშევესკის დახვეწილობა მოითხოვო... სამაგიეროდ, მათში თავისებური მოუხეშავი მხატვრულობა გამოსჭვიოდა. გულის ამაჩუყებელი იყო მათი მყისიერად და გულუბრყვილოდ აალებული სიყვარულიც. ისინი დაგნის იქ ყოფნით უფრო თვრებოდნენ, ვიდრე, როგორც ჩანს, მათთვის ჩვეული ღვინის სმით. ალბათ, მათგან ყველაზე უფროსს შეჭაღარავებული თავი მის მკერდთან ასე ახლოს და მდაბლად არ უნდა დაეკრა და არც შავი, მიბნედილი თვალი არ უნდა გაეპარებინა კორსაჟისკენ; არც მეორეს, ახალგაზრდასა და უნვერულვამოს, არ უნდა შეეჩრებინა მისთვის ასე მოუხერხებლად და ყველას შესამჩნევად ბარათი, რომელიც მან მაშინვე წაუკითხავად დახია. და, რა თქმა უნდა, სხვებსაც ალბათ უნდა დაეცხროთ ამო გზნება, მაგრამ ბაიარდის კუმტი წარბშეყრითა და საკუთარი მოუწყვლელობის სიხარულით თავდაცული დაგნი საჭიროდ არ მიიჩნევდა, მეშინაურად თავიდან მოეშორებინა აბეზარი თავყვანისმცემლები. წარუმატებლობისა და დამცირებისგან ლამის ტირილამდე მისულ ახალგაზრდა ინჟინერს გადაუჩურჩულა კიდეც:

— სხვა დროს უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინეთ, — რითაც ყმანვილის სული სასოწარკვეთილებისგან იხსნა.

საერთოდ, ყველაფერი ბევრად უფრო მშვიდობიანად დამთავრდა, ვიდრე ვნებათაღელვის ასეთი სიმძაფრიდან გამომდინარე შეიძებოდა დასრულებულიყო. ვილაც, სხვებზე უფრო ხმაურიანი, გაიყვანეს, ყველაზე უფრო მთვრალი გაიტანეს, ვილაც საცდურს თვითონ გაერიდა, სხვებისთვის კი თითქოს მყისიერად გამოფხიზლებულმა ჭაღარა ინჟინერმა განკარგულება გასცა:

— ყურადღება, ბატონებო! ამ ბოლო სასმისით უმშვენიერესი ქალბატონის სადღეგრძელო უნდა შევსვათ! ჩვენი წასვლის დროა!..

და აი, ის უკვე თავის ნომერში, სარკის წინ არცთუ ისე მოკლე, სქელ, ქერა თმას ივარცხნის. ახლა უკვე ხელოვნურად აღქმული განცდილი აღმაფრენის შემდეგ სულში რაღაც შფოთმა დაისადგურა, თანაც ბაიარდმა მხოლოდ კარებამდე მიაცილა, არ შემოვიდა და არც კი დაემშვიდობა ძილის წინ, უმალ თავის ნომერს მიაშურა. ნუთუ ისევ გუშინდელს გაიმეორებს? ღმერთო, რარიგ ჩახუთული ჰაერია! არა, შეუძლებელია! უბრალოდ ბევრი დალია. ზედმეტ სასმელს ვერ იტანს. ადრე მისი ნორმა ერთი ჭიქა შამპანური ან ყავას მიყოლებული სირჩა ლიქიორი იყო. თუმცა საქართველოში ჩამოსვლამ მისი სიფხიზლისმოყვარულობა შეარყია, ან ვინ შეიკავეს თავს აქაური ღვინისგან! დღეს ზედმეტი მოუვიდა, არადა სუსტი მარდის ბუშტი აქვს. გათავისუფლდება და დაბრუნდება. არსადაც არ წავა. წინა ღამეს მარტოს ეძინა, თუმცა ბაიარდი ზედმეტად გულმოდგინე საყვარელია, რომ სულელური წყენის გამო თავის უფლებებზე თქვას უარი...

იგი ნამდვილად მივიდა, დაუკაკუნებლად, რაც ადრე არასდროს გაუკეთებია, გაფითრებული, თმაწნული, გაღვლილ პერანგში, მარცხენა ხელი ზურგს უკან; დუელიან-

ტის სრული პორტრეტისთვის მხოლოდ პისტოლეტი აკლდა მარჯვენაში...

— რა გჭირთ?..

— ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! — იგი თავით ფეხებამდე ცახცახებდა. — თქვენ მე თავი მომჭერთ, ჩემი ღირსება ამოსვარეთ ლაფში!..

ოჰ, ღმერთო! რატომ ლაპარაკობს მეორეხარისხოვანი ბელეტრისტიკიდან ამოკრეფილი მზა ფრაზებით? ის ხომ პშიბიშევესკის წრეში ტრიალებდა, იაგელონის უნივერსიტეტში ესწრებოდა ლექციებს და ამდენი ხანი მის გვერდით გაატარა!.. მისი რისხვა ხელოვნური და მოჩვენებითი რომ ყოფილიყო, კიდეც არა უშავს, მაგრამ საშინელება ის არის, რომ გულწრფელია!

— მორჩით დეკლამირებას!.. და თანაც ასე უნიჭოდ!..

— აჰ, ასე?!

პისტოლეტი არა მარჯვენაში, არამედ მარცხენა, ზურგს უკან დამალულ ხელში ეჭირა; ქალის პატარა პისტოლეტი...

აქაც იგივე მეორდება! რაღაც დიდი ხანია ეს აღარ უნახავს. რატომ უყვართ კაცებს ასე ძალიან ცეცხლსასროლი იარაღი? ბავშვობიდან ასე არიან — პატარა ბიჭებით სათამაშო დამბაჩებით რომ ერთობიან. საინტერესოა, ყველა ლამაზ, თანამედროვე ქალს უხდება ასე ხშირად პისტოლეტის ლულის პირისპირ დგომა თუ მხოლოდ მას გაუმართლა ასე ძალიან?! ნუთუ არ ცხვენია ამ კომედიის გათამაშება? რაც საკუთარ ქმედებებზე ანგარიშმოუცემელ შემოიღებს ეპატიებათ, ის საღადმოაზროვნე ობივატელისთვის სრულიად დაუშვებელია!.. მათთან ყველაფერი სერიოზულად იყო, თვალები გაუბრბოდათ, ტუჩებზე ნერწყვი ჭაფავ ედებოდათ, სახეზე მკვდრის ფერი ედოთ და, მიუხედავად ამისა, არავის არანაირ ზიანს არ აყენებდნენ... ლეგენდებს თავი დავანებოთ!.. მათი ტყვიები ან ლულაში რჩებოდა, ან მიზანს მიღმა მიფრინავდა, ისევე, როგორც თვალის დახამხამებაში მტრადქცეული მეგობრის თავისკენ გასროლილი მძიმე ლარნაკები და მარმარილოს ნატყებები, და ისევე, როგორც მონინალმდეგის ან მოლალატე ქალის ყელთან გაეღვებული სასიკვდილო ფოლადი... საბრალო შემოიღებო!.. მათ არავის მოკვლა არ შეეძლოთ! და არა იმიტომ, რომ ან ძალა არ ჰყოფნიდათ, ან გამბედაობა ანდა უნარი... სტრინდბერგი შეუპოვარი და მტკიცე იყო, პშიბიშევესკი მოხერხებული და სწრაფი, მუნკს კი ფოლადივით მოქნილი ხელი და მახვილი თვალი ჰქონდა... ისინი უბრალოდ ცოცხალ არსებას ვერ მოუსწრაფებდნენ სიცოცხლეს!.. ბაიარდს შეხედა და თითქოს პირველად დაინახა იმ ადამიანის უმეტყველო სახე, რომელთანაც ცოლივით ცხოვრობდა და რომელსაც საერთოდ არ იცნობდა თურმე... ტყუილად ხომ არ იყო, რომ ვერა და ვერ დაიმასხვორა მისი გავრცელებული გვარი: ემერის.

„მესვრის! — მიხვდა უცებ, და საშინელმა აზრმა წამით საამოვნებაც კი მიანიჭა. — მომკლავს!..“

მამასადამე ვინ უფრო შემოიღია: მუნკი, სტრინდბერგი, პშიბიშევესკი თუ ეს ჩვეულებრივი სულელი, რომელსაც არც სხვისი სიცოცხლის ფასი ესმის და საერთოდ არც არაფრის, საკუთარი თავის გარდა?! ვისაც სხვისი ტყვივით, სხვისი სისხლი, სხვისი სიკვდილი არ აშინებს... რატომაც არ გაისვრის?! ეს ხომ საამოვნებაა — გაისროლო... გრგვინვა, ცეცხლი, გოგირდის სუნი... საიდან მოვიტანე, რომ გოგირდის

ჰოეტის მიერ წაკითხული ბრამატიკის სახელმძღვანელო



ენის სახელმძღვანელო ენის სპეციალისტებმა შეაფასონ. ნეტა რა მრჯის, რა მიძულეებს კალამს მოვეიძო ხელი? ხომ ისედაც ცხადია — სამეცნიერო ნაშრომი ქართული ენის (ნებისმიერი ენის) შესახებ მშრალი და მოსაწყენი იქნება, მხოლოდ სპეციალისტთა ვინჩო ნრეს თუ დაინტერესებს დებულებებით, განმარტებებით, საილუსტრაციო მასალით... დახუნძლულ-გაჯერებული. **„ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა“** — რაც მეტი მეცნიერული სიახლე მელოდება, მით უფრო ძნელად აღსაქმელი მეჩვენება, ტერმინთა და ცნებათა გროვაში არ გავიხლართო!

ნიგნი თურმე სასიამოვნოდ გამოცეცებს! როცა საკითხის შესწავლის ისტორიას მიმოიხილავს ავტორი (**მერაბ ნაჭყეია**), საჭიროდ მიიჩნევს ძველ ქართველ გრამატიკოსთა ბოგრაფიების მოკლე გადმოცემასაც. მათ თავგადასავლებში, ცხადია, ახალი არაფერია, მაგრამ ასე ერთად თავმოყრილი, ნიგნის ორგანული ნაწილია და სულის მოსათქმელადაც ყოფნის ჩემნაირ მკითხველს, გასახალისებლადაც, დასაფიქრებლადაც...

საერთოდ, მთელი ნიგნიდან წინაპრების სუნთქვა მოისმის. ძველ საქართველოში ის ჩვენი ძველი ქართველები როგორ უზნობდნენ? ირკვევა, რომ ზოგი თანამედროვე ფორმა სიტყვისა მარტო ქართულის მონაცემებით ვერ აიხსნება თურმე. დასახმარებლად მეგრულს, ლაზულს, სვანურს მივმართავთ. თითქოს ჯადოსნური ჯოხის შეხებით სხვა კარი გადაიხსნება და ცხადად გვესმის ხან წამლერებასავით ტკბილი, ხან ალესილი მახვილივით მოქნეული, დიდებული, მღელვარე, მოდუღუნე თუ მოწურჩულე მეტყველება ქართველთა. გემოვნებით, ფაქიზად, სიყვარულითაა შერჩეული ამონარიდები ჩვენი რჩეული მწერლების პოეტური თუ პროზაული თხზულებებიდან. თითქოს ლიტერატურისმცოდნის მიერ შედგენილი ანთოლოგია გეპყრას ხელთ. კითხულობ და გრძნობ — ლაღდება სული (დასანანია რამდენიმე უხეში კორექტურული შეცდომა).

შორს, სიღრმეში, ფესვებისაკენ მიბრუნებაც არაერთგზის უნევს მკითხველს, რაც, ვფიქრობ, ავტორის არამარტო მეცნიერული კეთილსინდისიერებით, პოეტური სულითაც უნდა იყოს გაპირობებული. წინარე-ქართველური, საერთოქართული — რა სურათებს არ წამოშლის ეს სიტყვები გულსხმიერი მკითხველის წარმოსახვაში („მათ გადაიარეს ხეთა და მიდია... და ისევ მიდია“, „ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ...“). ხელშესახებია და გრძნობ, რომ არც ჩვენი პირველსაცხოვრისი — ქალდეაა მითი, არც ქართველთა თაურმდგენად კარდუს გამოცხადება — მწერლის ფანტაზია, ან სულაც ახილება. თუ არა გჯერათ, აგერ ბრუნვითა პარადიგმა, ქართული სიტყვები, მათში ჩაკირული ათასწლეულთა საიდუმლოთი, ჩვენითვის ასე ნაცნობი და შეჩვეული, თურმე იმავე დროს ისე შეჩვეული, თურმე ამავე დროს ასე შორეული და იდუმალიც.

მე კი გრამატიკა უინტერესო, მშრალი და მოსაწყენი მეგონა. არადა, საუკუნეთა ნიაღში საგულისხმო მეგზურად მექცა, დიდებულ წინაპართა პორტრეტებით აღმაფრთოვანა, კიდევ ერთხელ დამიდასტურა ოთარ ჩხეიძის შეგონების ჭჭმარტება: „სახელმწიფო ენაა, არის ენა და არის ხალხი: იმლება ენა და იმღვრევა ხალხი“. სხვებ, ენის სახელმძღვანელო ენის სპეციალისტებმა შეაფასონ.

თამარ ყალიჩავა

სუნი იქნება? მე ხომ გასროლის სუნი არასოდეს მიგრძენია. ახლა ვიგრძნობ... არა, ვერ მოვასწრებ... ღმერთო, ალბათ ვგიჟდები! არა, არა, არა! მას სიცოცხლე უყვარდა, მთელი თავისი დალილობის, დაქანცულობის, დაუკმაყოფილებლობის, დანაკარგებისა და იმედგაცრუებათა მიუხედავად უყვარდა! უყვარდა, მაგრამ იმ საშინელ წუთამდე თვითონაც არ იცოდა, რომ ასე ძალიან სურდა ეცოცხლა... ეს მისკენ მიმართული სულელური და საბედისწერო სათამაშოს წინაშე შიშის გრძნობა არ ყოფილა, ეს იყო გონებისდაზინდვამდე, ძარღვების დახეთქვამდე, გულის გაგლეჯვამდე მისული სიცოცხლის წყურვილი!.. არსებობის ამ უმძიმეს და საოცარ სამყაროში ყოფნის სურვილი, სამყაროში, სადაც ყველა ტანჯვა მოგონილი, უმნიშვნელო და სასაცილოა უდიდესი ბედნიერების წინაშე — სუნთქავდე! უბრალოდ სუნთქავდე ამ სამყაროს ჰაერით...

— არ გინდათ!.. არა!.. გვევდრებით!.. ძვირფასო, საყვარელო, ყველაზე, ყველაზე უსაყვარელესო!.. გამოვსწორდები, ყველაფერს დაგიჯერებთ, მე ხომ მიყვარხართ! არასდროს არავინ მყვარებია... მხოლოდ თქვენ, თქვენ ერთადერთი... ძვირფასო!..

მუხლებზე დაეცა და ხელების მტვრევით მისკენ გალოლდა.

კაცი, ანგარიშშიუცემლად დამიზნებული პისტოლეტით ხელში, სროლის ყოველგვარი ცხადი განზრახვის გარეშე, ერთბაშად გამოფხიზლდა. მან უცებ ქალის შემოიხილა, დამამცირებელი შიში დაინახა, ქალისა, რომელიც მუდამ მასზე იყო აღმატებული და მიხვდა, რომ იგი გასროლას ელოდა!.. გასროლის შესაძლებლობას უშვებდა... არა, დარწმუნებული იყო, რომ გაისროდა! მან ქალის ამ დარწმუნებულობაში იპოვა უცნაური ძალა და ახლავდა მიხვდა, რომ შეეძლო ესროლა... და რადგანაც შეეძლო, უნდა ესროლა კიდევ! და ყველაფრისთვის ეზღვევინებინა, ერთხელ და სამუდამოდ გადაეხადა სამაგიერო და დაემტკიცებინა, რომ ამის ძალა შესწევდა!..

იგი ქალისკენ დაიხარა, ხელები გაანწვეინა და გულში ესროლა... თითქოს შამპანურის საცობი ამოვარდნილიყოს, იმდენად უხმაურო იყო ქალის პატარა პისტოლეტადან გასროლის ხმა...

უბედურმა ვლადისლავმა თვითონაც არ უწყოდა, რამდენი შეიძინა დაგნი იულისა და მისი სამი უხილავი თანამგზავრის წყალობით...

...მეორე დღეს მან სასტუმროს ნომერში თავი მოიკლა.

მოკლული ოცდაათობმეტი წლისა იყო... მისი სიკვდილის შემდეგ ავგუსტ სტრინდბერგმა თერთმეტი წელი იცოცხლა.

სტანისლავ პშიბიშევსკიმ — ოცდაექვსი. ედვარდ მუნკმა კი — ორმოცდაოთხი.

რუსულიდან თარგმნა
ანა აბულაშვილი

ლაიტმოტივი

ილია ჭავჭავაძის ისტორიულ ეტიუდში „ლუარსაბ ნამებული“ წინა პლანზე წამოწეულია ის მთავარი იდეა, რომელმაც უკვდავყო ხსენებული მეფის სახელი — ქრისტიანული სარწმუნოების თავგანწირული ერთგულება. ავტორი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით გადმოგვცემს ლუარსაბ მეფის ტყვეობას ირანში და ტრაგიკულ აღსასრულს, მაგრამ გვერდს არ უხვევს წინარე მოვლენებსაც, როდესაც წარმოიქმნა საბედისწერო კონფლიქტი ლუარსაბ მეფესა და გიორგი სააკაძეს შორის. იქვე შენიშნავს: „იქნება ყოველივე უბედურება, რაც მერე ლუარსაბ მეფეს დაატყდა, ამ მიზეზითაც შეემთხვია“. ბუნებრივია, რომ ილიას ლუარსაბ ნამებულისადმი მიძღვნილ ეტიუდში უნდა ემსჯელა დიდ მოურავზეც, ვინაიდან ერთის ხსენება მყისვე იწვევს მეორის გახსენებას. მათი ბედი ერთიმეორესთან არის გადაჭდობილი. ჩვენს მწერლობაში არაერთხელ დამუშავებულა ეს მიმზიდველი თემა — სიყვარული და მოყვრობა, რომელიც გადაგვარდა სიძულვილად და მტრობად, ერთმანეთის სასიკვდილოდ განწინრვად. ამ ორი პიროვნების ურთიერთობამ შესამჩნევია კვალი გაავლო საქართველოს ისტორიის მსვლელობაში.

XVII საუკუნის ქართველი პოეტის იოსებ ტფილელის პოემაში „დიდმოურავიანი“ დანვრილებით არის გადმოცემული ყირიმელი თათრების შემოსევა ქართლში (1609 წ.) და მათი სასტიკი დამარცხება გიორგი სააკაძის სარდლობით. ამას მოსდევს ნადიმი დიდი მოურავის ოჯახში, სადაც ლუარსაბ მეფე გაიცნობს მასპინძლის დას და გაუმიჯნურდება. მოურავი მოციქულის პირით დაუყოვნებლივ სთხოვს მეფეს, ჩემი ოჯახის შერცხვენას ნუ იკადრებო. მაგრამ ლუარსაბი ჰპირდება, შენს დას ცოლად შევირთავო. მაშინ მოურავი დედამისს შეევედრება, შენს შვილს შეუფერებელი ქორწინება დაუმალეო. დედა-დედოფალს დიხაჯ არ ეუბნებოდა ნუჯორიშთა დამოყვრება, მაგრამ შვილის სიჯიუტე ვერ გაუტყავს. მოურავი ისევ ლუარსაბს მიმართავს თხოვნით, ფიცი მიბოძე, რომ ცოლ-ქმრულ კავშირს არ მოშლიო. ლუარსაბი შეჰთვინავს და ცოლად ირთავს სააკაძის დას... ქართლის დიდებული გაუფიქრებლად საყვდურობენ მეფეს უგვარო ქალის ვადედოვლების. გაივლის თაფლობის თვე და მითქმა-მოთქმის მონამულელი ისრები თანდათანობით იშკიან ნაყოფს. ლუარსაბი გულს აიყრის ცოლზე. ამ წარმატებით ფრთაშესხმული დიდებული ერთხმად მოუწოდებენ მეფეს, მოურავი ცოცხალი არ გაუშვა, თორემ თავისი დის შერცხვენას ძვირად დაგისვამსო. ლუარსაბი ერთხანს ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს სასიკვდილოდ განწირავს ერთგულ ყმას. მოურავს მოსაკლავად იბარებენ ნაკისში, მაგრამ მეფის ფარემთუხუცესი გასცემს შეთქმულთა ჩანაფიქრს და გიორგი სააკაძე სასწაულებრივ ახერხებს თავის გადარჩენას. პოემაში შემდეგ აღწერილია მისი გაქცევის ამბავი, თავშესაფრის ძიება და საქართველოდან ირანში გადახვეწა.

ილიას მიზანს, რასაკვირველია, არ შეადგენდა დიდი მოურავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ასახვა, მაგრამ ზოგიერთი ფრაზა („მისი ავ-კარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარნი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდნი საქმენი...“) გასაღებს გვაძლევს იმის წარმოსადგენად, თუ როგორ შეისხამდა ხორცს ეს თემა დიდი მწერლის კალმით.

ხოლო ლუარსაბ მეფის დასახასიათებლად ილიასთვის არსებითია არა მისი ჭაბუკური ვენებანი, დიდგვაროვანთა გავლენის ქვეშ მოქცევა და საბედისწერო უშადურობა გამორჩენილი სარდლის მიმართ, რაც თვითონვე მას ძვირად დაუჯდა, არამედ — ლუარსაბის შემდგომი დევნა, ე.ი. რჯულის ერთგულება და მორალური სიმტკიცე, სამშობლოსთვის განუღებელი უანგარო სამსახური.

ილიას თვალში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქრისტეს რჯულისათვის ნამებული მეფის ცხოვრების ლაიტმოტივს, რომელიც ორიენტირად გამოვადგება პიროვნების მთლიანობაში წარმოდგენისათვის. მთავარი და წამყვანი იდეა მისი მოღვაწეობისა, ყველაზე დიდებული წუთი მისი ცხოვრებისა, ჩრდილავს დანარჩენს, ადრინდელს. დიდი თავგანწირვა გადაწონის წარსულის ცოდვებსა თუ შეცდომებს.

აღნიშნული პრინციპი კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოსჭვივს ილია ჭავჭავაძის ისტორიულ პოემაში „მეფე დიმიტრი თავდადებული“, სადაც მოთხრობილია საქართველოს მეფის ცხოვრების უკანასკნელი ეპიზოდი. მწერალი, ძირითადად, ეყრდნობა ქართველი ჟამთა-

აღმწერლის თხზულებას. თავისი წყაროს მიხედვით აღწერს გმირის გარეგნობას; იმეორებს ცნობას იმის თაობაზე, რომ მეფეს ასეთი ჩვეულება ჰქონია: ღამ-ღამობით დადიოდა ქალაქში და გლახაკებს, დავრდომილებსა და ობლებს საკუთარი ხელით ურიგებდა მოწყალეობას.

ასევე ჟამთააღმწერლის მიხედვით არის გადმოცემული მეფის მიერ გამართული თათბირის მსვლელობა, სადაც წყვებოდა საკითხი — ნასულიყო მეფე მონღოლთა ურდოში და თავი გაენირა თუ თავის გადასარჩენად მთაში გახიზნულიყო. მაგრამ ჟამთააღმწერლის თხზულებაში ჯერ დემეტრე მეფე ამცნობს დიდებულებსა და მღვდელმთავრებს თავის ურყევ გადაწყვეტილებას — ეახლოს ყაენს და ქვეყანა გადაარჩინოს აოხრებას, ხოლო ილიას პოემაში ჯერ დიდებულნი ლაპარაკობენ და გაცილებით მეტი ადგილი ეთმობა მეფის გადარჩენის მსურველთა არგუმენტებს, ხაზგასმულია მათი მზადყოფნა მტერთან საბრძოლველად („სირცხვილია ერისათვის, თავის მეფე მისცეს მტერსა“). ამიტომაც კიდევ უფრო შთაბეჭდავი ხდება მეფის არჩევანი („თუ სიკვდილი სახელად გაქვთ მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის, მაშ, რად მიშლით თავდადებას მე ერთს — მთელი ერისათვის?“).

ილიას პოემაში, ისევე როგორც ჟამთააღმწერლის თხზულებაში, ბოლო სიტყვას წარმოთქვამს კათალიკოსი და იწინებს დიდებულთა რჩევას.

სხვათა შორის, დემეტრე მეფეს მაინცდამაინც ტკბილი ურთიერთობა არა ჰქონია საეკლესიო წრებთან. ჟამთააღმწერლის სიტყვით, „აღერია წარმართთა და ისწავნა საქმენი მათნი, უძღებებისა და სიძვისა“. ღარიბ-ღატაკებზე მზრუნველს პირადი კეთილდღეობაც არ ავიწყებოდა და იმდენად დიდძალი ჰრენება დაუგროვებია, რომ მისი კონფისკაციისას მონღოლთა ყაენიც კი განცვიფრდაო.

ილიას პოემაში არაფერია თქმული დემეტრე მეფის ცოდვებზე. მწერალი, ბრმა მეფანდურის პირით, გვიამბობს თავდადებულ მეფის ამბავს, ხალხის მესხიერებას რომ შემოუნახავს.

ჟამთააღმწერლის თხზულებაში ქართველი მღვდელმთავარი ჰპირდება მეფეს ცოდვების შენდობას, თუკი ის თავს განირავს ქვეყნისა და ხალხისათვის. ხოლო ილია თითქოსდა უთქმელად შეუნდობს ცოდვებს თავისი პოემის გმირს და გვიჩვენებს მისი ცხოვრების მხოლოდ მწვერვალს, ამყავდ რომ გადაწყურებს განკვილ ზღანვრელებსა და ოღრო-ჩოღროებს.

ილიამ ამ შემთხვევაშიც გამოყოფს ის მთავარი და არსებითი იდეა, რასაც ჩვენს ცნობიერებაში განსახიერებს დემეტრე თავდადებული. სწორედ ასეთი გმირები ხიბლავდა: სამშობლოსათვის თავდადებული, რჯულისათვის ნამებული, კაცთმოყვარენი და დიდსულოვანნი. ანწყომი ველარ ხედავდა მამაპაპეო მხენელებსა და სახელისათვის „ამაყ თრთოლას“. ხედავდა კირთებათა ქვეშ დათრგუნული ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობის დაცემას, რწმენის დაკარგვასა და სასონარკვეთას. გაუქმებულ ტაძრად ეჩვენებოდა სამშობლო — „უცხოთა კალთის ქვეშ“ ობოლივით შეფარებული ქვეყანა. ხედავდა კმაყოფილების განცხრომამში მყოფ დიდკაცებს, რომელთაც არაფრად ადარდებდათ ქვეყნის ბედი. ღზინი და სიხარული, ფიქრი და გრძნობა, უბედურ ცრემლთან ერთად ბედნიერი ღიმილი — ყველაფერი თვალთმაქცობისა და მოჩვენებითობის დალით იყო აღბეჭდილი. „გრძნობას — ოქროსა ფასად ჰყიდიან, მთავრის ღიმილზე — პატრონსებას“. სოციალური უსამართლობითა და ეროვნული ინდიფერენტობით დასწვლული ქვეყანა — ასეთი იყო პირქუში სინამდვილე. „მაგრამ ქართველნი, სად არის გმირი, რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი? იგი აღარ გყავთ, მის მოედანი ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა“.

ამიტომაც ეძებდა მისაბამ ნიშნებს საქართველოს წარსულში, რათა გაეცხნებინა უმწეო და უწუგეო ანწყომი. წარსული უყვარდა იმიტომ, რომ „დიდ არიან საქმენი წარსულისა... იქ ბრწყინავენ დიდნი გმირნი, დიდნი მამულისშვილნი, დიდის ანდერძებით და სურვილებით გულატკიცებულნი“.

მწერალი სინამდვილიდან სულის მოსათქმელად დროდადრო წარსულში გარბოდა, ცხადიდან — სიზმარში, რეალობიდან — ზღაპარში...

ათმოკლე და გულს შმაბრებდა

„მეორე სამშობლოდ“ ნოდებულები ქვეყანა არასოდეს შორდებოდა ბორის პასტერნაკის ფიქრებსა და შემოქმედებით ვნებას. ჯერ კიდევ პირველი გაცნობისას (1931 წ.) თვალში მოხვდა მისი გამოსარჩევი ნიშნები, რომლებიც აღბეჭდა თავისი მემუარული ნარკვევის ფურცლებზე (თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ ქართულ ენაზე გამოქვეყნდა 1956 წელს, ჟურნალ „მნათობში“ და მერე — რუსულად, ათი წლის შემდეგ, ჟურნალ „ნოვი მირში“). ამ ნარკვევში პასტერნაკი, ქართულ შთაბეჭდილებათა აღნუსხვისას, წერს: „ყველაფერი ახალი იყო ჩემთვის, ყველაფერი მაცნებდა... ხალხურ თქმულებათა სიმბოლიკა, აღსავსე მისტიკითა და მესიანიზმით, სიცოცხლისეული წარმოსახვა რომ მოსდევს და, მსგავსად კათოლიკური პოლონეთისა, ყოველ ადამიანს აქცევს პომბეს სერაფიკას აკლდამაზე, რომლის ნემსმაც მისი მშვენება ჩვენამდე შემოინახა და რომელსაც სიმონ ჩიქოვანმა ლექსების ციკლი მიუძღვნაო. 1959 წლის 6 მარტს საქართველოდან მოსკოვში დაბრუნებული პასტერნაკი თხოვნას უგზავნის თავის უმცროს მეგობარს, კრიტიკოს გია მარგველაშვილს, წმ. ნინოსა და მისი თანამოღვაწის სიდონიას შესახებ წიგნებით მომამარაგეთო.

ნინო ტაბიძეს სწერდა: „ძვირფასო ნინო, ერთხელ თქვენ მკითხეთ ერთი საკუთარი სახელის თაობაზე ტიცინანის ლექსიდან („ებრაული მელოდია“), მაგრამ მას შემდეგ, ალბათ, უკვე დიდი ხანია, რაც მოიპოვეთ თქვენთვის საჭირო ცნობა. თუკი ეს ჯერ არ მომხდარა, ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ბოლოს და ბოლოს მაინც ჩემგან მიგელოთ განმარტება. ხომ არ ყოფილა ეს სახელი — აბიათარი? ამჟამად შემთხვევით წაგანყდი ამ ცნობებს. 315 წელს მცხეთაში წმ. ნინოს მიერ ქრისტეს რჯულზე მოქცეულთა შორის არის ებრაელი რაბინი აბიათარი თავისი ოჯახითურთ, ხოლო მისი ასული სიდონია შემდგომში წმ. ნინოს თანამოღვაწე გახდა. მასთან ერთად ახორციელებდა სასწრაფოებს და მასთან ერთად ეწეოდა ქადაგებას“.

ქრისტინანობის გავრცელება საქართველოში და წმ. ნინოს მომხიბლავი სახე, რასაკვირველია, შთააგონებდა ჩვენი ქვეყნის

ტრფობით შეპყრობილ რუს პოეტს, ვისი ქრისტიანული მსოფლმხედველობა ნათლად გამოსჭვივის მისსავე პოეზია-სა და პროზაში, მაგრამ ზემოთ დამონ-

მებული ტექსტი იმასაც მიგვანიშნებს, რომ არსებობდა კიდევ ერთი ნიუანსი, რომელმაც დამატებითი მუხტით შეავსო პასტერნაკის შემოქმედებითი ინტერესი.

მცხეთაში მცხოვრებ ებრაელთა რაბინის, სახელად აბიათარის, ხსენება თვალნათლივ მეტყველებს, რომ პოეტი საგანგებოდ დაინტერესებულა ამ პიროვნების ცხოვრებითა და მოღვაწეობით.

ჩვენი ისტორია მოგვითხრობს, რომ მცხეთაში ჩამოსული წმ. ნინო მრავალგზის მიდიოდა ებრაელთა უბანში უფლის კვართის მოსაძიებლად, რადგან იერუსალიმში თავისი აღმზრდელისგან სმენიოდა: „კვართი უფლისა მცხეთელთ ჰურიათა წარულიაო“. ამიტომაც დაულალავად და დაჟინებით ლამობდა მიეკვლია უძვირფასესი რელიკვიისათვის:

„და პოვა ჰურია ერთი მღვდელი, სახელით აბიათარ, და უქადაგა მას და ასულსა მისსა სიდონიას სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ რწმენა და დაემონაფენს, იგინი და ექესნი დედანი სხვანი ჰურიანი“.

ასე წარმოიქმნა საქართველოში პირველ ქრისტიანთა თემი. ისინი ებრაელები იყვნენ. თავიანთი უბნით არ შემოფარგლულან და მთელს მცხეთაში გაუჩაღებიათ ახალი რჯულის ქადაგება.

„და აბიათარ მღვდელი, ახალი იგი პავლე, რომელი უშიშად და დაუცხრომლად ქადაგებდა სჯულსა ქრისტესსა, რომელი ფრიად მეცნიერ იყო ძველისა სჯულისა, და ახალი ესე სჯული ესნავა წმიდისა ნინოსაგან და უმეტეს ნინოსსა ამხილებდა ყოველსა კაცსა სჯულსა ჭეშმარიტსა“.

პასტერნაკის შემოქმედებითი ფანტაზია, ჩანს, ძალუმად მიიზიდა გაქრისტიანებული მცხეთელი რაბინის სახემ. ცხოვრება და მოღვაწეობა აბიათარისა შორეული, თითქმის უხილავი ძაფებით უკავშირდებოდა ბავშვობისას გამდელის მიერ მონათლული პოეტის ხვედრს. განგება შემთხვევით როდი შეუძლვა პატარა ბორის ქრისტინანობის ნიაღში. დადგება ჟამი, როდესაც „რუსული პოეზიის სინდისად“ ნოდებულები პასტერნაკი უჩვეულო მგზნებარებით და აღტკინებული სიყვარულით ლექსად აამეტყველებს მაცხოვრის უკვდავ სახებას და მისი განუმეორებელი ცხოვრების უკანასკნელ, ყველაზე მწარე და ყველაზე დიდებულ წუთებს.

უანგარო სიყვარული მოყვასისა, უნარი გულწრფელი აღტაცებისა და გაცნობისა, უდიდესი სიხარულის განცდა სხვისი შემოქმედებითი გამარჯვებით — აი, ამ ნიშნებით ახასიათებენ სახელგანთქმულ პოეტს მისი თანამედროვენი.

ბედნიერი იყო, რომ ქრისტიანული სათნოება ათობდა და გულს უმაგრებდა წლებად გადაჭიმულ სუსხიან ზამთარში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის აუდიტორიის დარბაზში გაიმართა **ნატა ვარადას** ახალი წიგნის **„დედის კერძი“** და რადიოპიესის **„ფოკუს-მოკუს-ფორ“** რადიოდადგმის პრეზენტაცია.

ნატა ვარადასთვის ეს მეორე წიგნია. პირველი — პოეტური კრებული **„ერთი საათი გვიან“** როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით და **ქრისტინე რობაქიძის** ილუსტრაციებით **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებამ** გამოსცა. ამჯერად სალიტერატურო პროცესით დაინტერესებულ საზოგადოებას, მოთხრობების წიგნი წარუდგინა. აქ ცხრა მოთხრობა შევიდა, წიგნის სათაურიც ერთ-ერთი მოთხრობიდან არის დასესხებული. რედაქტორია **ბესო ხვედელიძე**. გამოსცა „საუნჯემ“. გარეკანზე გამოყენებულია ქრისტინე რობაქიძის მხატვრული ტილო.

ნატა ვარადას მოთხრობები ლიტერატურულ პერიოდიკაში ხშირად იბეჭდებოდა, არაერთგვაროვანი გამოხმაურებებიც მოჰყოლია, მაგრამ ახლა, ერთი ყდის ქვეშ გაერთიანებულმა ნაწარმოებებმა მკითხველზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. პრეზენტაციის მსვლელობისას მონაწილეებს ავტორმა მოასმენინა რადიოდადგმის ჩანაწერი. რადიოპიესა დაინერა ფრანგი

პოეტის **ფრანსუა ვიიონის** ცხოვრებისა და შემოქმედების მიხედვით. მხატვრული ინტერპრეტაციის შემდეგ ავტორმა საინტერესო ტექსტი შექმნა.

რადიოდადგმა საზოგადოებრივმა რადიომ, რადიო-1-ის დრამის განყოფილების რეჟისორმა, დრამატურგმა და მწერალმა **ზურაბ კანდელაკმა** დადგა. მთავარ როლს **ზურაბ ყიფშიძე** განასახიერებს. ბატონი ზურაბი ჩვეული ოსტატობითა და პროფესიონალიზმით მკითხველში კიდევ ერთხელ გაცნობასა და აღფრთოვანებას იწვევს. ასევე, შესანიშნავად თამაშობენ მსახიობები: **ქეთი ჩაჩუა, ნანა ხურიტი, პავლე ნოზაძე, ვახტანგ ნოზაძე, დათო ბერაძე, დათო ველიჯანაშვილი, ჯემალ მელქაძე, სოსო ხაინდრავა, პაატა კიკვაძე, თემურ ხუციშვილი**. ხმის რეჟისორია **ბაკო ხვიჩია**, ფრანსუა ვიიონის ლექსების თარგმანი ეკუთვნით: **გრიგოლ აბაშიძეს, გივი გეგეჭკორსა და დავით ნერუდიანს**. რადიოდადგმაში გამოყენებულია მუსიკა **კენ რასელის** ფილმიდან **„ლისტომანია“**. რადიოდადგმის ჩანაწერი შეგიძლიათ მოისმინოთ „რადიო-1-ის“ ვებგვერდზე: <http://www.radio1.ge/RadioTheatre.aspx?Cat=2>.

სიტყვით გამოვიდნენ: **ირინა ოინანი, მარიამ ნიკლაური, გიგა ნასარიძე, შორენა ტყემლაშვილი**.